საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი.

ბ. საჭაპურიძე

1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
გამომცემლობა

თბილისი
1955

3. ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ

ი. სტალინი

I

საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა XX საუკუნის დასაწყისში

XIX საუკუნის დასაწყისში ქართველმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი მოძმე რუს ხალხს.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე ამ ქვეყნებს შორის დამყარდა ეკონომიური ურთიერთობა, რამაც შემდგომ ხელი შეუწყო რუსი და ქართველი ხალხების პოლიტიკურ და კულტურულ დაახლოებას.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს რუსეთს სათავეში ედგნენ მეფე და მემამულეები, საქართველოს რუსეთთან შეერთებას მაინც უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ განამტკიცა რუსი და ქართველი ხალხების კავშირი და მეგობრობა მათ ბრძოლაში უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რუსი და ქართველი მებატონეების უღლის წინააღმდეგ, რუსეთის ყველა ხალხის უბოროტესი მტრის—მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

რუსეთთან შეერთებით საქართველო ჩაება უფრო მოწინავე ეკონომიკის სფეროში, რამდენადაც რუსეთი უკვე კაპიტალისტური განვითარების გზაზე იდგა.

თავისი ბედის დიდ რუს ერთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა თავი იხსნა ფიზიკური განადგურებისაგან. ეს ძალიან კარგად ესმოდათ და შემდგომში კიდევაც დაასაბუთეს ქართული კულტურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა—ნიკოლოზ ბარათაშვილმა, ილია

ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა. ცნობილი ქართველი მწერალი, რევოლუციონერ-დემოკრატი ეგნატე ნინოშვილი 1888—1889 წლებში დაწერილ რომან „ჯანყი გურიაში“, მიმართავს რა გლეხებს, ინტელიგენტ გიორგის პირით ამბობს:

ჩვენ „სრულიად დაუძლურებული ვიყავით და მოველოდით, ეი დღეს, აი ხვალ აგვიკლებს სპარსი, ოსმალი... რა რომ რუსეთს შევუერთდით, მას შემდეგ ამ მხრით სრულიად უშიშარნი შევიქენით... რა ვიქნებოდით, აქამომდე რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის ანუ ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა. მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან“ [1].

ამასთან ერთად ეგნატე ნინოშვილი იმავე გიორგის პირით განუმარტავდა გლეხებს, რომ საქართველოს მშრომელთა ბრძოლა შეიძლება გამარჯვებით დაგვირგვინდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაკავშირებული იქნება რუსი ხალხის ბრძოლასთან ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ.

„ჩვენი გლეხ-კაცობა,—ამბობდა გიორგი,—უნდა იყოს შემყურადე რუსეთისა და უნდა მოელოდეს იმავე ბედს, რასაც რუსეთის გლეხ-კაცობა. ვინიცობაა, რუსეთში გლეხ-კაცობამ ნებაყოფლობით ვერარა გამოიტანოს და აჯანყდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხკაცობაც ვერ გაჩერდება გულხელ-დაკრეფილი, მიხედავს რუსეთის მაგალითს და იომებს თავისუფლების მოსაპოებლად“ [2].

რუსეთმა არა მარტო იხსნა საქართველო უცხოელ დამპყრობთაგან, რომლებიც ხელყოფდნენ საქართველოს მიწაწყალს, არამედ გამოიყვანა იგი ღრმა შინაგან სოციალურ-ეკონომიური კრიზისისგან.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით ბოლო მოეღო ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ დაქუცმაცებას.

თურქეთთან, ირანთან და ინგლისელი და თურქი აგრესორების სამსახურში მყოფ შამილთან წარმატებითი ომების შედეგად რუსის ჯარებმა ქართველთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა მილიციის ნაწილებთან ერთად ამიერკავკასიაში სტრატეგიულად ხელსაყრელი საზღვრები დაამყარეს. საქართველო მნიშვნელოვანწილად აღდგენილ იქნა თავის ისტორიულ საზღვრებში. კერძოდ, 1877—

---

[1] ე. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი, მოთხრობები, თბ., 1947, გვ. 22.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 32.

1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ რუსეთს მიეკუთვნა აჭარა ქალაქ ბათუმთან ერთად, რომელიც თურქებმა ძალით მოსწყვიტეს საქართველოს ჯერ კიდევ XVI საუკუნეში.

რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის, კულტურის კეთილმყოფელი გავლენით ვითარდებოდა ქართველი ხალხის კულტურა. „არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ,—წერდა ილია ჭავჭავაძე,—რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე კულტურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... თვითეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია“[1].

თავის მხრივ ქართველი ხალხის კულტურა კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა რუსი მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებაზე.

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის სოციალურ-ეკონომიურმა განვითარებამ აიძულა მეფის მთავრობა 1861 წელს გაეუქმებინა ბატონყმობა.

განაპირა ქვეყნების ექსპლოატაციის კაპიტალისტურმა წესმა, თვით საქართველოს ეკონომიურმა განვითარებამ, ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლის თანდათანობითმა გაძლიერებამ აიძულა მეფის მთავრობა 60-იან წლებში აქაც გაეუქმებინა ბატონყმობა და შეკვეცილი სახით განეხორციელებინა ზოგიერთი ბურჟუაზიული რეფორმა, რომლებიც განხორციელებულ იქნა ცენტრალურ რუსეთში.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კაპიტალიზმის განვითარებას თან სდევდა ღრმა ცვლილებები ქართველი ხალხის მთელ ცხოვრებაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების, ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური კონსოლიდაციის, ეროვნული კულტურის განვითარების პროცესში ქართველი ხალხი ყალიბდება ბურჟუაზიულ ერად.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. 8, გვ. 285.

„...საქართველო, როგორც ერი, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა,—წერს ი. ბ. სტალინი,—როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“[1].

კავკასიასა და საქართველოში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის კაპიტალიზმს. ამის გამო ვ. ი. ლენინი წერდა:

„...რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს—ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს,—ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა“[2].

XX საუკუნის დასაწყისისათვის ამიერკავკასიაში დამთავრდა რკინიგზების განშტოებული ქსელის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც დამყარდა კავშირი შავსა და კასპიის ზღვებს შორის, ამასთან ამ გზებმა ამიერკავკასიის დიდი ქალაქები და მთავარი სამეურნეო ცენტრები დაუკავშირა ევროპულ რუსეთს.

რკინიგზების მშენებლობასთან ერთად გაჰყავდათ შარაგზებიც, რომლებიც იჭრებოდნენ მიყრუებულ ხეობებსა და მთიან მასივებში და წინათ მიუწვდომელ რაიონებს აკავშირებდნენ ქვეყნის ცენტრებთან. 1892 წელს დამთავრდა ნოვოროსიისკ-სოხუმის შარაგზის მშენებლობა.

ჯერ კიდევ 1858 წელს შავ ზღვაზე აგებულ იქნა დიდი და კეთილმოწყობილი ნავსადგური — ფოთი, საიდანაც საზღვარგარეთ გაჰქონდათ უმთავრესად ჭიათურის მარგანეცი.

1878 წელს აჭარის რუსეთთან შემოერთების შემდეგ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგური გახდა ბათუმი.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტომი 2, გვ. 318.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

მოეწყო „რუსეთის სანაოსნო და ვაჭრობის საზოგადოების“ საზღვაო გემების რეისები ოდესას, ნოვოროსიისკს, სოხუმს, ფოთს, ბათუმსა და კონსტანტინეპოლს შორის. რეგულარული სანაოსნო მიმოსვლა წარმოებდა აგრეთვე კასპიის ზღვაში.

საქართველოს დაკავშირება რუსეთის ბაზართან, ამიერკავკასიაში რკინიგზებისა და მიმოსვლის სხვა საშუალებათა მშენებლობა არღვევდა ნატურალურ-პატრიარქალურ კარჩაკეტილობას, ხელს უწყობდა სამანქანო ინდუსტრიის აღმოცენებას, შინაური ბაზრის შექმნას და ქვეყნის ყველაზე უფრო დაშორებული რაიონების ჩაბმას სავაჭრო ურთიერთობაში. გზები განამტკიცებდნენ ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიურ კავშირს ცენტრალურ რუსეთთან.

რკინიგზის გაყვანამ ბიძგი მისცა სამთო მრეწველობის განვითარებასა და ისეთი სამრეწველო ცენტრის წარმოშობას, როგორიცაა ჭიათურა მისი მარგანეცის მადნის მსოფლიო მარაგით.

საზღვარგარეთ გაზიდულ იქნა მარგანეცი:

1882 წ.	562,720	ფუთი
1884 წ.	1.247,841	
1886 წ.	3.403,426	
1888 წ.	3.043,615 [1]	

მუშების რიცხვი ჭიათურაში 1890 წელს აღწევდა 3,702 კაცს.

ამიერკავკასიის რკინიგზის მოთხოვნილებასთან დაკავშირებით იზრდება ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში. თუ იქ ქვანახშირის მოპოვება 1888 წელს შეადგენდა 320 ათას ფუთს, 1890 წელს იგი 3.875 ათას ფუთს აღწევს.

ამავე პერიოდში იწყება, თუმც უმნიშვნელო ოდენობით, ტყვარჩელის ქვანახშირის მადნის დამუშავება.

ჩატახის თუჯსასხმელ ქარხანაში, სადაც 140-მდე კაცი მუშაობდა, წელიწადში საშუალოდ 10.000 ფუთამდე თუჯსა და 5000 ფუთ რკინას ამზადებდნენ. მირზაანის ნავთის სარეწაოები წელიწადში 40.000 ფუთამდე ნავთს იძლეოდნენ. 60-იან წლებში თბილისში გაიხსნა კაპიტალისტური ტიპის პირველი საწარმოები: საფეიქრო ფაბრიკა, გაუმჯობესებული მანქანებით გამართული თუჯსასხმელი და მექანიკური ქარხნები.

---

[1] სტ. გულიშამბაროვი. Обзор фабрик и заводов закавказского края, თბილისი, 1894, გვ. 73.

1883 წელს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, სადაც დაახლოებით 3.500 კაცი მუშაობდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში თბილისში ამუშავდა მთელი რიგი ახალი ფაბრიკები და ქარხნები: თუჯსასხმელი, ტყავის, ავეჯის, ღვინის, საპნისა და სხვა საწარმოები. ქუთაისში აშენდა თამბაქოს ფაბრიკა, სპირტისა და არყის ქარხნები და სხვა საწარმოები. ამ პერიოდისათვის აფხაზეთში ირიცხებოდა მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ყველაზე დიდი იყო მაქსიმოვის სახერხი ქარხანა, სადაც დაახლოებით 100 კაცი მუშაობდა.

მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრი გახდა ბათუმი, სადაც ირიცხებოდა ათი დიდი სამრეწველო საწარმო: ნობელის, მანთაშევის, როტშილდისა და სხვათა ბიდონის ქარხნები, ორი თამბაქოს ფაბრიკა, თუჯსასხმელი და ლურსმნის ქარხნები, მინერალური წყლების ქარხნები, რამდენიმე ნავთობსასხმელი სადგური. 1900 წელს დამთავრდა ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გაყვანა. ბათუმის ოლქის ართვინის რაიონში წარმოებდა სპილენძის სამრეწველო მოპოვება.

1898 წელს ფაბრიკებისა და ქარხნების რაოდენობა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით შეადგენდა 4401-ს, ხოლო პროდუქციის ღირებულება 17.666 ათას მანეთს უდრიდა. მაგრამ საქართველოს საწარმოთა უმრავლესობა ამ პერიოდისათვის წვრილი და ჩამორჩენილი იყო.

ცარიზმი ცდილობდა საქართველო გადაექცია ნედლეულის წყაროდ და გასაღების ბაზრად რუსეთის მრეწველობისათვის და ამ მიზნით ხელოვნურად აფერხებდა მისი საწარმოო ძალების განვითარებას. აქ თითქმის არ ამუშავებდნენ ისეთი ძვირფასი ლითონების მდიდარ საბადოებს, როგორიც არის ბარიტი, გუმბრინი, კალა, თუთია, დიატომიტი და ა. შ. „ცარიელ და მავნე ფანტაზიად“ ითვლებოდა საქართველოს უმდიდრესი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენება. საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით იხსნება ბანკები და საკრედიტო დაწესებულებანი. ჯერ კიდევ 1867 წელს თბილისში არსდება რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება. 1871 წელს აქ მუშაობას იწყებს კომერციული ბანკი, ურთიერთკრედიტის საზოგადოება, აზოვ-დონისა და ვოლგა-კამის კომერციული ბანკების განყოფილებანი. 1874 წელს არსდება თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, ხოლო 1875 წელს ქუთაისის მიხაილოვის საადგილ-

რსდმპ კავკასიის კომიტეტის შემადგენლობა (1905—1906 წწ.)

შამულო ბანკი. 1884 წელს თბილისში იხსნება ქალაქის საკრედიტო ამხანაგობა, ხოლო 1890 წელს სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის განყოფილება. სახელმწიფო და კომერციული ბანკების განყოფილებები არსდება ბათუმში, ქუთაისში, ფოთსა და გორში. 1874 წლიდან საქართველოში არსდება პირველი სასოფლო შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები. თუ როგორ იზრდებოდა ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების ბრუნვა, ამას ნათელყოფს თუნდაც შემდეგი ფაქტი: თბილისის კომერციული ბანკის ძირითადი კაპიტალი შეადგენდა 500 ათას მანეთს, ხოლო 1872 წელს მისი ბრუნვა 1665 ათას მანეთს უდრიდა. რკინიგზების გაყვანამ, მრეწველობის აღმოცენებამ და განვითარებამ საქართველოში დიდად გაზარდა სავაჭრო ბრუნვა. 1872 წელს, ესე იგი ფოთი-თბილისის რკინიგზის გახსნის პირველ წელს, საზღვარგარეთთან ვაჭრობის მთელი ბრუნვა ამიერკავკასიიდან საქონლის გაზიდვა-შემოზიდვის მიხედვით შეადგენდა 15.079,4 ათას მანეთს, ხოლო 1893 წელს ის უკვე 55.835 ათას მანეთს უდრიდა. თუ ავიღებთ ცალკეულ ქალაქებს, მაგ., თბილისს, აქ სავაჭრო ბრუნვა 1860 წლიდან 1890 წლამდე გაიზარდა 5-ჯერ (7 მილიონიდან 37,6 მილიონამდე), ქუთაისის გუბერნიის ქალაქების მიხედვით კი იგი გაიზარდა 3.745 ათასი მანეთიდან 14,5 მილიონ მანეთამდე. დიდად იზრდება ქალაქების ბიუჯეტიც. 1860 წელს თბილისის ბიუჯეტი შეადგენდა 84,9 ათას მანეთს, ხოლო 1899 წელს მან 1.079.5 ათას მანეთს მიაღწია; ქუთაისის ბიუჯეტი შესაბამისად 11,9 ათასი მანეთიდან 147,9 ათას მანეთამდე გაიზარდა.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველო ადმინისტრაციულად გაყოფილი იყო ორ გუბერნიად — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად. ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი. ოსები ცხოვრობდნენ თბილისის გუბერნიაში (გორისა და დუშეთის მაზრებში). ოსების უმნიშვნელო ნაწილი ცხოვრობდა აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაშიც (რაჭისა და შორაპნის მაზრებში).

1897 წლის აღწერით მოსახლეობის ენობრივი ნიშნის მიხედვით საქართველოში ირიცხებოდა კაცი და ქალი (ათასობით):

ქუთაისის გუბერნიაში (ბათუმის ოლქისა და სოხუმის ოკრუგის ჩათვლით): ქართველი—929,0, სომეხი და ბერძენი—45,8, აზერბაიჯანელი—47,9, ებრაელი—7,0, რუსი—19,0, უკრაინელი—4,0, ბელორუსი—0,2, პოლონელი—2,2 და სხვ. მოსახლეობის საერთო რიცხვი გუბერნიაში შეადგენდა 1.058,0-ს.

თბილისის გუბერნიაში (ზაქათალის ოლქის ჩათვლით): ქართველები—513,3, სომეხი და ბერძენი—295,3, აზერბაიჯანელი—134,2, ებრაელი—5,2, რუსი—79,0, უკრაინელი—6,4, ბელორუსი—0,2, პოლონელი—6,5.

მოსახლეობის საერთო რიცხვი გუბერნიაში შეადგენდა 1.050,9-ს. მთელ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა უდრიდა 2.108,9 ათას კაცს, ამათგან ქართველი იყო 1.442,3 ათასი კაცი [1].

საქართველოს მოსახლეობა განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქების მიხედვით. 1865 წ. საქართველოს ყველა ქალაქში ირიცხებოდა 120.899 კაცი ხოლო 1897 წ. მათი მოსახლეობა 296.372 კაცამდე გაიზარდა.

„კაპიტალიზმის განვითარებამ რუსეთში განაპირობა ახალი კლასის—პროლეტარიატის წარმოშობა. რუსი პროლეტარიატის სახით ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებმა ისტორიაში პირველად პოვეს საიმედო ხელმძღვანელი იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის ეწეოდნენ“ [2].

მრეწველობის განვითარებასთან ერთად საქართველოში წარმოიშვა მუშათა კლასი, რომელიც რუსეთის პროლეტარიატის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და რომელიც ყალიბდებოდა გაპროლეტარებული გლეხებისა და, აგრეთვე, ქალაქის გაღატაკებული ხელოსნებისაგან. XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში, ოფიციალური ცნობების საფუძველზე შედგენილი დაახლოებითი გაანგარიშებით, მუშათა კლასის რაოდენობა 35.402 კაცს უდრიდა. მათგან ქართველები შეადგენდნენ 70%-ს, შემდეგ—სომხები, რუსები და სხვა ეროვნებანი.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაიწყო დაქირავებული მუშების კადრების ჩამოყალიბება გაპროლეტარებული ღარიბი გლეხობის წრიდან. სოფლის მეურნეობის მუშები დაკავებული იყვნენ საუფლისწულო მამულებში, მემამულეთა ცალკეულ მეურნეობებში და ა. შ. სოფლის მეურნეობის მუშათა საერთო რაოდენობა 62.121 კაცს შეადგენდა.

---

[1] ეს ცნობები ამოღებულია დ. ი. მენდელეევის წიგნიდან „К познанию России“, სპბ, 1907 წელი, გვ. 36—41.

[2] „თეზისები უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავის შესახებ (1654—1954 წწ.)“, გაზ. „კომუნისტი“, 1954, № 9, 2 იანვარი.

საქართველოს სამრეწველო მუშების მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო, ვიდრე რუსეთში. კაპიტალისტურ ექსპლოატაციას თან ერთვოდა მკაცრი ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა. საქართველოში, ისე როგორც ამიერკავკასიაში საერთოდ, არ ვრცელდებოდა ის საფაბრიკო კანონებიც, რომლებიც რუსეთში მოქმედებდნენ. საფაბრიკო-საქარხნო ინსპექცია საქართველოში მხოლოდ 1902 წელს შემოიღეს, მაგრამ იგი ფორმალურად არსებობდა და თითქმის არავითარ საქმიანობას არ ეწეოდა. დამახასიათებელია ისიც, რომ ეს ინსპექცია ხარკოვის ოლქს ემორჩილებოდა. სამუშაო დღის ხანგრძლიობა სავალდებულო ზედმეტ სამუშაოსთან ერთად კანონით არ წესრიგდებოდა. ფართოდ იყენებდნენ ქალთა და ბავშთა შრომას, რაშიაც გაცილებით ნაკლებ გასამრჯელოს იძლეოდნენ, ვიდრე მოზრდილი მამაკაცის შრომაში. არ არსებობდა სამედიცინო დახმარება, დაზღვევა ინვალიდობისა და დასახიჩრების შემთხვევისათვის.

მუშათა მათხოვრული სამუშაო ხელფასი იკვეცებოდა ჯარიმების, ყოველგვარი დაქვეითებისა და მოტყუების გზით. მეფაბრიკეები და ადმინისტრაცია განუსაზღვრელ თვითნებობას იჩენდნენ, სცემდნენ და აწამებდნენ მუშებს.

განსაკუთრებით მძიმე იყო მუშათა საბინაო პირობები. თბილისსა და ბათუმში ისინი ცხოვრობდნენ განაპირა უბნებში, ბინძურ და ვიწრო ქოხმახებში. ჭიათურის მუშების საბინაო პირობების შესახებ „ისკრა“ წერდა:

„არსებული შენობები—ეს სახელდახელოდ აგებული, ნოტიო, ბნელი და ჭუჭყიანი ბარაკებია, ხვრელებიანი და იმდენად ცივი ზამთრობით, რომ ვერც ერთი მუშა ვერ ბედავს იქ ღამის გატარებას. ამასთან ერთად ბინები იმდენად ვიწროა, რომ დაახლოებით ექვსი კვადრატული საჟენის ზომის ბარაკში 20 და უფრო მეტი მუშაა მოთავსებული“ [1].

ჭიათურაში მუშათა უმრავლესობა ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა. ზამთრობით და ცუდი ამინდის დროს ისინი თავს აფარებდნენ მაღაროებს.

ლ. კეცხოველი 1901 წელს წერდა, რომ ქართველ მუშას რუს და სომეხ მუშასთან ერთად სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ, მის მიერ შექმნილ პროდუქტს მთლიანად მესაკუთრე ითვი-

---

[1] გაზ. „ისკრა“, 1902, № 16.

სებდა, მას კი რჩებოდა მხოლოდ ნამცეცები და განუწყვეტელ ტანჯვა-წამებას განიცდიდა [1].

საშინელი კაპიტალისტური ექპლოატაციით და ეროვნული ჩაგვრით გაწამებულმა საქართველოს მუშებმა ადრევე გააჩაღეს ბრძოლა თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ. უკვე 1865 წელს თბილისში გაფიცვა მოაწყეს არსენალის მუშებმა. 1872 წელს და შემდგომ წლებში რამდენჯერმე მოაწყეს გამოსვლები მირზოევის საფეიქრო ფაბრიკის მუშებმა. სამუშაო დღის თვითნებურად გადიდების გამო 1878 წელს გაიფიცნენ ზაიცერის სახელოსნოს მუშები. 1889 წელს გაიფიცნენ ამიერკავკასიის მთავარი სახელოსნოების მუშები და ა. შ.

მუშების ეს გაფიცვები მეტწილად ნაკლებორგანიზებული და სტიქიური იყო, რის გამოც კაპიტალისტები მათ ადვილად ახშობდნენ.

70-იან წლებში საქართველოში წარმოიშვა მუშათა პირველი წრეები, სადაც კითხულობდნენ არალეგალურ ლიტერატურას და იხილავდნენ სოციალ-პოლიტიკურ საკითხებს.

1889—1892 წლებში თბილისში გაჩნდა მუშათა არალეგალური ხელნაწერი ჟურნალები—„განთიადი“, „მუშა“, „სინათლე“.

საქართველოში რომ მაღალი კულტურული დონისა და პოლიტიკური შეგნების მქონე მუშები იყვნენ, ამას მოწმობს თბილისის მუშათა ჯგუფის შესანიშნავი წერილი, რომელიც მათ გაუგზავნეს დიდი რუსი სატირიკოსის სალტიკოვ-შჩედრინის გარდაცვალების გამო მის მეუღლეს.

„ნება მოგვეცით ჩვენ, მუშებს,—წერდნენ ისინი—გამოვთქვათ ჩვენი მწუხარება თქვენი დაუვიწყარი და საყვარელი მეუღლის საფალალო დაკარგვის გამო. მიხაილ ევგრაფის-ძის გარდაცვალებამ დაამწუხრა ყველა, ვისაც კი გულწრფელად სურს სიკეთე და ბედნიერება თავისი სამშობლოსათვის. მისი სახით რუსეთმა დაკარგა სიმართლისა და თავისუფლების საუკეთესო, სამართლიანი და ენერგიული დამცველი, მებრძოლი ბოროტებასთან, რომელსაც იგი ლახვარს სცემდა თავისი ძლიერი გონებითა და სიტყვით და ჩვენ, მუშებიც, ვუერთდებით საერთო მწუხარებას დიდი ადამიანის დაკარგვის გამო“ [2].

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1901, № 1.

[2] წერილი დათარიღებულია 1889 წლის აპრილ-მაისის თვეებით. „Литературное наследство“, მოსკოვი, 1934, № 13—14, გვ. 221—223.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ კაპიტალიზმი გზას იკაფავდა სოფლის მეურნეობაშიც, ანგრევდა მის ნატურალურ-პატრიარქალურ ფორმებს, სახეს უცვლიდა წვრილ გლეხურ მეურნეობას და ბაზრისაგან დამოკიდებულს ხდიდა მას.

ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში მომეტებულად ვითარდება მეურნეობის ესა თუ ის დარგი, ვითარდება მეთამბაქოეობა, რომლის ცენტრი ხდება აფხაზეთი. 1902 წლის ცნობებით აქ 143 სოფლიდან თამბაქოს პლანტაცია გაშენებული იყო 80 სოფელში. თამბაქოს წარმოებამ ოზურგეთის მაზრაში 80-იან წლებში მიაღწია საშუალოდ წელიწადში 8.000 ფუთამდე და დესეტინაზე დაახლოებით 200 მანეთ წმინდა შემოსავალს იძლეოდა. მეურნეობის ამ დარგის შემდგომი განვითარებისათვის ქ. ოზურგეთის მახლობლად მოეწყო თამბაქოს საცდელი სადგური. მეთამბაქოეობა ფართოდ განვითარდა აჭარაში (განსაკუთრებით ართვინისა და ბათუმის რაიონებში).

დასავლეთ საქართველოში იზრდება ღვინის, აბრეშუმის, სიმინდის წარმოება საექსპორტოდ.

გორის მაზრაში სამრეწველო მნიშვნელობა ენიჭება მეხილეობას. მევენახეობისა და მეღვინეობის ცენტრი ხდება თელავისა და სიღნაღის მაზრები, საქართველოს მთიან რაიონებში და, აგრეთვე, ბორჩალოს მაზრაში ყველაზე მეტად ვითარდება მერძეობა. აფხაზეთსა და აჭარაში ვრცელდება ჩაისა და ციტრუსების კულტურა.

მაგრამ სოფლად კაპიტალიზმი ნელი ტემპით ვითარდება, ვინაიდან ბატონყმობის ნაშთები აქ გაცილებით უფრო ძლიერად იყო ფეხმოკიდებული, ვიდრე ცენტრალურ რუსეთში.

1861 წლის კანონი დროებით-ვალდებულებითი ურთიერთობის ლიკვიდაციის შესახებ საქართველოზე არ გავრცელებულა.

XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში ირიცხებოდა 35.786 გლეხთა კომლი (მთელი გლეხური მოსახლეობის 48,8%), რომლებიც კვლავ დროებით-ვალდებულ გლეხთა მდგომარეობაში რჩებოდნენ [1].

1904 წელს მარტო თბილისის გუბერნიაში დროებით-ვალდებულ გლეხთა 17.467 კომლი ითვლებოდა [2].

---

[1] ორესტ სემინი. Великая годовщина. Аграрный вопрос и крестьянская (крепостная) реформа на Кавказе. კიევი, 1911, გვ. 34.

[2] ს. ავალიანი, Крестьянский вопрос в Закавказье. ოდესა, 1912, ტ. I, გვ. 427.

XX საუკუნის დასაწყისში გამოსყიდვის ოპერაციაც შენელდა. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში 1892—1897 წლების პერიოდში ნადელების გამოსყიდვას ყოველწლიურად აწარმოებდა 1000 კომლი, ხოლო შემდგომ ხუთწელში—საშუალოდ 558 კომლი წელიწადში.

საუკეთესო სახნავი მიწები, სათიბები მემამულეთა ხელში რჩებოდა. ასე მაგალითად, თბილისის გუბერნიაში მემამულეები ფლობდნენ მთელი კერძომესაკუთრული მიწის 68,11%, მაშინ როცა გლეხთა დიდი უმრავლესობის თითოეულ კომლზე მოდიოდა 1 ჰექტარ მიწაზე ცოტა მეტი. მემამულეებს შორის იყვნენ ისეთი მაგნატები, როგორც თავადი ორბელიანები, რომელთაც ეკუთვნოდათ 80 ათას ჰექტარ მიწაზე მეტი, თავადი ციციშვილები, რომლებიც ფლობდნენ 70 ათას ჰექტარ მიწას და სხვა.

ქუთაისის გუბერნიაში მემამულეები ფლობდნენ მთელი კერძომესაკუთრული მიწის 42%. გუბერნიაში იყო 9 მსხვილი მამული (თავადი მინგრელსკების, თავადი გურიელების და სხვა), რომელთა ფართობი შეადგენდა 358.000 დესეტინას.

საქართველოში უზარმაზარი მამულები ეკუთვნოდა რუსეთის მეფეს (აბასთუმნისა და წინანდალის მდიდარი მამულები). მის ნათესავებს ჰქონდათ მამულები ბორჯომში, ჩაქვში და ა. შ. აფხაზეთში, გაგრის რაიონში პრინც ოლდენბურგსკის ეკუთვნოდა 15 ათას დესეტინამდე მიწა. წებელდაში დიდი მემამულე იყო გრაფი ბობრინსკი.

დიდძალ მიწას ჰფლობდნენ მონასტრები და ეკლესიები. მარტო ახალი ათონის მონასტერს აფხაზეთში 3899 დესეტინა მიწა ეკუთვნოდა. „აფხაზეთში პირადი დამოკიდებულების მოსპობისა და საადგილმამულო მოწყობის დებულების“ საფუძველზე, რაც დამტკიცებულ იქნა 1870 წელს, საუკეთესო მიწები მემამულეებს მიეკუთვნა. გარდა ამისა, მათ ხაზინიდან მიიღეს 400.000 მანეთი ერთდროული დახმარების სახით. აფხაზეთის გლეხთა თითოეულმა კომლმა საშუალოდ 2-3 დესეტინა მიწა მიიღო. მათ თავიანთი ნადელები უნდა გამოესყიდათ 4 წლის ვადაში, ხოლო ამ დროის განმავლობაში დროებით-ვალდებულ გლეხთა მდგომარეობაში რჩებოდნენ. მაგრამ დროებით-ვალდებულებითი ურთიერთობა აფხაზეთში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, გაუქმებულ იქნა მხოლოდ 1912 წლის 20 დეკემბრის კანონით. სვანეთში რეფორმის შემდეგ გლეხთა მიწის ნადელები ძლიერ შემცირდა. გარდა ამისა,

გლეხები იხდიდნენ დიდ ღალას და ასრულებდნენ სხვადასხვა ბეგარას ტყითა და სათიბებით სარგებლობისათვის. აჭარაში საუკეთესო ზღვისპირა მიწები ცარიზმმა საუფლისწულო უწყებებს გადასცა და ურიგებდა მაღალი წოდების სამხედრო მოსამსახურეებსა და ჩინოვნიკურ ბიუროკრატიას. მიწა კვლავ ადგილობრივი მემამულე-ბეგებისა და სამღვდელოების ხელში რჩებოდა. მხოლოდ 1912 წელს მომზადდა კანონპროექტი, რომლითაც განზრახული იყო აჭარის გლეხებისათვის მიენიჭებინათ მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის უფლება გადასახადების 28 წლის განმავლობაში გადახდის პირობით. მაგრამ არც ეს კანონპროექტი განხორციელებულა.

საქართველოში გლეხებს სავალდებულო ნადელების ერთი ჰექტარი მიწა საშუალოდ დაუჯდა 387 მანეთი, მაშინ როცა ევროპული რუსეთის გლეხმა 41 მანეთი გადაიხადა. საქართველოს მემამულეებმა გლეხთა პირადი განთავისუფლებისათვის ხაზინიდან მიიღეს 25-დან 50 მანეთამდე „ერთ სულ გლეხზე", რამაც „შეადგინა თანხა 7.000.000 მანეთის რაოდენობით და გლეხთა საადგილმამულო ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ ბატონყმობის დროს არსებულ ნორმაზე მეტად გაადიდა" [1].

საქართველოში კვლავ არსებობდა „ხიზანთა" სახელწოდებით ცნობილი გლეხთა კატეგორია, რომლის მიმართაც ბატონყმობის ლიკვიდაციის კანონი სრულიად არ ყოფილა გამოყენებული.

ხიზნები ითვლებოდნენ მემამულეთა მიწების მოიჯარეებად და მათ დაკისრებული ჰქონდათ მემამულეთა სასარგებლოდ ფულადი და ნატურალური ბეგარა. მაგალითად, გორის მაზრაში, სადაც ოს ხიზანთა უმრავლესობა ცხოვრობდა, საბატონო ბეგარა წლის განმავლობაში 30 დღეს შეადგენდა. გარდა ამისა, ხიზნები მემამულეებს აძლევდნენ თავიანთი მინდვრებიდან, ბაღებიდან და ვენახებიდან მოსავლის 1/4-ს, ცალკე აძლევდნენ გადასახადს მემამულეს ტყით, სათიბებით და სხვ. სარგებლობისათვის, მაგრამ მემამულეები ამით არ კმაყოფილდებოდნენ და მოითხოვდნენ ხიზნებიდან საიჯარო გადასახადის მომატებას (მოსავლის 1/2-მდე), ანდა მათ აყრას დასახლებული ადგილებიდან, რასაც ჩვეულებრივად კიდეც აღწევდნენ ადმინისტრაციისა და სასამართლო ორგანოების დახმარებით. ამასთან, ხიზნები ჰკარგავდნენ თავისი

[1] Всеподданнейшая записка по управлению Кавказским адъютанта графа Воронцова-Дашкова. თბილისი, 1907, გვ. 38.

მრავალი წლის შრომის ნაყოფს: ბაღებს, ვენახებს, სამეურნეო შენობებს და ა. შ.

ხიზნების საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ მეფის მთავრობა იძულებული გახდა 1891 წელს გამოეცა საგანგებო კანონი, რომელიც ხიზნებს უფლებრივად ათანაბრებდა დროებით-ვალდებულ გლეხებთან. მაგრამ ამ კანონის მოქმედება ხანმოკლე იყო. ქართველი მემამულეების ზეგავლენით იგი გაუქმებულ იქნა 1900 წელს. XX საუკუნის დამდეგს საქართველოში ხიზანთა სულ მცირე 12.000 კომლი ირიცხებოდა. საგლეხო რეფორმა საქართველოში არ შეხებია აგრეთვე სახელმწიფო გლეხებს.

ოფიციალური ცნობებით 80-იან წლებში „მარტო კავკასიაში სახაზინო მიწებზე დასახლებულ სახელმწიფო გლეხთა შორის ამიერკავკასიის ოთხ გუბერნიაში ითვლებოდა 22.000 სული სრულიად უმიწაწყლო, 66.000 სულზე—ერთ დესეტინამდე ნადელით, 254.000—ერთიდან ორ დესეტინამდე ნადელით, 5.013 სული—ორიდან ოთხ დესეტინამდე ნადელით. სულ 1.000.000-მდე სული, რომელთა ნადელები კავკასიაში გადასახლებულთათვის ნადელის მიცემის მინიმალურ ნორმაზე ნაკლები იყო“ [1].

მხოლოდ 1900 წლის 1 მაისს გამოიცა კანონი, რომლითაც სახელმწიფო გლეხების სასოფლო საზოგადოებებს ნადელად მიეკუთვნათ მთელი ის მიწა, რაც მათ უდავო და ნამდვილ სარგებლობაში იყო. ეს კანონი დამტკიცებულ იქნა 1903 წლის 21 აპრილს. მაგრამ საგიწათმომწყობო სამუშაოები იმდენად ნელი იყო, რომ 1908 წლის 1 იანვრისათვის ამიერკავკასიაში არსებული 5000 სახაზინო სოფლიდან იგი შეეხო მხოლოდ 361 სოფელს 494.790 დესეტინა ფართობით. ეს კიდევ ცოტაა. ამ დროს განმავლობაში არც ერთ სოფელს არ მიუღია წერილობითი საბუთი იმის შესახებ, რომ მას დაუმკვიდრდა მიწის ნადელი. ამრიგად, სამიწათმომწყობო სამუშაოთა წარმოების ხუთი წლის პერიოდში არც ერთი სოფელი არ ყოფილა საბოლოოდ მოწყობილი 1903 წლის კანონის საფუძველზე.

ნადელებით სარგებლობისათვის დროებით-ვალდებული გლეხები მემამულეებს უხდიდნენ სანადელო მიწებიდან მიღებული მოსავლის 1/4-ს და არსებითად იმყოფებოდნენ ნახევრად-ბატონყმურ დამოკიდებულებაში თავიანთი ყოფილი მემამულეებისაგან.

ყველა კატეგორიის გლეხთა უმრავლესობა იძულებული იყო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. XVIII, გვ. 99.

ვ. კურნატოვსკი

იჯარით აიღო მიწა მემამულეებისა ან ხაზინისაგან. XX საუკუნის დამდეგს გლეხურ მეურნეობათა 60% მიწას იჯარით იღებდა.

უფრო ხშირად გლეხები იძულებული იყვნენ მემამულეებისათვის იჯარა გადაეხადათ ნატურით მოსავლის 1/4-დან 1/2-მდე. გარდა ამისა, მათ აუცილებლად უნდა მიერთმიათ მემამულეებისათვის საჩუქრები, გამასპინძლებოდნენ მათ, ემუშავნათ რამდენიმე დღე მემამულესთან. საქართველოს ბევრ რაიონში საიჯარო ქირა წინასწარვე განსაზღვრული იყო მარცვლეულის გარკვეული რაოდენობის სახით, მოსავლისაგან დამოუკიდებლად. მოუსავლიან წლებში გლეხები იძულებული იყვნენ ჩაებარებინათ მიწის მფლობელისათვის არა მარტო მთელი მოსავალი, არამედ შეესყიდათ კიდეც მარცვლეული იჯარის გადასახდელად. სახაზინო მიწებს იჯარით იძლეოდნენ ფულად გადასახადში. სტატისტიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ თბილისის გუბერნიაში გლეხების მიერ დამუშავებული მიწების შემოსავლის დაახლოებით 81% მიჰქონდათ მემამულეებს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში — 75%.

გადასახადებისა და სხვა ბეგარათა სიმძიმე მთლიანად გლეხურ მოსახლეობას აწვებოდა. კავკასიაში გლეხები იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადებს 5.570.000 მანეთის რაოდენობით. პრივილეგირებული წოდებანი, მეტწილად ქართველი თავადაზნაურები, რომელთა განკარგულებაში იყო 5.000.000 დესეტინა მიწა, არავითარ გადასახადს არ იხდიდნენ[1].

1900 წლის 12 ივნისის კანონით ნაცვლად საკომლო გადასახადისა 1901 წლის 1 იანვრიდან დაწესებულ იქნა საღალო და საადგილმამულო გადასახადი. პირველი სახის გადასახადი გავრცელდა იმ სახაზინო მიწებზე, რომლებითაც გლეხები სარგებლობდნენ, ხოლო ყველა დანარჩენ მიწაში ახდევინებდნენ საადგილმამულო გადასახადს. მაგრამ თავადაზნაურები ამჯერადაც განთავისუფლებულ იქნენ გადასახადებისგან. გადასახადებით დაბეგვრას ხშირად თვითნებური ხასიათი ჰქონდა.

1905 წლის აგვისტოში გენ. ზ. გ. ჭავჭავაძემ მოიარა თბილისის გუბერნიის მთელი რიგი მაზრები გლეხთა გამოსვლების მიზეზების გამოსარკვევად. სიღნაღის მაზრაში ანაგის საზოგადოების გლეხებმა მას შესჩივლეს, ჩვენ გადასახადებს ვიხდით 6.000 დესეტინა მიწაზე, ჩვენს განკარგულებაში კი სულ 3.400 დესეტინა

---

[1] Всеподданнейшая записка по управлению Кавказским краем генерал-адъютанта графа Воронцова-Дашкова, თბილისი, 1907, გვ. 86.

მიწა არისო. საქობაოს საზოგადოების გლეხები გადასახადებს იხდიდნენ 9084 დესეტინაზე, მაშინ როცა მათ განკარგულებაში იყო სულ 6466 დესეტინა და ა. შ.[1].

საადგილმამულო და საღალო გადასახადების გარდა გლეხები იხდიდნენ საერობო გამოსაღებს, ასრულებდნენ ყოველგვარ, როგორც მუდმივ, ისე დროებით საზოგადოებრივ ბეგარას, ისინი იხდიდნენ თანხას სამღვდელოების შესანახად, ეგრეთ წოდებულ „დრამის ფულს"—2 მანეთს კომლზე, რაც არ ათავისუფლებდა მათ ნათლობის, ქორწინების, დაკრძალვისა და სხვა წესების შესრულებისათვის საჭირო ხარჯებისაგან. გორის მაზრაში გლეხებს უნდა ეძლიათ მღვდლისათვის გარკვეული რაოდენობის ხორბალი და ღვინო, სამსხვერპლო პირუტყვის -ტყავი და უნდა გამასპინძლებოდნენ მათ სახლში მოსვლის დროს. გარდა ამისა, დაწესებული იყო ნიხრი: პანაშვიდისათვის—7 მანეთი, განსვენებულის გაცილებისათვის—3-დან 6 მანეთამდე, ქორწინებისათვის—12—15 მანეთი, გარდაცვალების წლის თავზე გამართული წირვისათვის—10—14 მანეთი და ა. შ.[2].

„ხშირად,—წერდა თიანეთის მაზრის უფროსი ლეონტიევი,—მე მიხდებოდა მხარეთა საჩივრების, გაუგებრობების განხილვა, უცნაური და საშინელი ფაქტების გამორკვევა: მღვდელმა, რომელსაც სურდა ქორწინებისათვის დათქმულ თანხაზე მეტის მიღება (მაგ., ერთ შემთხვევაში 10 მანეთი), დაიწყო ქორწინების წესის შესრულება, მაგრამ შეწყვიტა იგი და მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გამოსძალა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ნეფე-დედოფალს და შეშფოთებულ საზოგადოებას კიდევ 15 მანეთი, დაამთავრა ქორწინება. სოფელ სვიმონიანთხევის გლეხ ქალს ქმარი და ბავშვი გარდაეცვალა. მას ოჯახში აღარავინ დარჩა, დაკრძალვისათვის მღვდელს გადაუხადა 17 მანეთი, 2 თუნგი (10 ბოთლი) ღვინო, ორი ცხვარი და ორი კოდი პური, ე. ი. დაახლოებით 35 მანეთი, მაგრამ მღვდელი უკმაყოფილო დარჩა და მწუხარებით გულმოკლულ ქალს წაუყენა კიდევ ძიება 3 მანეთზე სასოფლო სასამართლოში"[3].

---

[1] საქართველოს სსრ არქ. ცენ. სახელ. ინსტ., ფ. 570|529, კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარია, გლეხთა მაგიდის განყოფილება. გენ. ხ. ჭავჭავაძის მოხსენება თბილისის გუბერნიის მაზრებში მისი მგზავრობის გამო.

[2] ჟურნ. „მოგზაური", 1905, № 11.

[3] საქართველოს სსრ აცსი, ფ. 570/529, გენ. ხ. ჭავჭავაძის მოხსენება თბილისის გუბერნიის მაზრებში მისი მგზავრობის გამო.

გლეხები იხდიდნენ ფულს სასოფლო სამმართველოებისა და სოფლის სკოლების შესანახად. ისინი ეწეოდნენ ხარჯებს ხიდებისა და გზების შეკეთებისათვის, სკოლებისა და ეკლესიების აშენებისათვის, სამხედრო ნაწილების ტვირთის გადაზიდვისათვის, სახაზინო და საზოგადოებრივი დაწესებულებების დაცვისათვის.

1895 წელს სენაკის მაზრაში მარტო საგზაო ბეგარა გლეხთა თითოეულ კომლზე ფულად 40 მანეთს უდრიდა [1].

1902 წელს ოზურგეთის მაზრის მოსახლეობა, რომელიც გლეხთა 9.934 კომლისაგან შედგებოდა, იხდიდა სხვადასხვა სახის ბეგარას, ფულად თუ ვიანგარიშებთ—61.491 მანეთის რაოდენობით.

იმავე წელს გლეხებს უნდა გაეყვანათ სამუშაოდ 10.645 ურემი, 1.949 ცხენი, 68.644 კაცი უცხენოდ და 258 ცხენოსანი. ფულადი გამოხატულებით ეს ნატურალური ბეგარები დაახლოებით 47.303 მანეთს უდრიდა.

იმის გამო, რომ გლეხები მეტისმეტად გადატვირთული იყვნენ უაღრესად მძიმე და აუტანელი გადასახადებითა და ყოველგვარი ბეგარით, ოზურგეთის მაზრაში 1901—1903 წლებში დაგროვდა ნარჩენები („ნედოიმკები") 272.065 მანეთისა და 67 კაპიკის რაოდენობით [2].

1901 წლის ნოემბერში თბილისის მაზრის სართიჭალის უბნის სასოფლო საზოგადოებებმა კავკასიის მეფისნაცვალ გენ. გოლიცინს წარუდგინეს განცხადება, რომელშიც სჩიოდნენ:

„...სართიჭალის უბანი წარმოადგენს ყოველგვარი ჯარების მოძრაობის ადგილს, სადაც ეწყობა შესაკრები, საბანაკო პუნქტი... ამის გამო ჩვენს უბანს ყოველწლიურად მაისიდან დეკემბრამდე გამოჰყავს გამვლელი სამხედრო ნაწილებისათვის სულ მცირე 2000 ურემი. ამ ბეგარას ჩვენ ვასრულებთ წლის ყველაზე გახურებულ სამუშაოთა დროს და იგი მრავალი დღით აცდენს გლეხს და მის პირუტყვს მინდვრად მუშაობისაგან". შემდეგ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ვინაიდან გლეხებს არა ჰყავთ საკმაო რაოდენობით მუშა-პირუტყვი და ურმები, ისინი იძულებული არიან იქირაონ ასეთი სხვაგან და გადაიხადონ ამაში ორმაგი და სამმაგი ფასი, რომ ყოველწლიურად ამ უბნის გლეხები საურმე ბეგარის შესრულებისათვის იხდიან 20 ათას მანეთს, იმ დროის ჩაუთვლელად, რასაც გლეხები ურმების გაძღოლას ანდომებენ [3].

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, ს. 66, გვ. 4—16.

[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, 66, გლეხთა მაგიდის განყოფილება. კანცელარიის დირექტორის მოადგილის ნ. მაქსიმოვის მოხსენება.

[3] საქართველოს სსრ აცსი, 1, ს. 9, აღწერისა 251|107, ს. 8.

გლეხურ მეურნეობათა ბიუჯეტს ამძიმებდა არაპირდაპირი გადასახადებიც პირველი მოთხოვნილების საგნებზე: მარილზე, ნავთსა და ასანთზე.

სპეციალისტების გამოანგარიშებით, საქართველოში ღარიბი გლეხობის მეურნეობანი საერთოდ ხაზინას, მემამულეს, სოფლის ბურჟუაზიასა და სამღვდელოებას უხდიდნენ საშუალოდ თავისი მცირე შემოსავლის 80 პროცენტამდე[1].

გლეხთა მეურნეობისათვის უცხო იყო აგრონომიული დახმარება, მიწის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება. საქართველოს რაიონების უმრავლესობა სამმინდვრიანობასაც კი არ მისდევდა. ქუთაისის გუბერნიაში მემინდვრეობის დარგში შემოღებული იყო მიწის დასვენების სისტემა. რამდენიმე წლის განმავლობაში მინდორზე თესდნენ სიმინდს, შემდეგ გარკვეული დროის მანძილზე მას ასვენებდნენ. მიწას არასოდეს არ ანოყიერებდნენ. გლეხები კვლავაც მამაპაპურ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს იყენებდნენ. სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებდა ის გარემოება, რომ გლეხებს არ ჰყავდათ საკმაო რაოდენობით მუშა-პირუტყვი. ასე მაგ., 1900 წლის ცნობებით, ოზურგეთის მაზრაში ირიცხებოდა დაახლოებით 77 ათასი სული შინაური პირუტყვი, აქედან ცხენი იყო 3.500, ხოლო კამეჩი 100 სული. 1901 წელს პირუტყვის სულადობა აღწევდა მხოლოდ 58 ათას სულს მემამულეების კუთვნილი პირუტყვის ჩათვლით. გლეხთა მეურნეობის მოსავლიანობა ყოველ ათ წელში კლებულობდა. მაგ., ქუთაისის გუბერნიაში საშუალოდ სიმინდის მოსავალი თითოეულ დესეტინაზე უდრიდა 27—30 ცენტნერს, მაგრამ 30 წლის შემდეგ, XX საუკუნის დამდეგს, საშუალო მოსავალი იმავე ფართობზე შეადგენდა უკვე 7—10 ცენტნერს.

„უმეტესი ნაწილი ჩვენის საზოგადოების მცხოვრებთა ღარიბია,—წერდა გაზეთ „ივერიაში“ კორესპონდენტი ქუთაისის მაზრიდან,—პურს იშვიათად სთესენ. ყველა სიმინდს ეტანება, მაგრამ კარგ ამინდშიაც წლის სარჩო თითქმის ვერავის მოჰყავს. ამ საზოგადოების ავლა-დიდება ღვინო იყო და ამან ბოლო ხანებში ძალიან იკლო“[2].

უკანასკნელი გარემოება აიხსნება იმით, რომ საკმაოდ არ უვლიდნენ ვაზს, ვრცელდებოდა ფილოქსერა და არ მოიპოვე-

---

[1] Материалы по распространению крестьянского банка на Закавказский Край, გვ. 238.

[2] გაზ. „ივერია“, 1893, № 297.

ბოდა წამალი მის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოუვლელობის გამო ცუდად ვითარდებოდა მებაღეობა. თუფის ხის ფოთლების ნაკლებობისა და იმის გამო, რომ მოსახლეობას არ ჰქონდა ტექნიკური ცოდნა, ფერხდებოდა მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება.

მოსახლეობის ზრდასა და მიწის მოთხოვნილების გადიდებასთან ერთად მისი საბაზრო ღირებულება ძლიერ იზრდებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ, მაგ., ოზურგეთის მაზრაში ერთი ქცევა მიწა (0,4 ჰექტარი) მე-20 საუკუნის დამდეგს ღირდა 500 მანეთიდან 800 მანეთამდე.

გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო საშოვარზე წასულიყო. ისინი მუშაობდნენ შავი ზღვისპირა რკინიგზის აშენებლობაზე, მემამულეთა, სამონასტრო და საუფლისწულო მამულებში, მოჯამაგირედ უდგებოდნენ კულაკებს. ღარიბი გლეხობის პროლეტარიზაცია ხელს უწყობდა მუშახელის ბაზრის ზრდას. ჩამოსული გლეხები ბევრი იყო ქალაქებში—ბათუმში, ფოთში, თბილისში, ბაქოში, ნოვოროსისკსა და ოდესაში.

მაგ., რაჭის მაზრიდან 1897 წელს „საშოვარზე“ წასული იყო მამაკაცთა მოსახლეობის 29 პროცენტი. შორაპნის მაზრაში გლეხურ კომლთა 90 პროცენტი იძულებული იყო შეეტანა თავისი ბიუჯეტი „საშოვრებით“. 1904 წ. ოზურგეთის მაზრის 4 სასოფლო საზოგადოებიდან, სადაც 2.073 გლეხური კომლი ირიცხებოდა, „საშოვარზე“ წავიდა 1.188 კაცი[1].

ზემოთ მოხსენებული გენ. ზ. ჭავჭავაძე, რომელიც მიელინებული იყო თბილისის გუბერნიის მაზრებში გლეხების მდგომარეობის გამოსარკვევად, იძულებული იყო თავის მოხსენებაში აღენიშნა, რომ თიანეთის მაზრაში გლეხები გაჭირვებას განიცდიდნენ და შიმშილობდნენ უკვე 15 წლის განმავლობაში. „პირადად, ვიცნობ,—წერდა ზ. ჭავჭავაძე,—ბევრი გლეხის ოჯახს, რომელთა წევრები ზამთრის განმავლობაში პურს ჭამენ დღეგამოშვებით, ხოლო ზოგჯერ ყოველი ორი დღის შემდეგ, რადგან საკუთარი პური არა აქვთ. გლეხები ძლივს ირჩენენ თავს შემთხვევითი სამუშაოებით“[2].

---

[1] საქართველოს სსრ აცსი, ფ. 1, ს. 66, გვ. 4—16.

[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 570/519. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია, გლეხთა მაგიდის განყოფილება. გენ. ჭავჭავაძის მოხსენება თბილისის გუბერნიის მაზრებში მისი მგზავრობის გამო.

იმავე მოხსენებაში გენ. ზ. ჭავჭავაძეს მოჰყავს ფაქტები, რომლებიც ნათელყოფენ მთიელ გლეხთა ცხოვრების განსაკუთრებით მძიმე პირობებს. მაგალითად, ხევსურები ნახევრად მშივრები იყვნენ და იკვებებოდნენ ისეთი პურით, რომელიც სრულიად უვარგისი იყო საჭმელად. მათი არსებობის პირობები იმდენად მძიმე იყო, რომ ხევსურთა ოჯახებში ჩვეულებად იქცა ორზე მეტი ბავშვი არ ჰყოლებოდათ. ხევსურთა რიცხვი ნელა, მაგრამ განუხრელად კლებულობდა.

ჟურნალ „მოგზაურის" კორესპონდენტი, აღწერს რა გორის მაზრის გლეხთა ცხოვრებას, აღნიშნავს, რომ მათი საცხოვრებელი შენობა ნახევრად სარდაფს, ნახევრად მიწაში ჩაფლულ, ნახევრად დანგრეულ, ულაზათო და ჭუჭყიან ფარდულს წარმოადგენდა. ამ ლატაკურ სარდაფში ერთად ცხოვრობდა გლეხის პირუტყვი და ოჯახი; მათ ერთად ეძინათ და ერთად მუშაობდნენ მინდვრად. ოჯახის წევრებს საერთო ქვეშაგები ჰქონდათ, საბანი ზოგს ჰქონდა, ზოგი კი ჯარისკაცის ფარაჯას იხურავდა, დღით რომ ტანზე ეცვა. უსაზღვრო სიღატაკე, საცხოვრებელი შენობის სივიწროვე და ცხოვრების მძიმე პირობები—აი როგორი იყო გორის მაზრის გლეხის ყოფაცხოვრება. აქ ცხოვრობდნენ დროებით-ვალდებული, სახაზინო, საეკლესიო-სამონასტრო, საუფლისწულო გლეხები და ხიზნები. უფრო ხშირად გლეხები სხვის მიწაზე ცხოვრობდნენ და მიწათმფლობელებს მიწის სარგებლობისათვის აძლევდნენ თავიანთი მოსავლის უმეტეს ნაწილს ნატურით ან ფულით. მათ არ შეეძლოთ სახაზინო ან მემამულეთა ტყიდან შეშის ან საშენი მასალის გამოტანა, თუ წინასწარ გადასახადს არ მისცემდნენ. მათ არ შეეძლოთ ქვის, ლორღის, ქვიშის წაღება, თევზის ჭერა, თუ „წყლის" გადასახადს არ გადაიხდიდნენ. გარკვეული დროის განმავლობაში მათ საბატონო ბეგარა უნდა შეესრულებინათ მემამულეთა სასარგებლოდ, ისინი იხდიდნენ ფულს მამასახლისისა და მღვდლის შესანახად.

ასეთ უსაზღვრო გაჭირვებაში მყოფ გლეხს,—წერს დასასრულ ჟურნალ „მოგზაურის" კორესპონდენტი,—არ შეუძლია დამშვიდებული იყოს, შეეგუოს ცხოვრების ამ არაადამიანურ პირობებს და სწორედ ეს იყო ქართლის გლეხების მღელვარების მიზეზი[1].

---

[1] მხედველობაშია გლეხთა რევოლუციური ბრძოლა გორის მაზრაში 1905 წლის წინახანებში. ჟურნალი „მოგზაური", 1905, № 11.

მაგრამ საქართველოს ყველა გლეხი ერთნაირ მდგომარეობაში როდი იმყოფებოდა. კაპიტალიზმის შემოჭრასთან დაკავშირებით საქართველოს სოფელში გაძლიერდა დიფერენციაციის პროცესი, სულ უფრო ძლიერდებოდა წინააღმდეგობა, ერთი მხრით, გლეხებსა და მემამულეებს შორის, რომლებსაც ხელთ ჰქონდათ მიწის საუკეთესო ნაწილი, და, მეორე მხრით, გლეხების ძირითად მასასა და კულაკობას შორის.

გლეხ-კულაკთა პატარა ჯგუფის სიმდიდრის ზრდა და გლეხთა უმრავლესობის ღატაკური, ნახევრად მშიერი არსებობა—ასეთი იყო ქართული სოფლის ტიპიური სურათი. რეფორმის შემდეგ გლეხობა იყოფოდა ფენებად, დიფერენციაციის შედეგად ერთ პოლუსზე გამოიყოფოდა სოფლის ბურჟუაზია, მეორეზე კი ღარიბი გლეხობა, რომელიც კარგავდა წარმოების საშუალებებს და ძირითადად წარმოადგენდა კაპიტალისტური საზოგადოების ახალი კლასის—ნაციონალური პროლეტარიატის შექმნის წყაროს.

გლეხობის ფენებად დაყოფის მკაფიო სურათია მოცემული გაზეთ „ივერიის“ მე-13 ნომერში (1878 წ.). მაგალითისათვის აღებულია კახეთის სოფელი, სადაც ერთმანეთს მძაფრად უპირისპირდებიან სოფლის შეძლებული ფენები თავიანთი მდიდრად მორთული სახლკარითა და ბაღ-ვენახებით და ღარიბ-ღატაკი გლეხობა, რომელსაც სარჩო-საბადებელიც კი არ გააჩნდა.

მემამულეთა მეურნეობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ნელ-ნელა ეგუებოდა კაპიტალისტური განვითარების პირობებს. მემამულეებისათვის უფრო ხელსაყრელი იყო მიწის იჯარით გაცემა, ვიდრე საკუთარი მეურნეობის წარმოება, ინვენტარის, მანქანების შეძენა და მუშების დაქირავება.

მაგალითად, XIX საუკუნის დამლევს მთელ გორის მაზრაში სულ 4-5 მემამულე თუ მოინახებოდა ისეთი, რომელიც თავის მეურნეობას კაპიტალისტურ საწყისებზე წარმართავდა. ბევრი მემამულე, იმის გამო, რომ ვერ ეგუებოდა მეურნეობის ახალ პირობებს, ყიდდა თავის მიწას. მიწებს ყიდდა ხაზინაც. ამ მიწებს ყიდულობდნენ უმთავრესად კულაკები და სომეხი ბურჟუაზია.

თბილისის მაზრის სართიჭალის უბნის გლეხები კავკასიის მეფისნაცვალ გოლიცინს 1901 წელს სწერდნენ, რომ მათ რაიონში კულაკები ხაზინიდან იღებენ მიწის დიდ ფართობებს, შემდეგ მათ პატარ-პატარა ნაკვეთებად ანაწილებენ და ამ სახით გადასცემენ

სარგებლობისათვის გლეხებს სამმაგ და მეტ-ფასად, რითაც ღარიბი გლეხის შრომის ხარჯზე უდიდეს მოგებას ღებულობენო[1].

საქართველოს სხვა ნაწილებისაგან განსხვავებით სიღნაღის მაზრაში (ქიზიყში), სადაც სახახნო გლეხები ცხოვრობდნენ, თემური მიწათსარგებლობა არსებობდა. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების ზეგავლენით იწყება თემური მიწათმფლობელობის რღვევისა და სოფლის ბურჟუაზიის გაძლიერების პროცესი. საქართველოს ამ ნაწილის მდგომარეობის დახასიათებისას ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებული იყვნენ აღენიშნათ:

„... ქიზიყის მიწათმფლობელობის საერთო კოლორიტი შეიძლება დახასიათებულ იქნეს სიტყვებით: „სრული ქაოსური მდგომარეობა“.

ერთი საზოგადოება არ არის გამიჯნული მეორისაგან, ყოველი საზოგადოების შიგნით გამეფებულია სრული თვითნებობა მიწათსარგებლობის წესის მხრივ. ყველგან გაბატონებულია ძლიერის უფლება. დასასრულ, ქიზიყი გახრწნილია მიწათმფლობელობის იმ წესის გამო, რომელსაც „თემი“ ეწოდება... მიწა ეკუთვნის საზოგადოებას—ეს გამოფქვა წმინდა ფიქციაა. ნამდვილად მიწა ეკუთვნის შეძლებულ ბებატონეებს სოფლად... აქ თქვენ ხედავთ დიდძალი ქონების პატრონ გლეხებს, რომლებიც იხდიან გადასახადს 500—600 მანეთამდე წელიწადში და მათ გვერდით გლეხმოჯამაგირეებისა და პროლეტარების 90%-ს[2].

სოფლის ფენებად დაყოფის პროცესი ხასიათდება უწინარეს ყოვლისა მიწათმფლობელობით. სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე გამოირკვა, რომ XX საუკუნის დამდეგისათვის გორის მაზრის 26 სოფლის გლეხებიდან გლეხთა ყველა კატეგორიის მიხედვით მიწას ჰფლობდა:

1 ჰექტარამდე — 40,42%
1-2 ჰექტარამდე — 21,37%
2-3 ჰექტარამდე — 14,85%
3-5 ჰექტარამდე — 8,83%[3]

---

[1] საქ. სსრ აცსი, ს. № 8, აღწერის 251/107. თბილისის მაზრის სართიჭალის უბნის სასოფლო საზოგადოებათა მოწყობის შესახებ.

[2] საქ. სსრ აცსი, კავკასიის ბეფინაცვლის კანცელარიის საქმე, გლეხთა საგიდის განყოფილება. № 570/529.

[3] ჟურნალი „Кавказское сельское хозяйство“, 1903, გვ. 955—956.

ლადო კეცხოველი

თუ იმ პირებს, ვინც 2 ჰექტარამდე მიწას ფლობს, ჩავთვლით ღარიბებად, ორიდან ხუთამდე—საშუალო გლეხებად, ხოლო ხუთ ჰექტარზე მეტს—კულაკებად, მივიღებთ შემდეგ სურათს:

ღარიბები	—64,79%
საშუალო გლეხები .	—26,38%
კულაკები	—8,83%

გლეხთა დიფერენციაციის ასეთივე სურათი იყო საქართველოს სხვა რაიონებშიც.

„ქუთაისის გუბერნიაში,—წერდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, — 29.977 კომლზე ითვლებოდა უმიწაწყლო და კომლზე ერთ დესეტინამდე ნადელის მქონე 2541 კომლი, ერთიდან ორ დესეტინამდე—4227, ორიდან სამამდე—4016, სამიდან ხუთამდე—5321 კომლი. უახლესი ცნობებით, წერდა შემდეგ ლ ე ნ ი ნ ი, ქუთაისის გუბერნიაში 33 პროცენტამდე მიწით არაუზრუნველყოფილი კომლი ითვლებოდა“ [1].

გლეხობის ფენებად დაყოფის ნათელ სურათს იძლევა აგრეთვე მუშა და პროდუქციული პირუტყვების განაწილება.

ასე მაგალითად, თელავის მაზრაში სოფლის ბურჟუაზია ფლობდა პირუტყვის 44%-ს, მაშინ როცა გლეხურ მეურნეობათა 54%-ს სულ არა ჰყავდა მუშა პირუტყვი, ხოლო მეურნეობათა 14%-ს მხოლოდ თითო სული გააჩნდა [2].

სოფლის ბურჟუაზია სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა ღარიბ გლეხობას. ამ ექსპლოატაციის ზემოთ მითითებული ფორმის გარდა, ღარიბთა მეურნეობის უმრავლესობა ყოველგვარი ჯურის შემსყიდველების, მედუქნეებისა და სოფლის მევახშეების ვალში იყო. ზრდის ნორმალურ პროცენტად ითვლებოდა 200—300%. ზოგჯერ საქმე ფაქტიურ მონობამდე მიდიოდა. მაგალითად, შვილი მამის ვალში კულაკის მოჯამაგირედ უნდა ყოფილიყო რამდენიმე წელიწადი [3].

გლეხურ მეურნეობაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენდა აგრეთვე ბატონყმობის უფლებრივი ნაშთები. უფლებრივად გლეხები მთლიანად ადმინისტრაციის თვითნებობისაგან დამოკიდებული გახდნენ.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 99.

[2] „Кавказское сельское хозяйство“, 1903, გვ. 955—956.

[3] იქვე, გვ. 955—956.

1865 წლის 14 ოქტომბრის კანონით საქართველოში შემოღებულ იქნა ეგრეთ წოდებული სასოფლო მმართველობა, რომელსაც უნდა შეესრულებინა როგორც ადმინისტრაციული, ისე სამეურნეო ერთეულის მოვალეობანი. არსებითად სოფლად მთელი ძალაუფლება მამასახლისისა და მწერლის ხელში იყო. ისინი არ ემორჩილებოდნენ სოფლის ყრილობებს და, როგორც წესი, მათ სამაზრო ადმინისტრაცია ნიშნავდა. გლეხთა დამოუკიდებელი თვითმმართველობის ნაცვლად შეიქმნა ფისკალურ-პოლიციური კანცელარია, რომელიც თავისი ნება-სურვილის მიხედვით განაგებდა გლეხობის ყველა სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმეს.

სასოფლო სამმართველოში გაბატონებული იყო უკანონობა, თვითნებობა, მექრთამეობა, არევ-დარევა. ღარიბი გლეხობის შეუბრალებლად მყვლეფავი სოფლის ადმინისტრაციის ტიპი რეალისტური სიმართლით ასახულია მოთხრობაში „მოსე მწერალი“, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლის ე. ნინოშვილის კალამს ეკუთვნის, უკანასკნელი კი მშვენივრად იცნობდა ქუთაისის გუბერნიის რეფორმის შემდგომდროინდელ სოფელს. მთლიანად სამაზრო ადმინისტრაციის ხელში აღმოჩნდნენ სოფლის სასამართლოებიც, რომლებიც ისედაც არ შეესაბამებოდნენ ცხოვრების მოთხოვნილებებს და თავიანთ გადაწყვეტილებათა გამოტანისას თვითნებურად და მიკერძოებით მოქმედებდნენ. მოსახლეობის ნდობას მოკლებული იყვნენ მომრიგებელი მოსამართლეებიც, რომლებიც სულ ერთიანად დანიშნულ რუს მოხელეთაგან შედგებოდნენ. მომრიგებელი მოსამართლეები არ იცნობდნენ ადგილობრივ პირობებს, არ იცოდნენ ქართული ენა და არაკეთილსინდისიერ თარჯიმანთა გავლენის ქვეშ ხვდებოდნენ.

მეფის მთავრობა განზრახ წარმართავდა საქმეს ისე, რომ მშრომელთა მასები უმეცრებასა და სიბნელეში ყოფილიყვნენ. მშრომელი მოსახლეობისათვის მიუწვდომელი იყო საშუალო განათლება. ასე მაგალითად, თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში 1898 წელს 2196 მოსწავლიდან მხოლოდ 40 (1,4%) იყო გლეხი, ხოლო ქალთა საშუალო სასწავლებელში 3671 ქალიშვილიდან გლეხი იყო 70 (2%-ზე ნაკლები).

მართალია, გლეხის შვილებს იღებდნენ დაწყებითს, ეგრეთ წოდებულ სამონასტრო და საეკლესიო-სამრევლო სკოლებში, მაგრამ ოფიციალური ცნობები ნათელყოფენ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ეს სკოლები.

მაზრაში, — წერს თიანეთის მაზრის უფროსი ლეონტიევი,

— არ არის არც ერთი ცოტად თუ ბევრად ინტელიგენტი მასწავლებელი, სკოლები გაჭუჭყიანებული და გატიალებულია... სკოლების მდგომარეობა სულ მცირე მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს. არის სოფლები, სადაც სკოლა ათეული წლებია რაც არსებობს, სადაც საზოგადოება 300—600 მანეთს ხარჯავს წელიწადში სკოლის შესანახად, მაგრამ არ მოიპოება არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი, რომელსაც შეეძლოს წერილის დაწერა გლეხისათვის"[1].

ასეთივე მდგომარეობაში იყო სოფლის სკოლები საქართველოს სხვა რაიონებშიც. მწერალი ე. ნინოშვილი, რომელიც ერთ დროს მასწავლებლად მუშაობდა ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩოჩხათში, ილია ჭავჭავაძეს სწერდა, რომ ამ სოფლის სკოლა ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მასში ქარი თავისუფლად ნავარდობს, იგი სრულიად მოუწყობელია. კვამლსადენი ჩამოიგრა, ოთახში კვამლის ბური დგას, რაც მოსწავლეებს (კიდევ უფრო მეტად მასწავლებელს) თვალებს სწვავსო. სამასწავლებლო ოთახი არ არის. მასწავლებელი მოკლებულია საშუალებას შეიძინოს რაიმე სახელმძღვანელო, რათა გააუმჯობესოს სწავლების ხარისხიო. სკოლას, როგორც ე. ნინოშვილი აღნიშნავს, არ ჰქონია ხის სასკოლო დაფა, სკამი, მაგიდა მასწავლებელისათვის, საანგარიშო, შკაფი, მოსწავლეთა მერხები კი უვარგისი, შეუღებავი და საზიზღარი ყოფილა.

მსმენელთა რიცხვი ამ სკოლაში მატულობდა გაზაფხულზე და კლებულობდა ზამთრობით, რადგან მოსწავლეებს ცუდად ეცვათ და ამის გამო ზამთარში არ შეეძლოთ სკოლაში სიარული[2].

ცარიზმი სკოლებს რუსიფიკატორული პოლიტიკის იარაღად სთვლიდა და ამის გამო ყოველნაირად კვეცავდა იქ მშობლიური ენის სწავლებას. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ბნელეთის მოციქულ იანოვსკის ცირკულარით 1881 წლიდან მშობლიური ენის სწავლება ქართულ სკოლებში ნებადართული იყო მხოლოდ პირველი სასწავლო წლის პირველ ნახევარში, შემდეგ კი მოსწავლეებს ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლათ.

მალე ამის შემდეგ გამოიცა ახალი ცირკულარი, რომელიც წინადადებას იძლეოდა სკოლებში გამოეყენებინათ სწავლების

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 570/529 კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარია, თიანეთის მაზრის უფროსის კაპ. ლეონტიევის მოხსენება 1905 წ.

[2] ეს ადგილი მოყვანილია ე. ნინოშვილის თხზულებათა რუსული გამოცემის მიხედვით, თხზ., 1950 ტ. 2, გვ. 155.

„მუნჯური“ მეთოდი, რომლის დროსაც მოსწავლეებს უფლება არ ჰქონდათ ესარგებლათ ქართული ენით. რუსული სიტყვების ახსნისას მასწავლებელს უნდა გამოეყენებინა სურათები, ხმათმიმბაძველობა და ა. შ.

მეფის მთავრობა განაგრძობდა ამიერკავკასიასა და საქართველოში კოლონისტების დასახლებას.

„გადასახადების ფონდი,—წერდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი,—იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილ-მამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის“ კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის“ [1].

1901 წელს შესრულდა რუსეთის იმპერიასთან საქართველოს შეერთების ასი წლისთავი. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოეწყო ოფიციალური დღესასწაულები. ქართველი თავადაზნაურობა და ბურჟუაზიული ინტელიგენცია ყოველნაირად გამოხატავდა თავის ერთგულ ქვეშევრდომულ გრძნობებს ცარიზმისადმი. ქართველმა თავადაზნაურობამ მეფის მთავრობისაგან მიიღო მთელი რიგი წყალობანი: მათ აპატიეს ნარჩენების გადახდა, გაათავისუფლეს გადასახადებისაგან 1907 წლამდე, დაუწესეს ყოველწლიური სუბსიდია 40 ათას მანეთამდე, სტიპენდიები კადეტთა კორპუსებში თავადაზნაურთა შვილებისათვის და ა. შ. იუბილესთან დაკავშირებით მეფის მთავრობას არ განუხორციელებია არც ერთი ღონისძიება მშრომელთა მძიმე მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობის შესამსუბუქებლად. უარყოფილ იქნა აგრეთვე თბილისის ბურჟუაზიული ქალაქის საბჭოს შუამდგომლობაც თბილისში პოლიტექნიკუმის გახსნის შესახებ.

თბილისის ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ გამოუშვა პროკლამაცია „ქართველ მუშებს“. პროკლამაცია ამხილებდა ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიურ პოლიტიკას და მოუწოდებდა საქართველოს ყველა მშრომელს გაეჩაღებინათ რუსი ხალხის მეთაურობით შეურიგებელი ბრძოლა ცარიზმისა და კაპიტალიზმისაგან განთავისუფლებისათვის.

XX საუკუნის დამდეგს საქართველოში, ისე როგორც მთელ რუსეთში, ეკონომიური განვითარების მთელი მსვლელობა ცხადყოფდა, რომ საწარმოო ძალთა შემდგომი ზრდა შეუძლებელი იყო ისე, თუ არ მოისპობოდა ეკონომიკაში არსებული ძირითადი წინააღმდეგობა.

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 101.

„... XIX საუკუნის დასასრულს,— წერდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი— რუსეთში ვხედავთ მთელი საზოგადოებრივი განვითარების საუკეთესოებისა და ბატონყმობის უაღრესად მწვავე წინააღმდეგობას. ეს ბატონყმობა მემამულური, თავადაზნაურული ლატიფუნდიების სახით, მეურნეობის შრომამიგების სისტემის სახით წარმოადგენს სამეურნეო ევოლუციის მუხრუჭს, ჩაგვრის, ბარბაროსობის, თათრული წესების უსასრულო ფორმების სათავეს რუსეთის ცხოვრებაში“ [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, გვ. 96.

2

მუშათა მოძრაობა და ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმოშობა

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა გადაინაცვლა რუსეთში, სადაც ამ დროს მზადდებოდა უდიდესი სახალხო რევოლუცია, მიმართული ცარიზმის ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთებისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ, იმპერიალისტურ ფაზაში, მან იწყო პარაზიტულ, ლპობად და მომაკვდავ კაპიტალიზმად გადაქცევა.

რუსეთი ამ დროს წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობის საკვანძო პუნქტსა და ყველაზე სუსტ რგოლს მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემაში. რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქაში აუცილებლად უნდა გადაზრდილიყო სოციალისტურ რევოლუციაში.

რუსეთი გახდა ლენინიზმის — რუსეთისა და მსოფლიო კულტურის უდიდესი მიღწევის, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმის— სამშობლოდ.

უდიდესი სახალხო რევოლუციის, მუშათა მოძრაობის, გლეხთა რევოლუციური ბრძოლის აღმავლობის ამ ახალ ისტორიულ ვითარებაში მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ რუსეთში შექმნილიყო მუშათა კლასის მებრძოლი, რევოლუციური მარქსისტული პარტია, რომელსაც ექნებოდა უნარი სათავეში ჩასდგომოდა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ბრძოლას,

გაეწია ხელმძღვანელობა ამ ბრძოლისათვის და მიეყვანა იგი გამარ-ჯვებამდე.

პირველი მარქსისტული ჯგუფი—„შრომის განთავისუფლება“ პლეხანოვის მეთაურობით შექმნილ იქნა ჯერ კიდევ 1883 წელს. მაგრამ ამ ჯგუფმა, როგორც ლ ე ნ ი ნ ი მიუთითებდა, „მხოლოდ თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და გადასდგა პირველი ნაბიჯი მუშათა მოძრაობისაკენ“[1].

ლ ე ნ ი ნ ის პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ (1895 წ.) გადაიქცა რუსეთში რევოლუციური პროლეტარული პარტიის ჩანასახად. 1898 წლის მარტში გაიმართა რსდმპ პირველი ყრილობა. მან მხოლოდ გამოაცხადა რუსეთში მუშათა პარტიის შექმნა, მაგრამ არ მოუცია არც პარტიის პროგრამა და არც მისი წესდება.

II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან პრინციპულად განსხვავებული, ახალი ტიპის პარტიის — კომუნისტური პარტიის შემქმნელი და ბელადი არის ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების მ ა რ ქ ს ი ს ა და ე ნ გ ე ლ ს ი ს საქმისა და მოძღვრების დიდი განმგრძობი, რევოლუციის გენია, რევოლუციური მეცნიერების კორიფე ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი მრავალი წლის მანძილზე, XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, დაუნდობლად ებრძოდა მარქსიზმის აშკარა და ფარულ მტრებს, ოპორტუნიზმის ყოველგვარ გამოვლინებას მუშათა მოძრაობაში. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მ ა პირველად მარქსიზმის ისტორიაში დაამუშავა მოძღვრება, პარტიის როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელი ორგანიზაციის, როგორც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მისი ძირითადი იარაღის შესახებ.

მარქსისტული პარტიისათვის ბრძოლაში, „ეკონომისტთა“ განადგურებაში, დაქსაქსული სოციალ-დემოკრატიული წრეების გაერთიანებაში, რსდმპ მეორე ყრილობის მომზადებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ლ ე ნ ი ნ ის მიერ შექმნილმა საერთო-რუსულმა მარქსისტულმა გაზეთმა „ისკრამ“. ლ ე ნ ი ნ ის გეგმით გაზეთი პარტიული ძალების გაერთიანების, პარტიული კადრების შეკრებისა და აღზრდის ნათელი, მარქსისტული პროგრამის, რევოლუციური ტაქტიკის, ერთიანი ნებისა და რკინისებური დისციპლინის მქონე სრულიად რუსეთის მებრძოლ ცენტრალიზებულ პროლეტარულ პარტიად მათი დარაზმვის ცენტრი გახდა. პარტიის შექმნის ეს

[1] საკ. კომ. პარტიის (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 21.

ლ ე ნ ი ნ უ რ ი გეგმა ემყარებოდა რევოლუციური ბრძოლის საარსებო ამოცანებს და ოსტატურად განაზოგადებდა მარქსისტების ორგანიზაციულ გამოცდილებას. ამ გეგმის გამარჯვებამ საფუძველი ჩაუყარა დარაზმულ, მებრძოლ, გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ნიმუში გახდა საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობისათვის"[1].

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) მეორე ყრილობაზე, რომელიც 1903 წლის 30 ივლისს გაიხსნა, გაიმარჯვა რუსეთში პროლეტარული პარტიის შექმნის გენიალურმა გეგმამ. „ბოლშევიზმი,—წერდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი,—როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს"[2].

XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში დაიწყო სამრეწველო კრიზისი, რომელიც გავრცელდა აგრეთვე რუსეთზე. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ მ ა ჯერ კიდევ 1897 წელს იწინასწარმეტყველა კრიზისის აუცილებლობა.

„ამჟამად,—წერდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი,—როგორც სჩანს, კაპიტალისტური ციკლის იმ პერიოდს განვიცდით, როდესაც მრეწველობა „ჰყვავის". გაცხოველებული ვაჭრობა სწარმოებს, ფაბრიკები მთელი დატვირთვით მუშაობენ და, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე ჩნდებიან ახალ-ახალი უამრავი ქარხნები, ახალი საწარმოები, სააქციო საზოგადოებანი, სარკინიგზო ნაგებობანი და სხვ. და სხვ. საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ წინასწარ განჭვრიტო ის აუცილებელი კრახი (ცოტათ თუ ბევრად ძძაფრი), რომელიც უნდა მოჰყვეს მრეწველობის ამ „აყვავებას"[3].

კრიზისები კაპიტალიზმის აუცილებელი თანამგზავრია და გამოხატავს წინააღმდეგობებს კაპიტალიზმის საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კაპიტალისტურ ფორმას შორის. კრიზისის მოქმედება რუსეთში, კერძოდ ამიერკავკასიაში, უფრო ძლიერი იყო, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. მაშინ, როცა ყველაზე დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებში (აშშ, გერმანია და სხვ.) 1903 წელს დაიწყო ახალი სამრეწველო აღმავლობა, რუსეთში 1902 წელს კრიზისმა მიაღწია უმაღლეს განვითარებას და 1909 წლამდე მრეწვე-

---

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი" ჟურნ. „Коммунист" 1953, № 11, გვ. 14.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 9.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 426—427.

წულუკიძე

ლობა კვლავ შეფერხებას განიცდიდა. რუსეთში კრიზისის ღრმა და ხანგრძლივი ხასიათი აიხსნება ბატონყმობის ნაშთების არსებობით, მით, რომ ძალაუფლება კვლავ მემამულეთა ხელში იყო და კვლავ რჩებოდა მსხვილი მიწათმფლობელობა.

ცარიზმის სასტიკი ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკა, ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები, რომლებიც აფერხებდნენ საწარმოო ძალთა განვითარებას, მწვავე კლასობრივი წინააღმდეგობანი XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დამდეგისათვის ხელს უწყობდნენ ნამდვილი რევოლუციური ვითარების შექმნას საქართველოში.

სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას თან ახლდა მუშათა მოძრაობის ზრდა. ამ გარემოებამ თავის მხრით მოამზადა ნიადაგი მარქსიზმის გავრცელებისათვის.

საქართველოს მუშებმა მჭიდროდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი მთელი რუსეთის მუშათა კლასს. საქართველოს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ დადგნენ.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარქსიზმის პირველი თესლი შემოიტანეს აქ გადმოსახლებულმა რუსმა მარქსისტებმა.

ი. ბ. სტალინი, ხაზგასმით აღნიშნავდა რა რუსი მარქსისტების როლს ამიერკავკასიასა და საქართველოში მარქსიზმის იდეების გავრცელების საქმეში, წერდა:

„რევოლუციურ მოძრაობაში მე ჩავები 15 წლის ასაკიდან, როდესაც დავუკავშირდი მაშინ ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსი მარქსისტების არალეგალურ ჯგუფებს. ამ ჯგუფებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჩემზე და შემაყვარეს არალეგალური მარქსისტული ლიტერატურა“[1].

1893 წელს თბილისში აღმოცენდა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. 1898 წ. ამ ორგანიზაციაში შევიდა ი. ბ. სტალინი. თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ი. ბ. სტალინი გამოვიდა როგორც პარტიის ერთგული შვილი, ლენინის ნიჭიერი მოწაფე და მიმდევარი. იგი დაუღალავად ეხმარებოდა ლენინს ჩვენი პარტიის მშენებლობაში. საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის გაჩაღებული ბრძოლის რთულ და მძიმე პირობებში ი. ბ. სტალინი იყო ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი უახლოესი თანაშემწე და თანამებრძოლი.

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 119.

1898—1900 წლებში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შიგნით ჩამოყალიბდა რევოლუციური ჯგუფი, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ოპორტუნისტული ნაწილის წინააღმდეგ, რევოლუციური მარქსიზმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ და ხელმძღვანელობდა თბილისის პროლეტარიატის გაფიცვებსა და პოლიტიკურ ბრძოლას.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მუშათა მოძრაობის დასაწყისიდან თანმიმდევრული ლენინელები და ი. ბ. სტალინის თანამებრძოლები იყვნენ — ლ. კეცხოველი, ა. წულუკიძე და სხვ.

ლენინის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“ წარმოადგენდა ნიმუშს, რომელსაც განუხრელად მიბაძავდენ თავიანთ თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაში საქართველოსა და ამიერკავკასიის რევოლუციური სოციალ-დემოკრატები.

1898 წელს თბილისში მოეწყო დიდი გაფიცვა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში.

შემდეგ დიდი გაფიცვები მოეწყო ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, ადელხანოვის ტყავის ქარხანაში, სტამბებში.

გაზეთი „ბრძოლა“ ხაზგასმით აღნიშნავდა მუშათა მოძრაობის ზრდას საქართველოში 1899 წლის ამბებთან დაკავშირებით. როგორც „ბრძოლა“ აღნიშნავს, 1899 წ. 19 აპრილს ქალაქ გარეთ შეიკრიბა სამოცდაათი მუშა, რომლებმაც ერთიმეორეს შეფიცეს მტკიცედ დაკავშირებოდნენ ერთმანეთს და გაეჩაღებინათ ბრძოლა საერთო მტრის—ბურჟუაზიისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ერთი წლის შემდეგ, 1900 წლის 19 აპრილს ქალაქ გარეთ შეიკრიბა უკვე ოთხას-ხუთასამდე მუშა, რომლებმაც სიტყვა მისცეს ერთმანეთს მთელი ძალღონით განემტკიცებინათ მუშათა ძმობა, ერთიანობა და თავგამოდებით შებრძოლებოდნენ მტერს[1].

1900 წლის 1 იანვარს დაიწყო თბილისის „კონკის“ მუშების გაფიცვა. ამავე წლის აგვისტოში გაფიცვა მოაწყვეს რკინისგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშებმა. ეს გაფიცვა წარმოადგენდა რუსეთის მუშათა კლასის მძლავრი მოძრაობის ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებას, მუშათა კლასისა, რომელმაც გააჩაღა

[1] გაზ. „ბრძოლა“ 1901, № 2—3.

რევოლუციური ბრძოლა ცარიზმისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ამ პერიოდში ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის პროლეტარიატის აშკარა პოლიტიკურ გამოსვლას—1901 წლის საპირველმაისო (22 აპრილს ძვ. სტ.) დემონსტრაციას. „ის ამბავი,—წერდა ლენინური „ისკრა“,—რაც თბილისში კვირას, 22 აპრილს (ძვ. სტილით) მოხდა, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“[1].

1901 წლის სექტემბრიდან ბაქოში დაიწყო პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთის, ლენინურ-ისკრული ჯგუფის ორგანოს—„ბრძოლის“ გამოცემა.

„ბრძოლა“ იბეჭდებოდა ლ. კეცხოველის მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში, სადაც ლ ე ნ ი ნ ი ს დავალებით მრავლდებოდა „ისკრის“ ცალკეული ნომრები და სხვა ლენინური გამოცემანი, რაც აქედან ვრცელდებოდა საქართველოში, კავკასიასა და სამხრეთ რუსეთის ქალაქებში. კავკასიის ისკრელები, რომლებსაც ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი მეთაურობდა, მთელ თავიანთ რევოლუციურ მოღვაწეობას განსაზღვრავდნენ და წარმართავდნენ ლ ე ნ ი ნ ი ს გენიალური იდეებით. „ბრძოლის“ ფურცლებზე, „ისკრის“ მაგალითის მიხედვით, გაჩაღებული იყო თანმიმდევრული და დაუნდობელი ბრძოლა მარქსიზმის აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ, ლიბერალური ხალხსნობისა და ლეგალური „მარქსიზმის“ წინააღმდეგ, კუსტარულობისა და წრეობანას წინააღმდეგ, „ეკონომისტების“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. „ბრძოლა“ იცავდა იმ აზრს, რომ აუცილებელია სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გადასვლა მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე, მარქსიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან, პოლიტიკური ბრძოლის გაჩაღება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

„ბრძოლა“ ეწეოდა ლ ე ნ ი ნ ი ს იმ გეგმის პროპაგანდას, რომლის თანახმად უნდა შექმნილიყო მებრძოლი და გამობრძმედილი პროლეტარული პარტია ნათელი მარქსისტული პროგრამით, რევოლუციური ტაქტიკით, პარტია, რომელიც იხელმძღვანელებდა მოწინავე თეორიით, რომელიც შეძლებდა მშრომელთა მოწინავე მებრძოლისა და ბელადის როლის შესრულებას.

„ბრძოლა“ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ზრდიდა მუშებსა და ყველა მშრომელს

[1] „ისკრა“ 1901 წ. № 6, ივლისი.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რაზმავდა ყველა ეროვნების მშრომელებს— რუსებს, ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს საერთო ბრძოლისათვის ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

„ბრძოლა“ იცავდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის განუყრელ კავშირს მთელი რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან.

„ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, — ნათქვამია „ბრძოლის“ მოწინავეში,— არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“[1].

ლენინურმა „ისკრამ“ გაზეთ „ბრძოლის“ გამოცემა აღნიშნა, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა პარტიული ცხოვრების ისტორიაში.

1901 წლის 11 ნოემბერს თბილისში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელზეც არჩეულ იქნა ლენინური მიმართულების რსდმპ თბილისის კომიტეტი.

საქართველოში მარქსიზმის პროპაგანდის, ლენინური მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაფორმებისა და შემდგომი განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ცენტრალური რუსეთიდან გადმოსახლებულმა, ლ ე ნ ი ნ ის მტკიცე და თანმიმდევრულმა მომხრეებმა ვ. ა. კურნატოვსკიმ, მ. ი. კალინინმა, ს. ი. ალილუევმა და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი ამიერკავასიის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. იქ თავმოყრილი იყო მრავალი ათასი მუშა. ისინი არაერთხელ გამოსულან ეროვნული ჩაგვრისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მაგრამ მუშათა გამოსვლები მარცხით თავდებოდა იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ ორგანიზაციული ხასიათი და მოკლებული იყვნენ ხელმძღვანელობას.

1896 წელს ბათუმში რუსმა მარქსისტებმა ი. ლ. ლუზინმა და გ. ი. ფრანჩესკომ დააარსეს პირველი სოციალ-დემოკრატიული წრე, მაგრამ იგი დაარბია მეფის საიდუმლო პოლიციამ ჯერ კიდევ 1898 წლის დამდეგს.

ბათუმში მყოფი ქართველი „ლეგალური მარქსისტები“ იმ

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 6.

საბაბით, რომ ქალაქში თითქოს შეუძლებელი იყო არალეგალური რევოლუციური მუშაობა, კმაყოფილდებოდნენ ლეგალური/ კულ-ტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით ბათუმის მუშათა პატარა ჯგუფში.

რსდმპ თბილისის კომიტეტის დავალებით 1901 წლის ნოემ-ბრის დამლევს ბათუმში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დასაარსებლად ჩავიდა ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი. ის დაუკავშირდა მოწი-ნავე მუშებს, შექმნა სოციალ-დემოკრატიული წრეები ბათუმის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში და მოაწყო არალეგალური სტამ-ბა, სადაც დაიწყო პროკლამაციებისა და ფურცლების ბეჭდვა.

1901 წლის დამლევს დაარსდა ლენინური მიმართულების რსდმპ ბათუმის კომიტეტი.

1902 წლის იანვარში ბათუმში მოეწყო მანთაშევის ქარხნის მუ-შების დიდი გაფიცვა, რაც მათი გამარჯვებით დამთავრდა. თებერ-ვალში დაიწყო მუშების გაფიცვა როტშილდის ქარხანაში. 9 მარტს გაიმართა ბათუმის მუშების ცნობილი პოლიტიკური დემონსტრა-ცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 6 ათასმა კაცა-მა. აქ განხორციელდა გაფიცვის შეერთება პოლიტიკურ დემონს-ტრაციასთან. დემონსტრაციას პოლიციამ ტყვია დაუშინა, რის შე-დეგადაც 15 მუშა მოკლეს და 54 დაჭრეს. დემონსტრაციის მონა-წილე 500-მდე მუშა გადასახლებულ იქნა ბათუმიდან. ბათუმის ამ-ბები მოწმობდა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობას ამიერკავ-კასიაში, ხელს უწყობდა მუშათა კლასობრივი სოლიდარობისა და ინტერნაციონალური შემჭიდროების ზრდას. ამ ამბებმა უდიდესი გამარევოლუციონერებელი გავლენა მოახდინა ქართულ სოფელზე.

თუ რამდენად გაიზარდა ამ დროს მუშათა პოლიტიკური შეგ-ნება, ამას მოწმობს წერილი, რომლითაც ბათუმის მუშებმა რსდმპ პეტერბურგის კომიტეტს მიმართეს. მუშები ამ წერილში აყენებ-დნენ კითხვას, როგორ მოვიქცეთ პოლიტიკური დემონსტრაციების დროს, აშკარა შეჯახებისას. ეს მიმართვა გვიჩვენებს, რომ ბათუ-მის მუშებში სავსებით მომწიფდა განზრახვა გაეჩაღებინათ გადამ-წყვეტი ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ და საჭირო შემთხვევაში იარაღისათვის მიემართათ.

არანაკლები ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ მუშე-ბი გრძნობდნენ ახალი ტიპის პროლეტარული, მებრძოლი და რევ-ოლუციური პარტიის შექმნის აუცილებლობას, ისეთი პარტიისა, რომლისთვისაც დიდი ლ ე ნ ი ნ ი იბრძოდა.

იმავე მიმართვაში ბათუმის მუშები წერდნენ, რომ „მუშათა

მოძრაობის მეტი თანმიმდევრობისათვის, მეტი მიზანშეწონილებისათვის ბათუმელები გამოთქვამენ სურვილს მოეწყოს ცენტრალური სრულიად რუსეთის ორგანიზაცია. ერთიანი ცენტრალური ხელმძღვანელი კომიტეტის მეთაურობით"[1].

ცალკეული სოციალ-დემოკრატები მუშაობდნენ აფხაზეთის მუშებს შორისაც. ისინი ეწეოდნენ პროპაგანდისტულ მუშაობას მცირერიცხოვან საწარმოთა მუშებში, განსაკუთრებით მაქსიმოვის ხე-ტყის ქარხანაში. გამოჩენილმა მარქსისტმა და რევოლუციურმა მოღვაწემ, ი. ბ. სტალინის თანამებრძოლმა ა. წულუკიძემ დარაზმა აფხაზეთის სოციალ-დემოკრატები ლენინურ-ისკრული მიმართულების ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფად და 1903 წლის ზაფხულზე იგი გაფორმდა, როგორც რსდმპ ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფი.

ვ. ი. ლენინმა მარქსისა და ენგელსის მითითებებზე დაყრდნობით, მუშათა მოძრაობის შესწავლის საფუძველზე დაამუშავა მოძღვრება პარტიის, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელი ორგანიზაციის, როგორც ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ძირითადი იარაღის შესახებ.

ლენინი გვასწავლიდა, რომ მუშათა კლასს, როდესაც მას ჰყავს პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს მოწინავე თეორიით და ასრულებს მშრომელთა მოწინავე მებრძოლისა და ბელადის როლს, შეუძლია გაიმარჯვოს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაში და ააშენოს სოციალიზმი და კომუნიზმი.

შრომაში „რა ვაკეთოთ" ვ. ი. ლენინი წერდა:

„ისტორიამ ახლა ჩვენს წინაშე დააყენა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე უფრო რევოლუციურია რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოეს ამოცანათა შორის. ამ ამოცანის განხორციელება, არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე (შეგვიძლია ვთქვათ ახლა) აზიის რეაქციის უაღრესად ძლიერი დასაყრდენის დანგრევა რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად გახდიდა"[2].

რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ ლენინური მოძღვრების, ამიერკავკასიასა და საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და რევოლუციური

---

[1] „ისკრა" 1902, № 23.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 465.

სოციალ-დემოკრატიის ნაყოფიერი მუშაობის ზეგავლენით იქმნება წინამძღვრები ცალკეული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გასაერთიანებლად მტკიცე და შემჭიდროებულ ორგანიზაციად, ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოს მეთაურობით.

ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები არსებობდნენ თბილისში, ბაქოში, ბათუმში, ქუთაისში, ჭიათურაში, გორში, ხაშურში, ფოთსა და სხვა ადგილებში.

1903 წლის მარტს თბილისში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების არალეგალური ყრილობა, რომელსაც 15 დელეგატი დაესწრო. ყრილობამ მოიწონა ლენინური „ისკრის" ხაზი, მიიღო „ისკრის" მიერ შემუშავებული პარტიული პროგრამის პროექტი და დაადგინა გამოცემული ყოფილიყო გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა" რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

ყრილობამ ჩაიარა პარტიის შექმნის ლენინური ორგანიზაციული პრინციპების ნიშნით. მან აირჩია სამი დელეგატი რსდმპ II ყრილობაზე გასაგზავნად.

ყრილობაზე არჩეულ იქნა ხელმძღვანელი პარტიული ორგანო—რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი 9 კაცის შემადგენლობით და დამტკიცებულ იქნა მისი ორგანიზაციული წესდება. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში დაუსწრებლად აირჩიეს ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, რომელიც იმ დროს დაპატიმრებული იყო და ბათუმის ციხეში იმყოფებოდა. კომიტეტში, ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ის გარდა, სხვადასხვა დროს შედიოდნენ: მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ბ. კნუნიანცი, ვ. ბობროვსკი, ფ. მახარაძე, მ. ბოჭორიძე, მ. დავითაშვილი, ნ. ალაჯალოვა, დ. პოსტალოვსკი და სხვ.

რსდმპ კავკასიის კავშირი ეყრდნობოდა ლ ე ნ ი ნ ის მოძღვრებას რევოლუციური მარქსისტული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის შექმნის შესახებ. მან თავიდანვე გააჩაღა დიდი მუშაობა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, მასების პოლიტიკურად აღზრდისათვის და ამიერკავკასიის ქალაქებსა და სოფლებში რევოლუციური სახალხო მოძრაობის სახელმძღვანელოდ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია 1903 წელს საპირველმაისო პოლიტიკური დემონსტრაციების მოსაწყობად თბილისში, ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

ამ პერიოდში ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის

ავანგარდში დგება ბაქოს პროლეტარიატი, რომელმაც 1903 წლის ივლისში დაიწყო ცნობილი გაფიცვა, რამაც მალე რუსეთის მთელი სამხრეთი მოიცვა და რაც ისტორიაში შევიდა სახელწოდებით — „საყოველთაო გაფიცვა სამხრეთ რუსეთში“.

საქართველოში გაფიცვა დაიწყო 14 ივლისს ჯერ თბილისში, შემდეგ კი მოედვა ბათუმის, ჭიათურის, ხაშურის მუშებს, სადაც მეფის ჯარებთან მუშების შეტაკების შემდეგ მოკლულ და დაჭრილ, იქნა 18 კაცი. დაახლოებითი გამოანგარიშებით ამ დროს ამიერკავკასიაში მოწყობილ გაფიცვებში მონაწილეობდა 100 ათასამდე კაცი[1].

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ერთ-ერთ პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„ჩვენ განგაშს ვტეხთ! ყველგან გაჩაღდა ბრძოლა ბედნიერებისათვის, თავისუფლებისა და უკეთესი ხვედრისათვის. ახლოვდება დიადი ამბები. რუსეთი ამოძრავდა, კავკასია ფეხზე დგება“.

დაე მეფის მთავრობამ მიმართოს როგორ ღონისძიებებსაც სურს, დაე უჩვენოს მან მსოფლიოს ჯერ კიდევ გაუგონარი სისასტიკისა და მხეცობის მაგალითები! ბრძოლა გაჩაღდა და მოახლოებულია ის დღე, როდესაც ყველა ქალაქის მუშები აღდგებიან! კიდით-კიდემდე გაისმება ძახილი: „ძირს მეფე!“ „ძირს კაპიტალისტები!“ და შედრკება მაშინ მტერი!

ამხანაგებო, ჩვენ განგაშს ვტეხთ!
ძირს თვითმპყრობელობა!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!
ძირს კაპიტალიზმი!
გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას![2].

კავკასიის 1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვაში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა.

ამიერკავკასიაში 1903 წლის საყოველთაო გაფიცვამ არსებითი გავლენა იქონია პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე. იგი ცხადყოფდა მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნების ზრდას. ამ გაფიცვამ დასაბამი მისცა ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცალკეული გამოსვლების გადასვლას ბრძოლაზე მთელი რუსეთის მასშტაბით.

---

[1] «Всеобщая стачка на юге России в 1903 году», საბუთების კრებული, მ., 1938, გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 54—56.

პირველ მაისის დემონსტრაცია თბილისში, 1901 წ.

1903 წლის 30 ივლისს გაიხსნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) მეორე ყრილობა.

„ლ ე ნ ი ნ ი ს ბრძოლამ ყრილობაზე ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ პროგრამულ და ორგანიზაციულ საკითხებში მიჯნა გაავლო რსდმპ რევოლუციურ ნაწილსა — ბოლშევიკებსა და ოპორტუნისტულ ნაწილს — მენშევიკებს შორის.

რევოლუციური მარქსისტული პარტიის — სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის შექმნის გენიალური ლენინური გეგმის გამარჯვებამ ცხადყო, რომ ლენინის სახით რუსეთსა და საერთაშორისო პროლეტარიატს ჰყავს მარქსიზმის დიდი თეორეტიკოსი, მარქსისა და ენგელსის საქმისა და მოძღვრების განმგრძობი, რევოლუციის გამოჩენილი სტრატეგი, რომელიც გამჭრიახად ხედავს მუშათა მოძრაობის განვითარების პერსპექტივებს, მთის -არწივი, რომელმაც არ იცის შიში ბრძოლაში“[1].

რსდმპ II ყრილობაზე სპეციალურად განხილულ იქნა საკითხი რსდმპ კავკასიის კავშირის ტიპის რაიონული პარტიული ორგანიზაციების შესახებ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს წინადადებით ამ საკითხზე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც დამტკიცებულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირი.

რსდმპ კავკასიის კავშირი ამხილებდა მენშევიკების ანტიმარქსისტულ ორგანიზაციულ და იდეურ შეხედულებებს; მან დაგმო მენშევიკების ცდა დამახინჯებული სახით წარმოედგინათ II ყრილობის მუშაობა, დაგმო მათი დეზორგანიზატორული და ფრაქციული საქმიანობა, რითაც ისინი ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მოუწოდა რსდმპ ყველა კომიტეტს დარაზმულიყო ლენინის გარშემო. იგი მკაცრად გმობდა მენშევიკურ „ისკრას“, მოითხოვდა ცენტრალური კომიტეტისაგან არაფერი არ დაეთმო მენშევიკებისათვის და დაუყოვნებლივ დაეწყო III პარტიული ყრილობის მოწვევის მზადება.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, აწარმოებდა მიწერ-მოწერას რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან, აძლევდა მას სახელმძღვანელო მითითებებს. 1903 წლის 20 ოქტომბრით

---

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი“, ჟურნ. „მნათობი“, 1953, №7, გვ. 13—14.

დათარიღებულ წერილში ჟენევიდან ლენინი კავკასიის კავშირის კომიტეტს წერდა:

„დაე კავკასიელი ამხანაგები მტკიცედ იდგნენ იმ გზაზე, რომელსაც ისინი დაადგნენ. ნუ უგდებენ ყურს ჭორებს უმრავლესობის წინააღმდეგ, მალე გამოვა ყრილობის სრული ოქმები, და მაშინ საქმე ყველასათვის ნათელი იქნება. განაგრძონ შეწყობილი მუშაობა ამხანაგური ნდობით ცენტრალური კომიტეტისადმი, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლანდელი პარტიული „არეულობა“ მალე დაცხრება.

ჩვენ ახლა ძალიან ვფიქრობთ იმაზე, რომ მოვაწყოთ აქ ქართული და სომხური ლიტერატურის გამოცემა“ [1].

1903 წლის შემოდგომაზე ი. ბ. სტალინი იმყოფებოდა გადასახლებაში აღმოსავლეთ ციმბირში. მან მიიღო წერილი ლენინისაგან.

„ლენინის წერილი,—წერს ი. ბ. სტალინი,—შედარებით პატარა იყო, მაგრამ ის იძლეოდა ჩვენი პარტიის პრაქტიკის გაბედულ, უშიშარ კრიტიკას და მასში შესანიშნავი სიცხადით და შეკუმშულად იყო მოცემული პარტიის მუშაობის მთელი გეგმა უახლოესი პერიოდისათვის“[2].

მეფის მთავრობა მიმართავდა სასტიკ რეპრესიებს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

1902 წლის 2 სექტემბერს ჟანდარმერიამ მოახერხა მუშათა კლასის საქმისათვის უშიშარი მებრძოლის, თანმიმდევრული ლენინელის ლადო კეცხოველის დაპატიმრება. ბაქოს საპატიმროდან ლ. კეცხოველი გადმოიყვანეს თბილისში, მეტეხის ციხეში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა ვ. კურნატოვსკი. კეცხოველი და კურნატოვსკი დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ისინი აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ პატიმრებს შორის, ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკურ პატიმართა პროტესტებს ციხის აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ, ამხნევებდნენ პატიმრებს და უნერგავდნენ მათ მუშათა კლასის სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენას. ლ. კეცხოველი გამცემლურად მოკლეს მეფის ჯალათებმა 1903 წლის 30 (17) აგვისტოს.

რსდმპ თბილისისა და ბაქოს კომიტეტებმა გამოუშვეს პროკლამაციები კეცხოველის დაღუპვის გამო.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 34, გვ. 195—196.
[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინის შესახებ, გვ. 36.

ბაქოს ბოლშევიკებმა თავისი პროკლამაციისათვის ეპიგრაფად აიღეს პროლეტარული მწერლის მ. გორკის სიტყვები: „ჰო, ამაყო შევარდენო, შენ სისხლისგან დაიცალე მტრებთან ბრძოლაში“...

ლადო კეცხოველი ქართველი ხალხის ღირსეული შვილი იყო. როგორც პროკლამაციაშია ნათქვამი, ის იყო „ერთ-ერთი გაბედული და ძლიერი მუშაკი, ადამიანი, რომელმაც ძვირფას საქმეს შესწირა ყველაფერი, რის გაღებაც კი ადამიანს შეუძლია: თავისი ბედნიერება, თავისი ძალა, თავისი სიცოცხლე“.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ლ. კეცხოველის დაღუპვასთან დაკავშირებით გამოუშვა მისი რევოლუციური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი არალეგალურად დაბეჭდილი ბროშურა. ბროშურაზე წარწერილი იყო „შენი ხსოვნა ჩვენს შორის მუდამ წმინდა იქნება“.

3

გლეხთა მოძრაობა 1905 წლის რევოლუციის წინახანებში

საქართველოს სოფლის მეურნეობაში, ისე როგორც რუსეთის სხვა ნაციონალურ რაიონებში, კაპიტალიზმის განვითარებას აფერხებდა ძლიერი ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები.

მკვეთრმა შეუსაბამობამ როგორც მემამულეური, ისე გლეხური მიწათმფლობელობის ფორმებსა და სახალხო მეურნეობის მთელ სისტემას შორის, სახალხო მეურნეობისა, რომელიც კაპიტალისტური გახდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, გაამწვავა აგრარული კრიზისი როგორც მთლიანად რუსეთში, ისე, კერძოდ, საქართველოშიც.

სოფლის მეურნეობა ამ დროს ხასიათდება სათესი ფართობის, მოსავლიანობის, პირუტყვის სულადობისა და სხვ. შემცირებით. გლეხურ მეურნეობათა დიდი ნაწილის გაპარტახებასა და მძიმე მდგომარეობას ცხადყოფდა სახაზინო გადასახადთა ნარჩენების ზრდა, სხვადასხვა სახის ბეგარის შეუსრულებლობა. კაპიტალისტური და ბატონყმური ექსპლოატაცია შეხამებული იყო ცარიზმის მიერ წარმოებულ ნაციონალურ ჩაგვრასთან.

1907 წელს ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი წერდა, რომ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე კაპიტალიზმის განვითარებამ ისეთი ნაბიჯი გადადგა წინ, რომ „მიწათმოქმედებაში ბატონყმობის შენარჩენება ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ შეუძლებელი გახდა, მისმა მოსპობამ იძულებითი კრიზისის, საერთო — ნაციონალური რევოლუციის ფორმები მიიღო“[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 529-530.

იძლეოდა რა რუსეთის პირველი რევოლუციის ხასიათის გენიალურ განსაზღვრას, ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი წერდა, რომ „აგრარული საკითხი რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის საფუძველია და განსაზღვრავს ამ რევოლუციის ნაციონალურ თავისებურებას“[1].

მიუხედავად ცარიზმის სასტიკი ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკისა, საქართველოში 1905—1907 წლების რევოლუციის ძირითად არსს შეადგენდა არა ეროვნული, არამედ აგრარული საკითხი.

მუშათა კლასის რევოლუციურმა მოძრაობამ ამიერკავკასიასა და საქართველოში გლეხობის მასებიც ჩააბა მასობრივ ბრძოლაში მემამულე-მებატონეების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ ხელში ინარჩუნებდნენ საუკეთესო მიწების ნაწილს.

1905 წლის წინახანებში გლეხთა გამოსვლების უახლოესი ბიძგი გახდა 1901 და 1902 წლების მოუსავლიანობა, რომლის შედეგი იყო გლეხთა მასების შიმშილობა და უკიდურესი გაჭირვება.

მეტწილად გლეხები იძულებული იყვნენ იჯარით აღებული მიწებიდან მიღებული მთელი თავისი მოსავალი მემამულეებისათვის ეძლიათ; ეკონომიურ კრიზისსა და უმუშევრობასთან დაკავშირებით გლეხების ნაწილი, რომელიც გასული იყო საშოვარზე ქალაქებში, კარგავდა სამუშაოს და იძულებული იყო დამშეულ სოფელში დაბრუნებულიყო.

გლეხების ეკონომიური მდგომარეობა იმის გამოც უარესდებოდა, რომ 1900 წლის 29 მაისს გამოიცა ახალი სააქციზო წესები, რამაც პირველ წელსავე 60 პროცენტით შეამცირა არაყის გამოხდა მეღვინეობის ნარჩენებისა და ხილისაგან. ახალი სააქციზო წესების თანახმად მეფაბრიკეების ინტერესების სასარგებლოდ გლეხებს აეკრძალათ თამბაქოს გაყიდვა სხვაგვარად, თუ არა ფოთლების სახით. დაჭრილი თამბაქოს გაყიდვა ითვლებოდა კონტრაბანდად და სასტიკად ისჯებოდა.

არალეგალურად გამოცემულ ბროშურაში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ამგვარად განმარტავდა გლეხთა გამოსვლებს საქართველოში.

„მიწის სივიწროვე, საიჯარე გადასახადების სიდიდე, დიდი სახელმწიფო გადასახადები, დრამა-ფული, ბათუმის ამბები, სოფლების ქალაქის უკმაყოფილო მუშებით ავსება და 1901 წლის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 529.

შოუსავლობა — აი მოკლეთ ის მიზეზები, რამაც გააღვიძა გლეხებში „წინააღმდეგობის სურვილი“. ამნაირად დაიბადა მათში იდეა ბრძოლისა. თუ კი მუშები იბრძოდნენ ხაზეინების წინააღმდეგ, რატომ გლეხებს არ უნდა ამოეღოთ ხმა მემამულეებისა და სამღვდელოების ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ? მერე ეს მუშაც ხომ ამისთანა კაცი იყო, მისი ძმა და ოჯახის წევრი? მაშ, რას უნდა დაეშალა ხელი?“[1].

საქართველოს გლეხების გარეევოლუციონერებაზე ძლიერ გავლენას ახდენდნენ მუშათა მოძრაობის ისეთი კერები, როგორიც იყო თბილისი, ბათუმი, ჭიათურა. 1901—1902 წლებში მასობრივად ასახლებდნენ ქალაქებიდან თავიანთ სოფლებში გაფიცვების მონაწილე მუშებს. განსაკუთრებით დიდი ზეგავლენა მოახდინა გლეხთა მოძრაობის განვითარებაზე საქართველოში ბათუმის 1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციის დროს მუშებისათვის ტყვიის დაშენამ, რის შემდეგაც ასობით მუშა გაასახლეს თავიანთ სოფლებში. ამ მუშათაგან ბევრნი, როგორც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წევრები, მომარაგებული იყვნენ რევოლუციური ლიტერატურითა და ფურცლებით.

„აი სწორედ ამ თავიანთ სოფლებში, — ამბობდა რსდმპ III ყრილობაზე მ. ცხაკაია, — თავიანთ გაჩანაგებულ მეურნეობებში გადასახლებულმა მუშებმა, რომლებმაც სოციალიზმის მოძღვრება იგემეს და პოლიტიკური განათლების გაკვეთილები მიიღეს თვითმპყრობელობისაგან მათრახების, საპყრობილეებისა და ტყვიების სახით, გაბედულად და მხნედ გააჩაღეს აგიტაცია გლეხობაში. ეს აგიტაცია დაუყოვნებლივ, უკვე რამდენიმე თვისა და კვირეების შემდეგაც კი, იძლეოდა თავის ნაყოფს“[2].

რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციებმა ფართო ორგანიზაციული და პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს სოფლად, უწინარეს ყოვლისა, იმ მუშების მეშვეობით, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გაეწყვიტათ კავშირი სოფლის მეურნეობასთან, სახალხო მასწავლებლების, ფერშლების, მოსწავლე ახალგაზრდების დახმარებით. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ავრცელებდნენ გლეხებში რევოლუციურ ლიტერატურას, პროკლამაციებსა და ფურცლებს.

---

[1] „გლეხთა მოძრაობა გურიაში,“ რსდმპ კავკასიის კავშირის გამოცემა, თბილისი, 1904 წ., გვ. 12-13.

[2] „Третий съезд РСДРП“, გვ. 243—244.

უკვე 1902 წელს ბათუმიდან უფრო ახლოს მდებარე ოზურგეთის მაზრაში წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიული წრეები. ამ წრეებისა და რევოლუციური ბრძოლისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად რსდმპ ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტთან შეიქმნა სოფლის მუშების განსაკუთრებული კომისია.

პოლიციის ცნობებით ჯერ კიდევ 1901 წლის შემოდგომაზე ოზურგეთის მაზრის გლეხურ მოსახლეობაში შემჩნეული იყო ერთგვარი მღელვარება, მაგრამ მას გარკვეული ორგანიზაციის ხასიათი არ ჰქონებია.

1902 წლის მაისში სოფელ ნიგოითში მოხდა გლეხების შეტაკება მემამულე მაჭუტაძესთან სათიბების გამო. რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა ამ გამოსვლას ორგანიზებული ხასიათი მისცეს. მოეწყო რამდენიმე ფარული კრება, სადაც განუმარტავდნენ გლეხებს მათი გაჭირვების მიზეზებს და მიუთითებდნენ უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის გზებზე. ანალოგიური კრებები გაიმართა ოზურგეთის მაზრის სხვა სოფლებშიც: მიქელგაბრიელის, აკეთის, ჯუმათის, ძიმითისა და სხვა საზოგადოებებში.

წამოყენებულ იქნა მოთხოვნა, რათა საიჯარო ქირა შემცირებულიყო მოსაელის 1/2-ან 1/8—1/10-ედ ნაწილამდე, გაუქმებულიყო „დრამის ფული“ და ა. შ.

გლეხთა ფარული კრებების ხელმძღვანელები და ინიციატორები იყვნენ უმთავრესად ბათუმიდან ჩამოსული აგიტატორები. ისინი ავრცელებდნენ გლეხებს შორის რევოლუციურ გამოცემებს, წარმოთქვამდნენ სიტყვებს კრებებზე, აძლევდნენ გლეხებს საჭირო მითითებებს.

მოძრაობაში ჩაბმულ იქნა მაზრის გლეხთა მოსახლეობის სულ მცირე 80%.

ვინაიდან მემამულეებმა და მღვდლებმა უარი თქვეს წამოყენებული პირობების მიღებაზე, გლეხებმა მათ წინასწარი შეთანხმებით ბოიკოტი გამოუცხადეს. გლეხებმა გადაჭრით უარი განაცხადეს მემამულეებისაგან მიწის იჯარით აღებაზე ძველ პირობებში და „დრამის ფულის“ გადახდაზე. მემამულეებს მოუხსნეს შინამოსამსახურეები. ხელისუფალთა ცდა — იძულებული გაეხადათ გლეხები ხელი აეღოთ ბოიკოტზე — უშედეგოდ დამთავრდა.

აგვისტოსათვის ბოიკოტის მოძრაობა მთელ ოზურგეთის მაზრას მოედო. მემამულეებმა ადგილობრივ ხელისუფალთა დახმარებით გააძლიერეს თავიანთი მამულების დაცვა. ბევრი მათგანი ქალაქში გაიქცა.

ქ. ოზურგეთში გამართულმა თავადაზნაურთა ფარულმა კრებამ დახმარების თხოვნით მიმართა მეფის მთავრობას. ოზურგეთის მაზრაში კაზაკების თანხლებით ჩავიდა ქუთაისის გუბერნატორი სმაგინი. მან ჩამოიარა სასოფლო საზოგადოებანი „უწესრიგობათა მიზეზების გამოსარკვევად“ და გლეხების „დასამშვიდებლად“.

გლეხთა სახელით ხელისუფალთ წარედგინათ გარკვეული, წინასწარ შემუშავებული მოთხოვნები:

1) საიჯარო ქირა არ უნდა აღემატებოდეს მოსავლის 1/10 ნაწილს, ამასთან მემამულეებმა თვითონ უნდა წაიღონ თავიანთი წილი.

2) აიკრძალოს მემამულეებისა და მათი მოურავების მიერ გლეხების პირუტყვის დაჭერა სათიბებში.

3) აეკრძალოს მიწის გამყიდველ მემამულეებსა და მათ ნათესავებს დავის ატეხა გლეხებთან გლეხთა მიწის ნაკვეთების გამო.

4) გამიჯვნის ხარჯები განაწილდეს ყველა წოდებაზე, გასამიჯნავი მიწის ფართობის კუთვნილების შესაბამისად.

5) სასოფლო ბეგარებს უნდა ასრულებდეს ყველა წოდება.

6) მოისპოს „დრამის ფული“.

7) აღდგენილ იქნეს მამასახლისის არჩევის უფლება, რაც წაერთვა ზოგიერთ საზოგადოებას, განთავისუფლებულ იქნენ საზოგადოებანი მამასახლისთა შესანახი ხარჯებისაგან და ა. შ.

გუბერნატორ სმაგინის რჩევა სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა. გლეხები მოითხოვდნენ თავიანთი მოთხოვნების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას. 1903 წლის 6 აგვისტოს ოზურგეთში ჩავიდნენ სამხედრო ნაწილები და კაზაკები. 2 თვის განმავლობაში ოზურგეთის მაზრაში არ შეწყვეტილა ძალადობა და ძარცვა-გლეჯა. 300-მდე გლეხი დააპატიმრეს და მოათავსეს ბათუმის, ქუთაისისა და ფოთის საპყრობილეებში. გლეხებს იძულებით ახდევინებდნენ მემამულეებისადმი მიყენებულ ზარალს. მაზრის უმრავლეს სასოფლო საზოგადოებებში დაინიშნა მთავრობის მამასახლისები, რომლებსაც წელიწადში ეძლეოდათ ჯამაგირის სახით 300—400 მანეთი მოსახლეობის ხარჯზე. ფართოდ მიმართავდნენ ეგზეკუციებს. რევოლუციური მოძრაობის ძირშივე აღმოსაფხვრელად ხელისუფლების წარმომადგენლებმა დახურეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოები იმ საბაბით, რომ იქ შემოწმების დროს „აღმოჩენილ იქნა საკითხავად აკრძალული წიგნები“.

ბათუმის მუშათა დემონსტრაცია, 1902 წ.

მხ. ა. ქუთათელაძე

მაგრამ ყველა ეს ღონისძიება საწინააღმდეგო შედეგებს იძლეოდა. ხალხი არ „დამშვიდდა“. გლეხთა მოძრაობა მოედო მეზობელ რაიონებს: სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისისა და სხვა მაზრებს.

1902 წლის გაზაფხულზე გლეხთა გამოსვლები დაიწყო აგრეთვე გორის მაზრაში, რომელშიც შედიოდა ახლანდელი ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის რაიონებისა და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია. XX საუკუნის დასაწყისში გორის მაზრის ტერიტორიაზე იყო რამდენიმე კაპიტალისტური ტიპის საწარმო. მათ შორის მთავარი იყო ხაშურისა და ბორჯომის რკინიგზის დეპოები, ბორჯომის, ატენის, ჩიხანტურის ხე-ტყის ქარხნები, ბორჯომის შუშის ქარხანა. რამდენიმე ასეული კაცი მუშაობდა გორის ნავთსადენისა და რკინიგზის ხიდის მშენებლობაზე სადგურ ქარელის მახლობლად.

რევოლუციური იდეების გავრცელება და ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეების შექმნა გორის მაზრაში დაკავშირებულია ი. ბ. სტალინის სახელთან, მის თანამებრძოლებთან — ლ. კეცხოველთან, მ. დავითაშვილთან და სხვა რევოლუციონერებთან. სოციალ-დემოკრატიული წრე გორში არსებობდა უკვე 1901 წელში. მარქსისტული ჯგუფები და წრეები შემდეგ შექმნილ იქნა მიხაილოვოში (ხაშური), ბორჯომში, სურამში, ცხინვალში, ტყვიავში, ახალქალაქში, ჯავაში, ატენსა და ა. შ. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები ეწეოდნენ აგიტაციასა და პროპაგანდას, ავრცელებდნენ ლენინურ „ისკრას“, „ბრძოლას“, პროკლამაციებსა და ფურცლებს მუშებსა, გლეხებსა და სოფლის ინტელიგენციაში. 1902 წლის 18 აპრილს (ძვ. სტ.) ქარელში, რკინიგზის სადგურის მახლობლად, მოეწყო საპირველმაისო დემონსტრაცია. 1902 წლის 1 აპრილს სოფ. კარალეთში მოეწყო გლეხთა გამოსვლა მემამულე გ. ერისთავის წინააღმდეგ აგრარულ ნიადაგზე. გლეხების „დასამშვიდებლად“ ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოფ. კარალეთში საეგზეკუციოდ გაგზავნეს ჯარის ასეული. 1902 წლის 23 აპრილს სოფ. სატიხავში მოხდა შეტაკება გლეხებსა და მემამულე ამილახვარს შორის, რის შედეგადაც მოკლულ იქნა სამი გლეხი და ორი ჩაფარი. შემდეგში გლეხთა მოძრაობა გავრცელდა მთელ მაზრაზე.

გაზეთი „ბრძოლა“ ამის გამო წერდა, რომ მაისის დამდეგს გორის მაზრაში გლეხებმა გააჩაღეს ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ, ამასთან დაიწყო აგრარული მოძრაობა სურამის, ხაშურის,

ცხინვალის, ხურვალეთის, კასპისა და სხვა სასოფლო საზოგადოებებში, რაც მალე მთელ მაზრას მოეედო.[1]

გლეხები ძალით იტაცებდნენ მემამულეთა სახნავ მიწებსა და სათიბებს. შეტაკების დროს მოკლულ იქნა რამდენიმე მემამულე.

რევოლუციური სოციალ-დემოკრატები დიდ მუშაობას ეწეოდნენ თელავისა და სიღნაღის მაზრების სოფლების გლეხობაში.

1902 წლის 31 მაისს თელავის მაზრაში სოფელ აწყურის გლეხებმა სოფლის ყრილობაზე ბოიკოტი გამოუცხადეს მემამულეებს. გლეხებმა ჩამოართვეს მემამულეებს მუშები, შინამოსამსახურეები და უარი განაცხადეს ღალის გადახდაზე. ხელისუფალთა წარმომადგენლებმა ჩაახშეს გლეხთა გაჭოსვლები, მოთავეები დაუპატიმრეს და სასტიკად დასაჯეს. იმავე წლის აგვისტოში თიანეთის მაზრის გლეხებმა უარი განაცხადეს „დრამის ფულის“ გადახდაზე, რასაც შედეგად მოჰყვა რეპრესიები პოლიციის მხრივ. გლეხთა გამოსვლები ამ პერიოდში მოეწყო აგრეთვე თბილისის მაზრაშიც.

გლეხთა მოძრაობას წარმართავდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატია. მაგრამ თუმცა გლეხებმა გააჩაღეს ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ, თუმცა რევოლუციური სოციალ-დემოკრატები განუმარტავდნენ მათ ამ ბრძოლის მიზანს, მათ ჯერ კიდევ არ ესმოდათ, რომ მემამულეთა მიწათმფლობელობა დაკავშირებული იყო მეფის წყობილებასთან. ტერორისტული ფაქტები ცხადყოფდნენ, რომ სოციალ-დემოკრატიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული საკმაო გავლენა, რომ გლეხთა მოძრაობა ჯერ კიდევ ნაკლებ შეგნებული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ძლიერდებოდა გლეხთა დიფერენციაცია, ისინი ჯერ კიდევ გაერთიანებული არ იყვნენ სიძულვილით საერთო მტრის — მემამულე-მებატონეებისადმი. გლეხთა მოძრაობას პირველ პერიოდში მეტწილად ეკონომიური ხასიათი ჰქონდა. გლეხები მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით, რევოლუციური ბრძოლის პროცესში დარწმუნდნენ, რომ მათი მთავარი მტერია ცარიზმი, რომ აგი ასულდგმულებს ყველა მჩაგვრელსა და ექსპლოატატორს — მემამულე თავადაზნაურობას, სოფლის ბურჟუაზიასა და სამღვდელოებას. ამრიგად, გლეხთა აგრარული მოძრაობა იწყებს გადაზრდას პოლიტიკურ ბრძოლაში და უფრო ორგა-

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1902 № 4.

ნიზებულ ხასიათს იღებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება რსდმპ კავკასიის კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ.

„სოფლის მუშების კომიტეტის“ სახელწოდება, — ამბობდა მიხა ცხაკაია რსდმპ III ყრილობაზე, — კავშირის კომიტეტმა შეარჩია სიფრთხილის გამო, რათა ორგანიზაციის ხელმძღვანელები, აგიტატორები და პროპაგანდისტები სოფლად მუშაობისას წვრილბურჟუაზიულ თვალსაზრისზე არ გადამცდარიყვნენ, რომ მათ სოფლის ღარიბ გლეხობაში მუშაობის დროს ექადაგნათ მისთვის სოციალიზმის წმინდა და ნათელი მოძღვრება, განემარტათ გლეხებისათვის რსდმპ მთელი პროგრამა და ესწავლებინათ მათთვის ბრძოლა მთელ პარტიასთან ერთად პროგრამა — მინიმუმისათვის“[1].

1903 წლის მაისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოუშვა ქართულ ენაზე 70 ათასი ცალი სპეციალური პროკლამაცია „გურიის გლეხობას“. პროკლამაცია გავრცელდა მთელ დასავლეთ საქართველოში და მან განსაკუთრებული როლი შეასრულა. მასში განმარტებული იყო სოციალ-დემოკრატიის პროგრამა გლეხობის მიმართ. გლეხებს მოუწოდებდნენ დაემყარებინათ კავშირი მუშათა კლასთან, გაეჩაღებინათ საერთო ბრძოლა ცარიზმის, სა, ბურჟუაზიისა და მემამულეების წინააღმდეგ. იმავე ხანებში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ქართულ ენაზე გამოსცა და გაავრცელა ლენინის ცნობილი ბროშურა „სოფლის ღარიბი გლეხობისადმი“, რაც უდიდესი წარმატებით სარგებლობდა მშრომელ გლეხობაში.

დაპატიმრებული გლეხები საპყრობილეებში ხვდებიან სოციალ-დემოკრატებს. აქ ისინი პოლიტიკური აღზრდის გაკვეთილებს იღებენ. განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა ი. ბ. სტალინი პატიმარ გლეხებს შორის ქუთაისის საპყრობილეში, სადაც იგი გადაიყვანეს ბათუმიდან 1903 წლის აპრილში.

სოციალ-დემოკრატ ლენინელების მოღვაწეობამ გლეხებს შორის თავისი ნაყოფი გამოიღო. საქართველოს ყველა რაიონში იზრდება სოციალ-დემოკრატიული წრეების რიცხვი. მარტო იმერეთში 1905 წლის დამდეგს 600 წრე იყო. გლეხთა მიტინგებზე იკრიბებოდა 100-დან 5000 კაცამდე. გლეხთა მოძრაობის ზრდა გავლენას ახდენდა მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის საერთო აღმავლობაზე. მთელ რუსეთში, ამიერკავკასიის ჩათვლით, გაფიცვები“ ... სულ უფრო და უფრო შეუპოვარი, ორგანიზებული ხდება. მუშათა კლასის წინანდელი გამოსვლებისაგან განსხვავებით, მუშე-

---

[1] „Протокол третьего съезда РСДРП“, 1937, გვ. 245.

ბის პოლიტიკურ ბრძოლას თითქმის ყველგან უკვე სოციალ-დემოკრატიული კომიტეტები ხელმძღვანელობენ.

რუსეთის მუშათა კლასი ფეხზე დგებოდა მეფის ძალაუფლების წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის"[1].

1903 წელს რსდმპ თბილისის კომიტეტმა რუსეთში ბატონყმობის გაუქმების წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო ქალაქის ცენტრში პოლიტიკური დემონსტრაცია.

გლეხთა მოძრაობის ზრდაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა 1903 წლის საყოველთაო გაფიცვამ ამიერკავკასიაში.

შემდეგშიც მუშათა საგაფიცვო ბრძოლა საქართველოში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა.

1903 წლის შემოდგომაზე ბათუმში მოეწყო 30 გაფიცვა, რომელთა დიდი ნაწილი მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

ახალ ეტაპზე გლეხთა ბრძოლა წარმოებს არა მარტო ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, არამედ თვითმპყრობელური წყობილების მოსასპობათაც. ამ დროიდან ბოიკოტი ვრცელდება არა მარტო მემამულეებსა და სამღვდელოებაზე, არამედ აგრეთვე სასოფლო სამმართველოებზე და ხელისუფლების სხვა ორგანოებზე. მწვავდება ბრძოლა სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგაც.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ 1903—1904 წლებში საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გლეხთა მოძრაობა კვლავ ინარჩუნებს არაორგანიზებული აგრარული მოძრაობის ხასიათს.

1903 წელს რევოლუციური ალი მოედო მთელ ოზურგეთის მაზრას. შეიქმნა რსდმპ გურიის კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას. მაზრა გაიყო 5 რაიონად, თითოეული რაიონი 5-6 სასოფლო საზოგადოებად[2]. 1903 წლის მაისში რსდმპ გურიის კომიტეტმა მოიწვია პირველი კონფერენცია, რომელზედაც შემუშავებულ იქნა ორგანიზაციის პროგრამა და გეგმა. სოფლებში შეიქმნა ძირეული პარტიული უჯრედები. კონფერენციამ დაგმო აგრარული ტეროორი. ყველგან ეწყობოდა გლეხთა მასობრივი კრებები. ხშირდება პოლიციასა და ჩაფრების რაზმებთან შეიარაღებული შეტაკების შემთხვევები.

---

[1] საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 35.

[2] „გლეხთა მოძრაობა გურიაში". რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის არალეგალური გამოცემა, თბილისი, 1904, გვ. 38-39.

რევოლუციურ მოძრაობაში ებმება მოსწავლე ახალგაზრდობა, რის შედეგადაც სკოლების უმრავლესობა მაზრაში დაიხურა.

გლეხთა მოძრაობა ჩაღდება სენაკის, ზუგდიდის, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში. მუშების მაგალითის მიხედვით ეწყობა გლეხთა პოლიტიკური დემონსტრაციები. მაგ., ასეთი დემონსტრაცია მოეწყო 13 აპრილს ქუთაისის მაზრის სოფელ ,,ულაშში. მასში 400-მდე კაცი მონაწილეობდა. დემონსტრანტები მიდიოდნენ წითელი დროშებით, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, გაისმოდა შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა!", გაუმარჯოს სოციალიზმს!" და ა. შ. ახალქალაქის მაზრაში სოფელ დიდ კონდურაში მიწების გამიჯვნის ნიადაგზე გლეხებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფალთ.

ახალციხის მაზრის სოფელ ვანში ნარჩენების აკრეფის დროს მოხდა შეტაკება ჩაფრების რაზმსა და გლეხებს შორის.

1903 წელს გლეხთა მასობრივი გამოსვლები მოხდა გორის მაზრაში, ხაშურის, სურამის, ცხინვალისა და სხვ. რაიონებში.

ხელისუფალთ ვერ შესძლეს დაეშალათ ის, რომ გლეხთა გამოსვლები დაკავშირებული ყოფილ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მუშაობასთან. „სურამის უბანსა და ცხინვალის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, — წერდა, მაგალითად, მაზრის უფროსი ლეონტიევი 1903 წ. 28 აპრილს, — მრავალ სოფელში იწყება გლეხთა ძლიერი მოძრაობა; პროკლამაციები სულ უფრო და უფრო მეტ რაიონში ვრცელდება და მოსახლეობა იწყებს ამ პროკლამაციებით დაინტერესებას, მალავს მათ მამასახლისებისა და ბოქაულებისაგან"[1].

1 მაისს (18 აპრილს) გორში ქალაქგარეთ გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია; აღმართეს წითელი დროშა და წარმოთქვეს სიტყვები. იქვე 7 ივლისს მოეწყო აშკარა პოლიტიკური დემონსტრაცია გორიდან პოლიტიკური პატიმრების გადაგზავნასთან დაკავშირებით. 14 ივლისს სადგურ მიხაილოვოში (ხაშური) გაიმართა მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელსაც ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა ტყვია დაუშინეს. მოკლულ იქნა 14 კაცი, დაიჭრა 15. ამასთან დაკავშირებით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. № 17, ს. 721, გვ. 14

„... ორშაბათს, 14 რიცხვს, სადგურ მიხაილოვოში სისხლიანი დრამა დატრიალდა. თავისი სისასტიკით და მსხვერპლთა რაოდენობით მან დიდად გადააჭარბა თბილისში გამეფებულ საშინელებას. იქ მუშები გაიფიცნენ ერთსა და იმავე დღეს თბილისელ მუშებთან ერთად. ისინი პირველად დადგნენ ბრძოლის წითელი დროშის ქვეშ და შეძახილებით „ძირს თვითმპყრობელობა“ 500-მდე კაცმა დაბის ყველა ქუჩა შემოიარა“[1]. სადგურ მიხაილოვოში მომხდარ ამბავთან დაკავშირებით რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატებმა გლეხთა მასებში ფართო სააგიტაციო მუშაობა გააჩაღეს. სოციალ-დემოკრატების მუშაობის ერთ-ერთი შედეგი იყო სოფ. დირბის გლეხთა გამოსვლა. მათ აშკარად უარი თქვეს გადასახადის მიცემაზე მონასტრისათვის და მის მოურავს განუცხადეს: ჩვენ „არ გვსურს არც მემამულეები, არც მღვდლები და არც სხვა ვინმეო“. ამის გამო გორის მაზრის უფროსი 1903 წ. 31 ივლისს თბილისის გუბერნატორს სწერდა:

„სოფელ დირბში მოხდა არეულობა მონასტრისადმი გლეხთა აგრარული დამოკიდებულების ნიადაგზე, ვიღაც ჩამოსულის მიერ მოსახლეობაში გაწეული პროპაგანდის გამო“. ეს პირი, — ნათქვამია შემდეგ მოხსენებით ბარათში, — „აგროვებდა თავის მიმდევრებს, წინადადებას იძლეოდა ხელი მოეწერათ საგანგებო ფურცელზე, რომლის შინაარსი დაახლოებით შემდეგია: ყველა ხელმომწერი და ჩვენი თანამოაზრე უნდა ემსახურებოდეს საერთო საქმეს, იმოქმედოს იმ მიზნით, რომ მოვიშოროთ კაპიტალისტებისა და მემამულეების უღელი, თუნდაც სიცოცხლის ფასად“[2].

ს. დირბის გლეხთა გამოსვლის საქმეზე პასუხისგებაში მისცეს 27 კაცი. აღსანიშნავია აგრეთვე სოფელ ბერშუეთის გლეხების გამოსვლა 1903 წ. ნოემბერში. ამ სოფლის 145 კომლმა გადაწყვიტა ბოიკოტი გამოეცხადებინა მემამულეებისათვის, არ დამორჩილებოდა ხელისუფლების ორგანოებს, არ გადაეხადა გადასახადები. სოფელ ბერშუეთის გლეხების „დასამშვიდებლად“, მას შემდეგ რაც იქიდან გამოაძევეს ჩაფრები, გაიგზავნა ჯარის სამი ასეული.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანომ „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელმა“ სოფ. ბერშუეთის გლეხების გამო-

---

[1] «Всеобщая стачка на юге России в 1903 году». საბუთების კრებული, გვ. 65-66.

[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 36, ს. 583, ფ. 52—71

სვლას სპეციალური წერილი მიუძღვნა, რომელშიც აღნიშნავდა, რომ გლეხებს აღარ სურთ მორჩილებდნენ მეფესა და მემამულეებს, და მოუწოდებდა მათ კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმულიყვნენ და გამსჭვალულიყვნენ იმის რწმენით, რომ მემამულეებისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული განმათავისუფლებელი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა[1].

1903 წლის აპრილ-აგვისტოში გლეხთა გამოსვლები მოხდა დუშეთის მაზრაში, გლეხებმა მოიწვიეს სამაზრო ყრილობა, სადაც დაადგინეს გამოეცხადებინათ მემამულეებისათვის ბოიკოტი, არ ემუშავნათ მათ მიწაზე, არ გადაეხადათ ღალა, ხელთ ეგდოთ მემამულეთა მიწები. მაზრაში გაიგზავნა ჯარის ნაწილები.

ბორჩალოს მაზრაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. ახფათის გლეხების გამოსვლა. მათ შეწყვიტეს მემამულეთა მიწების დამუშავება, დაეპატრონენ სათიბებს. 1903 წლის ნოემბერში აქ მოხდა შეტაკება გლეხებსა და პოლიციელთა რაზმს შორის, რის შედეგადაც მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე გლეხი. 1903 წელს გლეხთა გამოსვლები მოეწყო სიღნაღისა და თბილისის მაზრებში.

პოლიციის მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ თბილისის მაზრის სოფ. ხაშმის გლეხთა გამოსვლებს ხელი შეუწყეს „ადგილობრივმა გლეხმა გიორგი შაქარაშვილმა, რომელიც ხშირად დადიოდა თბილისში, და აგრეთვე რკინიგზის მუშებმა ადგილობრივი გლეხებიდან — თევდორაშვილმა და გოგიევმა“. შემდეგ ბარათში აღნიშნულია, რომ თბილისიდან ჩამოსული პირები „აქეზებდნენ გლეხებს მოეწყოთ ლაშქრობა თბილისში და შეერთებოდნენ იქ მუშათა მოძრაობას“. მემამულეთა მიწები ხელთ იგდეს სოფელ ხატისთელეთის გლეხებმა. სოფლების ტაბახმელისა და შინდისის გლეხებმა, როგორც კი გაიგეს თბილისისა და სხვა ქალაქების მუშათა გაფიცვების ამბავი, დაიწყეს მემამულეთა მიწების დატაცება და განაცხადეს, რომ „ამიერიდან მთელი მიწა გლეხებს ეკუთვნისო“.

1903 წლის შემოდგომაზე ახალგაზრდობის ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა სპეციალური პროკლამაცია ახალწვეულთა შორის გასავრცელებლად. რევოლუციური სოციალ-დემოკრატები განუმარტავდნენ

---

[1] „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“, 1903. № 5-6.

ახალწვეულებს არმიის როლს ცარიზმის დროს და მათ მოვალეობას მშრომელი მასების მიმართ. ისინი მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს მუშებთან და გლეხებთან ერთად ებრძოლათ ცარიზმის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ დემოკრატიული წყობილების დამყარებისათვის. ქვეყნად არსებული ვითარებისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის მუშაობის შედეგად საქართველოში ყველგან იმართებოდა ახალწვეულთა დემონსტრაციები. 4 ნოემბერს ასეთი დემონსტრაცია მოეწყო ოზურგეთის მაზრის დ. ჩოხატაურში. დემონსტრანტებმა აღმართეს წითელი დროშა და რევოლუციური სიმღერებით ჩაიარეს დაბის მთავარ ქუჩაზე. ახალწვეულთა დემონსტრაციები გაიმართა ლანჩხუთში და ქ. ოზურგეთში. აქ დემონსტრანტებმა იმის გამო, რომ ნამდვილი დროშა არ ჰქონდათ, ჯოხზე მიაბეს წითელი თავშალი, მაღლა ასწიეს იგი და ასე შემოიარეს ქუჩები. დემონსტრანტები წყევლიდნენ მეფეს, იმ დროინდელ რეჟიმს და ხმამაღლა გაიძახოდნენ: „ჩვენგან ნურაფერს სანუგეშოს ნუ მოელითო“.

8 ნოემბერს თბილისის გუბერნიის ქ. სიღნაღში ახალწვეულებმა ჯოხზე მიბმული წითელი თავშალით გაიარეს ქალაქის ქუჩებში შეძახილებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს თავისუფლებას!“, „ძირს სალდათობა“!

ახალწვეულებმა შეფიცეს ერთმანეთს არასოდეს არ დაეშინათ ტყვია მუშებისა და საერთოდ „მეამბოხეებისათვის“. ახალწვეულთა განსაკუთრებით ძლიერი დემონსტრაცია მოეწყო ბათუმში 1903 წლის 19 ნოემბერს, სანამ მათ გემში ჩასხამდნენ. აქ თავი მოიყარა 2000-მდე ახალწვეულმა სიღნაღის, თელავის, გორის, სენაკის, ზუგდიდის, რაჭის, ოზურგეთისა და სხვა მაზრებიდან. მიუხედავად ხელისუფალთა მიერ წინასწარ მიღებული ღონისძიებებისა, ახალწვეულებმა შეძლეს შეერთება რკინიგზის პლატფორმის მახლობლად, აღმართეს წითელი დროშა და ნავსადგურამდე ორგანიზებულად მიდიოდნენ შეძახილებით: „ძირს მეფე, გაუმარჯოს სახალხო მმართველობას“, „ძირს სალდათობა“! და ა. შ. როცა ყველა ახალწვეული ერთად შეკრიბეს, კვლავ აღიმართა წითელი დროშა და ყველამ ერთხმად შესძახა: „ძირს ხელისუფლება! ვაშა!“[1].

გლეხთა მოძრაობა კიდევ უფრო შეგნებულ და ორგანიზებულ ხასიათს იღებს საქართველოს მრავალ რაიონში 1904 წელს.

---

[1] ფურცელი «Борьба пролетариата», 1904, № 5-6,



ბოლშევიკური არალეგალური სტამბის საბეჭდი დაზგა

1904 წელს ოზურგეთის მაზრაში გლეხთა მოძრაობის ხასიათის განსაზღვრისას ხელისუფალნი იძულებული იყვნენ აღენიშნათ, რომ „გარეგნულად... მოძრაობა კარგავს თავის აგრარულ ხასიათს და გამოხატულებას პოულობს მხოლოდ და მხოლოდ პროტესტებში არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ"[1].

1904 წ. აპრილში გამოიცა და ფართოდ გავრცელდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაცია კავკასიის ყველა მუშის, მუშა-ქალისა და გლეხისადმი. პროკლამაცია მოუწოდებდა მათ ორგანიზებული მონაწილეობა მიეღოთ პირველი მაისის დღესასწაულში. მასში ნათქვამი იყო: „... რუსეთის პროლეტარიატი 1 მაისს მეტის გაბედულებით და მეტის ზიზღით აღჭურვილი გამოვა ქუჩაზე და იერიშს მიიტანს თვითმპყრობელობაზე; ის უშიშრად და ხმა-მაღლა განაცხადებს, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს იმ მძარცველებთან, რომელნიც მეფის გარს შემოგროვილან და ხალხის სახელით ახალ საზიზღრობას სჩადიან. ის მოითხოვს მშვიდობიანობას და თავისუფლებას.

და თქვენ, გლეხებო! თქვენ კი გულ-გრილად უცქერით ჩვენ ბრძოლას?!

არა! თქვენ ისე, როგორც შარშან, ბანი მიეცით პროლეტარიატის მებრძოლ ხმას და საერთო ძალით თავზარი დავცეთ ჩვენ საუკუნოებით მძარცველ მთავრობას!"[2].

მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციებთან ერთად საქართველოს ბევრ რაიონში ეწყობოდა გლეხთა გამოსვლებიც. მაგალითად, გორის მაზრის ცხინვალის რაიონში, საყინულეში მოეწყო საპირველმაისო მიტინგი, სადაც წარმოთქვეს მუშათა საერთაშორისო სოლიდარობისადმი მიძღვნილი სიტყვები.

ჯერ კიდევ 1904 წლის იანვარში გურიის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა მოიწვია კონფერენცია, რომელმაც დაადგინა მთელ ოზურგეთის მაზრაში გამართულიყო დღესასწაული მუშათა საერთაშორისო დღის—1 მაისის აღსანიშნავად.

კონფერენციამ დაადგინა აგრეთვე გაძლიერებული ყოფილიყო ბოიკოტი მემამულეების, სამღვდელოებისა და მთავრობის ყველა დაწესებულების მიმართ, შესდგომოდნენ მიწების ხელში ჩაგდებას რევოლუციური გზით და რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოების შექნას.

---

[1] საქართველოს სსრ აცსი, ფ. 1, ს. 66.

[2] „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები" 1904—1906 წწ., გვ. 17-18.

1904 წლის 1 მაისს ოზურგეთის მაზრაში გაიმართა გლეხთა მასობრივი დემონსტრაციები. გლეხები ვერ შეაჩერა ტყვიამ და მათრახმა, რომლითაც მთავრობას სურდა დემონსტრანტების დაშინება. ჩაფრებმა სროლა აუტეხეს დემონსტრაციას, რომელიც სოფელ ხიდისთავში დაიწყო და ორგანიზებულად მიემართებოდა დაბა ჩოხატაურისაკენ, იერთებდა რა გზადაგზა ყველა მეზობელი სოფლის გლეხებს. სროლის შედეგად მოკლულ იქნა გლეხი ფოცხიშვილი და სასიკვდილოდ დაიჭრა მკერდში გლეხი იესე კალანდაძე. „ის იცლებოდა სისხლისაგან, — ნათქვამი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში, — მარა დაივიწყა თავისი თავი, დაივიწყა თავისი წვრილ-შვილიანი ოჯახი და სიცოცხლის უკანასკნელი წუთიც მუშათა საქმეს უძღვნა. „დამტოვეთ მე, ამხანაგებო — სთქვა მან — მე აქ უნდა მოვკვდე. თქვენ კი გასწით წინ, იბრძოლეთ ბოლომდე, უკანასკნელ წუთამდე. როცა დადგება დღე რევოლიუციისა, ჩემი ძვლები მიწიდან ამოხეთქს და თქვენთან ერთად შეებრძოლება მტარვალებს“... განისვენეთ მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგებო!... თქვენ მიერ ნაანდერძევი სიტყვები ცეცხლივით ანთებს დარჩენილ მებრძოლთ!... წითელი დროშა როდი დაეშვა ჯალათთა წინაშე!... ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“[1].

გლეხთა მოძრაობა საქართველოში 1902—1904 წლების პერიოდში მუშათა რევოლუციური მოძრაობის ძლიერი ზეგავლენით მიმდინარეობდა. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ქვეყნის ცალკეულ რაიონებში გლეხთა მოძრაობამ ორგანიზებული და შეგნებული ხასიათი მიიღო. რუსეთის პირველი რევოლუციის წინახანებში გლეხთა მოწინავე ნაწილში პოპულარული გახდა ბრძოლის ისეთი ფორმა, როგორიცაა დემონსტრაცია.

რსდმპ II ყრილობის მიერ მიღებულ აგრარულ პროგრამაში წამოყენებული იყო ისეთი ამოცანები, როგორიცაა წოდებრივი გადასახადების გაუქმება, მიწის საიჯარო ქირის დაკლება, გადახდილი გამოსასყიდი თანხებისა და ჩამონაჭრების დაბრუნება და გლეხთა კომიტეტების შექმნა ბატონყმურ ურთიერთობათა ნაშთების აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებით ხაზგასმით იყო აღნიშნული კავკასიის გლეხებისათვის იმ მიწების გადაცემის აუცილებ-

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინ-ის საქართველოს ფილიალის პროკლამაციების ფონდი. რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტის პროკლამაციები.

ლობა, რომლებითაც ისინი სარგებლობდნენ როგორც დროებითვალდებულები, ხიზნები და ა. შ.[1].

რევოლუციისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყრილობის მიერ აგრარულ-გლეხურ საკითხში ლენინური პრინციპების მიღებას, ლენინის მოძღვრებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია მხარი დაეუჭიროთ გლეხობას ყველა მისი რევოლუციური ღონისძიების განხორციელებაში და ამავე დროს დავიცვათ სოფლის პროლეტარიატის დამოუკიდებელი ინტერესები და დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მან ნათელი და მკაფიო მითითება მისცა ბოლშევიკებს იმის შესახებ, თუ როგორ წარემართათ მუშაობა სოფლად.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ 1904 წლის დეკემბერში გამოშვებულ პროკლამაციაში ხაზგასმულია პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში დემოკრატიული რესპუბლიკის გამარჯვებისათვის.

მოწოდებაში „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“, რომელიც 1905 წლის იანვარში გამოიცა, ი. ბ. სტალინი წერდა:

„რუსეთის რევოლუცია გარდუვალია. იგი ისევე გარდუვალია, როგორც გარდუვალია მზის ამოსვლა! განა შეგიძლიათ შეაჩეროთ მზის ამოსვლა? **ამ რევოლუციის მთავარი ძალაა ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატი, ხოლო მისი მედროშე — სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია...**“[2].

[1] „КПСС в резолюциях“, 1953 წ., ნაწ. 1, გვ. 42-43.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 77.

4

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოღვაწეობა 1905 წლის წინახანებში

რსდმპ კავკასიის კავშირმა თავისი ჩამოყალიბებისთანავე გააჩაღა დიდი მუშაობა, რათა უზრუნველეყო ხელმძღვანელობა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იქმნებოდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, რიც საშუალებას იძლეოდა რუსი, ქართველი, სომეხი და სხვა მუშების ჩასაბმელად მძლავრი პროლეტარული მოძრაობის ერთიან კალაპოტში. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი დიდ მუშაობას ეწეოდა კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში საპირველმაისო დემონსტრაციების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. 1903 წელს გამოშვებულ იქნა სპეციალური საპირველმაისო პროკლამაცია, რის გამოც ლენინური „ისკრა“ წერდა:

„კავკასიაში 1 მაისის წინახანებში დიდი რაოდენობით გავრცელდა პროკლამაცია კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა კავშირისა, რომელიც შეიქმნა პარტიის სამი კომიტეტის (ბაქო, ბათუმი, თბილისი) შეერთების შედეგად. პროკლამაცია, სხვათა შორის, მიმართავს კავკასიის გლეხებს და მოუწოდებს მათ „გამოვიდნენ უბადრუკი სოფლებიდან და ჩავიდნენ 1 მაისს ქალაქში“. პროკლამაცია განუმარტავს გლეხებს, რომ მათი ხსნაა პროლეტარულ მოძრაობასთან შეერთება“[1].

1903 წ. მაისში ქ. ქუთაისში მოწვეულ იქნა ბათუმისა და ქუთაისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების კონფერენცია. კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა რსდმპ კავკასიის კავში-

[1] „ისკრა“, 1903, № 40.

რის კომიტეტის წევრის ა. წულუკიძის ხელმძღვანელობით. შექმნილ იქნა რსდმპ ქუთაისის კომიტეტი, უმთავრესად ჭიათურის, ტყიბულისა და ქუთაისის მუშებში სამოქმედოდ, და გურიისა და იმერეთის სოფლის მუშათა კომიტეტები. ივნისში ქუთაისის კომიტეტი და იმერეთის სოფლის მუშათა კომიტეტი გაერთიანდნენ ერთ კომიტეტად—რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის სახელწოდებით. მაისიდან დაიწყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანოს—„პროლეტარიატის ბრძოლის“ გამოცემა. 1903 წლის ივლისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ხელმძღვანელობს ამიერკავკასიის მუშების ცნობილ საყოველთაო გაფიცვას.

რსდმპ II ყრილობაზე პროგრამული და ორგანიზაციული საკითხების გამო ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ ვ. ი. ლენინის ბრძოლის შედეგად მოხდა გამიჯვნა რსდმპ რევოლუციურ ნაწილს—ბოლშევიკებსა და მის ოპორტუნისტულ ნაწილს—მენშევიკებს შორის.

ამიერკავკასიაში II ყრილობის შემდეგ პარტიული ორგანიზაციების უმრავლესობა ლენინს მიემხრო.

1903 წლის ოქტომბერში გაიმართა რსდმპ კავკასიის კავშირის II ყრილობა. რსდმპ კავკასიის კავშირმა დაგმო მენშევიკების დეზორგანიზატორული საქმიანობა, გააძევა ისინი თავისი წრიდან და აირჩია ახალი საკავშირო კომიტეტი, რომელიც მთლიანად ლენინური პოზიციებზე დადგა. რსდმპ კავკასიის კავშირმა მკაცრად დაგმო მენშევიკური „ისკრა“, რომელიც „პირადი ანგარიშების გასწორების ასპარეზად“ გადაიქცა, და მოითხოვდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტისაგან არაფერი არ დაეთმო უმცირესობისათვის და დაუყოვნებლივ დაეწყო პარტიული ყრილობის მზადება.

1904 წლის იანვარში ი. ბ. სტალინი გამოიქცა გადასახლებიდან და იმავე წლის თებერვალს უკვე თბილისში იყო. აქ იგი სათავეში ჩაუდგა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, ასრულებდა ლენინის მითითებებს, მტკიცე და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი მტკიცედ ახორციელებდა მენშევიკებთან განხეთქილების ხაზს; მან გაწყვიტა კავშირი რსდმპ ცენტრალურ კომიტეტთან, რომელიც მენშევიკების ხელში იყო.

1904 წლის ნოემბერში თბილისში გაიმართა კავკასიის კომიტეტების ბოლშევიკური კონფერენცია (15 დელეგატის შემადგენლო-

ბით). მან გადაჭრით დაგმო მენშევიკების ანტიპარტიული და დეზორგანიზატორული საქმიანობა და გამოიტანა გადაწყვეტილება რსდმპ III ყრილობის მოწვევის შესახებ, რისთვისაც არჩეულ იქნა ბიურო. ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის უძნიშვნელოვანეს ცენტრებში—ბაქოში, თბილისში, ბათუმში, ჭიათურაში, ქუთაისში და სხვ. ბოლშევიკები დაუღალავ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკებსა და რევოლუციური მარქსიზმის სხვა მტრებთან.

რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი ასევე ბოლშევიკურ პოზიციებზე იდგა. მენშევიკებმა მოიკალათეს რსდმპ თბილისის კომიტეტში, რომელიც არ ასრულებდა კავკასიის კავშირის კომიტეტის ბოლშევიკურ დირექტივებს. 1905 წლის 17 იანვარს მან მიიღო გადაწყვეტილება რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტიდან გამოსვლის შესახებ. უკანასკნელმა წინადადება მისცა თბილისის კომიტეტს უკან წაეღო თავისი განცხადება, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა დაეშალა მენშევიკური კომიტეტი.

რსდმპ შიგნით ბრძოლა ორ ხაზს—რევოლუციურ—ბოლშევიკურ და ოპორტუნისტულ—მენშევიკურ ხაზებს შორის განსაკუთრებით მწვავდება რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (1905—1907).

კავკასიის კავშირის კომიტეტს 1903 წლის შემოდგომისათვის თბილიშსი ჰქონდა ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელიც ბოლშევიკური არალეგალური ტექნიკის ნიმუშს წარმოადგენდა და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობისათვის.

ამ სტამბაში დაბეჭდილი იყო ვ. ი. ლენინის შრომები—„პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“, „სოფლის ღარიბი გლეხობისადმი“ და სხვა; ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ის შრომები — „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „ორი შეჯახება“ და სხვ. ავლაბრის სტამბაში დაიბეჭდა რსდმპ პროგრამა, მიღებული პარტიის II ყრილობაზე, რსდმპ წესდება, მიღებული პარტიის III ყრილობაზე, ათეული პროკლამაცია და მოწოდება. არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში იბეჭდებოდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო—„პროლეტარიატის ბრძოლა“, „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“. ეს გაზეთები, აგრეთვე წიგნები, ბროშურები, ფურცლები იბეჭდებოდა რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე მრავალათასიანი ტირაჟით და არალეგალურად ვრცელდებოდა ამიერკავკასიასა და რუსეთის სხვა ადგილებში.

ავლაბრის არალეგალური სტამბა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელში წარმოადგენდა მძლავრ იარაღს მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი რევოლუციური იდეების პროპაგანდის საქმეში.

შესანიშნავად ორგანიზებულმა კონსპირაციამ ხელი შეუწყო ბოლშევიკებს ხანგრძლივად შეენარჩუნებიათ ეს სტამბა. კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო ოფიციალურ საანგარიშო მოხსენებაში აღენიშნა, რომ „ასეთი საიდუმლო მოწყობა (სტამბისა) გამორიცხავდა მისი ჩვეულებრივი წესით აღმოჩენის ყოველგვარ შესაძლებლობას“.

1905—1907 წლების პერიოდში გამოდიოდა მთელი რიგი გაზეთები: „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“ (ორივე რუსულ, ქართულ, სომხურ ენებზე), „ახალი დროება“, „დრო“, „ახალი ცხოვრება“, „მნათობი“, „ჩვენი ცხოვრება“—ქართულ ენაზე, „კაიც“ („ნაპერწკალი“), „ნორ-ხოსოკ“ („ახალი სიტყვა“)—სომხურ ენაზე. ბაქოში გამოდიოდა „ბაკინსკი რაბოჩი“, „ბაკინსკი პროლეტარი“, „გუდოკ“—რუსულ ენაზე, „ბანვორ ძაინ“ („მუშის ხმა“)—სომხურ ენაზე, „კოჩ-დეკეტი“ („მოწოდება“)—აზერბაიჯანულ ენაზე.

ბოლშევიკურ პრესაში ი. ბ. სტალინთან ერთად მონაწილეობდნენ მ. ცხაკაია, ა. წულუკიძე, ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ფ. მახარაძე, ს. სპანდარიანი, გ. ორჯონიკიძე, მ. დავითაშვილი და სხვ. ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიაში ბოლშევიკების საგამომცემლო საქმიანობას. „პროლეტარიატის ბრძოლის“ პირველი ნომრების გამოშვების გამო გაზეთმა „პროლეტარიმ“, რომელსაც ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა, თავის სარედაქციო სტატიაში შემდეგი სიტყვებით აღნიშნა ეს ფაქტი:

„მხურვალედ მივესალმებით კავკასიის კავშირის საგამომცემლო მოღვაწეობის გაფართოებას და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს კავკასიაში პარტიულობის აღდგენის საქმეში“[1].

[1] „პროლეტარი“ 1905, № 12.

5

კლასობრივ ძალთა განლაგება 1905 წლის რევოლუციის წინახანაში

1904 წელს დაწერილ სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ ი. ბ. სტალინი ამბობს, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა კლასი გამოდის ბრძოლის ასპარეზზე და თითოეულ კლასს თავისებურად ესმის „ნაციონალური საკითხი“, XIX საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა ქართველი თავადაზნაურობა. იგი ცდილობდა უკუ მოეტრიალებინა ისტორიის ჩარხი, დაებრუნებინა ძალაუფლება ქართველი მეფეებისათვის, ხოლო თავადაზნაურობისათვის კი მისი პრივილეგიები და მთლიანად აღედგინა ის ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა, რომელიც არსებობდა რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე. „ეს იყო,—როგორც ი. ბ. სტალინმა განსაზღვრა,—**„ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმი“**[1].

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ღრმა ცვლილებების, ქალაქად და სოფლად საზოგადოებრივ კლასთა ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობის, გლეხთა გაძლიერებული რევოლუციური ბრძოლის ზეგავლენით თავადაზნაურული მოძრაობა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სრულიად შეწყდა და ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობა ცარიზმის მხეცური პოლიტიკის ერთგული გამტარებელი გახდა.

რევოლუციური მოძრაობის ზრდისა და რუსეთ-იაპონიის ომში ცარიზმის დამარცხების გავლენით ქართველმა თავადაზნაურობამ მორიდებულად დაიწყო ლაპარაკი ზოგიერთი რეფორმის განხორ-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32.

მ. კალინინი

ციელების სასურველობაზე. მაგალითად, ქუთაისის თავადაზნაურობამ თავადაზნაურობის წინამძღოლ თავად წერეთლის მეშვეობით წინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა ბარათი, რომლითაც ითხოვდა შემოეღოთ საქართველოში ერობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტი, ნება დაერთოთ, რათა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეები განხილულიყო ქართულ ენაზე, გაეუქმებინათ ქართველთა მიერ სამშობლოში სახელმწიფო სამსახურის შესრულებასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვანი, შემოეღოთ დაწყებით სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება და ა. შ.

1905 წლის 1 აპრილს თბილისის თავადაზნაურობამ თავის საგანგებო კრებაზე დაადგინა „მოწოწებით ეთხოვნა" მეფის მთავრობისათვის, რათა მას ებოძებინა „ქართველი ხალხისათვის" თვითმმართველობა, ამასთან იგულისხმება ისეთი თვითმმართველობა, როდესაც საქართველოს სათავეში ჩაუდგებოდა ქართველი თავადაზნაურობა. მაგრამ როცა ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართული მუშათა და გლეხთა ბრძოლა ფართოდ გაჩაღდა, ქართველმა თავადაზნაურობამ უშუალო მონაწილეობა მიიღო რევოლუციური მოძრაობის ჩახშობაში, ცარიზმის დასახმარებლად სპეციალური თავადაზნაურული, ეგრეთ წოდებული „შავი რაზმების" შედგენის გზით.

მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლისადმი ქართველი თავადაზნაურობის დამოკიდებულებას ნათელყოფს თუნდაც ზუგდიდის მაზრის თავადაზნაურობის კრების ანგარიში:

„კრების უმრავლესობას შეადგენენ ისინი, ვისაც სასტიკი, ჯოჯოხეთური ზომებით სურს დღევანდელი მოძრაობის ჩაქრობა. ამათ შორის თავი უსახელებია ვლ. ალშიბაიას, თ-დ მინგრელსკის მამულების გამგეს. აი რა უთქვამს ამ ვაუბატონს: „გლეხს დღეს არაფერი გაჭირება არ ადგია. იგი ცხოვრობს სრულ კმაყოფილებაში, და სამწუხაროთ ვერ შეუგნია თავისი ბედნიერი მდგომარეობა, აყოლია ფეხის ხმას და დადგომია საზიზღარ გზას... როდესაც დაიწვება ერთი აზნაურის და თავადის ოჯახი, უნდა დაიწვას ასი გლეხის ოჯახი. როდესაც მოკლული იქნება ერთი ჩვენთაგანი, უნდა მოიკლას ათასი გლეხი; მათი დამშვიდება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა აქ იქნქ-იგრიალებს თოფ-ზარბაზანი!"[1].

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებამ, რამაც წარმოშვა ნაციონალური ბურჟუაზია, ხელი შეუწყო ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას.

[1] გაზ. „მოგზაური", 1905, № 13.

„თანამედროვე საზოგადოებრივმა ცხოვრებამ,—წერს ი. ბ. სტალინი,—წამოაყენა ჩვენში ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი, როცა ნორჩმა ქართველმა ბურჟუაზიამ იგრძნო, თუ რა ძნელია მისთვის თავისუფალი კონკურენცია „უცხოელ“ კაპიტალისტებთან, ქართველი ნაციონალ-დემოკრატების პირით ატიტინდა **დამოუკიდებელ საქართველოზე.** ქართველ ბურჟუაზიას უნდოდა საბაჟო წრე შემოეკეტა ქართული ბაზრისთვის, ძალით გაედევნა ამ ბაზრიდან „უცხოელი“ ბურჟუაზია, ხელოვნურად აეწია საქონლის ფასები და ასეთი „პატრიოტული“ ხრიკებით ლელო გაეტანა გამდიდრების მოედანზე“[1].

ნაციონალური ბურჟუაზია სისტემატურ ნაციონალურ-შოვინისტურ პროპაგანდას ეწეოდა, რათა შუღლი ჩამოეგდო მშრომელთა შორის, პირველ რიგში კი მრავალეროვნებიანი ამიერკავკასიის მუშებს შორის. ნაციონალური ბურჟუაზია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში აღმოჩნდა კონტრრევოლუციის ბანაკში და მას არ შეეძლო რევოლუციური მოძრაობის სათავეში ჩადგომა. ეს აიხსნება იმით, რომ ქართველმა ნაციონალურმა ბურჟუაზიამ პოლიტიკურად ჩამოყალიბება დაიწყო იმ პერიოდში, როდესაც ნაციონალური პროლეტარიატი, განუყრელად დაკავშირებული რუსეთის მუშათა კლასთან, უკვე გამოვიდა როგორც მძლავრი პოლიტიკური ძალა, მიზნად დაისახა რა მოესპო არა მარტო ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრა, არამედ მთელი კაპიტალისტური წყობილებაც. ნაციონალურ ბურჟუაზიას კლასობრივი ინტერესები უბიძგებდნენ რუსეთის ბურჟუაზიასთან შეერთებისაკენ, რამდენადაც მათ შორის სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ეკონომიური ინტერესების ერთიანობა.

„...ჩვენი ეკონომიური განვითარება,—წერდა ი. ბ. სტალინი,—თანდათან ხიდსა სდებს ქართველი ბურჟუაზიის მოწინავე წრეებსა და „რუსეთს“ შორის, ეკონომიურად და პოლიტიკურად აკავშირებს ამ წრეებს „რუსეთთან“ და მით ნიადაგს ურყევს ისედაც შერყეულ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს“[2].

გამოდიოდა რა მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ, საქართველოს ნაციონალური ბურჟუაზია ცარიზმთან ჩარჩულ გარიგებათა გზას დაადგა.

„ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პრივილეგიებისაო,—გაიძახიან ლიბერალები, ზურგს უკან კი მებატონეებს სცინცლავენ ხან ერთს ხან მეორე პრივილეგიას,—წერდა ვ. ი. ლენინი.

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 33—34.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 35.

ასეთია ყოველი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი—არა მარტო ველიკორუსული (იგი ყველაზე უარესია მისი ძალმომრეობითი ხასიათისა და ბატონ პურიშკევიჩებთან ნათესაობის წყალობით), არამედ პოლონური, ებრაული, უკრაინული, ქართული და ყოველი სხვა ნაციონალიზმიც. როგორც ავსტრიაში, ისე რუსეთში ყველა ერის ბურჟუაზია „ნაციონალური კულტურის“ ლოზუნგით სინამდვილეში ატარებს მუშების დაქუცმაცებას, დემოკრატიის დასუსტებას, მებატონეებთან ჩარჩულ გარიგებას ხალხის უფლებებისა და ხალხის თავისუფლების გაყიდვის შესახებ?“[1].

1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედებდა სოციალ-ფედერალისტების პარტია. ეს იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია, რომლის დამფუძნებელი კრება მოეწყო ჟენევაში 1904 წლის აპრილს. მისი ორგანო იყო გაზეთი „საქართველო“, რომელიც გამოდიოდა პარიზში 1903—1905 წლებში ქართულ და ფრანგულ ენებზე, და „ცნობის ფურცელი“, რომელიც გამოდიოდა თბილისში.

სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ ი. ბ. სტალინი სოციალ-ფედერალისტების პარტიაზე წერდა:

„რას წარმოადგენს ამ ახირებული სახელწოდების „პარტია“? „საქართველო“ გვიამბობს..., რომ წლეულს გაზაფხულზე საზღვარ გარეთ თავი მოიყარეს ქართველმა რევოლუციონერებმა: ქართველმა ანარქისტებმა, „საქართველოს“ მომხრეებმა, ქართველმა „სოციალ-რევოლუციონერებმა“ და... შეერთდნენ... „პარტიად“ ქართველი სოციალისტ-ფედერალისტებისა“... დიახ, სწორედ ანარქისტები, რომლებსაც სულითა და გულით ეზიზღებათ ყოველი პოლიტიკა, სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებიც აღმერთებენ პოლიტიკას, საქართველოისტები, რომლებიც უჯყოფენ ყოველ ტერორისტულ და ანარქისტულ ზომას,—აი, ეს ჭრელი და ერთმანეთის უარმყოფელი ხალხი, თურმე ნუ იტყვით, შეერთებულა... „პარტიად“! იდეალური სხვადასხვაობა, როგორსაც კი წარმოიდგენს როდისმე ადამიანი! აი, სად არ მოსწყინდება კაცს!“[2].

სოციალ ფედერალისტების „პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მეხოტბე იყო არჩილ ჯორჯაძე. იგი პრესაში იცავდა ერის შიგნით „საერთო ნიადაგისა“ და კლასობრივი მშვიდობის თეორიას, მოუწოდებდა მუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 19, გვ. 418.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 52—53.

შებსა და გლეხებს დაევიწყებინათ „შინაური უთანხმოებანი“ და კლასობრივი ბრძოლა დაემორჩილებინათ ბურჟუაზიულ-ნაციონალური მოძრაობის ინტერესებისათვის. ასეთივე პოზიცია ჰქონდა ქართველი „ლეგალური მარქსისტების“ ლიდერს ნ. ჟორდანიას.

„საერთო ნიადაგის“ გამანადგურებელი კრიტიკით გამოვიდა 1903 წელს რევოლუციური მარქსისტი ა. წულუკიძე თავის ცნობილ ბროშურაში „ოცნება და სინამდვილე“. ა. წულუკიძემ ურყევად ნათელყო, რომ „საერთო ნიადაგის“ თეორიასა და „ინტერესთა ჰარმონიის“ იდეოლოგიას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათი აქვს. ა. წულუკიძე თავის შრომაში გვიჩვენებს, რომ კაპიტალიზმის განვითარება ჰქმნის არა ნიადაგს კლასთა საერთო მოქმედებისათვის, არამედ უფსკრულს მათ შორის, რომ კლასობრივი მშვიდობა შეუძლებელია. ა. წულუკიძემ დაბეჯითებით ცხადყო, რომ იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაში არსებობდა შეურიგებელი წინააღმდეგობანი ბურჟუაზიახა და პროლეტარიატს, თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის და თვით გლეხობის შიგნითაც.

სოციალ-ფედერალისტური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის საპროგრამო მოთხოვნა იყო საქართველოს ავტონომია მეფის რუსეთის ფარგლებში.

აგრარულ საკითხში სოციალ-ფედერალისტებმა მთლიანად გადმოიღეს ესერებისაგან მათი პროგრამა—მიწის სოციალიზაცია. თუმცა სოციალ-ფედერალისტები სოციალიზმისა და „მშრომელი ხალხის კლასობრივი პარტიის“ ნიღბით გამოდიოდნენ, მაგრამ საქმით მათ არასოდეს არ უბრძოლიათ სოციალიზმისათვის, მუდამ უარყოფდნენ რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლას.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში სოციალ-ფედერალისტების პარტია მენშევიკებსა და ანარქისტებთან ერთიანი ფრონტით გამოდიოდა და ცდილობდა დაენგრია ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული ამიერკავკასიის მშრომელთა ერთიანი ინტერნაციონალური ფრონტი. ამიტომ. ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ როგორც მენშევიკების, ანარქისტებისა და ესერების წინააღმდეგ, ისე სოციალ-ფედერალისტების წინააღმდეგაც და სასტიკად დაამარცხეს ისინი იდეურად.

რსდმპ II ყრილობის შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბდა ოპორტუნისტული მენშევიკური ჯგუფი.

მაშინ, როცა ბოლშევიკები იბრძოდნენ სახალხო რევოლუციის გაშლისა და მისი გამარჯვებისათვის, ცარიზმისა და მემამულეების უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის, მენშევიკები იცავდნენ რევოლუციაში ლიბერალური ბურჟუაზიის ჰეგემონიას, რევოლუციის შეკვეცას, გამოდიოდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მამოძრავებელი ძალების ხასიათის ბოლშევიკური შეფასების წინააღმდეგ, შეიარაღებული აჯანყებისა და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნის წინააღმდეგ.

თავის შრომებში, დაუნდობლად ამხილებდა რა რუსეთისა და საერთაშორისო მენშევიზმს, რომელიც ჩაეფლო შემთანხმებლობის ჭაობში და გადაიქცა ბურჟუაზიის აგენტურად მუშათა მოძრაობაში, ლენინი არაერთხელ შეხებია ქართველ მენშევიზმსაც.

1905 წლის აპრილში კავკასიის მენშევიკების კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია დროებით რევოლუციურ მთავრობაში მონაწილეობის უარყოფის შესახებ. ამის გამო ლენინი თავის ცნობილ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ წერდა: „ორ მოკლე სტრიქონში კავკასიელმა ახალისკრელებმა შესძლეს გამოეთქვათ რევოლუციის მიმართ გამცემლობის ტაქტიკის მთელი რაობა, ბურჟუაზიული კლასების უბადრუკ მაჩანჩალად პროლეტარიატის ვადაქცევის ტაქტიკის მთელი რაობა. ის, რაც ჩვენ ზემოთ ახალისკრელობის შეცდომებიდან გამოვიყვანეთ, როგორც ტენდენცია, აქ უკვე ნათელ და გარკვეულ პრინციპამდეა აყვანილი: ეს არის მონარქისტული ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალი“[1].

1904 წლის იანვარში დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. იაპონიასთან ომისაკენ „მეფის მთავრობას... უბიძგებდნენ მსხვილი ბურჟუზია, რომელიც ახალ ბაზრებს ეშებდა, და მემამულეთა ყველაზე რეაქციული ფენები“[2].

ცარიზმს, რომელიც პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, სურდა რევოლუციის თავიდან აცდენა. მენშევიკებმა დაიკავეს „სამშობლოს“, მეფის რუსეთის დაცვის ობორონცული პოზიცია.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 9, გვ. 103.

[2] სკპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 68.

ბოლშევიკები თანმიმდევრობით იცავდნენ ლენინურ ხაზს, რომელიც მიმართული იყო ცარიზმის დამარცხებისაკენ ომში და მოუწოდებდნენ მასებს შეიარაღებული ბრძოლისაკენ.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის ერთ-ერთ პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„რამდენიც არ უნდა გვიძახონ: „არა-პატრიოტნი", „შინაური მტრები",—...ნუ შეგვაცდენს და შეგვაშინებს ხალხის ჯალათი ნიკოლოზ მეორე, ან მისი მინისტრები, ან ეს ჩვენი კავკასიის მხეცი—გოლიცინი. ვისურვოთ, რომ ეს ომი ყირიმის ომზე უარესი შეიქნეს რუსეთის თვითმპყრობელობისათვის... მაშინ ბატონყმობა დაიმხო, ახლა ამ ომის შედეგი კი ბატონ-ყმობის ღვიძლი შვილი-თვითმპყრობელობა თავის აყროლებულ მძოვრ პოლიცია-ჟანდარმებით—დავმარხოთ! ვისურვოთ ეს და კიდეც ვიმოქმედოთ, ამხანაგებო!".

ბოლშევიკებმა გააჩაღეს ფართო აგიტაცია და პროპაგანდა ჯარისკაცებში, მოუწოდებდნენ მათ მხარი დაეჭირათ მუშებისა და გლეხების ბრძოლისათვის მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაციაში „ძმებო, სალდათებო!" ნათქვამი იყო: „...და თქვენც, დატანჯულო ძმებო, სალდათებო, თქვენც ვალდებული ხართ ჩვენთან ერთად ებრძოლოთ სულის შემხუთველ თვითმპყრობელობას... მხოლოდ თქვენი იმედია აქვს თვითმპყრობელობას და თუ თქვენც მიატოვებთ მას, ის ვერ გაუძლებს თავის სიმძიმეს და დაიმსხვრევა"[1].

რუსეთ-იაპონიის ომში ცარიზმის დამარცხების, მთელს ქვეყანაში რევოლუციის ზრდის და ერობელების ლიბერალური მოძრაობის ზეგავლენით საქართველოშიც იწყება ნაციონალური ბურჟუაზიისა და ცალკეული თავადაზნაურული ჯგუფების გამოსვლები.

ბანკეტებზე, რომლებიც ეწყობოდა 1904 წლის დამლევსა და 1905 წლის დამდეგს თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ლიბერალურად განწყობილი ბურჟუაზიული და თავადაზნაურული ელემენტები გამოთქვამდნენ გაუბედავ სურვილებს ცალკეული რეფორმის განხორციელების შესახებ.

ამ დროისათვის გააქტივდა ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოებაც. მისმა ზედაფენამ დააყენა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. უმაღლესი სამღვდელოების ნამდვილი მიზანი ის იყო, რომ გაეფართოებინა თავისი პრივილეგიები, რაც

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფ. 33, ს. 63.

მან დაკარგა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. 1906 წელს ქუთაისში გამოიცა წიგნი „სიმართლე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“, რომლის ავტორი არ იყო დასახელებული. ამ წიგნის ანონიმური ავტორის გამოანგარიშებით მეფის მთავრობამ ქართულ ეკლესიას ჩამოართვა მთელი მიწა, რის ნაცვლადაც მას ყოველწლიურად ეძლეოდა ხაზინიდან 106.000 მანეთი, ანუ საშუალოდ წელიწადში 19 კაპიკი დესეტინა მიწაში. აძავე დროს, ავტორის აზრით, დესეტინას იმ დროისათვის უნდა მიეცა შემოსავალი 30 მანეთის რაოდენობით და ამის შემაბამისად საქართველოს სამღვდელოება მიიღებდა 16.189.485 მანეთს.

მშრომელთა მასებში სამღვდელოების მოთხოვნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ არავითარი პოპულარობით არ სარგებლობდა.

რევოლუციური მოძრაობის ზრდის, გლეხობის მიერ საეკლესიო-სამონასტრო მიწების მისაკუთრების, „დრამის ფულის“ გადახდაზე უარის თქმის გამო ქართველი სამღვდელოება ისე, როგორც ნაციონალური ბურჟუაზია და თავადაზნაურობა, თვითმპყრობელურ-ექსპლოატატორული წყობილების დამცველთა რიგებში იდგა.

საქართველოს სინოდალურმა კანტორამ, რომელიც ხელმძღვანელობდა ეკლესიას საქართველოში, და ქართული ეკლესიის მეთაურმა-ეგზარქოსმა 1905 წლის თებერვლის დამდეგს შეიმუშავეს „არეულობასთან“ ბრძოლის ღონისძიებათა მთელი სისტემა. ყველა ეკლესიას გაეგზავნა ქართულ ენაზე სინოდის მოწოდება რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სინოდის კანტორამ ქართულ და რუსულ ენებზე დიდი ტირაჟით დაბეჭდა და დააგზავნა ფურცლები შემდეგი სათაურით: „პატივი ეცით მეფეს“, „დაემორჩილე ხელისუფლებას“, „მოინანიეთ“ და ა. შ. საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლებს დაეგზავნათ ცირკულარი, რომლითაც მათ წინადადება ეძლეოდათ დაეცვათ „ახალგაზრდა თაობა ეკლესიისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ მოძღვრებათა სენისაგან“. როდესაც საქართველოში 1905 წელს რევოლუციური მოძრაობა მთელს ქვეყანას მოედო, სინოდის კანტორამ გადაწყვიტა შეექმნა შავრაზმული „ქრისტიანული კავშირები“ პოლიციისა და ოხრანკის დასახმარებლად.

ქართველი მენშევიკები ეწეოდნენ აგიტაციას ლიბერალური ბურჟუაზიისა და მემამულეების ოპოზიციური გამოსვლებისათვის მხარდაჭერის სასარგებლოდ.

ისინი თანახმანი იყვნენ აგრეთვე მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივ „წოდებათა წარმომადგენლების კრებაში“, რომლის მოწვევასაც აპირებდა რევოლუციური მოძრაობის ზრდით დამფრთხალი კავკასიის მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

ბოლშევიკები ამხილებდნენ ლიბერალების ოპოზიციისა და მენშევიკების შემთანხმებლობის ჭეშმარიტ არსს. რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ სპეციალურად გამოშვებულ პროკლამაციაში ნათქვამი იყო:

„... ჩვენი დევიზი: „ძირს თვითმპყრობელობა!“—ნამდვილ მოთხოვნილებად უნდა გადაიქცეს... არა ლიბერალთა ლაჩრული სიტყვა, არამედ ჩვენი პირდაპირი და გაბედული სიტყვა უნდა გაისმოდეს მთელ რუსეთში.

ლიბერალებმა კი არა, ჩვენ უნდა მივსცეთ ტონი მთელ რევოლუციურ მოძრაობას. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ დემოკრატიული რესპუბლიკა საყოველთაო საარჩევნო უფლებით, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ“.

ამიერკავკასიაში რუსეთის პირველი რევოლუციის წინახანებში ყველაზე დიდ რევოლუციურ მოვლენას წარმოადგენდა ბაქოს მუშების 1904 წლის დეკემბრის საყოველთაო გაფიცვა. ბოლშევიკური ხელმძღვანელობის, მუშების დარაზმულობისა და ორგანიზებულობის მეოხებით ბაქოს გაფიცვა გამარჯვებით დაგვირგვინდა. ამის შედეგად დაიდო რუსეთის მუშათა მოძრაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულება მუშებსა და ნავთის მრეწველებს შორის.

ბაქოს 1904 წლის გაფიცვამ დიდი გამოძახილი პოვა მთელი რუსეთის მუშებში. სამრეწველო ცენტრებში ბოლშევიკები „მოუწოდებდნენ მუშებს მატერიალური დახმარება გაეწიათ ბაქოს გაფიცულებისათვის და ეწარმოებინათ მზადება საყოველთაო გაფიცვისათვის. მიესალმებოდნენ რა ბაქოს პროლეტარიატის საყოველთაო გამოსვლას, პეტერბურგის მუშები წერდნენ:

„ჩვენ, პეტერბურგის მუშები, მხურვალედ მივესალმებით თქვენს სახელოვან ბრძოლას...ამხანაგებო, თქვენი ხანგრძლივი, სახელოვანი ბრძოლა ერთ-ერთი სასახელო ფურცელია ჩვენი რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში, ხოლო თქვენი ახალი საქმე იმის იმედს გვაძლევს, რომ ლიბერალების გაუბედავი ჩურჩულის ნაცვლად მალე აზვირთდება მუშათა რევოლუციის მრისხანე ტალღა“[1].

[1] „პრავდა“, 1934, № 358.

დემონსტრაციის წინ

მხ. ა. ქუთათელაძე

6

რევოლუციის დასაწყისი. საქართველოს მუშებისა და გლეხების გამოსვლები

რუსეთ-იაპონიის ომში მეფის რუსეთის დამარცხებამ დააჩქარა რევოლუციური კრიზისი ჩვენს ქვეყანაში.

ბაქოს გაფიცვა „თითქოს იყო ჭექა-ქუხილის წინამორბედი ელვა დიდი რევოლუციური ქარიშხლის წინ“ [1].

რევოლუციური ქარიშხლის დასაწყისს წარმოადგენდა 1905 წლის 9 [22] იანვრის ამბები პეტერბურგში.

ამ დღეს მეფის მთავრობამ სისხლიანი ბოროტმოქმედება ჩაიდინა, დახვრიტა უიარაღო მუშები, ქალები და ბავშვები.

„დიახ, გაკვეთილი დიდი იყო!—წერდა ვ. ი. ლენინი,—რუსეთის პროლეტარიატი ამ გაკვეთილს არ დაივიწყებს. მუშათა კლასის ყველაზე მოუმზადებელმა, ყველაზე ჩამორჩენილმა ფენებმა, რომლებსაც გულუბრყვილოდ სჯეროდათ მეფისა და გულწრფელად სურდათ „თვით მეფისათვის“ მშვიდობიანად გადაეცათ დატანჯული ხალხის დხოვნა, ყველამ მიიღო გაკვეთილი სამხედრო ძალისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფე ან მეფის ბიძა, დიდი მთავარი ვლადიმერი“[2].

„სისხლიანი კვირის“ საპასუხოდ მთელი რუსეთი მოიცვა აღშფოთებამ და გულისწყრომამ და ყველგან აზვირთდა პოლიტიკური გაფიცვების უზარმაზარი ტალღა. იანვარში გაფიცულთა რიცხვმა 440 ათას კაცს მიაღწია. ახლა მუშები მიდიოდნენ ქუჩაში ლოზუნგით: „ძირს თვითმპყრობელობა!“

[1] სკპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 70.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 100.

იანვრის მოძრაობამ უდიდეს გასაქანს მიაღწია ამიერკავკასიაში. რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე გამოიცა და ფართოდ გავრცელდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაცია, დაწერილი ი. ბ. სტალინის მიერ. იგი კავკასიის მრავალეროვან პროლეტარიატს მოუწოდებდა გაეჩაღებინა რუს მოძმეებთან ერთად მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

„დროა შური ვიძიოთ! დროა შური ვიძიოთ სახელოვანი ამხანაგებისთვის, რომლებიც მხეცურად დახოცეს მეფის ბაშიბუზუკებმა იაროსლავლში, დომბროვოში, რიგაში, პეტერბურგში, მოსკოვში, ბათუმში, თბილისში, ზლატოუსტში, ტიხორეცკაიაში, მიხაილოვოში, კიშინიოვში, გომელში, იაკუტსკში, გურიაში, ბაქოსა და სხვა ადგილებში! დროა მოვთხოვოთ მას ანგარიში იმ სრულიად უდანაშაულო უბედურთათვის, რომლებიც ათეულ ათასობით დაიღუპნენ შორეული აღმოსავლეთის ველებზე! დროა თვალზე ცრემლი შევაშროთ მათ ცოლ-შვილს! დროა პასუხი მოვთხოვოთ მას ტანჯვისა და დამცირებისათვის, ადამიანის შემარცხვენელი ბორკილებისთვის, რომლითაც მან დიდი ხანია შეგვბოჭა! დროა ბოლო მოვუღოთ მეფის მთავრობას და გზა გავიკაფოთ სოციალისტური წყობილებისკენ! დროა **დავანგრიოთ** მეფის მთავრობა! და ჩვენ კიდევაც **დავანგრევთ** მას!“[1].

1905 წლის 18 იანვარს (ძვ. სტ.) თბილისში საპროტესტო გაფიცვა მოაწყეს მუშა-რკინიგზელებმა. მათ მიემხრენ სტამბებისა და თამბაქოს ქარხნების მუშები და მალე გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო.

19 იანვარს თბილისის ერთ-ერთ მუშათა უბანში—დიდუბეში გაიმართა მიტინგი. მასში მონაწილეობა მიიღო ორი ათასამდე კაცმა. ბოლშევიკი ორატორების გამოსვლის შემდეგ მიტინგის მონაწილეებმა მკაცრი პროტესტი განაცხადეს მეფის მთავრობის მიერ პეტერბურგის მუშების სისხლიანი დარბევის წინააღმდეგ და წარუდგინეს მას მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები.

23 იანვარს თბილისის სხვადასხვა რაიონში გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაციები. გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტზე დემონსტრანტები მიდიოდნენ წითელი დროშებით და ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა“ და სხვ. კაზაკებსა და პოლიციასთან შეტაკებას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი მოკლულთა და დაჭრილთა სახით. გაფიცვა და პოლიტიკური დემონ-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 75—76.

სტრაცია მოამზადა რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტმა. ბოლშევიკები პროკლამაციებს ავრცელებდნენ მუშებს შორის.

თბილისის მუშების პოლიტიკურ გაფიცვას მოჰყვა საყოველთაო გაფიცვები ბათუმში, ჭიათურაში, სოხუმში და აგრეთვე გლეხთა მძლავრი გამოსვლები საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

ბათუმში 9 იანვრის დახვრეტის პროტესტის ნიშნად გამოვიდნენ რკინიგზელები და ნავსადგურის მუშები, მალე მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ქალაქში ყოველი მხრიდან შემოჰყავდათ ჯარის ნაწილები. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა გამოსცა ბრძანება რევოლუციური გამოსვლების შეწყვეტის შესახებ. ამ მიზნით წინადადებას იძლეოდა „დაეშინათ ცეცხლი ცალკეულად ან ზალპით, მაგრამ პირდაპირ ხალხისათვის". ამის საპასუხოდ რსდმპ კავკასიის კავშირის ბათუმის კომიტეტმა შექმნა ორგანიზაცია, რომელმაც დაიწყო შეიარაღებული რაზმების ჩამოყალიბება. სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში მოეწყო კონსპირაციული სახელოსნო ხელყუმბარებისა და სხვა იარაღის დასამზადებლად. 18 იანვარს დაიწყო მუშების გაფიცვა ქუთაისში. მას მიემხრნენ ხელოსნები, მოსამსახურეები, მეეტლეები, ნოქრები, ყველა სასწავლებლის მოსწავლეები. ქუჩებში იმართებოდა დემონსტრაციები წითელი დროშებით და პოლიტიკური ლოზუნგებით. ერთ-ერთი დემონსტრაციის დროს თავს დაესხნენ ციხეს პოლიტიკური პატიმრების გასათავისუფლებლად. მოხდა დიდი შეტაკება პოლიციასთან.

20 იანვარს გაიფიცნენ სოხუმის მუშები, მეორე დღეს—საკვანძო სადგურ სამტრედიის რკინიგზელები, ფოთის ნავსადგურისა და ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშები. 22 იანვარს დაიწყო ჭიათურის მუშების გაფიცვა.

26 იანვარს აქ გაიმართა მუშათა შეიარაღებული დემონსტრაცია ახლო-მახლო სოფლების გლეხთა მონაწილეობით. დემონსტრაციის დროს წარმოთქვამდნენ პოლიტიკურ სიტყვებს, მღეროდნენ რევოლუციურ სიმღერებს, ავრცელებდნენ ბოლშევიკურ პროკლამაციებს.

მუშათა რევოლუციურმა ბრძოლამ თავისი გავლენა მოახდინა ქართულ სოფელზედაც.

ოზურგეთის მაზრაში გლეხები უარს აცხადებდნენ მეფის კანონებისა და განკარგულებების შესრულებაზე, სოფლებიდან აძევებდნენ თანამდებობის პირებს, სპობდნენ სასოფლო სამმართველოების წიგნებსა და საქმეებს, ხშირად ცეცხლს უკიდებდნენ სასოფლო კანცელარიების შენობებსაც.

გლეხები უარს ამბობდნენ რაიმე ბეგარის შესრულებაზე, სახელმწიფო გადასახადებისა და „დრამის ფულის“ გადახდაზე ორგანიზებულად ეუფლებოდნენ მემამულეთა მიწებს. მაზრაში პირველად დაიწყო აღმოცენება გლეხთა კომიტეტებისა, რომლებიც აქ ახალ წესებს ამყარებდნენ. „კომიტეტის დადგენილებით არც ერთ კაცს, ვინც კი მოძრაობას მიემხრო, არ უნდა მიემართა მთავრობის, სასამართლო და ადმინისტრაციული დაწესებულებისათვის, რომლებიც, ამრიგად, სრული უმოქმედობის მდგომარეობაში უნდა დარჩენილიყვნენ“[1].

თავის საიდუმლო მოხსენებაში 1905 წ. 2 თებერვლის თარიღით ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ატყობინებდა იუსტიციის მინისტრსა და თბილისის სასამართლო პალატას:

...უკანასკნელი 2 კვირის განმავლობაში ოზურგეთის მაზრაში მდგომარეობა ისე სწრაფად უარესდებოდა, რომ ამჟამად იქ თითქმის სრული ანარქიაა. მაზრის მთელი ტერიტორია ახლა უკვე „კომიტეტისა“ და მისი აგენტების სრულ განკარგულებაშია და მხოლოდ იქ, სადაც გამოჩნდება ხოლმე პოლიციის ან კაზაკების დიდი შეიარაღებული რაზმი, დროებით ხდება ჩვენი მთავრობის გავლენის აღდგენა“[2].

შემდეგ ამ მოხსენებითს ბარათში ნათქვამი იყო: მთავრობისაგან დანიშნულმა ყველა მამასახლისმა და სოფლის მწერალმა განუცხადა მაზრის უფროსს, რომ მათ არ შეუძლიათ სამსახურის შესრულება, რადგან ყოველდღიურად ძალადობასა და დაცინვას განიცდიან მოსახლეობისაგან, ზოგიერთი მათგანი კი პირდაპირ ძალით გაძევეს სასოფლო საზოგადოებებიდან. მაზრაში პოლიციის ბოქაულები ნაწილობრივად დახოცეს, სხვებმა კი სთხოვეს უფროსებს, რომ ისინი მოეხსნათ ან სხვაგან გადაეყვანათ. გლეხები სრულიად აღარ მიმართავდნენ სასამართლო ორგანოებს. შეუძლებელი გახდა წინასწარი გამოძიების მოხდენა, რადგან არ ხერხდებოდა მოწმეების გამოწვევა. ვერც ერთი მეკუბოე ოზურგეთის მაზრაში ვერავითარი ფულით ვერ დაითანხმეს გაეკეთებინა კუბო მოკლული მომრიგებელი შუამავლის თავად ნაკაშიძისათვის; არც ერთი მეეტლე არ დათანხმდა მისი ნათესავების წაყვანაზე, ხოლო მოკლულის პანაშვიდს დაესწრო 2 მოხუცი ქალი. 8 თებერვლისათვის დანიშნული ოლქის სასამართლოს სესია მოიხსნა, რადგან პოლიციამ უარი თქვა აღმოეჩინა რაიმე, თუნდაც სულ მცირე, დახმარება სასა-

[1] აქსი (ლენინგრადი), ფინანსთა სამინისტრო, კანცელარია. განყ. 2, 1905 წ. ს. № 20/16, ფ. 113.

[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 31, ს. 3003, ფ. 15.

მართლოსბათვის მოსახლეობის მხრივ შესაძლებელი თავდასხმისაგან დასაცავად.

მარტო 2 თებერვალს ოზურგეთის მაზრაში ორჯერ დაესხნენ თავს ჩაფრებს და ააოთვეს მათ იარაღი, მოეწყო ორი თავდასხმა სოფლის კანცელარიაზე, მოკვლის მიზნით თავს დაესხენ 2 მამასახლისს და მოკლეს აზნაური ურუშაძე[1].

ოზურგეთის მაზრის გლეხები სწავლობდნენ სამხედრო საქმეს და აშკარად ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. გაზეთ „ვპერიოდის“ 10 (23) მარტის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც ნათქვამი იყო:

„რევოლუციისათვის მზად არის გურია (ოზურგეთის მაზრა), რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დღესვე შეუძლია გამოიყვანოს 15.000 შერჩეული კაცი. ქალები, მოხუცები და ბავშვები ასევე გატაცებული არიან მოძრაობით და მოუთმენლად მოელიან რევოლუციის დაწყებას, რომ ჩაებნენ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და არ ჩამორჩნენ თავიანთ ქმრებს, შვილებსა და მამებს. გურულები შეუდგნენ შეიარაღებას: აშკარად, დღით თავს ესხმიან ბერდანის თოფის მქონე პირებს და ართმევენ იარაღს, სამაგიეროდ იმით ანუგეშებენ, რომ რევოლუციის დამთავრების შემდეგ ბერდანები უკან დაგიბრუნდებათო“[2].

გლეხთა მოძრაობამ ანალოგიური ხასიათი მიიღო აჭარის იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებოდა ბათუმს, აფხაზეთში, ზუგდიდის, სენაკის, რაჭის, ლეჩხუმის, შორაპნის მაზრებში. მაგალითად, ბათუმის მახლობლად მდებარე სოფელ ბარცხანაში „გამოჩნდა თვითმარქვია გუბერნატორი, რომელიც პროკლამაციის სახით იძლეოდა თავის განკარგულებებს, გამოჰქონდა გადაწყვეტილებანი ამა თუ იმ პირის გასახლების შესახებ, ასამართლებდა და სჯიდა“[3].

1905 წლის პირველი ორი თვის განმავლობაში ქუთაისის მაზრაში გადაწვეს 16 სასოფლო კანცელარია მთელი თავისი საქმეებით. შორაპნის მაზრაში გლეხებმა შეწყვიტეს ყოველგვარი ურთიერთობა სოფლის თანამდებობის პირებთან და თავიანთი საქმეების გადასაწყვეტად ისინი მათ მიერვე არჩეულ პირებს მიმართავდნენ. გლეხები არ იხდიდნენ სახელმწიფო გადასახადებს, „უარს ამბობდნენ სანადელო მიწებისათვის მემამულეების ხვედრ ბეგარათა შეს-

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 31, ს. 3003,15—16.
[2] „ვპერიოდი“, 1905 № 11.
[3] აცსი (ლენინგრადი), ფინანსთა სამინისტრო, კანცელარია. განყ. 2, 1905 № 20|16, ფ. 120.

რულებაზე და აცხადებდნენ, რომ ეს მიწები გლეხების საკუთრებაა და არა მემამულეების"[1].

სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ასევე გადაწვეს სოფლის კანცელარიები, თავს ესხმოდნენ ჩაფართა რაზმებს. ერთ-ერთი ასეთი შეტაკება მოხდა სოფელ კახათში. 1905 წლის 14 თებერვალს ათასზე მეტი გლეხი თავს დაესხა პოლიციასა და ჩაფრებს მათ მიერ დაპატიმრებული გლეხების გასათავისუფლებლად. ქუთაისის მაზრის სოფელ დიდ ჯიხაიშში გაიმართა გლეხთა დემონსტრაცია, რომელიც იმით დამთავრდა, რომ პოლიციელებმა და დემონსტრანტებმა ტყვია დაუშინეს ერთმანეთს.

გლეხთა მღელვარებამ მოიცვა თბილისის გუბერნიაც.

თებერვლის შუა რიცხვებში გორის მაზრაში გამოვიდნენ ოსი გლეხები. ოფიციალურ მოხსენებითს ბარათში ამის გამო ნათქვამი იყო:

„გორის მაზრის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილის ოსები მთის სოფლებიდან ბარში ჩამოდიან და დიდ-დიდ ჯგუფებად დადიან მემამულეთა კარმიდამოებში... ცხინვალში მეზობელი სოფლებიდან თავმოყრილი რამდენიმე ათასი კაცი მოითხოვდა მომრიგებელი მოსამართლისა და სოფლის ექიმის გაძევებას.

გლეხები მემამულეებისაგან მოითხოვენ ხელწერილს იმის შესახებ, რომ დაუთმობენ მათ მიწებსა და ტყეებს. მემამულეთა მოსამსახურეებსა და მუშებს ერეკებიან. სოფლის ხელისუფალნი, ხალხისაგან დამფრთხალნი, უმოქმედობას იჩენენ, სოფლის კანცელარიებში საქმეებს სპობენ, სოფლის ფოსტა ბევრგან არ მოქმედებს, პაკეტებს ხსნიან და ხევენ. ზოგიერთი მომრიგებელი მოსამართლის საქმიანობა შეჩერდა. ბევრი მამული უმეთვალყურეოდ დარჩა. მაზრაში გამგზავრებულ კომისიას გლეხებმა მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნები წაუყენეს"

სოფელ კორნისში გაიმართა მიტინგი, რომელსაც 21 სოფლის წარმომადგენლები დაესწრნენ. გლეხებმა მიიღეს ერთგულებისა და სოლიდარობის ფიცი და გამოიტანეს გადაწყვეტილება უარი ეთქვათ გადასახადების გადახდაზე, ბოიკოტი გამოეცხადებიათ მთავრობის ყველა დაწესებულებისათვის, აღარ ეძლიათ ღალა მემამულეებისათვის და „დრამის ფული" მღვდლებისათვის. ანალოგიური გადაწყვეტილება გამოიტანეს გორის მაზრის სხვა სასოფლო საზოგადოებებმაც.

---

[1] გაზ. „კავკაზი", 1905, № 70.

28 თებერვალს მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახლო-მახლო სოფლების გლეხებმა. წარმოითქვა სიტყვები, გავრცელებულ იქნა რევოლუციური ლიტერატურა. დემონსტრანტები მიდიოდნენ ქალაქის ქუჩებში შეძახილებით: „თავისუფლება!“, „ერთობა!“. პოლიციამ და ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს დემონსტრანტებს, რასაც შედეგად მოჰყვა მსხვერპლი მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

სიღნაღის მაზრაში გლეხებმა ორგანიზებულად დაიწყეს მემამულეთა მიწებისა და ტყეების მისაკუთრება.

ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგნენ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას, ჩამოაშორეს მასებს მენშევიკები და ფედერალისტები, რომლებიც ცდილობდნენ ნაციონალისტური ხასიათი მიეცათ გლეხთა ბრძოლისათვის.

იმ მიზნით, რომ შეეჩერებინა რევოლუციის შემდგომი განვითარება და დაებრკოლებინა ამიერკავკასიაში ყველა ჩაგრული ხალხის ერთიანი ინტერნაციონალური ფრონტის შექმნა, ცარიზმმა, რევოლუციური გამოსვლების იარაღით დათრგუნვის გარდა, მიმართა ძველ, ნაცად ხერხს—ერთი ერის წაქეზებას მეორის წინააღმდეგ, ეროვნული შუღლის გაღვივებას. ამ მხეცური პოლიტიკის განხორციელებაში ცარიზმს დახმარებას უწევდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიები: ქართველი მენშევიკები, სოციალ-ფედერალისტები, „სომხეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია“, სომხეთის ნაციონალისტური პარტია —„დაშნაკცუტუნი“, აზერბაიჯანის ბურჟუაზია.

1905 წლის თებერვლის დამდეგს მეფის ხელისუფლებამ ბაქოში პროვოკაციულად გამოიწვია სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტა. ამასთან დაკავშირებით რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა უდიდესი მუშაობა გააჩაღა: ყველგან მოეწყო კრებები და მიტინგები, სადაც იძლეოდნენ ცარიზმის პროვოკაციის ბოლშევიკურ შეფასებას; დაიბეჭდა და გავრცელდა მრავალი პროკლამაცია. ფართოდ გავრცელდა რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაცია „გაუმარჯოს საერთაშორისო ძმობას“.

...„მეფის მთავრობამ თავისი ტახტის გასამაგრებლად „ახალი“ საშუალება გამოიგონა,—ნათქვამი იყო პროკლამაციაში.—იგი შუღლს თესავს რუსეთის ეროვნებებს შორის, ერთმანეთს უსისიანებს მათ, ცდილობს დააქუცმაცოს პროლეტარიატის საერთო მოძრაობა წვრილ მოძრაობებად და აამხედროს ისინი **ერთი-მეორის წინააღმდეგ**, იგი აწყობს ებრაელთა, სომეხთა და სხვა-

თა რბევას და ყოველივე ამას იმისთვის სჩადის, რომ ძმათა-მკვლელი ომით ერთმანეთს დააშოროს რუსეთის ეროვნებანი, დააუძლუროს ისინი და ცალ-ცალკე იოლად დაამარცხოს!

გასთიშე და იბატონე — ასეთია მეფის მთავრობის პოლიტიკა. ასე მოქმედებს იგი რუსეთის ქალაქებში (გაიხსენეთ რბევა გომელში, კიშინიოვსა და სხვა ქალაქებში), ამასვე იმეორებს კავკასიაშიც. საზიზღარი! მოქალაქეთა სისხლითა და ცხედრებით ცდილობს იგი გაამაგროს თავისი საზიზღარი ტახტი! ბაქოში მომაკვდავ სომეხთა და თათართა კვნესა; ცოლების, დედების, ბავშვების ცრემლი; სისხლი, უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლი პატიოსანი, მაგრამ შეუგნებელი მოქალაქეებისა; შეშინებული სახეები უმწეო ადამიანებისა, რომლებიც გარბიან, რომ სიკვდილს გადაურჩნენ; დანგრეული სახლები, გაძარცული მაღაზიები და ტყვიის საშინელი, განუწყვეტელი ზუზუნი, — აი რით ამაგრებს თავის ტახტს მეფე—პატიოსან მოქალაქეთა მკვლელი.

...მაგრამ იყავით ფხიზლად! თქვენ, სომხებო, თათრებო, ქართველებო, რუსებო! ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს, მჭიდროთ დაირაზმეთ და მთავრობის ცდებზე—გაგთიშოთ თქვენ—ერთსულოვნად უპასუხეთ: „ძირს მეფის მთავრობა!“, „გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!“ [1].

13 თებერვალს თბილისში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით გაიმართა მიტინგი და მრავალათასიანი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს რუსებმა, ქართველებმა, სომხებმა და სხვა ხალხთა წარმომადგენლებმა.

14 თებერვალს თბილისში სომხური ეკლესიის—ვანქის ტაძრის ეზოში, სადაც რამდენიმე ათასმა კაცმა მოიყარა თავი, მოეწყო მიტინგი. აქ გამოსული ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს ცარიზმის მიერ ბაქოში ჩადენილი ახალი ბოროტმოქმედების აზრს. მიტინგის შემდეგ ბოლშევიკებმა მოაწყეს მასობრივი რევოლუციური დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა წითელი დროშით გაიარეს გოლოვინის პროსპექტზე, შეჩერდნენ მეფისნაცვლის სასახლესთან და მოისმინეს ბოლშევიკი ორატორის სიტყვა. გაისმოდა შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა!“, „გაუმარჯოს სოციალიზმს!“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“. გაზეთ „კავკაზის“ სტამბასთან დემონსტრანტებს თავს დაესხნენ კაზაკები და პოლიცია. ამ დღეს გავრცელდა რამდენიმე ათასი ცალი ბოლშევიკური პროკლამაცია.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 79—80.

ᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲛᲝᲑᲚᲔᲑᲘ

18—20 თებერვალს ბაქოს ამბებისადმი მიძღვნილი მიტინგები მოეწყო ბათუმში.

თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში შესაძლებელი გახდა ბაქოში მომხდარი ხოცვა-ჟლეტის მსგავსი შეტაკების თავიდან აცილება მხოლოდ და მხოლოდ იმის მეოხებით, რომ საქართველოს პროლეტარიატმა, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, გამოიჩინა რევოლუციური სიფხიზლე და ორგანიზებულობა. ამის გამო მარცხით დამთავრდა ცარიზმის გეგმები ჩაეხრჩო რევოლუცია ამიერკავკასიის ხალხთა შორის ხელოვნურად გაღვივებული ეროვნული შუღლის გზით. ეროვნული შუღლის ხელოვნურად გაღვივებას არ შეეძლო შეეჩერებინა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი ზრდა. „...რასობრივი შუღლისა და ტომობრივი სიძულვილის გაღვივებით, — წერდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, — მთავრობამ შეიძლება დროებით შეაფერხოს კლასობრივი ბრძოლის განვითარება, მაგრამ მხოლოდ მოკლე ხნით და ამასთან იმ საფასურით, რომ ახალი ბრძოლის ასპარეზი კიდევ უფრო გაფართოვდება, ხალხი კიდევ უფრო გაბოროტდება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ამის დამამტკიცებელია: შედეგები ბაქოს დარბევისა, რომელმაც გააათკეცა ყველა ფენის რევოლუციური განწყობილება ცარიზმის წინააღმდეგ“.[1]

მუშებისა და გლეხების რევოლუციურმა ბრძოლამ დიდი გავლენა იქონია ამიერკავკასიაში განლაგებული ჯარის ნაწილებზე.

ბოლშევიკები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ჯარისკაცებს შორის მუშაობას, მოუწოდებდნენ მათ მხარი დაეჭირათ მუშებისა და გლეხებისათვის და მათთან ერთად მიემართათ იარაღი მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ.

ჯარისკაცთა მასებში შესამჩნევი ხდება რევოლუციურ მუშებთან და გლეხებთან სოლიდარობისა და მათ ბრძოლისადმი თანაგრძნობის შემთხვევები. ჯარისკაცებს შორის იქმნება სოციალ-დემოკრატიული წრეები. თბილისში 20 მარტს გამართულ კრებას ესწრებოდა 40 ჯარისკაცი, მეორე კრებას 25 მარტს დაესწრო უკვე 400 ჯარისკაცი სხვადასხვა სამხედრო ნაწილიდან. ამიერკავკასიაში ჯარი მეფის მთავრობისათვის უკვე არასაიმედო დასაყრდენი ხდებოდა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 231—232.

ამიტომ მეფის ხელისუფლებას ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროდ მიაჩნდა რუსეთიდან ახალი სამხედრო ნაწილების ჩამოყვანა, ისეთი ნაწილებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შეხებოდა რევოლუციური პროპაგანდა.

კავკასიის ხელისუფალთ არაერთხელ მიუმართავთ დაჟინებით მეფე ნიკოლოზ II-ის ამ ღონისძიების დასაჩქარებლად. ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილეს და კავკასიაში კიევის ოლქიდან გადმოისროლეს 33-ე დივიზია.

1905 წლის 18 თებერვალს ოზურგეთის მაზრაში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა. აქ გაიგზავნა არტილერიით მომაგრებული სპეციალური დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი სისასტიკით მუშებისა და გლეხების რევოლუციური გამოსვლების ჩახშობის დროს.

ეს რაზმი შედგებოდა 4 ათასზე მეტი კაცისაგან, მეტწილად კაზაკებისაგან და მას ოფიციალურად ეწოდებოდა „რიონის რაზმი“. იგი შეაჩერეს ოზურგეთის მაზრის კართან, ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურ ნატანებთან, რადგან გლეხთა მოძრაობის გაქანებით შეშინებულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეცდილიყო მშვიდობიანი გზით დაემორჩილებინა გლეხები. სენატორ შიდლოვსკის კომისიის მსგავსად, რომელიც ამ დროს პეტერბურგში შეიქმნა, ოზურგეთის მაზრაში გაიგზავნა კომისია სულთან-კრიმ-გირეის მეთაურობით გლეხთა მღელვარების მიზეზების გამოსარკვევად. უკანასკნელი აღჭურვილ იქნა უფლებამოსილებით განეცხადებინა გლეხთა საზოგადოებებისათვის, რომ „ყველა კანონიერი და სამართლიანი შუამდგომლობა... დაუყოვნებლივ იქნება დაკმაყოფილებული“.

ასეთივე დავალებით გაიგზავნა გორის მაზრაში კომისია საპატიო მომრიგებელი მოსამართლის ე. გ. ვეიდენბაუმის მეთაურობით.

სულთან-კრიმ-გირეის ფლიდმა სიტყვებმა და ცრუ დაპირებამ მის მიერ ოზურგეთის მაზრის 12 სასოფლო საზოგადოების ჩამოვლის დროს ვერავინ ვერ შეიყვანა შეცდომაში. მისი კითხვების საპასუხოდ გლეხები ყველგან ერთსულოვნად აყენებდნენ თავიანთ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები ძირითადად ჩამოყალიბებული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა-მინიმუმის მიხედვით. გლეხები მოითხოვდნენ:

1. ყველა საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაციას უსასყიდლოდ;

2. გლეხებისათვის იმ მიწების საკუთრებად დაბრუნებას, რომლებიც მათ ჩამოაჭრეს ბატონყმობის გაუქმების დროს („ჩამონაჭრები“);

3. დროებით-ვალდებულებითი ურთიერთობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას და იმ მიწების საკუთრებად გადაცემას, რომლებითაც სარგებლობდნენ დროებით-ვალდებული გლეხები და ხიზნები;

4. ყველა სანადელო როგორც მემამულეების, ისე სახაზინო მიწების გლეხთა სრულ განკარგულებაში გადაცემას;

5. გამოსასყიდი გადასახადების დაბრუნებას;

6. გლეხთა კომიტეტების ორგანიზაციას საადგილმამულო რეფორმის ჩასატარებლად;

7. ყოველგვარი გადასახადის, აგრეთვე არაპირდაპირი გადასახადებისა და სააქციზო გამოსაღებთა გაუქმებას და პროგრესიული საშემოსავლო დაბეგვრის შემოღებას;

8. წოდებათა და წოდებრივი პრივილეგიების მოსპობას. სრული თანასწორობის დამყარებას ყველასათვის კანონის წინაშე;

9. საპასპორტო სისტემის მოსპობას და მიმოსვლის თავისუფლებას;

10. ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნას;

11. დემოკრატიულ თავისუფლებათა, გაფიცვების თავისუფლების, პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობის განხორციელებას;

12. მოსამართლეების არჩევითობას და მოხელეების პასუხშგებლობას ხალხის წინაშე;

13. მუდმივი არმიის შეცვლას საყოველთაო-სახალხო მილიციით;

14. საერო სკოლის მოწყობას და სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფას;

15. საყოველთაო, სავალდებულო, უფასო სწავლებას ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლის ასაკამდე;

16. პოლიტიკური საქმეებისა და რელიგიური რწმენისათვის დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას;

17. დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო კენჭისყრის საფუძველზე[1].

---

[1] გაზ. „ვპერიოდი“, 1909, № 3.

ამ მოთხოვნათა წამოყენება საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დიდ გავლენას გლეხობის მშრომელთა მასებზე.

ოზურგეთის მაზრის გლეხები თავის რევოლუციურ ბრძოლას, ისე როგორც ყველა ქართველი გლეხი, უკავშირებდნენ რუსეთის ყველა ხალხის რევოლუციურ მოძრაობას. მათ ძალიან კარგად ესმოდათ, რომ ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გაჩაღებულ საერთო ბრძოლაში ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ეკუთვნოდა დიდ რუს ხალხს.

ბახვის სასოფლო საზოგადოების გლეხთა მანიფესტში, რომელშიც გამოხატული იყო მთელი ქართველი მშრომელი ხალხის აზრი, ნათქვამი იყო:

„ჩვენ ქართველები, რუსები, სომხები, თათრები—ყველანი ძმები ვართ; ჩვენ არ წავეჩხუბებით ერთმანეთს, დაე ტყუილად ნუ ცდილობს ამას მთავრობა. ჩვენ არ შეგვიძლია ბოლომდე აეწეროთ ჩვენი საშინელი მდგომარეობა. ვის შეუძლია ჩვენი საჭიროების დაკმაყოფილება? ვინ გაიგონებს ჩვენს ხმას? არა ახლანდელი მთავრობა, რომელიც არასოდეს არ გვაქცევდა ყურადღებას და გვტანჯავდა. ჩვენი მოთხოვნები კერძო, მარტო ქართველების მოთხოვნები როდია. ამას მოითხოვს მთელი რუსეთი. ჩვენ ვუერთდებით რუს ძმებს. ჩვენი საერთო დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ხალხი საყოველთაო, პირდაპირი, საიდუმლო და თანასწორი კენჭისყრით აირჩევს თავის წარმომადგენლებს. მხოლოდ ასეთი მთავრობა იქნება ნამდვილი, მხოლოდ ხალხის ხმაა სამართლიანი და პატიოსანი. ამაში მდგომარეობს ჩვენი საჭიროება და რწმენა. სიმართლე უძლეველია. რა დაბრკოლებანი და ტანჯვა-წამებაც არ უნდა გვხვდეს წილად, სიმართლეს არ ვუღალატებთ. ქვეყანა ხალხის ხელში უნდა იყოს“[1].

გურიაში ჩასული ჟურნალისტები ბეჭდავდნენ გაზეთებში დაწერილებით ანგარიშს გლეხთა კრებებისა და მათი მოთხოვნების შესახებ. ყოველივე ამან განსაკუთრებით პოპულარული გახადა ოზურგეთის მაზრის გლეხობის ბრძოლა არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ რუსეთში.

მეფისნაცვლის ოფიციალური ორგანო „კავკაზიც“ კი იძულებული იყო დაეწერა:

„...გლეხთა საზოგადოებების მიერ წამოყენებული მოთხოვნები ნაკარნახევია უკიდურესი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა-

[1] „ვპერიოდი“, 1905, № 12.

ვან, რომელმაც, როგორც ჩანს, მზა ნიადაგი იპოვა მღელვარების აღძვრისათვის გლეხთა შორის"[1].

როდესაც ხელისუფალნი დარწმუნდნენ, რომ მოლაპარაკებით და მცირე დათმობით არ შეიძლება ოზურგეთის მაზრაში რევოლუციური ხანძრის ჩაქრობა, სულთან-კრიმ-გირეი უკან გაიწვიეს 1905 წლის 8 მარტს, ხოლო 10 მარტს ქ. ოზურგეთში შევიდა დაშსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

ე. გ. ვეიდენბაუმის კომისია გორში ჩავიდა 1905 წლის 5 მარტს. 6 მარტს დაინიშნა 4 სოფლის გლეხთა კრება სოფელ მუხრანში. მაგრამ მუხრანს მოაწყდა გლეხთა უზარმაზარი მასა წითელი დროშებით 14 სოფლიდან. ოზურგეთის მაზრის გლეხების მსგავსად წამოყენებული იქნა წინასწარ შემუშავებული წერილობითი მოთხოვნები. ამასთან გლეხებმა განაცხადეს, რომ ისინი უერთდებიან რუს ადამიანებს, რომელთაც „მეამბოხეებს" უწოდებენო[2].

ვეიდენბაუმის კომისიის ჩამოსვლისათვის სოფ. ახალქალაქში თავი მოიყარა 3000-ზე მეტმა გლეხმა.

წამოყენებული იქნა შემდეგი მოთხოვნები:

1) ყველა მემამულური, სახაზინო, საუფლისწულო, საეკლესიო და სამონასტრო მიწების კონფისკაცია;

2) მიწების მორწყვისათვის დაწესებული გადასახადის გაუქმება;

3) ხე-ტყის მასალით, შეშით და სხვ. პირადი სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადის გაუქმება;

4) გლეხებისათვის სათიბების უსასყიდლოდ-გადაცემა;

5) ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმება და პროგრესული საშემოსავლო დაბეგვრის გაუქმება;

6) წოდებრივი უთანასწორობის მოსპობა;

7) თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების შექმნა;

8) სიტყვის, პრესის, კრებების თავისუფლება;

9) პიროვნების ხელშეუხებლობა;

10) სარწმუნოების თავისუფლება;

11) სოფლებში ორკლასიანი სასწავლებლების გახსნა;

12) სწავლება მშობლიურ ენაზე და რუსული ენის როგორც სავალდებულო საგნის სწავლება;

13) სკოლებში სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ განყოფილებათა გახსნა და ა. შ.[3].

---

[1] გაზ. „კავკაზი", 1905, № 94.

[2] გაზ. „ივერია", 1905, № 28.

[3] იქვე.

ხაშურისა და სურამის გლეხებმა სრულიად უარი თქვეს რაიმე მოლაპარაკებაზე ვეიდენბაუმის კომისიასთან. მეფის მთავრობა იძულებული გახდა ისიც უკანვე, თბილისში გაეწვია. ამრიგად, მარცხით დამთავრდა კავკასიის ხელისუფალთა ცდა დაპირებისა და პირფერული სიტყვების საშუალებით შეეჩერებინათ რევოლუციური მოძრაობა სოფლად.

ბოლშევიკების მუშაობის შედეგად გლეხთა შორის სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ის აზრი, რომ მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით და მასთან შეკავშირებით შეიძლებოდა არსებული წესწყობილებისა და ექსპლოატაციის ყველა ფორმის მოსპობა, რომ თავისუფლების მოპოვება შეიძლება მხოლოდ შეიარაღებული აჯანყებით. ახორციელებდნენ რა ბოლშევიკურ ტაქტიკას, გლეხები ყველგან ხელთ იგდებდნენ იარაღს, ქმნიდნენ მებრძოლ რაზმებს და ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ბათუმსა და ფოთში გაფიცვების საპასუხოდ კაპიტალისტებმა ლოკაუტი გამოაცხადეს და რამდენიმე ათასი მუშა დაითხოვეს. მათმა უმრავლესობამ ქუთაისის გუბერნიის სოფლებს მიაშურა, სადაც ისინი სათავეში უდგებოდნენ რევოლუციურ ბრძოლას და მას ორგანიზებულ და შეგნებულ ხასიათს აძლევდნენ.

„ჩვენში მოძრაობა დღითიდღე კი არა, ყოველ საათობით იზრდებოდა,—წერდა ბოლშევიკურ გაზეთ „პროლეტარის“ კორესპონდენტი. იქ, სადაც ერთი წუთის წინათ დიდი გაჭირვებით ხერხდებოდა ოცი-ოცდაათი კაცის შეკრება, ახლა პირველი დაძახებისთანავე რამდენიმე ათასი კაცი იკრიბება. მოძრაობის მთავარი და ერთადერთი იმპულსია მასების თვალწინ დატრიალებული პოლიტიკური ამბები, და მასებიც დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ რუსეთის ქალაქებიდან მიღებულ ყოველგვარ ცნობებსა და ხმებს“[1].

გუბერნიაში ყველგან შეიარაღებული შეტაკებები იმართებოდა. 25 თებერვალს ჭიათურაში თავს დაესხნენ პოლიციელთა საგუშაგოს. როდესაც ჭიათურაში ჯარის ნაწილი გაგზავნეს, შეეცადნენ დაემსხვრიათ მატარებელი. კაზაკებზე, ჟანდარმებზე, პოლიციაზე თავდასხმები ეწყობოდა ბათუმის, ფოთის, გუდაუთის, ზუგდიდის, სენაკისა და შორაპნის მაზრებში. 28 მარტს ზუგდიდის მაზრაში შეიარაღებულმა გლეხებმა გაანადგურეს კაზაკებისა და ჩაფრების რაზმები. 8 აპრილს ოჩამჩირეში მოხდა გლეხების შეიარაღებული შეტაკება კაზაკებთან, რასაც ორივე მხრით მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი მოკლულთა და დაჭრილთა სახით. 28 აპრილს შე-

[1] „პროლეტარი“, 1905, № 6.

ფარალებული შეტაკება მოხდა შორაპნის მაზრაში. აფხაზეთში დაიწყო მუშათა მღელვარება, პოლიციაზე თავდასხმა, იქ რამდენჯერმე შეეცადნენ მოეკლათ სოხუმის ოლქის უფროსი, გლეხები აღარ ემორჩილებოდნენ ხელისუფლების ორგანოებს. ყოველივე ამის გამო აფხაზეთში გაიგზავნა რამდენიმე ასეული კაზაკი „ეგზეკუციის“ მოსახდენად.

1905 წლის მარტში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია „ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობას“, რომელშიც განმარტებულია თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა ამხედრების მიზეზები, მოცემულია მკაფიო მითითება, თუ რა მოთხოვნები უნდა წამოეყენებიათ გლეხებს იმ დროისათვის. პროკლამაცია თავდება შემდეგი მოწოდებით:

„მაშ, წინ მედგრად ვაჟკაცებო, გ ა ვ ი მ ძ ღ ვ ა რ ო თ წ ი ნ ქ ა ლ ა ქ ი ს მ უ შ ე ბ ი და გავყვეთ მათ დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ. გავყვეთ და მათთან ერთად დავლეწოთ საზიზღარი წესები, რომ გზა გავიკაფოთ იმ თანასწორობის ცხოვრებისაკენ, იმ ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი წესებისაკენ, საითკენაც ასე გაფაციცებით მიისწრაფვიან ქალაქის მუშები და ღარიბი გლეხკაცობა“[1].

ოზურგეთის მაზრის მსგავსად, თბილისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაშიც იქმნებოდა გლეხთა კომიტეტები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლს ასრულებდნენ. სოფლის ადმინისტრაციის საქმიანობა შეჩერდა, დაიხურა სასოფლო კანცელარიები, ხშირად მათ შენობებს ცეცხლს უკიდებდნენ, ხოლო იქ შენახულ საქმეებს სპობდნენ. გლეხები ხურავდნენ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, როგორც ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის იარაღს და ხალხისათვის უსარგებლოს. გლეხებმა დაიწყეს მემამულეების მასობრივი გაძევება სოფლებიდან. ისინი რევოლუციური გზით ეუფლებოდნენ მემამულეთა, სახაზინო და საუფლისწულო მამულებს და ენერგიულად ემზადებოდნენ ამ მიწებზე საგაზაფხულო თესვისათვის.

გლეხები ხელისუფალთ უდგენდნენ საავსებით ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, რომლებიც ძირითადად გათვალისწინებული იყო რსდმპ პროგრამა-მინიმუმით და რომლებიც ჩამოთვლილი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაციაში „ქართლ-კახეთის გლეხ-კაცობას“.

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქ. ფილიალი, ფ. 33, ს. 14.

14 მარტს ქ. გორში გაიმართა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მიერ მოწყობილი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური დემონსტრაცია.

დემონსტრანტები შეიკრიბნენ ქალაქგარეთ და მიტინგის შემდეგ ისინი ორგანიზებულად, წითელი დროშით გაემართნენ ქალაქის ცენტრისაკენ. არტილერიის მოედანზე მოხდა შეტაკება ჯარისკაცთა რაზმთან, რის შედეგადაც მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე კაცი.

4 აპრილს დიდი შეიარაღებული შეტაკება მოხდა გლეხებსა და კაზაკებს შორის თიანეთის მაზრის თალათ-სოფელში, რომლის შედეგადაც მოკლულ იქნა 6 გლეხი და დაიჭრა 20. 18 აპრილს კაზაკებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ოსმა გლეხებმა დაბა ცხინვალის (ამჟამად ქ. სტალინირი) მახლობლად. 26 აპრილს გლეხები განიარაღების მიზნით თავს დაესხნენ კაზაკთა რაზმს გორის მაზრის სოფელ თირძნისთან.

გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობის ხასიათის გაშუქებისას გაზეთ „პროლეტარის" კორესპონდენტი წერდა:

„გლეხთა მოძრაობამ ერთბაშად მოიცვა ჩვენი მაზრის ყველა სოფელი. იმ ადგილებში, სადაც ჩვენმა ამხანაგებმა მიუსწრეს, მოძრაობამ შეგნებული მიმართულება მიიღო: აყენებდნენ როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ მოთხოვნებს... მოძრაობა დაიწყო მარტის დამდეგს... სოფლად კრებები ღია ცის ქვეშ ეწყობოდა. მათ 80—100 და 1000 კაციც კი ესწრებოდა, მოდიოდნენ ახლომდებარე სოფლების გლეხები 10—15 ვერსის სიშორიდან. სოფელ ანალქალაქში მოეწყო ერთხელ 2-ათასიანი კრება, მეორედ—5 ათასიანი, გაიმართა დემონსტრაცია დროშებით. სოფელ ალში მოეწყო 3-ათასიანი კრება. ასეთივე კრებები იმართებოდა გორის მაზრის ყველა სოფელში. ორატორები ლაპარაკობდნენ წმინდა პოლიტიკურ თემებზე. კრებებს ესწრებოდნენ ახალგაზრდები და მოხუცები, ქალები და ბავშვები. აქვე ირჩევდნენ თავიანთ ადამიანებს და გამოჰქონდათ დადგენილებანი — შეწყვეტილიყო ყოველგვარი დამოკიდებულება პოლიციასთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიემართათ არჩეული პირებისათვის. არჩეულები თვალყურს ადევნებდნენ იმას, რომ სოფლად არ მომხდარიყო უწესრიგობა, ცეცხლის წაკიდება, ტყის გაჩეხვა, ძარცვა"[1].

მარტში დაიწყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის მუშების ორგანიზებული გამოსვლები. ისინი პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნებს აყენებდნენ.

[1] „პროლეტარი", 1905, № 1.



ავლაბრის ფარული ბოლშევიკური სტამბის ჭების ცოწყობილობის სქემა

გამოსვლებში მონაწილეობას იღებდნენ უმთავრესად საუფლისწულო მამულების მუშები დუშეთის მაზრაში (ქართლის საუფლისწულო მამული ს. მუხრანში), სიღნაღისა და თელავის მაზრებში (ნაფარეულის, წინანდლის, მუკუზანის მამულები), გორის მაზრაში (ცხინვალი, დირბი, ავლევი, ფრონის ხევი). გამოდიოდნენ აგრეთვე ჩაქვისა და აფხაზეთის საუფლისწულო მამულების მუშები.

სოფლის მეურნეობის მუშების გამოსვლების ჩასახშობად დუშეთის მაზრაში გაიგზავნა კავკასიის მსროლელთა 1-ლი ბატალიონი.

წინანდლის საუფლისწულო მამულების მმართველი 31 მარტს ატყობინებდა კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორს, რომ 30 მარტს არც ერთი მუშა არ გამოვიდა სამუშაოდ, ხოლო მეორე დღეს ისინი ახლო-მახლო სოფლების გლეხებთან ერთად, რიცხვით 2000 კაცამდე, წითელი დროშით დაიძრენ სოფლიდან საუფლისწულო მამულისაკენ და წამოაყენეს მთელი რიგი მოთხოვნები[1].

საუფლისწულო მამულების მუშები, აყენებდნენ რა გლეხებთან ერთად საერთო პოლიტიკურ მოთხოვნებს, ამავე დროს დაჟინებით მოითხოვდნენ შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას მუშების სასარგებლოდ: ხელფასის გადიდებას, სამუშაო დღის შემცირებას 8 საათამდე, მუშებისა და მათი ოჯახების წევრებისათვის უფასო სამედიცინო დახმარების გაწევას, ყველა მუშის სავალდებულო დაზღვევას უბედური შემთხვევებისაგან, სკოლებში ბავშვების უფასოდ სწავლებას, ასეთი სკოლების გახსნას თითოეულ მამულში და ა. შ.

1905 წელს რევოლუციური მოძრაობა საქართველოში დაიწყო რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის უშუალო ზეგავლენით. მუშებისა და გლეხების გმირულ ბრძოლას ხელმძღვანელობდა რსდმპ კავკასიის კავშირი, რომელსაც სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი. უფრო ორგანიზებული და შეგნებული ხასიათი ჰქონდა გლეხთა მოძრაობას იმ რაიონებში, სადაც უფრო ძლიერი იყო პროლეტარული გავლენა. მაგრამ ცარიზმმა შეძლო პირველი რევოლუციური ტალღის მოგერიება.

ეს აიხსნება იმით, რომ აჯანყებული გლეხობის პოლიტიკური შეგნების დონე საქართველოს ყველა რაიონში ერთნაირი როდი

---

[1] ლაცსი—საუფლისწულო მამულების მთავარი სამმართველო, ს. № 5, ფ. 16—17.

იყო. აჯანყებებს ჰქონდა ლოკალური და არა საყოველთაო ხასიათი.

„ჩვენ სხვადასხვა დროს გავილაშქრეთ მტერზე,— ნათქვამია იყო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაციაში „კავკასიის მუშებს“,—ჩვენ ცალ-ცალკე ჯგუფებად დაქუცმაცებულები შევხვდით რევოლუციას და სწორედ ამიტომ იყო, რომ ასე დაუსჯელად დაღვარა მთავრობამ ხალხის სისხლი“[1].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ მუშებსა და გლეხებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ იარაღი; ჯარს თუმცა შეეხო ბოლშევიკური პროპაგანდა, მაგრამ იგი კვლავ ცარიზმის დასაყრდენად რჩებოდა. ამიტომ საქართველოს ცალკეულ რაიონებში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა, იქ იგზავნებოდა ეგზეკუციები, მასობრივად აპატიმრებდნენ ხალხს.

ქუთაისის გუბერნია და ბათუმის ოლქი გამოიყო დამოუკიდებელ საგენერალგუბერნატოროდ და მას სათავეში ჩაუყენეს კავკასიის კაზაკთა დივიზიის მეთაური გენერალი ჯამბაკურ-ორბელიანი.

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფ. 33, ფ. 16.

7

რევოლუციური მოძრაობის განვითარება 1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულზე

ვ. ი. ლენინი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს რევოლუციური ბრძოლის მსვლელობას ამიერკავკასიაში. მას მუდმივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რსდმპ კავკასიის კავშირთან.

რსდმპ III ყრილობამ, რომელიც 1905 წ. აპრილ-მაისში გაიმართა, ვ. ი. ლენინის წინადადებით მოისმინა ამიერკავკასიის ბოლშევიკების წარმომადგენლის მიხა ცხაკაიას (ბარსოვის) სპეციალური მოხსენება გლეხთა მოძრაობაზე საქართველოში.

ამ მკაფიო და შინაარსიანი მოხსენების საფუძველზე ყრილობამ, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რევოლუციურ ბრძოლას კავკასიაში, მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია „კავკასიის ამბების გამო“.

მასში ნათქვამი იყო:

„იღებს რა მხედველობაში:

1. რომ კავკასიის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები ხელს უწყობდა იქ ჩვენი პარტიის ყველაზე უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას;

2. რომ რევოლუციური მოძრაობა კავკასიის მოსახლეობის უმრავლესობაში როგორც ქალაქად, ისე სოფლად უკვე მივიდა საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ;

3. რომ თვითმპყრობელური მთავრობა უკვე აგზავნის გურიაში ჯარსა და არტილერიას და ამზადებს აჯანყების ყველა უმნიშვნელოვანესი კერის ულმობელ განადგურებას;

4. რომ თვითმპყრობელობის გამარჯვება სახალხო აჯანყებაზე კავკასიაში, რასაც ააღვილებს იქაური მოსახლეობის უცხოტომური შემადგენლობა, გამოიღებს უაღრესად მავნე შედეგებს აჯანყების წარმატებისათვის მთელ რუსეთში, რსდმპ III ყრილობა რუსეთის შეგნებული პროლეტარიატის სახელით მხურვალე სალამს უთვლის კავკასიის გმირ პროლეტარიატსა და გლეხობას და ავალებს პარტიის ცენტრალურ და ადგილობრივ კომიტეტებს მიიღონ უაღრესად ენერგიული ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება უფრო კარგად გავრცელდეს ცნობები კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ ბროშურებს, მიტინგების, მუშათა კრებების, საწრეო საუბრებისა და სხვ. გზით, და აგრეთვე დროულად დაეხმარონ კავკასიას მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით“ [1].

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გლეხთა კომიტეტებს, რომლებიც იმ დროს, ეწყობოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, რადგან ისინი მუშათა დეპუტატების საბჭოებთან ერთად რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახად მიაჩნდა. „მუშათა დეპუტატების საბჭოები—ყველა დიდ სამრეწველო ცენტრში,—წერდა ვ. ი. ლენინი,—მთელი რიგი ეკონომიური მონაპოვარნი, რომელნიც კაპიტალს გამოჰგლიჯეს, ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები არმიაში, გლეხთა კომიტეტები გურიაში და სხვა ადგილებში, ბოლოს, სწრაფწარმავალი „რესპუბლიკები“ რუსეთის რამდენიმე ქალაქში,—ყოველივე ეს პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის დ ა ს ა წ ყ ი ს ი იყო, პროლეტარიატისა, რომელიც რევოლუციურ წვრილ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით გლეხობას ეყრდნობოდა“ [2].

1905 წლის აპრილში საქართველოში აზვირთდა რევოლუციური მოძრაობის ახალი ტალღა. პირველად გაიფიცნენ რკინიგზელები. ამ გაფიცვის შეფასებისას გაზეთი „ვპერიოდი“ წერდა:

„იგი მიმდინარეობდა, როგორც ჩანს, კავკასიისათვის ჩვეული სიმტკიცითა და სოლიდარობით; მან ერთბაშად მოიცვა მთელი ხაზი. ამაში გამოხატულებას პოულობს რსდმპ კავკასიის კავშირის გავლენა. თბილისიდან მიღებულ 6 აპრილის დეპეშაში ნათქვამია: „გაიფიცნენ ყველა მემანქანენი, მატარებლის შემდგენ-

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში (რუსულად), მოსკოვი, 1953 ნ. I, გვ. 84.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, გვ. 204.

ლები, გადამბმელები და მეისრეები. შეჩერდა ყველა მატარებლის მოძრაობა. გაიფიცნენ ბაქოს მუშებიც. მოძრაობა შეწყვეტილია"[1].

ამ დროს თბილისში, რკინიგზელების გარდა, გაფიცული იყვნენ სტამბის მუშები. 11 აპრილს მათ შეუერთდნენ რესტორნების, სასადილოების, ბუფეტების მოსამსახურეები, შინამოსამსახურეები, საშუალო სკოლის მოსწავლეები, საერთო რაოდენობით 5 ათასი კაცი. ქალაქის ქუჩებში იმართებოდა დემონსტრაციები და შეტაკებები პოლიციასა და კაზაკებთან. ამავე დროს საგაფიცვო ბრძოლაში მონაწილეობდნენ ბათუმის, ფოთის, ქუთაისის მუშები. სოხუმში გაიფიცნენ ნოქრები, ხარაზები, მენავეები, მეეტლეები, მზარეულები, ყველა მაღაზია დაიკეტა.

მუშები და გლეხები ერთად აღნიშნავდნენ საერთაშორისო პროლეტარულ დღესასწაულს—1 მაისს. მარტო ოზურგეთის მაზრაში ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო 82 ათასმა კაცმა. გამართულ მიტინგებზე, სადაც ბოლშევიკი ორატორები გამოდიოდნენ, „ყოველი ხეხრიდან მოისმოდა დაჟინებითი შეძახილები, ხალხი გუგუნებდა, როგორც ერთი კაცი: „იარაღი... იარაღი... მოგვეცით იარაღი!" იყო კაზაკთა ხროვის თავდასხმის შემთხვევები, მაგრამ ამას სერიოზული შედეგები არ მოჰყოლია. ესე დამთავრდა ეს წითელი დღესასწაული, რომელმაც ღრმა, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ხალხის გულში"[2].

1 მაისის წინახანებში სოხუმში ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ დიდი მუშაობა გასწია. კერძოდ, მთელ ქალაქში გავრცელდა ფურცლები რუსულ და ქართულ ენებზე მოწოდებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!"[3].

რევოლუციურ ზრდასთან დაკავშირებით მეფის მთავრობამ დაადგინა კვლავ აღედგინათ კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობა და მისთვის გადაეცა მთელი სამოქალაქო, სამხედრო და საპოლიციო ძალაუფლება. მეფისნაცვალმა მიიღო თითქმის განუსაზღვრელი უფლებები, მას თავის განკარგულებაში ჰყავდა დიდი არმია, მის ხელში იყო უზარმაზარი მატერიალური საშუალებანი. კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულ იქნა გრაფი ნ. ი. ვორონცოვ-დაშკოვი.

ალექსანდრე III-ის დროს ვორონცოვ-დაშკოვი იყო მეფის საიდუმლო პოლიციის უფროსი. მეფის კართან ახლომდგომ სხვა

---

[1] „ვპერიოდი" 1905, № 16.

[2] „პროლეტარი" 1905, № 5.

[3] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 4322, ფ. 78.

პირებთან ერთად მან რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად მოაწყო ე. წ. „საღმრთო რაზმი“. ვორონცოვ-დაშკოვი საგენერალო მეფე ნიკოლოზ II-ის განსაკუთრებული ნდობით, მას ჰქონდა მეფის ერთგული მსახურის ადმინისტრაციულ-დიპლომატიური გამოცდილება, ვორონცოვ-დაშკოვმა შეარჩია უახლოესი თანაშემწეები და 1905 წლის 5 მაისს ჩამოვიდა თბილისში. მან მიმართა შაღალფარდოვანი მრწოდებებით მოსახლეობის მიძინების პირფერულ პოლიტიკას, დაპირდა მას მთელ რიგ რეფორმებს და ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ვორონცოვ-დაშკოვმა გამართა თათბირები და მოაწყო კომისიები ამიერკავკასიაში ერობის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების, მემამულეებისადმი გლეხების დროებითვალდებულებითი და ხიზნური დამოკიდებულების ლიკვიდაციის, სკოლის რეფორმისა და სხვა საკითხებზე. ამავე დროს შეცვლილ იქნა კავკასიის ადმინისტრაციის ზოგიერთი პირი, რომელიც ყველაზე მეტად სძულდა მოსახლეობას. მეფისნაცვლის თანაშემწედ სამოქალაქო ნაწილში დაინიშნა მოლიბერალო მოხელე სულთან-კრიმგირეი. ქუთაისის გუბერნიაში, რომელიც სხვაზე მეტად მოიცვა რევოლუციურმა მოძრაობამ, გუბერნატორად დაინიშნა საქარის (შორაპნის მაზრა) ამერიკული ვაზის სანერგის გამგე ლიბერალი აგრონომი სტაროსელსკი, რომელიც იცნობდა ქართული სოფლის ყოფაცხოვრებას. დაწყებითს სკოლებში ნებადართულ იქნა მშობლიურ ენაზე სწავლება.

როგორც ცნობილია, 1903 წ. 12 ივნისს მეფის მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება სომხური სკოლების დახურვისა და საეკლესიო მიწებისა და კაპიტალების სეკულარიზაციის შესახებ, რამაც მასობრივი პროტესტი გამოიწვია.

ვორონცოვ-დაშკოვის წარდგინებით ეს ბრძანებულება გაუქმებულ იქნა. საპატიმროებიდან გამოუშვეს რამდენიმე პოლიტიკური პატიმარი, რომელთა „დანაშაული“ უმნიშვნელო იყო ან ვერ იქნა დამტკიცებული.

თავის-თავის ლიბერალურად მოჩვენების გზით ვორონცოვი მიზნად ისახავდა დაექსაქსა რევოლუციის ძალები, ჩამოეშორებინა მისგან ხალხის ზოგიერთი ფენა, დაემყარებინა კავშირი ლიბერალებთან. ვორონცოვ-დაშკოვმა მართლაც მიაღწია ამ უკანასკნელ მიზანს. რსდმპ ბაქოს კომიტეტის ფურცლებში ამის გამო ნათქვამი იყო „...საკმარისი იყო ვორონცოვ-დაშკოვს ეთქვა ორი-სამი ალერსიანი სიტყვა, რომ ლიბერალები ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ

შეფის სატრაპის შექებაში, როგორც დიდი რეფორმატორისა, რომელიც გაბედნიერებს ამიერკავკასიას“ [1].

ლიბერალებთან ერთად მენშევიკებიც აღფრთოვანებით შეეგებნენ მეფის პოლიტიკის. „ახალ კურსს“ კავკასიაში მათ დაადგინეს მონაწილეობა მიეღოთ „წოდებათა წარმომადგენლების კრებაში“, რომელსაც ვორონცოვ-დაშკოვი იწვევდა, ეწეოდნენ აგიტაციას ერობის შესაქმნელად კავკასიაში და ა. შ.

მხოლოდ ბოლშევიკები ამხილებდნენ ვორონცოვ-დაშკოვის პოლიტიკას, მის ნამდვილ მიზანს, ჩაეხშო რევოლუცია უმნიშვნელო რეფორმებისა და დათმობის გზით. ისინი მოუწოდებდნენ მშრომელთა მასებს აქტიური ბოიკოტი გამოეცხადებინათ ხელისუფალთა მიერ განზრახული ღონისძიებისათვის და ეწარმოებინათ მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ბოლშევიკური გაზეთი, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო „ბორბა პროლეტარიატა“ („პროლეტარიატის ბრძოლა“), წერდა:

„რევოლუციურმა პროლეტარიატმა უკვე დიდი ხანია გაიგო შეფის მთავრობის ეს საზიზღარი პოლიტიკა. ის არ დააყოვნებს სათანადოდ შეაფასოს თვითმპყრობელობის ეს ახალი ცდა—გახრწნას ხალხის ფართო ფენები და ჩამოაშოროს მათი ყურადღება რევოლუციურ ბრძოლას.

ვეყრდნობით რა პარტიის III ყრილობის დადგენილებებს, ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ყველა პარტიულ ორგანიზაციას:

ა) მთავრობის დათმობათა რეაქციული მიზნების მხილებასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნონ პროპაგანდისა და აგიტაციის დროს, ერთი მხრით, ამ დათმობათა იძულებითი ხასიათი და, მეორე მხრით, სრული შეუძლებლობა თვითმპყრობელობის მხრივ განახორციელოს პროლეტარიატის დამაკმაყოფილებელი რეფორმები;

ბ) ისარგებლონ საარჩევნო აგიტაციით და განუმარტონ მუშებს (და გ ლ ე ხ ე ბ ს — „ბორბა პროლეტარიატას“ რედ.) მთავრობის ამგვარ ღონისძიებათა ჭეშმარიტი აზრი, ამტკიცონ, რომ პროლეტარიატისათვის (და გლეხობისათვის — „ბორბა პროლეტარიატას“ რედ.) აუცილებელია მოიწვიოს რევოლუციური გზით დამფუძნებელი კრება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით და სხვ.;

და გ) გასწიონ ფართო აგიტაცია გლეხობაში, რათა სოფლის ყრილობამ ბოიკოტი გამოუცხადოს მოტყუების პოლიტიკას,

[1] „პროლეტარი“ 1905, № 4.

რომელსაც ახორციელებს მეფის სატრაპი კავკასიაში, და არ. გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები თათბირზე"[1].

ვორონცოვ-დაშკოვი ცდილობდა პირფერული სიტყვებითა და დაპირებებით ჩამოეშორებინა ხალხის მასები რევოლუციური მოძრაობისაგან და ამასთან წინდახედულად სხვა ზომებსაც ღებულობდა. ჯერ კიდევ მის ჩამოსვლამდე, მისივე შუამდგომლობით, ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა თბილისის გუბერნიის ერთ ნაწილშიც. 22 მაისს გამოიცა მეფის ბრძანებულება კავკასიაში პოლიციის გაძლიერებისა და პოლიციის უფროსის თანამდებობის შექმნის შესახებ. საქართველოს ცალკეულ რაიონებში გაიგზავნა ჯარის ახალი ნაწილები, გაძლიერებულ იქნა თბილისის გარნიზონი.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით 1905 წ. მარტს დასავლეთ საქართველოში პარტიული და რევოლუციური მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობისათვის ქუთაისს გაიგზავნა ა. წულუკიძე.

დაძაბულმა პარტიულმა მუშაობამ, განუწყვეტელმა პუბლიცისტურ-ლიტერატურულმა მოღვაწეობამ, პატიმრობის მძიმე პირობებმა, ამასთან ტუბერკულოზის პროცესის გამწვავებამ საბოლოოდ შეარყია ამ გამოჩენილი ბოლშევიკის, რევოლუციური მოღვაწის, მარქსიზმის ნიჭიერი პროპაგანდისტისა და პუბლიცისტის, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული ადამიანის ჯანმრთელობა.

ა. წულუკიძის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მარქსისტული შრომები: „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში", „საუბარი მკითხველთან", „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან", ჩვენი უთანხმოებანი", „ოცნება და სინამდვილე", „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან", „პაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე", „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები" და სხვ.[2].

თავის შრომაში ა. წულუკიძე ღრმად ავითარებდა მარქსისტულ შეხედულებებს პოლიტიკური ეკონომიის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, მუშათა კლასის პოლიტიკური პარტიის აუცილებლობის, ეროვნულ და სხვა საკითხებზე.

ა. წულუკიძე იყო საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი ფუძემდებელი, რსდმპ კავკასიის კავშირის

---

[1] „პროლეტარსკაია რევოლუცია", 1939, № 4.

[2] ა. წ ულ უ კ ი ძ ის თხზ. კრებული, 1937.

გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა»—რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე

კომიტეტის წევრი, ბოლშევიკური გაზეთის — „პროლეტარიატის ბრძოლის“ ერთ-ერთი რედაქტორი; იგი არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული, იჯდა თბილისის მეტეხის ციხეში.

ა. წულუკიძე გარდაიცვალა 1905 წლის 8 (21) ივნისს. მისმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა შორის. მის დაკრძალვას 12 ივნისს ათიათასზე მეტი კაცი დაესწრო და იგი გადაიქცა მძლავრ პოლიტიკურ დემონსტრაციად არსებული ექსპლოატატორული წყობილების წინააღმდეგ.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანომ მოათავსა ა. წულუკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ნეკროლოგი. ეს ნეკროლოგი გადაიბეჭდა ბოლშევიკების ცენტრალურ ორგანო „პროლეტარში“.

„წულუკიძე იყო,—ვკითხულობთ ნეკროლოგში,—კავკასიის კავშირის ერთი საუკეთესო ამხანაგი ჭოღვაწეთაგანი, სერიოზულად მომზადებული და ყველაზე უფრო გულ-მხურვალე მომხრე „უმრავლესობისა... მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი თუ რა მდგომარეობაშია პარტიული საქმე დღეს კავკასიაში, მარა მაინც, მიუხედავად პარტიული კრიზისისა, მხნედ და სრული რწმენით გაიძახოდა სიკვდილის წინ: „იდეა (აზრი) მაინც გაიმარჯვებს“! დიახაც „გაიმარჯვებს იდეა“, ამხანაგო — მეგობარო! და ამ გამარჯვებაში შენც არამცირედი ღვაწლი მიგიძღვის პარტიის წინაშე!... პროლეტარები და სოფლის ღატაკნი არ დაგივიწყებენ, როგორც ერთ გულწრფელ მებრძოლთაგანს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის“! [1].

კავკასიის კავშირის კომიტეტი დაუღალავად ეწეოდა III ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდას. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში ავიდა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე და მოედვა ახალ რაიონებს.

1905 წლის 20 ივნისს თბილისში დაიწყო გაფიცვა, რომელმაც საყოველთაო ხასიათი მიიღო. „კავშირის კომიტეტის“ ხელმოწერით გაზეთ „პროლეტარში“ დაიბეჭდა შემდეგი კორესპონდენცია თბილისიდან:

„გუშინ მუშებმა შეწყვიტეს მუშაობა რკინიგზის სახელოსნოებში, ყველა კერძო ქარხანასა და ფაბრიკაში. შეწყდა ტრამვაისა და „კონკის“ მოძრაობა; დღეს გაფიცულებს შეუერთდნენ ნოქრები,

[1] „პროლეტარიატის ბრძოლა“, 1905, № 9.

დაიკეტა თითქმის ყველა მაღაზია. გაიფიცნენ ქალაქის გბმგეობის მოსამსახურეები. ქუჩებს გაძლიერებით იცავენ კაზაკები და პოლიცია. წარმოებს მასობრივი ჩხრეკა, ეძებენ იარაღს"[1].

ივნისში თბილისში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა ნიშნად პროტესტისა ცარიზმის შავრაზმული, დამრბევი პოლიტიკის წინააღმდეგ; ცარიზმი კი კვლავ ცდილობდა ჩამოეგდო მტრობა ამიერკავკასიის ხალხებს შორის, გაეთიშა მუშათა მოძრაობა. კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ნება დართო დაეარსებინათ „პატრიოტების" წრე. მისი შეიარაღებული წევრები პოლიციისა და კაზაკების დახმარებით აშკარად თავს ესხმოდნენ მუშებსა და მშვიდობიან მცხოვრებლებს, სცემდნენ მათ და პოლიციაში გზავნიდნენ.

მშრომელთა მიტინგებზე, რაც თბილისში ივნისის გაფიცვის დროს ყველგან იმართებოდა, იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებშიც მოითხოვდნენ საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას, სიტყვის, პრესის თავისუფლებას, შავრაზმული ორგანიზაციების დაშლასა და განიარაღებას, ქალაქიდან კაზაკების გაყვანას, სამხედრო პატრულის მოხსნას და ა. შ.

23, 24, და 25 ივნისს ქალაქის სხვადასხვა უბანში ყუმბარებით თავს დაესხნენ კაზაკთა ნაწილებს და პოლიციელებს, რომელთა შორის იყვნენ მოკლულები და დაჭრილები.

საყოველთაო გაფიცვა ორგანიზებულად დამთავრდა 28 ივნისს. თბილისელი მუშების გაფიცვას გამოეხმაურნენ გორის, თელავის, ქუთაისის, ბათუმის, ბორჯომის რკინიგზის კვანძის მუშები და ა. შ.

გორში გაფიცვა დაიწყო 21 ივნისს. მუშებს მიემხრნენ ოსტატები, მეპურეები, მეეტლეები. 27 ივნისიდან საყოველთაო გაფიცვა დაიწყო თელავში და გაგრძელდა 30 ივნისამდე. ამ დროის განმავლობაში მუშაობა შეწყვეტილი იყო სახელოსნოებსა, აბრეშუმსახვევ ფაბრიკასა და სტამბებში, დაიკეტა ყველა დუქანი.

ივლისში გაიფიცნენ საუფლისწულო მამულების მუშები თელავის მაზრაშიც.

ივლისში დაიწყო მღელვარების ზრდა საქართველოში განლაგებულ სამხედრო ნაწილებს შორის. კავკასიის პოლიციის უფროსმა შირინკინმა აცნობა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, რომ სოხუმის 258-ე ქვეითმა სათადარიგო პოლკმა 10 ივლისს გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მას უვარგის პურს აძლევდნენ. 11 ივლისს

[1] „პროლეტარი", 1905, № 12.

თითქმის მთელი პოლკი არ გამოვიდა ვახშამზე. იმავე დროს ამ პოლკის 7-8 ასეულმა ნება არ მისცა დაეპატიმრებინათ ჯარისკაცი, რომელმაც გამოთქვა პროტესტი კაპიტან იაკუბოვსკის მიერ ჯარისკაცთა ფულის დაკავების გამო. „უკანასკნელ დროს,—განაგრძობდა თავის მოხსენებაში შირინკინი,—საგრძნობლად გახშირდა ჯარისკაცებისადმი მიმართული სხვადასხვა რევოლუციური მოწოდების (ადგილობრივი, ბათუმის, სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის მოწოდებისა—რუსულ და ქართულ ენებზე) გავრცელება პოლკში... მიუხედავად ამ მოწოდებათა პოვნისა იმ ადგილებში, სადაც დგანან შორიგეები და საერთოდ უცხო პირებს შეუმჩნევლად შესვლა არ შეუძლიათ, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა მიეღოთ მონაცემები დამნაშავეთა გამომძიებისათვის“ [1].

17 ივლისს დაიწყო ჭიათურის შავი ქვის მაღაროების მუშათა გაფიცვა. სადგურთან შეიკრიბა 4 ათასი კაცი; მათ აღმართეს წითელი დროშა და ორგანიზებულად გაიარეს ქალაქში, შემდეგ კი ცალკე ჯგუფებად გაემართნენ დაბა საჩხერეში. ჭიათურაში გაიგზავნა ქვეითი ჯარის ბატალიონი. 19 ივლისს ქ. ფოთში დაიწყო ნავსადგურის მუშებისა და რკინიგზელი მტვირთავების გაფიცვა.

ქუთაისიდან ფოთში გაიგზავნა კაზაკთა პოლკის ნაწილი და ადგილობრივ ხელისუფალთ წინადადება მიეცათ „მიეღოთ მათგან დამოკიდებული ზომები გაფიცვის ჩასახშობად“.

რევოლუციური აგიტაციისა და აგრეთვე მთელს საქართველოში გავრცელებული მძლავრი რევოლუციური პროტესტის ზეგავლენით, ოზურგეთის მაზრაში დაბანაკებულ ჭენერალ ალიხანოვ-ავარსკის ჯარის ნაწილებში დაიწყო გახრწნა. ამიტომ მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები იძულებული იყვნენ გაეწვიათ მაზრიდან დამსჯელი რაზმი.

1905 წლის გაზაფხულზე აქ მეფის ხელისუფლების ორგანოებმა ფაქტიურად შეწყვიტეს მოქმედება. სოფლად რეალურ, ნამდვილ ხელისუფლებას წარმოადგენდნენ გლეხთა კომიტეტები, რომლებიც სარგებლობდნენ უდიდესი ავტორიტეტით და რომელთა ხელში ფაქტიურად გადავიდა ძალაუფლების ფუნქციები. კომიტეტები აგებული იყო შემდეგი წესით. მთელი ორგანიზაციის პირველადი რგოლი იყო 9 კაცისაგან შემდგარი წრე. მას სათავეში ედგა ათისთავი. წრეებს ხელმძღვანელობდნენ ასისთავები; ასეთი სოფლად იყო ერთი-ორი კაცი. ცალკე ჯგუფებად გაერთიანებული

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 17, ფ. 11.

სოფლების ასისთავები ირჩევდნენ ათასისთავებს. ეს სოფლის ათასისთავები, რიცხვით 3—5 კაცი, შეადგენდნენ გლეხთა კომიტეტებს. დიდ სოფლებში ასისთავები შეადგენდნენ ამა თუ იმ სოფლის რევოლუციურ კომიტეტს. სოფლად ქმნიდნენ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს სოფლის მუშებისა და ღარიბი გლეხებისაგან. ბოლშევიკური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ რევოლუციურ კომიტეტებს პარტიის წევრების მეშვეობით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ კომიტეტების მუშაობაში.

გლეხთა კომიტეტებთან ეწყობა სასამართლოები, სასამართლო საქმეები აღიძვრებოდა დაზარალებულის განცხადებით. სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მოჰყავდათ სისრულეში.

გლეხთა კომიტეტებმა ოზურგეთის მაზრაში გააუქმეს სახელმწიფო გადასახადები, სამღვდელოების სასარგებლოდ დაწესებული გადასახადი, ჩამოართვეს მიწები მეძამულეებს, ახორციელებდნენ სიტყვის, სარწმუნოების თავისუფლებას, შეუდგნენ თავიანთი სკოლების დაარსებას და ა. შ. ყველგან შეიქმნა „წითელი ასეულები“, მიმდინარეობდა სამხედრო სწავლება და ენერგიულად ემზადებოდნენ შეიარაღებული ბრძოლისათვის ცარიზმის წინააღმდეგ.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესა ამახინჯებდა ფაქტებს და ოზურგეთის მაზრის ამბებს აშუქებდა ცალმხრივად და არასწორად. ეს პრესა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ გლეხები განაგრძობენ ეკონომიურ ბრძოლას, რომ არ არსებობს კლასობრივი ანტაგონიზმი არამცთუ გლეხთა შიგნით, არამედ არც გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის. ებრძოდნენ რა ბოლშევიკურ ლოზუნგს შეიარაღებული აჯანყების შესახებ, მენშევიკები ცდილობდნენ გლეხთა მოძრაობა ოზურგეთის მაზრაში დაესახათ ისე, თითქოს გლეხებმა აქ მშვიდობიანი გზით შექმნეს საოლქო რევოლუციური თვითმმართველობა და რომ ეს ორგანო ფაქტიურად ახორციელებდა ხელისუფლების ორგანოთა ფუნქციებს. მენშევიკები გლეხთა კომიტეტებში ვერ ხედავდნენ ვერც ხელისუფლების ჩანასახოვან ორგანოებს, ვერც შეიარაღებული აჯანყების ორგანოებს.

ამასთან დაკავშირებით ი. სტალინმა რსდმპ IV ყრილობაზე განაცხადა: „...ჯერ ერთი, გურია ოლქი კი არა, ქუთაისის გუბერნიის ერთერთი მაზრაა; მეორე, გურიაში არასოდეს არ არსებობდა მთელი გურიისთვის ერთიანი რევოლუციური თვითმმართველობა; იქ იყო მხოლოდ წვრილ-წვრილი თვითმმართველობანი,

რომლებიც, მაშასადამე, სრულებითაც არ უდრიან საოლქო თვითშმართველობებს; მესამე, მართვა-გამგებლობა—ერთია, მფლობელობა—სულ სხვა რამ. საერთოდ გურიის შესახებ ბევრი ლეგენდაა გავრცელებული და რუს ამხანაგებს ტყუილად მიაჩნიათ ის ჭეშმარიტებად...“ [1].

ვ. ლ ე ნ ი ნ ი ულმობელ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკების წინააღმდეგ, ამტკიცებდა, რომ ცარიზმის დამხობისა და რევოლუციის გამარჯვებისათვის საჭიროა არა რევოლუციური თვითშმართველობა, არამედ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარება შეიარაღებული აჯანყების გზით. „აჯანყების ლოზუნგის დაჩრდილვა ან თუნდაც უკან გადაწევა, — წერდა ვ. ლ ე ნ ი ნ ი, — რევოლუციური' თვითმმართველობის ორგანიზაციის ლოზუნგით — ეს რაღაც იმის მსგავსი რჩევაა, რომ ბუზი დაიჭირო და შემდეგ მას ბუზების საწინააღმდეგო ფხვნილი დააყარო“ [2].

გლეხთა მოძრაობამ ფართო გასაქანი მიიღო გორის მაზრაში. 2 ივნისს თავადმა ფავლენოვებმა და აზნაურმა ტატიევებმა დეპეშით აცნობეს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, რომ კვლავ დაიწყო გლეხთა მასობრივი აჯანყებანი, რომ ქართველი და ოსი გლეხები ანადგურებენ მემამულეთა კარმიდამოს, კლავენ აზნაურებს, პოლიცია უმწეოა. არსებობს საფრთხე, რომ გლეხთა მღელვარება „გადაიქცევა მრისხანე, საყოველთაო აჯანყებად, — წერდნენ ისინი.— გთხოვთ დაუყოვნებლივ გაგვიწიოთ მფარველობა და დაგვიცვათ, თორემ ყველანი ვიღუპებითო“ [3].

თელავის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლმა 5 ივლისს აცნობა ხელისუფალთ, რომ გლეხებს სახლში შიაქვთ მოსავალი შინდვრებიდან ისე, რომ მემამულეებს საიჯარო ქირას არ აძლევენ, რის გამოც მემამულენი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენო [4].

გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი ა. კ. ბაგრატიონ-დავიდოვი მაზრის თავადაზნაურთა სახელით სთხოვდა მეფისნაცვალს დაუყოვნებლივ მიეღო საჭირო ზომები გლეხთა გამოსვლების შესაწყვეტად, რადგან ამან „თავადაზნაურთა მნიშვნელოვანი რაოდენობა სრულიად გააჩანაგა და აიძულა ისინი მიეტოვებინათ თავიანთი კარმიდამო და მეურნეობა“ [5].

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 223.
[2] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 219.
[3] საქ. სსრ აცსი, ფ. 31, ს. 3622, ფ. 16.
[4] იქვე, ფ. 25.
[5] იქვე.

ივლისში მეფის 1905 წლის 10 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოში დაარსებულ იქნა ეგრეთ წოდებული დროებითი სამაზრო კომისიები. მათ უნდა გამოერკვიათ ის ზარალი, რომელიც გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ მიაყენა მემამულე თავადაზნაურობას. ზარალის ანაზღაურება დაეკისრა სოფლის მოსახლეობას. მაგრამ გლეხები ყველგან გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევდნენ ამ კომისიების მუშაობას.

თელავის, სიღნაღის, თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში გაიგზავნა კომისია გენერალ თავად ზ. გ. ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელიც დიდი უფლებებით იყო აღჭურვილი. მას თან ახლდა დრაგუნთა 43-ე პოლკის ესკადრონი. თავად ჭავჭავაძეს უნდა მოეევლო მაზრები, „შეერიგებინა გლეხები მემამულეებთან და აღედგინა წესრიგი“. გენერალ ზ. გ. ჭავჭავაძის ხელში გადადიოდა ამ მაზრებში განლაგებული ყველა სამხედრო ნაწილის მეთაურობა, მას ენიჭებოდა დაპატიმრების, „არაკეთილსაიმედო“ პირების გასახლების, ეგზეკუციების დანიშვნის და სხვ. უფლება. ასეთივე რწმუნებით გორისა და-დუშეთის მაზრებში გაიგზავნა კომისია გენერალ-ადიუტანტ ნ. გ. ამილახვრის მეთაურობით. მას ახლდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა 44-ე პოლკი, თბილისის გუბერნატორი ადიშევსკი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი ფინანსთა სამინისტროდან — ჯუნკოვსკი და საპატიო მომრიგებელი მოსაზმართლე ვეიდენბაუმი.

გლეხობისადმი სპეციალურ მიმართვაში მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი დაპირდა მათ, რომ განზრახული რეფორმების განხორციელების გზით გაუადვილებდა გლეხებს სახაზინო მიწების იჯარით აღებას, ხელს შეუწყობდა მათ მემამულეთა მიწების ყიდვაში ბანკის მეშვეობით და ა. შ. ხელისუფალნი ფიქრობდნენ, რომ ამ დაპირებათა დახმარებით ზოგიერთ ელემენტს ჩამოაშორებდნენ გლეხთა რევოლუციური მოძრაობისაგან.

მართლაც, საქართველოს მრავალი მაზრის გლეხთა ნაწილს, მათ შორის ოზურგეთის მაზრის გლეხობის ნაწილსაც, ეშინოდა რეპრესიების, უარს ამბობდა რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობაზე, კმაყოფილდებოდა ბოიკოტით, სჯეროდა, რომ გლეხთა საპიროებანი დაკმაყოფილებული იქნებოდა ხელისუფალთა მიერ რეფორმების განხორციელების გზით.

1905 წლის 6 ივლისს კავკასიის მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა მიიღო გორის მაზრის გლეხების დელეგაცია. იგი დაპირდა მას, რომ განიხილავდა გლეხთა საზოგადოებების შუამდგომლობებს მიწის საკითხის გადაწყვეტის შესახებ, კერძოდ,

აღუთქვა მას, რომ გააფართოებდა გლეხთა საადგილმამულო ბანკის მოღვაწეობას გლეხებისათვის მიწების მიყიდვის მხრივ და ა. შ. 9 ივლისს ვორონცოვ-დაშკოვმა მიიღო გლეხთა მეორე დელეგაცია. თავის მხრით გენერლები ჭავჭავაძე და ამილახვარი მოგზაურობდნენ განწესებულ რაიონებში და ყოველგვარ ზომას იღებდნენ, რათა გლეხებს უკუეგდოთ ბოიკოტი და დათანხმებულიყვნენ სახელმწიფო გადასახადების შეტანაზე, მემამულეებისათვის საიჯარო ქირის გადახდასა და ბეგარათა შესრულებაზე. მაგრამ არც რჩევამ, არც მუქარამ და არც რეპრესიამ არ გამოიღო დადებითი შედეგები. გლეხთა ძირითადი მასა მტრულად იყო განწყობილი მემამულე-თავადაზნაურებისა და სამღვდელოებისადმი და მას ხელისუფალთა არავითარი ნდობა არ ჰქონდა. თავიანთ მოხსენებაში [1] ჭავჭავაძე და, აგრეთვე, ამილახვარიც იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ მათ მისიას არავითარი დადებითი შედეგი არ მოუცია, რომ აგიტატორების მიერ შთაგონებული გლეხები წინანდებურად ყოველნაირ წინააღმდეგობას უწევენ ხელისუფალთ, არ აძლევენ მემამულეებს მოსავლის ნაწილს, გადაჭრით აფერხებენ იმ სამაზრო კომისიების მუშაობას, რომლებიც არკვევდნენ თავადაზნაურობისათვის მიყენებული ზარალის რაოდენობას.

ამის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები კიდევ უფრო აძლიერებენ რეპრესიათა პოლიტიკას. 29 ივლისს დუშეთისა და გორის მაზრები გამოყვეს თბილისის გუბერნატორის მმართველობიდან. სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება გაერთიანებული იყო ტენგინის 77-ე ქვეითი პოლკის მეთაურის პოლკოვნიკ ალფტანის ხელში. პოლკოვნიკ ალფტანს წინადადება მიეცა არ მორიდებოდა იარაღის გამოყენებას, „დაერწმუნებინა ამ მაზრების მოსახლეობა, რომ აუცილებელია შესრულებულ იქნეს ვალდებულებანი მთავრობის დაწესებულებებისა და პირების და საზოგადო დაწესებულებების მიმართ, აგრეთვე ხელი შეეწყო მემამულეებისა და საერთოდ მიწის მფლობელებისადმი გლეხთა ნორმალური დამოკიდებულების აღდგენისათვის“ [2].

ადგილებზე გაიგზავნა ჯარის ახალი ნაწილები. კიდევ უფრო გააქტიურდნენ დაქირავებულ გარეწარ პირთაგან შედგენილი თავადაზნაურული „შავი რაზმები“. გორის მაზრაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი მხეცობით და უმსგავსოებით მსხვილი

---

[1] საქ. სსრ აცსი, აღწერის მიხედვით 5951/554, ს. № 34

[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. № 7, ფ. 64.

მემამულეების გ. ამილახვრისა და ზ. აბდუშელიშვილის შეიარაღებული „შავი რაზმი“. აი რას იტყობინებოდნენ, მაგალითად, „შავი რაზმის“ მოღვაწეობაზე:

ქართველ თავადაზნაურობას „მოუკრებია ადგილობრივად უსაქმოთ მოხეტიალე ხუნხუზები და გამოუწყვია ეგრეთ წოდებული „თავად-აზნაურთა დრუჟინა“, 750 კაცისაგან შემდგარი, რომელსაც ბელადობს უნივერსიტეტში კურსდამთავრებული პირიო და ეს ვაეგბატონი თურმე მათრახით ხელში, მაწანწალა ბრბოს თანხლებით, დაძრწის ქართლის ქალაქებსა და დაბებში და შიშის ზარსა სცემს ადგილობრივ უწყინარ და მშვიდობიან მცხოვრებლებსო“ [1].

მეფის ხელისუფალთა და თავადაზნაურული „შავი რაზმების“ რეპრესიებს გლეხები უპასუხებდნენ მტკიცე წინააღმდეგობით.

31 ივლისიდან 17 აგვისტომდე გლეხთა რაზმებმა იარადი ჩამოართვეს სოფლების—მეჯვრისხევის, ხურვალეთის, ზეგარდის, ხოვლეს, ფლავის, რუისის, ერედვის, აბანოს, მცხეთისა და სხვ. ყველა მემამულეს.

31 ივლისს დუშეთის მაზრის სოფელ მჭადისჯვარში ჩავიდა ბოქაული გედევანოვი კაზაკების რაზმით და მოითხოვა, რომ გლეხებს მოსაულის ნაწილი მიეცათ მემამულე ბაგრატიონ-მუხრანსკისათვის. გლეხებმა ამაზე უარი განაცხადეს, მაშინ სამი მათგანი დააპატიმრეს. გლეხებმა გაათავისუფლეს პატიმრები და გააძევეს კაზაკები სოფლიდან. 1 აგვისტოს სოფელ მჭადისჯვარში ჩავიდა მსროლელთა ნაწილი და კაზაკები, რომლებსაც გადაჰქონდათ მოსავლის ნაწილი გლეხთა მინდვრებიდან მემამულეთა კარმიდამოში. 3 აგვისტოს დუშეთისა და გორის მაზრების სოფლებიდან შეიკრიბა დაახლოებით ათას გლეხამდე და მოითხოვა ჩამორთმეული პურის დაბრუნება. შეიარაღებული შეტაკების შედეგად მოკლულ იქნა დაახლოებით 30 კაცი, ხოლო დაჭრილ იქნა 40. შეიარაღებული შეტაკება ჯარის ნაწილსა და გლეხებს შორის მოხდა 7 აგვისტოს თელავის მაზრის სოფელ გრემში. მოკლულ და დაჭრილ იქნა 13 კაცი. მათ შორის იყვნენ ქალები და ბავშვები. თუ რა მდგომარეობა იყო ამ დროს ქუთაისის გუბერნიაში, შეიძლება წარმოვიდგინოთ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენებიდან: „ქუთაისის გუბერნიაში ყველგან გამეფებულია სრული ანარქია. მთავრობის ჯარების რიცხვი მეტად მცირეა. დღითი-დღე მოსალოდნელია სახალხო შეიარაღებული აჯანყება“ [2].

---

[1] „მოგზაური“, 1905, № 17.
[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 18, ფ. 52.

სერგო ორჯონიკიძე

პარტიის III ყრილობის შემდეგ ბოლშევიკები, ითვალისწინებდნენ რა რუსეთის ცალკეულ რაიონებში, ფლოტსა და არმიაში შომხდარი შეიარაღებული აჯანყების გაკვეთილებს, მოუწოდებდნენ მასებს საყოველთაო შეიარაღებისა და აჯანყების მომზადებისაკენ. სტატიაში „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა“ ი. სტალინი აღნიშნავს ლოძის ქუჩებში გამართულ საბარიკადო ბრძოლას, მუშების გაფიცვას ივანოვო-ვოზნესენსკში, აჯანყებას ოდესაში, შავი ზღვისა და ლიბავის ფლოტის ეკიპაჟის „ამბოხებას“, თბილისის „კვირას“ და ყველა ამ მოვლენას უწოდებს მოახლოებული ბელა-ქუხილის მრისხანე წინამორბედს. „ეს ბელა-ქუხილი ახლოვდება, — წერს ი. სტალინი, — შეუჩერებლივ ახლოვდება, და დღეს იქნება თუ ხვალ გადმოხეთქს რუსეთზე ყოვლად ძლიერ გამწმენდ ნიაღვრად, რომელიც ყოველივე ~~ეს~~ დაძველებულს, მომპალს წალეკავს და რუსეთის ხალხს მორეცხავს მრავალ საუკუნეთა სირცხვილს, თვითმპყრობელობად წოდებულს“ [1].

ი. სტალინი სასაცილოდ იგდებს „თვითშეიარაღების მწვავე მოთხოვნილებით“ ხალხის შეიარაღების ნენშევიკურ ლოზუნგს. ი. სტალინი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები მუშებისა და გლეხების შეიარაღებისათვის, გამომუშავდეს აჯანყების გეგმა ყოველი ცალკეული რაიონის მიხედვით, გამოინახოს მოწინააღმდეგის სუსტი ადგილი, დაისახოს პუნქტები, საიდანაც შეიძლება დაიწყოს თავდასხმა, განაწილდეს ძალები რაიონების მიხედვით, შესწავლილ იქნეს სხვადასხვა ადგილის ტოპოგრაფია. ი. სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აჯანყების ტექნიკურ მომზადებას, იარაღის შოვნას, მებრძოლი რაზმების შექმნას. „სწორედ **ტექნიკური ხელმძღვანელობა და მთელი რუსეთის აჯანყების ორგანიზაციული მომზადება**, — ამბობდა ი. სტალინი, — აი ის ახალი ამოცანა, რომელიც პროლეტარიატს დაუსახა ცხოვრებამ“ [2].

ადგილობრივი ხელისუფალნი თავიანთ მოხსენებით ბარათებში კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მუშები და გლეხები გამალებით იარაღდებიან და ემზადებიან აჯანყებისათვის. „გურია უკვე დიდი ხანია შეიარაღებულია, — წერდა, მაგალითად, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი პ. პარკაუ, — და არ სცნობს რუსეთის

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 125.
[2] ი. სტალინი, თხზ. ტ. 1, გვ. 127.

ხელისუფალთ. ახლა წარმოებს ქართველებით დასახლებული და-ნარჩენი ადგილების შეიარაღებაც. თქვენმა ბრწყინვალებამ, რა თქმა უნდა, უკვე მიიღო მესაზღვრეთა რაზმის მე-6 ოლქის უფროსის მოხსენება ქ. ფოთში 1700 კოლოფიანი შაშხანისა და 200 ათასი ვაზნის დაკავების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, რომ იარაღის ნაწილი გაგზავნილია სადგურ ახალ სენაკში“ [1].

ბათუმის დაცვითი პუნქტის გამგე როჟანოვი წერდა, რომ 15 აგვისტოს სოფ. დვაბზუს აგიტატორმა მოიწვია ყრილობა, რომელზედაც განმარტა შინაარსი მანიფესტისა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ; იგი ამტკიცებდა, რომ სათათბირო ხელსაყრელია მხოლოდ მდიდრებისათვის, და ურჩევდა ხალხს მოემარაგებინა იარაღი. აგიტატორი ასწავლიდა მათ, რომ გლეხებმა უნდა იცოდნენ ბარიკადების აგება, ორმოების, მიწის სანგრების თხრა, პატარა თხრილების კეთება ნაღმების ჩასაწყობად და ა. შ. [2].

1905 წლის აგვისტოს საქართველოში ყველგან მიმდინარეობდა რევოლუციური ძალების დათვალიერება. ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკისა და სხვა მაზრებში მოეწყო შეიარაღებული პოლიტიკური დემონსტრაციები; თითოეულ ამ დემონსტრაციაში მონაწილეობდა რამდენიმე ათასი კაცი.

მაგალითად, ოზურგეთის მაზრის დაბა ლანჩხუთში საეკლესიო ზარების ხმაზე, დილის 4 საათზე, ბაზრის მოედანზე შეიკრიბა ათასზე მეტი შამაკაცი, ქალი და ბავშვი. მამაკაცები ყველანი შეიარაღდნენ ბერდენის სისტემის თოფებით, 3-ხაზოვანი შაშხანებით, რევოლვერებით, ხმლებით, ხოლო მოხუცები და ქალები ჯოხებით. 8 საათზე ჩიბათის საზოგადოებიდან მოვიდა გლეხების მეორე ჯგუფი ცხენოსნებთან ერთად; ყველა შეიარაღებული იყო. შეიარაღებული გლეხები ჩამწკრივდნენ სამხედრო წესისამებრ. შემდეგ წითელ-აბრეშუმის დროშებით, მარსელიოზისა და სხვა რევოლუციური სიმღერებით დაიძრნენ სოფელ ნიგოითისაკენ. ლანჩხუთიდან სამი ვერსის გავლის შემდეგ მათ შემოხვდნენ გლეხები, რომლებიც ასევე შეიარაღებული იყვნენ და ორგანიზებულად მოდიოდნენ სოფელ ნიგოითიდან. მიტინგი მოეწყო მინდორში და რამდენიმე საათს გრძელდებოდა. წარმოითქვა სიტყვები და გაისმოდა შეძახილები: „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს თავისუფლებას!“ და ა. შ.

ამავე დროს შეიარაღებული დემონსტრაციები მოეწყო სადგურ სუფსის მახლობლად და ოზურგეთის მაზრის სხვა ადგილებში.

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 6115, ფ. 161.
[2] იქვე, ფ. 63, ს. 6123, ფ. 54.

ლენინი მიუთითებდა, რომ შეიარაღებული აჯანყების მსვლელობაში უნდა წარმოიშვას დროებითი რევოლუციური მთავრობა, როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა.

ამხილებდა რა მენშევიკებს, რომლებიც გამოდიოდნენ მუშათა და გლეხთა რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის წინააღმდეგ, ი. სტალინი სტატიებში „შეიარაღებული აჯანყება და ჩვენი ტაქტიკა", „დროებითი რევოლუციური მთავრობა და სოციალ-დემოკრატია" და მთელ რიგ სხვა სტატიებსა და მოწოდებებში ასაბუთებდა და ავითარებდა ლენინის შეხედულებებს დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ, რომელიც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დიქტატურა უნდა ყოფილიყო. „...თუ რევოლუციის ბელადი მოწინავე პროლეტარიატია, — წერდა ი. სტალინი,— და თუ ის ვალდებული იქნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს აჯანყების მოწყობაში, — მაშინ თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ხელი დავიბანოთ და შორს გავექცეთ დროებით რევოლუციურ მთავრობას, ჩვენ ვალდებული ვიქნებით გლეხკაცობასთან ერთად დავიპყროთ პოლიტიკური ძალაუფლება და მონაწილეობა მივიღოთ დროებით მთავრობაში: ვინც რევოლუციურ ქუჩაში ბელადობს, ის რევოლუციის მთავრობაშიც ბელადი უნდა იყოს"[1].

ბოლშევიკები მეთაურობდნენ რევოლუციურ მოძრაობას, ამზადებდნენ მუშებსა და გლეხებს შეიარაღებული აჯანყებისათვის და ამავე დროს ამხილებდნენ ცარიზმის ცდას ჩამოეშორებინა ხალხის მასები რევოლუციური ბრძოლისაგან რეფორმების დაპირებითა და მაღალფარდოვანი მანიფესტების გამოცემით. ბოლშევიკები ნათლად და მკაფიოდ განუმარტავდნენ მასებს, რომ 1905 წლის 5 აგვისტოს გამოქვეყნებული მანიფესტი „სახალხო წარმომადგენლების" (ბულიგინის სათათბირო) მოწვევის შესახებ ხალხის ურცხვად მოტყუებაა და მოუწოდებდნენ გამოეცხადებინათ ბოიკოტი ამ სახალხო წარმომადგენლობის კარიკატურისათვის.

სულ სხვა ტაქტიკას ახორციელებდნენ ამ დროს მენშევიკები. ისინი ატარებდნენ რევოლუციის ჩაშლის გამცემლურ ხაზს, ეწეოდნენ აგიტაციას ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობისასარგებლოდ, დიდ იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ ცარიზმი ამიერკავკასიაში შემოიღებდა საერობო თვითმმართველობას,

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 244.

მოუწოდებდნენ ხალხს მონაწილეობა მიეღო ხელისუფალთა მიერ მოწვეულ თათბირებში, მათ შორის კავკასიაში ერობის შემოღების საკითხზე გამართულ თათბირში, რომელიც თბილისში მოეწყო.

მენშევიკების გამცემლურმა ტაქტიკამ ხელი შეუწყო იმას, რომ მეფის ხელისუფლებამ შეძლო თავხედურად, გამომწვევად დაეჭირა თავი რევოლუციის მიმართ, ტყვია დაეშინა მუშათა მიტინგისათვის, რომელიც გაიმართა 1905 წ. 29 აგვისტოს თბილისის საქალაქო გამგეობაში.

ამ სისხლისმღვრელი მოქმედების გამო რსდმპ კავკასიის კომიტეტის კავშირმა გამოუშვა პროკლამაცია „სისხლი იღვრება, ვემზადოთ აჯანყებისათვის!"

„წყნარად ვისხედით ქალაქის „უპრავაში", — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — მარა მოვიდნენ მეფის ლაქიები და მხეცურად დაგვიშინეს თოფები! წყნარად ვმსჯელობდით ჩვენს ჭირ-ვარამზე, მარა ჯალათმა კაზაკებმა ნადირობა გამართეს ჩვენზე, სცემდნენ და ფეხქვეშ სთელავდნენ ჩვენს მოძმეებს!

ტყვიების ბზრიალმა, მათრახის ტყლაშუნმა, ქალების ქვითინმა, დაჭრილთა კვნესამ, მომაკვდავთა წყევლამ და მტრების ხარხარმა, გულის დამხევმა ხარხარმა — ყველა ამან ქარტეხილათ გადაიარა ჩვენს თავზე.

წყევლა და სიკვდილი მეფის მთავრობას, რომელმაც ჩვენი ცოლ-შვილი ააქვითინა!

მარა ნუ იფიქრებს ის, რომ ჩვენი რევოლუციონური სიამაყე გასტეხოს! პირიქით, მოძმეთა სისხლი გულს უფრო ამამაცებს. ძმათა აჩრდილნი თავს გვევლებიან და ყურში ჩაგვჩურჩულებენ: სისხლი აიღეთო! ჩვენ დავიხევთ უკან, ვერ დაუშვებთ დროშას! სისხლი სისხლისათვის და სიკვდილი სიკვდილისათვის — აი რითი უნდა უპასუხოთ ჯალათებს. შეიარაღება, და სისხლის აღება! გაუმარჯოს აჯანყებას! — აი როგორი უნდა იყვეს ჩვენი ლოზუნგები, ამხანაგო მუშებო!

ჩვენ არაფერს არ უნდა ველოდეთ თვითმპყრობელობისაგან, გარდა ტყვიებისა და მათრახებისა. ჩვენ არაფერს არ უნდა ველოდებოდეთ სახელმწიფო სათათბიროსაგან, გარდა მთავრობის გამბერებისა!...

გაუმარჯოს ორგანიზაციულ აჯანყებას!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს სოციალიზმს! [1]

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქართველოს ფილიალი, ფ. 33, ს. 33.

თბილისში 1905 წ. 29 აგვისტოს მომხდარ ამბებთან დაკავშირებით გაზეთმა „პროლეტარმა“ 1905 წ. 13 სექტემბერს დაბეჭდა სპეციალური ბიულეტენი „რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის“ ხელმოწერით, ხოლო 1 სექტემბერი თბილისში გამოცხადდა გლოვის დღედ. გარდა ამისა, მთელ ამიერკავკასიაში მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაციები და გაფიცვები რეაქციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. გაფიცვები და დემონსტრაციები გაიმართა თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთში, ჭიათურასა და სხვა ადგილებში. 29 აგვისტოს ამბებმა ფართო გამოძახილი პოვა, მაგალითად, გორის მახრაში, გორში, მიხაილოვოში, ბორჯომში, სურამსა და სხვა ადგილებში მოეწყო სამგლოვიარო კრებები, რომლებზედაც წარმოთქვამდნენ მრისხანებით აღსავსე სიტყვებს ცარიზმის წინააღმდეგ და მოუწოდებდნენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ფართოდ ვრცელდებოდა ბოლშევიკური პროკლამაციები.

1905 წ. აგვისტოს ქუთაისში გაიმართა რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მე-4 კონფერენცია, რომელსაც დაესწრო მიხა ცხაკაია. ამ კონფერენციაზე დასახული იყო კონკრეტული ღონისძიებანი იმისათვის, რომ განხორციელებულიყო ბულიგინის სათათბიროსა და კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის შესახებ გამართულ თათბირზე გასაგზავნ პირთა არჩევნების აქტიური ბოიკოტი. გლეხებისათვის ფართოდ უნდა განემარტათ, რომ ვიწრო წოდებრივი ერობა ვერ დაკმაყოფილებდა მშრომელი გლეხობის ინტერესებს.

„სახელმწიფო სათათბიროს დამსხვრევა და აჯანყების, რევოლუციის დროშის აღმართვა... აი რას უნდა ვესწრაფოდეთ...—ნათქვამი იყო „ბორბა პროლეტარიატში“—...მხოლოდ ეს გზა გაგვიადვილებს რამდენადმე მაინც საგრძნობლად მძიმე გზას „აღთქმული ქვეყნის“—სოციალიზმის სამეფოსაკენ“ [1].

ხალხმა მხარი დაუჭირა სათათბიროს ბოიკოტისა და, აგრეთვე, კავკასიაში ერობის შემოღების საკითხზე მოწვეული თათბირის ბოიკოტის ბოლშევიკურ ტაქტიკას.

მაგალითად, ჭიათურის რაიონში ყველა სასოფლო საზოგადოების გლეხებმა განაცხადეს, რომ ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ ერობის არჩევნებში. ქუთაისის გუბერნატორის ცნობით, აგვისტოს დამლევს ზუგდიდის მაზრის რედუტ-კალეს უბანში

---

[1] „ბორბა პროლეტარიატა“, 1905, № 3.

მოიწვიეს გლეხთა ყრილობები, სადაც გამოჰქონდათ რეზოლუცია იმის შესახებ, რომ „ხალხისათვის უსარგებლოა ერობის შემოღება და რომ მთავრობა უძლურია, მას არ შეუძლია ამჟამად წინ აღუდგეს ხალხის ნებას“ [1].

კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის შესახებ მოწვეულ თათბირზე წარმომადგენლების არჩევაზე უარი განაცხადეს გლეხთა ყრილობებმა აგრეთვე ოზურგეთის, ზუგდიდის, რაჭისა და სხვა მაზრებში.

დამახასიათებელია საიდუმლო პოლიციის მოხსენება იმის შესახებ, რომ 6 აგვისტოს სახელმწიფო სათათბიროს მოწვევაზე მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ „მოძრაობამ გურიაში დაიწყო კლასობრივი ბრძოლის ხასიათის მიღება. მცირემიწიანი და სრულიად შეუძლო გლეხები არ მალავენ თავის აღშფოთებას შეძლებული კლასების წინააღმდეგ... მაზრის მოსახლეობა იყოფა ორ ჯგუფად: შეძლებულებად და ღარიბებად; უკანასკნელები ძლიერ გაბოროტებული არიან პირველთა წინააღმდეგ“ [2].

აგვისტოს დამლევი აღინიშნა საყოველთაო გაფიცვით სოხუმში. „სოხუმში 30 აგვისტოდან საყოველთაო გაფიცვაა, — იუწყებოდა გაზ. „კავკაზის“ კორესპონდენტი, — ყოველგვარი მოძრაობა შეჩერებულია, ყველაფერი დაკეტილია, დაკეტილია აგრეთვე ხორცისა და პურის დუქნები“ [3].

ეს გაფიცვა წარმოადგენდა პროტესტს თბილისში 29 აგვისტოს მუშების დახვრეტის წინააღმდეგ და გამოხატავდა სოლიდარობას გაფიცულ სასოფლო-სამეურნეო მუშებთან, რომლებმაც უარი თქვეს დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის-ძის, მემამულეების—სმეცკის, პეტროვისა და სხვ. მამულებში მუშაობაზე. კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის განკარგულებით ეს მუშები გასახლებულ იქნენ სოხუმის ოლქიდან, მაგრამ სოხუმის საყოველთაო გაფიცვის ზეგავლენით ისინი კვლავ დააბრუნეს ხსენებულ მამულებში.

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 18, ფ. 89—92.
[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 6123, ფ. 54—57.
[3] გაზ. „კავკაზი“, 1905, № 227.

8

საერთო-სახალხო მოძრაობა 1905 წლის ოქტომბერში

რუსეთის პირველი რევოლუციის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ თავისი სოციალური შინაარსით ის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო, ხოლო ბრძოლის საშუალებებით პროლეტარული.

„მუშათა მოძრაობამ,—წერდა ვ. ლ ე ნ ი ნ ი,—თავისი ბეჭედი დაასვა რუსეთის მთელ რევოლუციას. იგი დაიწყო განცალკევებული გაფიცვებით და სწრაფად განვითარდა, ერთი მხრივ, მასობრივ გაფიცვებად, ხოლო მეორე მხრივ—ქუჩის დემონსტრაციებად“[1].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვის სექტემბრის გაფიცვას რევოლუციური ბრძოლის შემდგომი გაჩაღებისათვის მთელ რუსეთში.

„მოსკოვის გაფიცვა გვიჩვენებს,—წერდა ვ. ლ ე ნ ი ნ ი,—რომ ბრძოლა „ეშმარიტ რუსულ“ ოლქსაც მოედო, რომლის სიმტკიცე ასე დიდხანს გულს უხარებდა რეაქციონერებს. რევოლუციურ გამოსვლას ამ რაიონში უკვე იმიტომაც აქვს გიგანტური მნიშვნელობა, რომ საბრძოლო ნათლობას იღებენ პროლეტარიატის მასები, ყველაზე ნაკლებ მოძრავი და იმავე დროს შედარებით მცირე ოლქში თავმოყრილი, ისეთი რაოდენობით, რომ რუსეთში მას ამ მხრივ ვერც ერთი ოლქი ვერ შეედრება. მოძრაობა დაიწყო პიტერიდან, მთელი რუსეთის განაპირა მხარეები შემოიარა, ფეხზე დააყენა რიგა, პო-

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 428.

ლონეთი, ოდესა, „კავკასია, და ახალი ხანძარი თვით რუსეთის „გულს“ მოედო“[1].

1905 წლის სექტემბრიდან საქართველოში ყველგან ძლიერდება შეიარაღებული ბრძოლა. 1 სექტემბერს სადგურ ჭიათურაში მუშათა შეიარაღებული რაზმი თავს დაესხა მატარებლის მცველებს და განაიარაღა ისინი. 4 სექტემბერს სენაკის მაზრის სადგურ აბაშაში შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ მატარებელს და გაანთავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც ამ მატარებლით გადაჰყავდათ. იმავე დღეს აბაშისა და სამტრედიის სადგურებს შორის დაამსხვრიეს მატარებელი, რომლითაც გადაჰყავდათ კაზაკებისა და ტენგინსკის პოლკის ჯარისკაცებისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილი. 7 სექტემბერს ქუთაისში თავს დაესხნენ პოლიციის სამმართველოს და გა ტაცეს იარაღი. 9 სექტემბერს ოზურგეთის მაზრის სადგურ ლანჩხუთში შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ ჩაფრებს. შეიარაღებული შეტაკება მოხდა ამ დროს ქუთაისის მაზრის დაბა ბაღდათში, ოზურგეთის მაზრაში ჩოხატაურის მახლობლად. 25 სექტემბერს მოხდა თავდასხმა კაზაკებზე სოხუმის მახლობლად. გორის მაზრაში წარმატებით იბრძოდნენ ცალკეული სამხედრო ნაწილებისა და თავადაზნაურთა რაზმების წინააღმდეგ გლეხთა მებრძოლი „წითელი ასეულები“. მაგალითად, სოფ. კასპში განაიარაღეს კაზაკთა რაზმი. 13 სექტემბერს განაიარაღეს პოლიციის რაზმები სოფლებში — ნოსტეესა და მეჯვრისხევში. სისტემატურად ესხმოდნენ თავს პოლიციასა და სამხედრო პატრულებს აგრეთვე თბილისში, სადაც ასეთი თავდასხმები ეწყობოდა ყუმბარების გამოყენებით, რამაც, ვ. ლ ე ნ ი ნ ის ბამოთქმით, „დიდი პანიკა გამოიწვია კაზაკებსა და ჯარისკაცებში“[2].

ვ. ლ ე ნ ი ნ ი, მიუთითებდა რა რუსეთში შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაზე, ოქტომბრის დამდეგს წერდა: „პოლონეთმა და კავკასიამ უკვე უფრო მაღალი ბრძოლის ნიმუში მოგვცეს, იქ პროლეტარიატი ნაწილობრივ შეიარაღებული გამოვიდა, იქ ომმა გახანგრძლივებული ფორმა მიიღო“[3].

7 ოქტომბერს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის სახელოსნოებში დაიწყო გაფიცვა, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მოსკოვისა და პეტერბურგის ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატის ბრძოლასა

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 434.
[2] იქვე, გვ. 417.
[3] იქვე, გვ. 434.

თან. შემდგომში ეს გაფიცვა გავრცელდა სხვა რკინიგზებზედაც. 13 ოქტომბრიდან მოყოლებული საგაფიცვო მოძრაობამ მთელი ქვეყანა მოიცვა. ოქტომბრის სრულიად რუსეთის პოლიტიკურ გაფიცვაზე ვ. ლ ე ნ ი ნ ი წერდა:

„ბარომეტრი ქარიშხალს გვიჩვენებს!...ყველაფერი უკვე მოგლიჯა ადგილიდან სოლიდარული პროლეტარული იერიშის გიგანტურმა გრიგალმა. რევოლუციამ განსაცვიფრებელი სისწრაფით მიექანება წინ...ჩვენს წინაშეა უაღრესად წარმტაცი სცენები ერთ-ერთი უდიდესი სამოქალაქო ომისა, თავისუფლებისათვის ომისა, რომელიც კი ოდესმე განუცდია კაცობრიობას...“[1].

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის პასუხად 14 (27) ოქტომბერს თბილისში გაიფიცნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები. მათ მიჰყვა ყველა რკინიგზელი და მოძრაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე მთლიანად შეწყდა. 15 ოქტომბერს გაიფიცნენ თბილისის ყველა საწარმოს მუშები, ხოლო 17 ოქტომბრიდან საყოველთაო გაფიცვამ მოიცვა უკვე ბათუმი, ფოთი, ქუთაისი, სოხუმი, ჭიათურა, გორი, ბორჯომი, ოზურგეთი. საქართველოს ცალკეულ რაიონებში გაფიცვამ დაიწყო შეიარაღებულ ბრძოლაში გადაზრდა. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ბათუმსა და მის რაიონებში, სადაც რევოლუციური რაზმები თავს ესხმოდნენ კაზაკთა ნაწილებსა და პოლიციას.

ამ გამოსვლებს მწვავე ხასიათი ჰქონდა ოზურგეთის მაზრაში. გლეხთა რაზმებმა რამდენიმე ადგილას აყარეს რკინიგზის ლიანდაგი. სადგურ სუფსასა და სხვა ადგილებში თავს დაესხნენ სამხედრო ნაწილებს, ჩაფრებსა და პოლიციას. ჩოხატაურში დაატყვევეს პოლიციის ბოქაული და 18 ჩაფარი; 18 ოქტომბერს კაზაკებისა და ჩაფრების რაზმთან ერთად იქ ჩავიდა ოზურგეთის მაზრის უფროსი ლაზარენკო, მაგრამ შეეშინდა რაიმე რეპრესიული ზომების მიღებისა და 20 ოქტომბერს ოზურგეთში დაბრუნდა. მთიან ადგილას—ნასაკირალთან, 13—14 კილომეტრის მანძილზე ოზურგეთიდან, ლაზარენკოს რაზმს თავს დაესხნენ გლეხთა „წითელი ასეულები“. სასტიკი ბრძოლის შედეგად კაზაკებისა და ჩაფრების ნაწილი განადგურებულ იქნა. თვითონ ლაზარენკო და კაზაკთა ოფიცერი უკვალოდ გაქრნენ; როგორც ჩანს, ისინი ყუმბარების აფეთქებისაგან დაიღუპნენ. 1905 წ. 26 ოქტომბერს კავკასიის პრ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 483.

ლიციის უფროსი გენ. შირინკინი თავის მოხსენებაში ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე წერდა:

„უკანასკნელი ცნობები ქუთაისის გუბერნიიდან ცხადყოფენ, რომ გურია (ოზურგეთის მაზრა) აჯანყდა, ამბოხება მრისხანეა. გზები მოშლილია და დადის ხმები, რომ იქ განლაგებული პლასტუნთა ბატალიონები თითქოს განადგურებულია მეამბოხეთა მიერ სატყორცნი ყუმბარებით. ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია ვაცნობო თქვენს ბრწყინვალებას, — წერდა შემდეგ გენ. შირინკინი, — რომ აჯანყება გურიაში, დაკავშირებით დაძაბულ მდგომარეობასთან თბილისსა და კავკასიის სხვა პუნქტებში და ცნობებთან აჯანყების შესახებ ფინეთში, წარმოადგენს დიდ საფრთხეს მთელი კავკასიისათვის“[1].

ოზურგეთის მაზრაში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობად კვლავ გაიგზავნა დიდი დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, მაგრამ ამჯერადაც რაზმმა ვერ შეძლო გასცილებოდა სამტრედიის სადგურს. მეფის განზრახვას—გაენადგურებინა გლეხთა აჯანყება, მტკიცედ აღუდგა წინ საქართველოს მთელი პროლეტარიატი.

მაგალითად, 30 ოქტომბერს თბილისში, ნაძალადევის მუშათა რაიონში, რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მოიწვია მიტინგი, რომელსაც 3000-მდე კაცი დაესწრო. მიღებულ იქნა რეზოლუცია: „მოეთხოვოს მთავრობას გაიწვიოს ჯარები გურიიდან და მოხსნას სამხედრო წესები და თუ ეს მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, ხელი მოვჰკიდოთ იარაღს მთელს მხარეში“[2].

მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი ინახულა სიღნაღისა და თელავის მაზრების მრავალრიცხოვანმა დელეგაციამ და მოითხოვა საყოველთაო გაფიცვის მუქარით დამსჯელი რაზმის გაწვევა ოზურ-

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 24, ფ. 159.

„ოზურგეთის მაზრაში არსებული მდგომარეობის შესახებ სამოქალაქო როტმისტრი როჟანოვი გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს სწერდა: „17 ოქტომბრის მანიფესტმა იმდენად იმოქმედა გურულებზე, რომ მაზრაში გამეფდა სრული ანარქია. ისედაც ტეროროიზებული პოლიცია ჩაფრებთან ერთად 17 ოქტომბრის შემდეგ მიმოფანტა, ხოლო დარჩენილი თანამდებობის პირები და სხვა უწყებათა წარმომადგენლები სრულ უმოქმედობას იჩენდნენ: ოზურგეთში დარჩენილი გარნიზონი არაფერს არ აკეთებდა ზემოდან მითითებათა მოლოდინში...სხვადასხვა იარაღით შეიარაღებული მეამბოხეები პარპაშობდნენ მაზრაში, მათ ხელთ იგდეს ტელეგრაფი და ოზურგეთის მაზრის ფარგლებში არსებული სადგურები შეიარაღებული წითელი რაზმებით აავსეს“. (საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 6, ფ. 54—57).

[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 16, ფ. 116.

ბეთის მაზრიდან. იმის გამო, რომ კავკასიის ხელისუფალნი ჯერ კიდევ არ იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი ძალების უპირატესობაში, ისინი ამჯერადაც იძულებულნი შეიქნენ დაეთმოთ რევოლუციური მასების მოთხოვნისათვის. გენ. ალიხანოვ-ავარსკი უკან გამოიწვიეს თბილისში, ხოლო 2 ნოემბერს მოხსნილ იქნა სამხედრო წესები ქუთაისის გუბერნიაში.

კაზაკთა იმ ნაწილმა, რომელიც აგვისტოს თვიდან ოზურგეთში იყო, გადაწყვიტა შური ეძია გლეხებზე ნასაკირალის ამბებისათვის. იგი დაიძრა ჩოხატაურისაკენ, გზად გაძარცვა გლეხთა ქონება და გადაწვა 108 სახლი. დაიწყო მთელი ოზურგეთის მაზრიდან გლეხთა რაზმების თავმოყრა კაზაკთა ნაწილის მოსასპობად.

როდესაც ეს ამბავი ცნობილი გახდა ხელისუფლებისათვის, ისინი იძულებულნი იყვნენ სასწრაფოდ გაეწვიათ კაზაკები ოზურგეთის მაზრიდან. როგორც მაშინ ამბობდნენ, ოზურგეთის მაზრა „თავისუფალი რესპუბლიკა“ გახდა.

ოქტომბრის მეორე ნახევარში იარაღის ხელში ჩასაგდებად შეეწყო თავდასხმები კაზაკთა ნაწილებზე, პოლიციასა და ჩაფრებზე რაჭის, ქუთაისის, გორის, სიღნაღის, თელავისა და სხვა მაზრებში.

სრულიად რუსეთის მოძრაობით საშინლად დამფრთხალი ნიკოლოზ მეფე იძულებული გახდა 1905 წლის 17 ოქტომბერს გამოეცა მანიფესტი. ეს მანიფესტი წარმოადგენდა ცარიზმის დროებით უკან დახევას, მხოლოდ ფანდს მასების მოსატყუებლად.

„...17 ოქტომბრის მანიფესტი იყო ხალხის მასების მოტყუება, მეფის ხრიკი, თავისებური შესვენება, რომელიც მეფეს ესაჭიროებოდა იმისათვის, რომ მიეძინებინა გულუბრყვილონი, მოეგო დრო, მოეკრიბნა ძალები და შემდეგ შეეტია რევოლუციისათვის. მეფის მთავრობა სიტყვით დაჰპირდა თავისუფლებას, მაგრამ საქმით არაფერი არსებითი არ მიუცია“[1].

17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ, რამაც დააკმაყოფილა საქართველოს გაბატონებული კლასები, ნაციონალური ბურჟუაზია აშკარად შეუთანხმდა ცარიზმს და მასთან ერთად გააჩაღა ბრძოლა ხალხის რევოლუციური მასების წინააღმდეგ. აღფრთოვანებით შეხვდნენ მეფის მანიფესტს ქართველი მენშევიკებიც, რომელთა აზრით მანიფესტი რუსეთში დასაბამს აძლევდა ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური წყობილების ეპოქას. მენშევიკებმა წამოაყენეს მუშებისა და გლეხების განიარაღების ლოზუნგი.

---

[1] სკპ (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 96.

ბოლშევიკები ამხილებდნენ მენშევიკების გამცემლურ ტაქტიკას და მოუწოდებდნენ ხალხს საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის პროკლამაციაში, რომელიც იმ დღეებში გამოიცა, ნათქვამი იყო:

„მოქალაქენო!

რუსეთის დიდი რევოლუცია დაიწყო! ჩვენ უკვე განვიცადეთ საშინელი სისხლისღვრის პირველი აქტი. მომავალში ჩვენ მოგველის კიდევ უფრო მეტი ბრძოლა და მსხვერპლი. პირველი მიზანი, რომელიც ჩვენ წინაშე დგას, ეს არის ხალხის შეიარაღება თვითმპყრობელობის დამარცხებისა და რევოლუციის გამარჯვებისათვის. აუცილებელია შეიარაღება, შეიარაღება და შეიარაღება!

მოქალაქენო! საჭიროა მივიღოთ ყველა ღონისძიება, რომ შევიძინოთ იარაღი. უნდა დავძლიოთ ხულიგნები, ავლაგმოთ მეფის ბაშიბუზუკები, საჭიროა გადამწყვეტი ომი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ომი სამოქალაქო და ომი პოლიტიკური. ყოველივე ეს კი შეიარაღების გარეშე შეუძლებელია“[1].

თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და ადგილებში ეწყობოდა მიტინგები, სადაც ბოლშევიკები განუმარტავდნენ მასებს 17 ოქტომბრის მანიფესტის ნამდვილ აზრს. სოხუმში, მაგალითად, 19 ოქტომბერს მოეწყო დიდი მიტინგი, რომელზედაც ბოლშევიკი ორატორები ამხილებდნენ მეფის სიყალბეს და მოუწოდებდნენ მასებს აჯანყებისაკენ ცარიზმის წინააღმდეგ.

სოხუმის ოლქის უფროსი თავადი ჯანდიერი კავკასიის პოლიციის უფროსს—გენ. შირინკინს ატყობინებდა:

„გაცნობებთ, რომ მიუხედავად 17 ოქტომბრის უმაღლესი მანიფესტის გამოცხადებისა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ არ მოისურვა დაწყნარებულიყო, აწყობს ქალაქში დემონსტრაციულ მსვლელობას დროშებით, მოითხოვს უშუალოდ დემოკრატიულ მმართველობას. დაპატიმრებანი აუცილებელია“[2].

23 ოქტომბერს სიღნაღში მოეწყო პოლიტიკური დემონსტრაცია მეზობელი სოფლების გლეხთა მონაწილეობით. დემონსტრანტებმა დაგმეს 17 ოქტომბრის მანიფესტი.

---

[1] სკპ (ბ) მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალი, ფ. 31, ს. 141, ფ. 236.

[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 16, ფ. 5.

მეფის მთავრობა არ ფიქრობდა შეესრულებინა ის დაპირებანი, რომლებიც მოცემული იყო 17 ოქტომბრის მანიფესტით. მანიფესტის გამოცხადების მეორე დღესვე რუსეთში ყველგან დაიწყო დარბევები. პოლიციის ხელმძღვანელობით ყალიბდებოდა „შავი ასეულები“, რომლებიც მხეცურად უსწორდებოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ჟლეტდნენ რევოლუციონერებს.

— თბილისში მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის ხელმძღვანელობით შეიქმნა შავრაზმული ორგანიზაცია „პატრიოტული საზოგადოების“ სახელწოდებით. მას მეთაურობდა მღვდელი გოროდცოვი. წევრებს აგროვებდნენ უმთავრესად ეკლესიის მსახურთაგან, შავრაზმულად განწყობილ მოხელეთაგან, რკინიგზის ნაკლებად შეგნებული მუშებისა და დეკლასირებული ელემენტებისაგან.

21—22 ოქტომბერს თბილისში „პატრიოტებმა“ მოაწყეს მანიფესტაცია. მასში მონაწილეობა მიიღეს კაზაკებმა, იუნკრებმა, სისხლის სამართლის დამნაშავეებმა. მანიფესტაცია დამთავრდა საშოქალაქო მოსახლეობის დარბევით. გოლოვინის პროსპექტზე და ვაჟთა პირველი გიმნაზიის შენობაში, სადაც მიაშურეს კაზაკთა მიერ ატეხილი სროლისაგან თავის გადასარჩენად ქუჩაში მყოფმა მოქალაქეებმა, 38 მოკლული და 66 დაჭრილი აღმოჩნდა. ასეთივე პროვაკაციული მანიფესტაციები მოეწყო ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიც; ეს მანიფესტაციები ყველგან მოსახლეობის აწიოკებით მთავრდებოდა. ცარიზმი განაგრძობდა მტრობისა და შუღლის ხელოვნურად გაღვივებას ამიერკავკასიის ხალხთა შორის. როდესაც მოკლულ იქნა ბაქოს ხიცვა-ჟლეტის ერთ-ერთი ორგანიზატორი გუბერნატორი ნაკაშიძე, შავრაზმელები შეეცადნენ გამოეყენებინათ ეს გარემოება სომეხ და ქართველ ხალხთა შორის ურთიერთობის გასამწვავებლად. შავრაზმული გაზეთები და ქართველი ნაციონალისტები პირფერულად სახავდნენ ნაკაშიძეს „ეროვნულ გმირად“, ხოლო მის სიკვდილს „ეროვნულ უბედურებად“.

„...განიხილავენ რა თავად ნაკაშიძის სიკვდილს,—წერდა „პროლეტარი“,—როგორც ეროვნულ უბედურებას და სახავენ რა განსვენებულს ქართველი ხალხის სიამაყედ, ბატონი თაყვანისმცემლები ამით აღვივებენ ძმათამკვლელობის ინსტინქტებს ქართველი საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც არ შეუძლია გაერკვეს რთულ ეროვნულ საკითხში და რომლისთვისაც საკმარისია იცოდეს, რომ თავადი ნაკაშიძე საქართველოს სიამაყეა, რომ ეს სიამაყე მოკლულია,—თუმცა სომეხ რევოლუციონერთა მიერ,—რათა ყველა სომეხი თავის ეროვნულ მტრად ჩასთვალოს.

ამ გარემოებით უკვე ისარგებლეს ბნელმა ძალებმა, რომლებმაც გამოუშვეს პროკლამაცია ქართველებისადმი, სადაც უკანასკნელთ მოუწოდებენ შეუერთდნენ თათრებს და გაჟლიტონ სომხები"[1].

ცარიზმმა კვლავ მოახერხა რევოლუციური ბრძოლისაგან მუშებისა და გლეხების ჩამოშორების მიზნით პროვოკაციულად გამოეწვია ძმათამკვლელი შეტაკებანი სომეხთა და აზერბაიჯანელთა შორის ბაქოში, თბილისში, თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრასა და ელისავეტპოლში (კიროვაბადი). პოლიციის ხელშეწყობით ბაქოში ხოცვა-ჟლეტა დაიწყო 20 ოქტომბერს. კაზაკები, მეფის ჯარები და შავრაზმელები ტყვიას უშენდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს, კლავდნენ და ძარცვავდნენ მოსახლეობას. სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის შეტაკებები დაიწყო აგრეთვე თბილისშიც. პროვოკაციულად გამოწვეულმა სომეხ-აზერბაიჯანელთა ხოცვა-ჟლეტამ ბორჩალოს მაზრაში მოსახლეობას მიაყენა ზარალი ორი მილიონი მანეთის რაოდენობით.

თბილისში ამ „უწესრიგობათა" შეწყვეტის საბაბით მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გამოიყენეს მენშევიკები, რომლებსაც მისცეს იარაღი.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი ამის გამო შემდეგ განმარტებას აძლევდა მეფე ნიკოლოზ მეორეს:

„...მე გადავწყვიტე მიმეცა 500 თოფი წმინდა სოციალ-დემოკრატ მენშევიკების მუშათა პარტიისათვის, რომელმაც, გადაუხვია რა თავის პრინციპს, აღგვითქვა არ გამოიყენოს იარაღი პარტიული მიზნებისათვის ბრძოლაში"[2]. მენშევიკებმა ეს იარაღი პირველი მოთხოვნილებისთანავე უკან დააბრუნეს.

1905 წლის რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში საქართველოში დაიწყო პროფესიული კავშირების აღმოცენება. „მოსკოვში, პეტერბურგში, ვარშავაში, ოდესაში, რიგაში, ხარკოვში, თბილისში, — წერდა ი. სტალინი, — ყველგან კავშირები არსდებოდა. მართალია, რეაქცია ხელს უშლიდა, მაგრამ მოძრაობის საჭიროებას მაინც თავისი გაჰქონდა და კავშირები მრავლდებოდა"[3]. სექტემბერში მოწვეულ იქნა პროფკავშირთა სრულიად რუსეთის კონფერენცია. მან აირჩია ცენტრალური ბიურო, რომელსაც უნდა მომზადებინა კავშირების საერთო ყრილობის მოწვევა. ოქტომბრის

---

[1] „პროლეტარი", 1905, № 7.

[2] „Революция" 1905 года и самодержавие", 1928.

[3] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 261.

საყოველთაო გაფიცვის შემდეგ მთელს რუსეთში, კერძოდ, საქართველოში პროფკავშირთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. პარტიის გარშემო დარაზმით და მასთან შეკავშირებით ისინი იცავდნენ მუშათა უფლებრივ და ეკონომიურ ინტერესებს, იბრძოლნენ მათ ყოველდღიურ საჭიროებათა და მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, აწყობდნენ გაფიცვებს და ა. შ.

რევოლუციის საერთო აღმავლობასთან დაკავშირებით და ბოლშევიკური მუშაობის მეოხებით რევოლუციური ბრძოლის იდეები ღრმად იჭრება მეფის ჯარშიც.

რხდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას უთმობდა მეფის ჯარში მუშაობას. თბილისსა და მის რაიონებში განლაგებული იყო ე. წ. ტიფლისკი, შინგრელსკი, ერევანსკი და გრუზინსკი გრენადერთა პოლკები, მესანგრეთა ბატალიონი, საარტილერიო ბრიგადა, მსროლელთა და სარკინიგზო ბატალიონები. ბოლშევიკები ამ ნაწილთა ჯარისკაცებში ავრცელებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას, რომელიც ავლაბრის სტამბაში იბეჭდებოდა, ამავე სტამბაში დაიბეჭდა სპეციალური პროკლამაციები: „ჯარისკაცებს“, „ძმებო ჯარისკაცებო“, „ახალწვეულებს“ და სხვ.

მაგალითად, რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ 1905 წლის 5 ნოემბერს გამოშვებულ პროკლამაციაში „ჯარისკაცებს“ ნათქვამი იყო:

„... ამხანაგებო! მთელი ხალხი—მუშები და გლეხები—ეომება მთავრობას. მთელი ხალხი მოითხოვს თავისუფლებას. მეფე კი ათასობით ხვრეტს ამ ხალხს. ვხვრეტთ ჩვენ, ჯარისკაცები.

ჩვენ ვეხმარებით ჩვენს დესპოტს. ჩვენ მივდივართ იმ ხალხის წინააღმდეგ, რომლის შვილებიც ჩვენა ვართ.

მაშ, ამხანაგებო, მეფის მთავრობასთან წარმოებული საბოლოო ბრძოლის დროს გადავიდეთ ჩვენი მამების მხარეზე, შ ე ე უ ე რ თ დ ე თ მ ა თ და ერთად დავარტყათ საერთო მტერს მეფესა და მინისტრებს.

მაშინ კი ჩვენ უეჭველად მოვიპოვებთ თავისუფლებას და თვითმპყრობელობის ნაცვლად დემოკრატიულ რესპუბლიკას დავამყარებთ.

გაუმარჯოს ომს მეფის მთავრობასთან!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს ჯარისკაცთა კავშირს ხალხთან!“[1].

---

[1] სკპ(ბ) ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქ. ფილიალი, ფ. 33, ს. 31.

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სამხედრო-საგარნიზონო საბჭოს შექმნის შესახებ, რომელშიც შევიდნენ თბილისში განლაგებული სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები. 1905 წლის ზაფხულზე ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა ჯარისკაცთა კავშირი, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ. ჯარისკაცთა შორის ხშირდება მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩახშობაში მონაწილეობაზე უარის თქმის შემთხვევები. ჯარისკაცები დაჟინებით მოითხოვენ იმ პირთა განთავისუფლებას და სათადარიგოთა კატეგორიაში გადაყვანას, რომლებმაც მოათავეს თავიანთი ვადა, აყენებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს. ჯარისკაცთა მიტინგები თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებსა და ადგილებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ერთ-ერთ ასეთ მიტინგზე ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ წერდა:

„21 ნოემბერს თბილისში შეიკრიბა ჯარისკაცთა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ თბილისის მთელი გარნიზონის წარმომადგენლები, 3000-მდე კაცი. აუწერელია სულიერი განწყობილება, რომელსაც ამ მიტინგზე განიცდიდი. აქ გამოჩნდა 'არა დაბეჩავებული ჯარისკაცი—მანქანა, არამედ ჯარისკაცი—მოქალაქე, რომელიც მზად არის იარაღით ხელში დაიცვას თავისი ადამიანური უფლებები“[1].

სხვათა შორის ამ მიტინგზე გამოიტანეს გადაწყვეტილება, რათა მრთხოვნილი ყოფილიყო სიკვდილით დასჯის გაუქმება, თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლის განთავისუფლება, რათა სამსახურში გაწვეული ჯარისკაცი არ წაეყვანათ შორს სამშობლოსაგან, არამედ დაეტოვებინათ ადგილებზე; მიტინგი მოუწოდებდა ჯარისკაცებს იმ შემთხვევაში, თუ თბილისში დაიწყებოდა შეტაკება სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, ყველანი ქუჩაში გამოსულიყვნენ და თავიანთი ძალით აეცდინათ სისხლისღვრა; გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია ყველა ჯარისკაცის გაერთიანება, რათა შეუძლებელი გახდეს ჯარის ერთი ნაწილის გამოყვანა მეორის წინააღმდეგ. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება თანაგრძნობა გამოეცხადებინათ სევასტოპოლელებისათვის მათი სახელოვანი გამოსვლის გამო და ქუდის მოხდით პატივი ეცათ დარბევების დროს დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნისათვის. მიტინგის შემდეგ ჯარისკაცები გაეშურნენ თავიანთი

[1] „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“, 1904, № 4.

გარე კახეთის გლეხობის დელეგაცია მეფის ნაცვალთან

ჰოლკებისაკენ, სადაც გაათავისუფლეს ამ დღეს დაპატიმრებული ამხანაგები[1].

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ 1905 წლის ოქტომბერში გამოშვებულ პროკლამაციაში „სასალდათოებს"—ახალწვეულებს არმიაში გაწვევის ბოიკოტის ნაცვლად მოუწოდებდნენ: წადით არმიაში; აწარმოეთ იქ მუშაობა ჯარისკაცებს შორის და საჭიროების შემთხვევაში „იარაღით ხელში გადადით ხალხის მხარეზე და მასთან ერთად დაამხეთ მტარვალების სიმაგრეებიო"[2].

რევოლუციური განწყობილება ვრცელდებოდა იმ სამხედრო ნაწილებშიც კი, რომლებიც გადმოყვანილი იყვნენ კიევის ოლქიდან და ყველაზე საიმედოდ ითვლებოდნენ. 1905 წლის 16 ნოემბერს ქ. ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი ფონ-პარკაუ ატყობინებდა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს, რომ რევოლუციური პროპაგანდის მეოხებით დისციპლინა ჯარში დაეცა და რომ მათზე დანდობა აღარ შეიძლებოდა.

„ახლა ბათუმში,—სწერდა გენერალი ფონ-პარკაუ,—საფრთხეს წარმოადგენს უკვე არა წესრიგისა და სიმშვიდის დარღვევა ქალაქში, არამედ ციხე-სიმაგრის, იარაღის ხელში ჩაგდებისა და უფროსთა გაჟლეტის შესაძლებლობა. ესოდენ მძიმე და სახიფათო მდგომარეობისაგან ბათუმის ოლქის ხსნა შეიძლება მხოლოდ უაღრესად ენერგიული ღონისძიებებით რევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ამ ღონისძიებებს მხარი დაუჭირონ ახალმა ჯარებმა, უმთავრესად კაზაკთა ჯარებმა"[3].

სამხედრო სარდლობა იძულებული იყო ბათუმის ნავსადგურიდან გაეყვანა ზარბაზნიანი ნავი „დონეცი", რადგან მისი მეზღვაურები რევოლუციურად განწყობილი იყვნენ. თბილისში მესანგრეთა მე-2 ბატალიონმა მეთაურს მოსთხოვა დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინა დაპატიმრებული ჯარისკაცები. ბატალიონის მეთაური იძულებული იყო შეესრულებინა ეს მოთხოვნა. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, სოხუმისა და სხვა გარნიზონებისა და ნაწილების ჯარისკაცებმა მოითხოვეს დამფუძნებელი კრების მოწვევა, ჯარში გაწვევის გაუქმება და მისი სახალხო მილიციით

---

[1] „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი", 1904, № 4.

[2] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქარველოს ფილიალი, ფ. 33, ს. 20.

[3] საქ. სსრ აცსი, ფ. 68, ს. 6115.

შეცელა, სიტყვის, კრებების თავისუფლება, პოლიტიკური ამნისტია და ა. შ.

პეტერბურგის ჯარისკაცების მიერ ასეთივე რევოლუციური მოთხოვნების წამოყენების გამო ვ. ლ ე ნ ი ნ ი წერდა: „რა შესანიშნავი დოკუმენტია მოთხოვნათა ეს ნუსხა! როგორ ცხადყოფს იგი, რომ მონური არმია რევოლუციურ არმიად იქცევა. და რა ძალა შეაკავებს ახლა ამგვარ მოთხოვნათა გავრცელებას მთელ ფლოტსა და მთელ არმიაში"[1].

მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის გავლენით წარმოიშვა მოძრაობა მოსწავლე ახალგაზრდობაშიც, განსაკუთრებით სემინარიების, გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლების უფროსი კლასების მოსწავლეებს შორის.

საქართველოში მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული წრეები არსებობდნენ ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევიდან. მეფის ხელისუფალნი ერთნაირი სისასტიკით უსწორდებოდნენ როგორც მუშებსა და გლეხებს, ისე მოსწავლე ახალგაზრდობას. მაგალითად, 1904 წლის 11 აპრილს თბილისში ხელისუფალთა წარმომადგენლებმა მხეცურ, სისხლისმღვრელ ღონისძიებებს მიმართეს იმ დემონსტრაციის მონაწილეების წინააღმდეგ, რომელიც მოეწყო ციმბირში პოლიტიკურ პატიმართა ჯგუფის გაგზავნასთან დაკავშირებით. „დაუგეს რა მახე შეკრებილთ, შემოარტყეს რა ალყა უიარაღო ხალხს,—ნათქვამი იყო რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ გამოშვებულ პროკლამაციაში,—ცემდენ ხმლებით, აწნავდნენ მათრახებს, ცემდენ გრძნობის დაკარგვამდე, ცემდენ მოხუცთ და ახალგაზრდებს, ქალებსა და ბავშვებს, ცემდენ მოსწავლე ახალგაზრდღბას — გიმნაზიელებს, სახელოსნო სკოლის მოსწავლეთ და სხვ.! როგორ გულმოდგინეთ ასრულებდა თავის მოვალეობას ხელმწიფისა და „სამშობლოს" წინაშე გამხეცებული ხროვა მეფის ბაშიბუზუკთა ცხადად სჩანს იმით, რომ დაჭრილთა, რიცხვი დაახლოებით თერთმეტია, მათგან შედარებით მძიმედ ერთი გიმნაზიელი! და დასასრულ აწიოკებისა—უთვალავი დატუსაღება![2].

1905 წელს მოსწავლე ახალგაზრდობას იერიში მიჰქონდა ცარიზმზე მუშებსა და გლეხებთან ერთად. რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციაში „იმტვრევა ბორკილები" ნათქვამია: „არც მოს-

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 10, გვ. 48.

[2] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქართველოს ფილიალი, ფ. 33, ს. 73.

წავლეები ჩამორჩნენ საერთო მოძრაობას, მათაც გაუწოდეს ხელი მუშა-ხალხს და თავიანთი ნორჩი ხმა შეუერთეს მათს რევოლუციონურ ხმას"[1].

1905 წლის იანვარში თბილისის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საყოველთაო გაფიცვასა და, აგრეთვე, 23 იანვრის პოლიტიკურ დემონსტრაციაში. საშუალო სკოლების უმრავლესობა არ მუშაობდა, მოსწავლეებმა წამოაყენეს საერთო დემოკრატიული მოთხოვნები.

20 და 24 იანვარს ქუთაისის სასწავლებელთა მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პოლიტიკურ დემონსტრაციაში. 27 იანვარს ხელისუფალთა წარმომადგენლებმა დახურეს ქუთაისის სასულიერო და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები. 14 თებერვალს გაფიცულ მოსწავლეთა ჯგუფი შეეჯახა ჯარისა და პოლიციის რაზმს. დატრიალდა მათრახები, დაიწყო შეუბრალებელი მუსვრა. ქალაქის ბაღში ჩაკეტილმა მოსწავლეებმა ქვები დაუშინეს კაზაკებსა და ჩაფრებს.

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვ. ვ. მაიაკოვსკი თავის მოგონებაში ამ ამბების გამო აღნიშნავდა:

„მუშათა დემონსტრაციის დღეებში 1905 წელს მე, 11 წლის ბავშვი, ქუთაისის ქუჩებში დავრბოდი და ქართული რევოლუციური სიმღერების სიტყვებს გავყვიროდი".

თებერვლის დამდეგს ბათუმში გავრცელდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლეთა პროკლამაცია, დაბეჭდილი რსდმპ კავკასიის კავშირის არალეგალურ სტამბაში. ეს პროკლამაცია გახდა ბიძგი მოსწავლეთა დემონსტრაციის მოსაწყობად 5 თებერვალს. მასში მონაწილეობა მიიღო ქალაქის მოსწავლეთა უმრავლესობამ. დემონსტრანტებს მიჰქონდათ წითელი დროშა წარწერით: „ძირს თვითმპყრობელობა!", „გაუმარჯოს რესპუბლიკას!".

20 თებერვალს თბილისში გაიმართა მოსწავლეთა დემონსტრაცია სომეხ-აზერბაიჯანელთა იმ ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით, რომელიც ცარიზმმა პროვოკაციულად გამოიწვია ბაქოში.

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებმა შეწყვიტეს მეცადინეობა იმის გამო, რომ ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

ამ ნიადაგზევე 21 თებერვალს მეცადინეობა შეწყვიტეს გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა. მათ შეუერთდნენ

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქართველოს ფილიალი., ფ. 33, ს. 73.

საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებიც. მეცადინეობა მიატოვეს ოგრეთვე ქ. ქუთაისის გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლის მოსწავლეებმა. მღელვარებამ მოიცვა ყველა სკოლა საქართველოს სასოფლო რაიონებშიც. 4 მარტს თბილისში მამადავითის მთაზე გაიმართა ყველა საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთა კრება, სადაც წარმოსთქვამდნენ პოლიტიკურ სიტყვებს და ავრცელებდნენ ბოლშევიკურ პროკლამაციებს.

1905 წლის შემოდგომაზე ხელისუფალთა წარმომადგენლებმა საქართველოში თითქმის ყველა სკოლა დახურეს, ხოლო ოქტომბრის დღეებში ჯარის ნაწილებმა თბილისში დაარბიეს და დაიკავეს ვაჟთა პირველი გიმნაზია.

9

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება

დიადი მიზნები, რისთვისაც იბრძოდა მშრომელ გლეხობასთან შეკავშირებული მუშათა კლასი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, მოითხოვდნენ შეტევაზე გადასვლას.

რსდმპ კავკასიის კავშირის თბილისის კომიტეტის მიერ 1905 წლის ნოემბერში გამოცემულ პროკლამაციაში „მოქალაქენო", ნათქვამი იყო:

„საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყება! — აი ის საბედისწერო ბოლო, რომლისკენაც ისტორიული გარდუვალობით მივყევართ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მთელ ერთობლიობას! საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყება!—აი ის დიადი ამოცანა, რომელიც დგას ამჟამად რუსეთის პროლეტარიატის წინაშე და დაჟინებით მოითხოვს გადაჭრას!"[1].

26—30 ნოემბერს (ძვ. სტ.) თბილისში მოწვეულ იქნა რსდმპ კავკასიის კავშირის IV ბოლშევიკური კონფერენცია. მას დაესწრნენ ბაქოს, იმერეთ-სამეგრელოს, თბილისის, ბათუმის კომიტეტისა და გურიის ჯგუფის დელეგატები. კონფერენციამ გამოიტანა გადაწყვეტილება საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად და განსახორციელებლად ბრძოლის გაძლიერების შესახებ, მეფის სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის შესახებ, რევოლუციური

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქართველოს ფილიალი, ფ. 33, ს. 27.

ორგანიზაციების, მუშათა დეპუტატების საბჭოების, საგაფიცვო კომიტეტებისა და გლეხთა რევოლუციური კომიტეტების გაშლისა და განმტკიცების შესახებ. კონფერენციამ აირჩია კავკასიის ბიურო საზელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის სახელმძღვანელოდ და საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. IV ბოლშევიკურმა კონფერენციამ განიხილა ეროვნული საკითხიც. მან გადაჭრით ამხილა მენშევიკები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები, კულტურული ავტონომიისა და კავკასიის ეროვნებათა ფედერაციის დამპალი იდეა, როგორც ეროვნული ზღუდეების ხელოვნურად შექმნის ცდა. კონფერენციამ თავის რეზოლუციაში მიუთითა, რომ ეს გამოიწვევდა მხოლოდ პროლეტარიატის ძალების დაქსაქსვას და მისი კლასობრივი შეგნების დაბნელებას. კონფერენციამ რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანოდ გამოაცხადა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი"[1].

რსდმპ კავკასიის კავშირის IV კონფერენციას, რომელმაც მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი რევოლუციის ძირითად საკითხებზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის ამიერკავკასიასა და, კერძოდ საქართველოში.

ბოლშევიკების მოწოდებას საზელმწიფო სათათბიროს ბოიკოტისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ მხურვალედ ეხმაურებოდნენ მუშათა და გლეხთა მასები. მაგალითად, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში" მოყვანილია ცნობები ჭიათურაში გამართული მიტინგის შესახებ, რომელსაც 8 ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგი მოიწვია რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ჭიათურის ორგანიზაციამ. მიღებულ რეზოლუციაში მუშებმა მხარი დაუჭირეს სახელმწიფო სათათბიროს შტკიცე ბოიკოტს, საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას და დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნას. ანალოგიური რეზოლუცია მიიღო ხალხმრავალმა მიტინგმა ქუთაისში. იმავე გაზეთში აღნიშნული იყო, რომ „გლეხთა" წითელი რაზმები" მეზობელი სოფლებიდან თავს იყრიან სამტრედიაში (ქუთაისის მაზრა). ყველანი თითქოს სიგნალს ელოდებიან. ყოველ წუთს შეიძლება იფეთქოს აჯანყებამ"[2].

---

[1] ცნობა რსდმპ კავკასიის კავშირის IV კონფერენციის შესახებ და მიღებული რეზოლუციები დაიბეჭდა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკში" 1905 წ., № 8 და 9.

[2] „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ", 1905, № 9.

ბოლშევიკებს უხდებოდათ მტკიცე ბრძოლის წარმოება ნაციონალურ ბურჟუაზიასა და მენშევიკებთან, როგორც რევოლუციის შემდგომი განვითარებისა და შეიარაღებული აჯანყების მოწინააღმდეგეებთან.

რუსეთში რევოლუციის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პეტერბურგის მუშათა საყოველთაო გაფიცვას, და 16 ნოემბერს დაწყებულ ფოსტისა და ტელეგრაფის მუშაკთა გაფიცვას მთელი რუსეთის მასშტაბით. ორგანიზებულად და დარაზმულად დაიწყო ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა საქართველოშიც. მაგალითად, ახალციხის მაზრის უფროსი თავის ხელმძღვანელებს ატყობინებდა: „ქალაქში 16 ნოემბერს გაიფიცა სატელეგრაფო კანტორა. 20 ნოემბერს გაიფიცა ყველა ადგილობრივი სასწავლებელი და სკოლა“[1].

გორის მაზრაში ამ დროს დაიწყო ტელეგრაფის მაგისტრალური ხაზების ნგრევა, ძირს აქცევდნენ ტელეგრაფის ბოძებს, გლეჯდნენ მავთულებს, ტექნიკოსებს არ უშვებდნენ სამუშაოზე.

მუშათა და გლეხთა გაძლიერებულმა შეიარაღებამ ნოემბრის მეორე ნახევარში საყოველთაო ხასიათი მიიღო. მასების შესაიარაღებლად დიდ მუშაობას ეწეოდა ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილი მრღვაწე გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე. ჯერ კიდევ ზაფხულზე ის ქუთაისის გუბერნიის სოფლებში ქმნიდა გლეხთა შეიარაღებულ რაზმებს—„წითელ ასეულებს“. 1905 წლის სექტემბრიდან იგი რევოლუციურ მუშაობას ეწევა აფხაზეთში. ს. ორჯონიკიძემ მუშაობა დაიწყო დაბა გუდაუთის, ქსენონში და აქედან მჭიდროდ დაუკავშირდა გუდაუთის უბნის, სამურზაყანოს, სოხუმის ბოლშევიკებს. თავის მუშაობაში ის თანამიმდევრულად ატარებდა ლენინის ხაზს, ებრძოდა მენშევიკებსა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, ამზადებდა მუშებსა და გლეხებს შეიარაღებული აჯანყებისათვის. ს. ორჯონიკიძე რევოლუციონერთა ჯგუფთან ერთად, რომელსაც ის მეთაურობდა, ღამ-ღამობით სცლიდა პარტიის მიერ საზღვარგარეთ ნაყიდი იარაღით დატვირთულ კარავებს და გზავნიდა ამ იარაღს დანიშნულ პუნქტებში.

ნოემბრის დამლევს შეიარაღებული შეტაკებები და პარტიზანული ომი მიმდინარეობდა საქართველოს ყველა რაიონში.

27 ნოემბერს კაზაკებმა სრულიად უმიზეზოდ მოკლეს რამდენიმე მოქალაქე ქუთაისში ბალახვანის ქუჩაზე. ქალაქის ქუჩები სწრა-

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 39, ფ. 54—57.

ფად დაიფარა ბარიკადებით, ატყდა სროლა სამხედრო ნაწილებსა და რევოლუციურ ხალხს შორის. ოფიციალურ ცნობაში ამის გამო ნათქვამი იყო: „შაშხანებით, ნაჯახებით და სხვ. შეიარაღებული უამრავი ხალხი ქუჩაში გამოვიდა. დაგლიჯეს სატელეგრაფო და სატელეფონო მავთულები და მათგან მოაწყეს მავთულლობურები ბარიკადების წინ ქუჩებში. მთელი ხეივანი გაამაგრეს ბარიკადებით, სამივე ხიდი გადაკეტილია. ბარიკადების რაოდენობა 30-ს აღწევდა“. ხალხმა მოსთხოვა გუბერნატორს უკან წაეყვანა კაზაკები, რათა ისინი არ გამოჩენილიყვნენ ქუჩებში, ხოლო წესრიგის დასამყარებლად გამოეყვანათ ჯარები. გუბერნატორმა დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა.

ხელისუფალნი იძულებულნი იყვნენ დათმობაზე წასულიყვნენ და ამჯერად შეტაკება თავიდან იქნა აცილებული.

28 ნოემბერს „წითელი ასეული“ სოფ. ძოვრეთში თავს დაესხა მსხვილი მემამულისა და სახერხი ქარხნის მფლობელის ყორღანოვის რაზმს.

29 ნოემბერს ღამით დაიწყო შეიარაღებული აჯანყება ბათუმში. ოფიციალური ცნობებით იქ შემდეგი მდგომარეობა იყო: 17 ნოემბერს ქალაქში განაიარაღეს პოლიცია. 19 ნოემბერს ბათუმის სატვირთო სადგურზე ვაგონიდან გაიტაცეს დაახლოებით 4 ფუთი დინამიტი. 22 ნოემბერს თავს დაესხნენ პოლიციის მე-3 უბანს და ჩამოართვეს პოლიციას მთელი იარაღი. თავდასხმა პოლიციელებზე, კაზაკებზე და მათი განიარაღება შემდგომ დღეებშიც გრძელდებოდა. 28 ნოემბერს ბათუმში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. გაფიცვის მონაწილეებმა მოითხოვეს გაეყვანათ ქალაქიდან ლაბინსკის პოლკის 2 ასეული, ვინაიდან კაზაკები კლავდნენ და ძარცვავდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. 29 ნოემბერს ღამით თავს დაესხნენ პოლიციის სამმართველოს საწყობს და იქიდან წაიღეს თოფები, რევოლვერები და მრავალი ვაზნა; ამავე დროს შეიარაღებული ჯგუფები დადიოდნენ ბინებში და აგროვებდნენ იარაღს. 30 ნოემბერს დილით აჯანყებულებმა განაიარაღეს ჟანდარმები და დაიკავეს სადგური. დაკავებულ იქნა ქალაქის გამგეობის შენობაც.

შუადღისას ქალაქის მთავარი ქუჩები დაიფარა ბარიკადებით, რომლებიც დაუყოვნებლივ დაიკავეს შეიარაღებულმა პირებმა. ამავე დროს შეიარაღებული ხალხი ქალაქის ყოველი კუთხიდან თავს იყრიდა ქალაქის საავადმყოფოსთან. მოხდა რამდენიმე შეტაკება კაზაკთა ნაწილებთან, ყველგან ანგრევდნენ ტელეგრაფსა და ტელეფონს, შეწყდა ელექტროსადგურის მუშაობა, გაისმოდა თოფის

სროლა და ყუმბარების აფეთქების ხმა. სხვადასხვა ქუჩაზე გამოჩნდნენ სანიტარული რაზმები წითელი ჯვრის დროშით. აჯანყებულების დასახმარებლად ოზურგეთის მაზრიდან ჩამოვიდნენ გლეხთა „წითელი ასეულები“ 800 კარგად შეიარაღებული კაცის შემადგენლობით. აჯანყებულებს აშკარად მიემხრო კინტრიშის უბნის მოსახლეობაც, რომელმაც რამდენიმე შეიარაღებული რაზმი ჩამოაყალიბა[1].

მაგრამ ძალები უთანაბრო აღმოჩნდა. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ ამ ამბებამდე რევოლუციური პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოქცეული ჯარისკაცები გაათავისუფლეს და სათადარიგოდ გადარიცხეს, გარნიზონი არ მიემხრო აჯანყებას. გარდა ამისა, ხელისუფალთა წარმომადგენლებმა მოახერხეს კაზაკთა ნაწილების სასწრაფოდ გადმოყვანა ართვინიდან და ქალაქში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს. შექმნილი ვითარების გამო მუშები და მომხრე გლეხთა რაზმები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ბარიკადები.

4 დეკემბერს გლეხთა რაზმებმა, რიცხვით დაახლოებით 5000 კაცმა, რომელთაც თავის განკარგულებაში ჰქონდათ, სხვადასხვა სახის ცეცხლმსროლელი იარაღის გარდა, ყუმბარებიც, ხელთ იგდეს დაბა ყვირილა შორაპნის მაზრაში. აჯანყებულებმა განაიარაღეს პოლიციელები და წაიღეს ბევრი იარაღი და საბრძოლო ვაზნა. ადგილობრივი საპყრობილიდან გამოუშვეს პატიმრები.

რუსეთის პირველი რევოლუციის უმაღლეს განვითარებას წარმოადგენდა 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვში. 9 დეკემბერს დაწყებულმა მოსკოვის აჯანყებამ ბიძგი მისცა ამიერკავკასიისა და საქართველოს რევოლუციური მასების პირდაპირ შეტევაზე გადასვლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

დეკემბრის დამდეგს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის საგაფიცვო კომიტეტი. საგაფიცვო კომიტეტები წარმოიშვა ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ჭიათურაში, სოხუმში, მიხაილოვოში, ბორჯომსა და სამტრედიაში. რევოლუციური მოძრაობის განვითარების მსვლელობაში ეს კომიტეტები გადაიქცნენ შეიარაღებული აჯანყების რევოლუციურ ორგანოებად.

იმ დღეს, როდესაც მოსკოვში პირველი ბარიკადები გაჩნდა, თბილისის ბოლშევიკებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება, რომ თბილისის პროლეტარიატი შეერთებოდა სრულიად რუსეთის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას და გაეჩაღებინა მზადება

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 3805, ფ. 36—41.

შეიარაღებული აჯანყებისათვის ცარიზმის წინააღმდეგ. საქართველოში დაწყებულ გაფიცვაში წამყვან როლს ასრულებდნენ რკინიგზის მუშები, პირველ ყოვლისა, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის მთავარ სახელოსნოთა მუშები. პოლიტიკური გაფიცვა გადაიზარდა შეიარაღებულ აჯანყებაში. 10 დეკემბერს გამოვიდა „კავკაზსკ რაბოჩი ლისტოკი“ მოწინავე სტატიით „უკან. დაბრუნება შეუძლებელია“. ამ სტატიაში ნათქვამი იყო:

„პროლეტარიატი ყველაზე მეტად და ყველაზე ენერგიულად იბრძოდა შიმდინარე რევოლუციაში...ახლა მან მისცა საბოლოო შეტაკების სიგნალი! დაე რევოლუციური ხალხის ყველა ფენა გამოეხმაუროს თავისი ხელმძღვანელის ამ სიგნალს; დაე ყველა ის, ვინც დაინტერესებულია, რომ მეფის თვითმპყრობელობა ხალხის თვითმპყრობელობით შეიცვალოს, ემზადოს გენერალური ბრძოლისათვის ცარიზმის წინააღმდეგ. მტერი სასიკვდილოდ არის დაჭრილი პროლეტარიატის ტყვიით: მაშ ჩავქოლოთ იგი საერთო ძალღონით“[1].

დეკემბრის დღეებში საგაფიცვო კომიტეტმა თბილისში ხელთ იგდო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და ტელეგრაფი.

ქალაქის უდიდესი მუშათა რაიონი—ნაძალადევი მთლიანად აჯანყებული მუშების ხელში გადავიდა. ამ რაიონის წინააღმდეგ ხელისუფალთა წარმომადგენლებმა თავისი მთავარი ძალები დასძრეს და არტილერიაც კი გამოიყენეს.

აღნიშნავდა რა დეკაბრისტების აჯანყების მე-80 წლისთავს, ბოლშევიკური გაზეთი „„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი“ მოწინავე სტატიაში „დეკაბრისტები“ 1905 წ. 14 დეკემბერს წერდა: „დეკაბრისტების აჯანყების ოთხმოცი წლისთავი ემთხვევა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მომენტს, როცა ძილისაგან გამოღვიძებული, რევოლუციური ხანძრით გარემოსილი რუსეთი ახდენს თავისი ძალების მობილიზაციას უკანასკნელი და გადამწყვეტი შეტაკებისათვის თვითმპყრობელობის მრისხანე ციხე-სიმაგრეებთან და ამით ასრულებს 1825 წლის 14 დეკემბრის გმირთა ანდერძს“[2].

მუშებმა საგაფიცვო კომიტეტების ხელმძღვანელობით და გლეხთა შეიარაღებული რაზმების დახმარებითა და ხელის შეწყობით ფაქტიურად ხელთ იგდეს რკინიგზის მთელი ხაზი. ყველგან გამოცვალეს რკინიგზის ადმინისტრაცია. ჟანდარმები განიიარაღეს და გზებს იცავდნენ სახალხო მილიციონერები.

---

[1] „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“. 1905, № 14.
[2] „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკ“, 1905, 14 დეკემბერი.

აფხაზეთში შეიარაღებული აჯანყების მზადებას ხელმძღვანელობდა ს. ორჯონიკიძე. დეკემბერში, როდესაც შეიარაღებულმა აჯანყებამ თითქმის მთელი საქართველო მოიცვა, შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო აფხაზეთშიც. გუდაუთსა და სამურზაყანოში შეფის ადმინისტრაციას ჩამოერთვა მმართველობა. სოხუმში წარმოებდა შეიარაღებული თავდასხმა სამხედრო ნაწილებზე. გაგრის რაიონიდან „წითელი რაზმები" გაემართნენ სოჭის მუშების დასახმარებლად.

რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიარაღებული აჯანყება დაიწყეს ქუთაისის გუბერნიის მუშებმა და გლეხებმა. აჯანყებულებმა დაიკავეს სურამის უღელტეხილი და დაკეტეს რკინიგზის გვირაბი, რათა ხელი შეეშალათ ჯარების მოძრაობისათვის ქუთაისის გუბერნიის შიმართულებით. აქ ყველა სახელმწიფო დაწესებულებამ შეწყვიტა მუშაობა. პოლიციას, ჟანდარმებს, ჩაფრებს ანიარაღებდნენ, ჯარის ნაწილებს იზოლაციას უკეთებდნენ და ასევე ანიარაღებდნენ. ამ წესით განაიარაღეს ქუთაისის გარნიზონის ზოგიერთი ნაწილი და ტენგინსკის პოლკის მე-12 ასეული, რომელიც შორაპნის მიზრის დაბა ყვირილაში იდგა. ყვირილის ხაზინიდან წაღებული 201.639 შან. და 56 კაპ. გადასცეს რევოლუციურ ორგანიზაციებს მათი საჭიროებისათვის. გლეხთა რაზმები თავს დაესხნენ სამხედრო ნაწილებს ტყიბულსა და ბელოგორში. დეკემბერში გლეხთა რაზმების შეიარაღებული შეტაკებები პოლიციასთან, კაზაკთა და სამხედრო ნაწილებთან ხდებოდა აგრეთვე გორის, დუშეთის, სიღნაღისა და თელავის მაზრებში. აჯანყებამ მოიცვა მთელი ცხინვალის რაიონი და მთის ოსეთიც. აქ გააუქმეს მთავრობის დაწესებულებანი და ძალაუფლება რევოლუციური ორგანიზაციების ხელში გადავიდა.

აგიტატორების მოღვაწეობის შედეგად, წერდა კავკასიის პოლიციის უფროსი გენ. შირინკინი, დეკემბერში ახალციხის მაზრაში „სრულიად შეწყდა ყოველგვარი სახაზინო გადასახადების გასტუმრება, სულ ერთიანად ნადგურდება ტყეები და ფაქტიურად შეწყვეტილია სასოფლო სამმართველოების საქმიანობა...აგიტაცია შეიჭრა მუსლიმანთა სოფლებში, სადაც მოსახლეობამ ასევე უარი განაცხადა გადასახადების გაღებაზე"[1].

მოკლე დროით ახალი რევოლუციური ხელისუფლების სახით, „გურიის რესპუბლიკის" გარდა, წარმოიშვნენ ყვირილის, ზუგდიდის, გორისა და სვანეთის „რესპუბლიკები".

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. 3896, ფ. 52—54.

22—23 დეკემბერს მეფის ჯარებს შეიარაღებული ბრძოლა გაუმართეს თბილისის მუშებმა სალდათის ბაზრის რაიონსა და დიდუბეში. აჯანყების ჩასახშობად სამხედრო ნაწილებმა გამოიყენეს არტილერია.

1905 წლის შეიარაღებული აჯანყების გაკვეთილების შეჯამებისას ვ. ლენინი წერდა: „ამ მხრივ ჩვენ გაგვასწრეს კავკასიამაც, პოლონეთმაც და ბალტიისპირა მხარემაც, ე. ი. სწორედ ისეთმა ცენტრებმა, სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული“[1].

მაგრამ, მიუხედავად საქართველოს მუშებისა და გლეხების გმირული ბრძოლისა ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, შეიარაღებული აჯანყების დამარცხება მოსკოვში და მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების—სოციალ-ფედერალისტების, დაშნაკებისა და სხვ. მოღალატური ტაქტიკა აუცილებლად წინასწარვე წყვეტდა შეიარაღებული აჯანყების ბედს ამიერკავკასიასა და საქართველოში. აჯანყებამ თავის უმაღლეს განვითარებას საქართველოში მიაღწია მაშინ, როდესაც იგი უკვე დამარცხებული იყო მოსკოვში.

რევოლუციის ზეგავლენით მეფის მთავრობამ 1905 წლის 11 დეკემბერს გამოსცა კანონი პირველი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შესახებ. ქართველი მენშევიკები, რომლებიც აჯანყებული ხალხის მასების გათიშვის გამცემლურ ტაქტიკას ეწეოდნენ, მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს მონაწილეობა მიეღოთ ამ სათათბიროში. მენშევიკები ატყუებდნენ მუშებსა და გლეხებს და უმტკიცებდნენ მათ, რომ ახალი დემოკრატიული წესების დამყარება შეიძლება საკანონმდებლო გზით, შეიარაღებული აჯანყების გარეშე და ცარიზმის დაუმხობლად.

მოსკოვში გამარჯვების შემდეგ ცარიზმი შეტევაზე გადავიდა. განაპირა მხარეებში: კავკასიაში, პოლონეთში, ბალტიისპირა მხარესა და სხვა რაიონებში.

საქართველოში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა, თბილისის მუშათა რაიონები და პირველ რიგში ნაძალადევი დარბეულ იქნა და სისხლით მოირწყო. გორისა და დუშეთის მაზრაში გაიგზავნა დამსჯელი რაზმი გენერალ ბაუერის მეთაურობით. ქუთაისის

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 10, გვ. 127.

გუბერნიაში გაიგზავნა დამსჯელი რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკის და ვიცე-გუბერნატორ ყიფშიძეს ბრალი დასდეს მასში, რომ ისინი რევოლუციონერების გავლენის ქვეშ მოექცნენ და მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ; ორივენი გაათავისუფლეს თანამდებობისაგან. 1906 წ. 10 იანვარს ქუთაისის გუბერნატორად დაინიშნა გენერალი ალიხანოვ-ავარსკი.

1905 წლის 24 დეკემბერს გუდაუთის უბნის სოფელ ბომბარის შახლობლად ნავიდან იარაღის გადმოტვირთვის დროს დააპატიმრეს სერგო ორჯონიკიძე, რომელიც მეთაურობდა აფხაზეთის მუშებისა და გლეხების რევოლუციურ ბრძოლას.

ბათუმის გენერალ-გუბერნატორი ფონ-პარკაუ მოითხოვდა, რომ რევოლუციის ჩახშობის დროს „არ მორიდებოდნენ უაღრესად გადამწყვეტ ღონისძიებათა მიღებას, თუნდაც იმის მსგავსს, რომ-გორიც მიღებულ იქნა ფრანგების მიერ პარიზის კომუნის ჩახშობისას 1871 წელს“.

დამსჯელი რაზმები საქართველოს ყველა რაიონში ცეცხლითა და მახვილით იკვლევდნენ გზას და სისხლის მორევი დააყენეს ირგვლივ. მეფის ოპრიჩნიკები გაუსამართლებლად და გამოუძიებლად ხვრეტდნენ ყოველ მუშასა და გლეხს, თუკი არსებობდა ეჭვი, რომ იგი ბოლშევიკებისა და რევოლუციის თანამგრძნობი იყო.

გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარის მთელი გზა აღინიშნა მასობრივი დახვრეტით, ცეცხლის წაკიდებით, ძარცვითა და ნგრევით.

სურამის გვირაბის გაწმენდისა და ქუთაისის გუბერნიისაკენ მიმავალი გზის გასახსნელად გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ცეცხლის ალში ახვევდა და ანადგურებდა ყველა შემხვედრ სოფელსა და ქალაქს. სადგური მოლითი, ბელაგორი, შორაპანი ცეცხლით გაანადგურეს. ასეთივე ბედი ეწია ყვირილას, სვირსა და აჯამეთს.

დამსჯელი რაზმები მხეცურად და ბარბაროსულად უსწორდებოდნენ მოსახლეობას ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრაში. მეფის ჯალათმა გენერალ ალიხანოვ-ავარსკიმ გლეხებს მოსთხოვა ახლად აეშენებინათ მთავრობის გადამწვარი შენობები, შეეტანათ სახაზინო და საერობო გადასახადები, დაებრუნებინათ სხვადასხვა გარემოების გამო ჩამორთმეული იარაღი და ვაზნები, დაუყოვნებლივ შედგომოდნენ მემამულეთა ბეგარების შესრულებას, წარმოედგინათ ახალწვეულები, გადაეცათ მისთვის რევოლუციური მოძრაობის მეთაურები და ა. შ. გარდა ამისა ქუთაისის გუბერნიის გლეხებს დაეკისრათ კონტრიბუცია 500 ათასი მანეთის რაოდენობით.

1905 წლის 20 დეკემბერს სოხუმი გამოცხადდა გაძლიერებული დაცვის მდგომარეობაში მყოფ ქალაქად. აფხაზეთის სოფლებში შეიარაღებდნენ დამსჯელი რაზმები. მუშებისა და გლეხების რბევაში დამსჯელ რაზმებს ეხმარებოდნენ თავადაზნაურთა „შავი რაზმები“. განსაკუთრებული სისასტიკით სახელი გაითქვა აზნაურ შირვან თურქიას რაზმმა.

გაუგონარი დარბევა განიცადა ოზურგეთის მაზრამ. აქ მოქმედებდა დამსჯელი ექსპედიცია რამდენიმე ათასი ჯარისკაცისა და კაზაკის შემადგენლობით. ამ ექსპედიციას მეთაურობდა პოლკოვნიკი კრილოვი. ოზურგეთი დაკავებულ იქნა 1905 წ. 11 იანვარს.

ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, ხიდისთავი, სურები და მაზრის სოფლების უმრავლესობა განადგურებულ და გადამწვარ იქნა. პოლკოვნიკმა კრილოვმა გლეხებს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გადაეხადათ ყველა გადასახადი, გადაეცათ მისთვის დეზერტირი ჯარისკაცები და ყველა აგიტატორი, ჩაებარებინათ 4 ათასი შაშხანა, ზარბაზნები, რაც თითქოს სურებში ინახებოდა და ა. შ. ოზურგეთის მაზრაში დამსჯელი რაზმები ყველგან არბევდნენ სოფლებს, აპატიმრებდნენ ხალხს, ძარცვავდნენ და მასობრივად ამათრახებდნენ გლეხებს.

რსდმპ თბილისის კომიტეტის პროკლამაციაში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მიერ ქუთაისის გუბერნიის მშრომელი მოსახლეობის მხეცური დარბევის გამო ნათქვამი იყო: „...რომელიმე საზიზღარი ჯალათის მოკვლის განზრახვის გამო, როგორც იყო ეს ქუთაისში და რუსეთის ბევრ სოფლებსა და ქალაქებში, ათასობით მამაკაცსა ჰკლავენ, ქალებს აუპატიურებენ და ვინც ცოცხალი რჩება სარჩოსაბადებელს უღუპავენ...სისხლი მდინარეებად იღვრება. ყველგან წყევა-კრულვა, ტირილის ზარი და მოკლულთა კვნესა ისმის“[1].

გორისა და დუშეთის მაზრების დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა გენერალმა ბაუერმა 1906 წ. 15 იანვარს გამოსცა ბრძანება, რომელშიც კატეგორიულად აცხადებდა, რომ თუ სოფელმა ხელისუფლებას დაუმალა თუნდაც ერთი რევოლუციონერი, ჩაუბარებელი დასტოვა თუნდაც ერთი თოფი და რევოლვერი, იგი დაუყოვნებლივ ძირფესვიანად იქნება დანგრეული ჯარის მიერ[2].

თუ რა საშინლად იქცეოდნენ დამსჯელი რაზმები, ამას გვიჩვენებს ამონაწერი ნოვობაიაზეთის 263-ე ქვეითი პოლკის კაპიტ-

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქართველოს ფილიალი. ფ. 33, ს. 36.
[2] საქ. სსრ აკადემია, ფ. 19, ს. 12, ფ. 51.

ნის ვნუკოვსკის პატაკიდან. 1906 წ. 23 იანვარს ის ჩავიდა სოფელ ხელთუბანში და უბრძანა გლეხებს შეკრებილიყვნენ მოედანზე. ამის შემდეგ,—ამბობს იგი,—„დავუმიზნე ხალხს მსხვილი საფანტით გატენილი ზარბაზნები, გარს შემოვარტყი ქვეითი ჯარისკაცები და კაზაკები, გატენილი თოფებით. შემდეგ გამოვუცხადე მცხოვრებთ, რომ ისინი...დაუმორჩილებლობის ან წინააღმდეგობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოსპობილი იქნებიან ცეცხლითა და მახვილით, ხოლო სახლები და ქონება განადგურებული იქნება არტილერიით და ცეცხლს მიეცემა“. კაპიტანმა ვნუკოვსკიმ აიძულა მუხლმოდრეკილი გლეხები პირობა დაედოთ, რომ დაუყოვნებლივ გამოგზავნიან ახალწვეულებს, გადაიხდიან გადასახადებს, დაფარავენ მემამულეთა მთელ დავალებას, შეაჩვენებენ და მოჰკლავენ ყოველ რევოლუციონერს, ჩააბარებენ იარაღს და სხვ. ჯარის ნაწილმა რევოლუციონერთა სახლებს დაუშინა არტილერია და შემდეგ კი ცეცხლი წაუკიდა და გადაწვა ისინი[1].

კავკასიის მეფისნაცვალმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა დირექტივა მისცა დამსჯელ რაზმებს „არ მორიდებოდნენ არავითარ მკაცრ ღონისძიებას“, მოესპოთ ყველა რევოლუციური ორგანიზაცია, შეიარაღებული რაზმები. ადგილობრივ პოლიციას წინადადება მიეცა „დაუნდობლად ემოქმედნა აჯანყების, შეიარაღებული წინააღმდეგობის სულ მცირეოდენი ცდისათვის, აგრეთვე მცხოვრებთა მიერ ჯარების წინააღმდეგ ყუშბარების ტყორცნის ან გამოყენების შემთხვევაში“.

მეფე ნიკოლოზ მეორემ მთლიანად მოიწონა კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის მიერ რევოლუციის ჩასახშობად გამოყენებული ყველა ღონისძიება. ნიკოლოზ მეორე მას სწერდა: „სრული კმაყოფილების გრძნობით წავიკითხე ტელეგრაფით გადმოცემული თქვენი უკანასკნელი ცნობა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც თქვენ მიგიღიათ კავკასიაში ამბოხების ჩასაქრობად“[2].

მაგრამ მიუხედავად მხეცური სისასტიკისა, რასაც მიმართავდა ცარიზმი რევოლუციის ჩასახშობად, საქართველოს მუშებსა და გლეხებს კიდევ დიდხანს არ დაუყრიათ იარაღი და მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ რეაქციას. „წითელი ასეულები“ ბრძოლებით ნელ-ნელა იხევდნენ უკან ნაკლებმისაწვდომ მთებსა და ტყეებში და იქედან განაგრძობდნენ პარტიზანულ თავდასხმებს მეფის ჯარებზე.

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 19, ს. 8, ფ. 141—142.
[2] „კრასნი არხივ“, 1925, ტ. XI—XII, გვ. 437.

10

რევოლუციის უკან დახევა

12—17 დეკემბერს ფინეთში ქ. ტამერფორსში მოწვეულ იქნა ბოლშევიკების პირველი სრულიად რუსეთის კონფერენცია. რსდმპ კავკასიის კავშირიდან ამ კონფერენციაზე დელეგატებად იყვნენ ი. სტალინი და გ. თელია. აქ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ვ. ლენინი და ი. სტალინი. კონფერენციამ გამოიტანა გადაწყვეტილება პარტიის ერთიანობის აღდგენის შესახებ, მაგრამ ბოლშევიკებისა და მენშევიკების ერთიან პარტიად გაერთიანება უნდა მომხდარიყო იმ პირობით, თუ აუცილებლად აღიარებული და განხორციელებული იქნებოდა ლენინური ორგანიზაციული პრინციპები. გამოტანილ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება პირველი სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტის შესახებ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩახშობისა და მთელს რუსეთში კონტრრევოლუციის შეტევაზე გადასვლის შემდეგ მენშევიკები მარხავდნენ რევოლუციას. მათ პლეხანოვის პირით განაცხადეს „ხელი არ უნდა მოგვეკიდა იარაღისათვის“. ქართველი მენშევიკები რუსეთის ოპორტუნიზმის პირველ რიგებში იდგნენ, ისინი მოითხოვდნენ, რომ შეიარაღებული აჯანყება, როგორც ბრძოლის მეთოდი, სრულიად უარყოფილი ყოფილიყო.

ტამერფორსის კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ ი. სტალინმა 1906 წ. იანვარში დაწერა ბროშურა „ორი შეჯახება“, რაც რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა რუსულ და ქართულ ენებზე.

ამ შესანიშნავ შრომაში ლაპარაკია ორ შეჯახებაზე — 1905 წ. 9 იანვარსა და დეკემბრის აჯანყებაზე.

ლენინის კვალდაკვალ ი. სტალინი 1905 წლის პერიოდში რევოლუციური მოძრაობის შედეგების შეჯამების, დეკემბრის აჯანყების მიზეზების განმარტებისა და მენშევიკების პორაჟენცულ-გამცემლური პოზიციის გადაჭრით დაგმობის შემდეგ აკეთებს დასკვნას, რომ მოძრაობის შემდგომი წარმატებისათვის საჭიროა რევოლუციური პროლეტარიატის ერთიანობის შექმნა. „ერთი სიტყვით, **მჭიდრო პარტია, პარტიისაგან მოწყობილი აჯანყება და შეტევის პოლიტიკა** — აი რა გვჭირდება დღეს ჩვენ აჯანყების გამარჯვებისათვის“[1].

მენშევიკების წუწუნზე, რომ პროლეტარიატი დამარცხდა, ი. სტალინი უპასუხებდა: „არა, ამხანაგებო! რუსეთის პროლეტარიატი არ დამარცხებულა, მან მხოლოდ უკან დაიხია და დღეს ის ახალი სახელოვანი ბრძოლისთვის ემზადება. რუსეთის პროლეტარიატი ძირს არ დახრის სისხლით შეღებილ დროშას, ის არავის დაანებებს აჯანყების ხელმძღვანელობას, ის ერთადერთი ღირსეული ბელადი იქნება რუსეთის რევოლუციისა“[2].

ტამერფორსის კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე 1906 წლის დამდეგს მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციების გამაერთიანებელი ყრილობა, რომელზედაც აირჩიეს გაერთიანებული ორგანო—რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი. შეიქმნა რსდმპ თბილისისა და ბაქოს გაერთიანებული კომიტეტები.

მაგრამ რამდენადაც საქმით მენშევიკები განაგრძობდნენ დეზორგანიზატორულ მუშაობას, რსდმპ ამიერკავკასიის გაერთიანებულ საოლქო კომიტეტთან ერთად არსებობდა და მუშაობდა ბოლშევიკების საოლქო ბიურო, სადაც შედიოდნენ: ე. სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, მ. დავითაშვილი, ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, ს. სპანდარიანი და სხვ. ბოლშევიკების ამიერკავკასიის საოლქო ბიურო გახდა რსდმპ კავკასიის კავშირის ნამდვილი მემკვიდრე.

საქართველოს ბოლშევიკები სტოლიპინის რეაქციის მრისხანე წლებში, შავრაზმული ტერორის პირობებში, განამტკიცებდნენ თავიანთ რიგებს, მოხერხებულად იყენებდნენ ლეგალურ და

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 194.

[2] იქვე, გვ. 195.

არალეგალურ შესაძლებლობას მშრომელ მასებთან კავშირის გასაძლიერებლად.

ისინი ებრძოდნენ მენშევიკებს, რომელთაც არ სწამდათ რევოლუციის ახალი აღმავლობის შესაძლებლობა და პროლეტარული პარტიის ლიკვიდაციის გზას ადგებოდნენ. ბოლშევიკები ებრძოდნენ ნაციონალური ბურჟუაზიის სამსახურში მდგომ დაშნაკებს, პოლიტიკური ქამელეონების პარტიას — სოციალ-ფედერალისტებს, ანარქისტულ-სინდიკალისტურ ელემენტებს (ვ. ჩერქეზიშვილს, მ. წერეთელს, შ. გოგელიას და სხვ.), რომლებიც აქტივობას იჩენდნენ ამიერკავკასიაში. ამასთან დაკავშირებით ი. სტალინი წერს სტატიების სერიას „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“

1906 წლის აპრილში სტოკჰოლმში გაიმართა პარტიის მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობა. ამ ყრილობაზე ი. სტალინი „ივანოვიჩის“ გვარით თბილისის ორგანიზაციის ბოლშევიკური ნაწილის დელეგატი იყო. ლენინთან ერთად ი. სტალინი დაუნდობლად ებრძოდა მენშევიკებს, ამხილებდა მათ ანტიპარტიულ ხაზს.

ი. სტალინი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის მუშაობაში, რომელსაც იგი ესწრებოდა, როგორც თბილისის ორგანიზაციის ბოლშევიკური ნაწილის დელეგატი. 1907 წლის ივნისის დამლევს და ივლისის დამდეგს მან გამოაქვეყნა სტატია „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლონდონის ყრილობა (დელეგატის წერილები)“, რომელშიც მოგვცა ყრილობის გადაწყვეტილებათა და შედეგთა შეფასება. მეხუთე (ლონდონის) ყრილობის მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ იქ მოხდა „მთელი რუსეთის მოწინავე მუშების ფაქტიური გაერთიანება სრულიად რუსეთის ერთიან პარტიად რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ“[1].

საქართველოს ბოლშევიკები განაგრძობდნენ თავიანთი რიგების განმტკიცებას, აწესრიგებდნენ კონსპირაციულ კავშირს, აუმჯობესებდნენ სამხედრო-საბრძოლო ტექნიკას, მეთაურობდნენ მშრომელთა მასების რევოლუციურ ბრძოლას.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრრევოლუცია შეტევაზე გადავიდა და სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა, ბოლშევიკები განაგრძობდნენ საქართველოს მუშებისა და გლეხების მზადებას ახალი რევოლუციური ბრძოლებისათვის. არამცთუ შენარჩუნებულ იქნა

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 49.

ძველი მებრძოლი რაზმები, არამედ იქმნებოდა და იწვრთნებოდა ახალიც. მტკიცე და შემჭიდროვებული მებრძოლი რაზმები იყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურაში, სოხუმში, თელავში, სიღნაღში, ოზურგეთის მაზრასა და სხვა ადგილებში.

მებრძოლი ბოლშევიკური რაზმების გამოჩენილი ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ მ. ბოჭორიძე, ნ. ბუაჩიძე, გ. თელია, ს. ინწკირველი, კამო (ტერ-პეტროსიანი). ბოლშევიკები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ქუჩის ბრძოლებისა და პარტიზანული გამოსვლების სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესებას. რაზმებს ამარაგებდნენ უფრო ახალი იარაღით. მოგვარდა იარაღის მიღება საზღვარგარეთიდან, უმთავრესად ბელგიიდან და შვეიცარიიდან. ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ს. ორჯონიკიძე. ბოლშევიკებმა მოაწყეს იარაღის, საჭურვლის, ყუმბარებისა და ფეთქებად ნივთიერებათა საწყობები. ასეთი საწყობები და სახელოსნოები, სადაც იარაღის შენახვასთან ერთად მიმდინარეობდა მისი რემონტი და ახალი იარაღის მზადება, იყო თბილისის ნაძალადევის რაიონში. აქ მუშაობდა ერთ-ერთი მოწინავე მუშა, მტკიცე ბოლშევიკი ზაქრო ჩოდრიშვილი.

29 აპრილს საიდუმლო პოლიციამ შეძლო ერთ-ერთი ასეთი საწყობის აღმოჩენა თბილისში, პეტრეს ქუჩაზე მდებარე სახლში, სადაც ნახეს 245 გატენილი ყუმბარა, 720 საბრძოლო ვაზნა, 1067 მრგვინავი ვერცხლის წყლის ფისტონი, 1 ფუთი მრგვინავი ლაბა, და ყუმბარებისათვის საჭირო ყოველგვარი მასალა[1].

იარაღის საწყობები იყო ბათუმში, ქუთაისსა და სხვა ადგილებში.

ლენინი მიუთითებდა, რომ რუსეთის პირველ რევოლუციას ჰქონდა ორი პერიოდი: 1905 წლის აღმავლობის პერიოდი და 1906—1907 წლების დაქვეითების პერიოდი[2].

„დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ, — ნათქვამია სკპ (ბ) ისტორიის მოკლე კურსში, — დაიწყო მობრუნება რევოლუციის თანდათანი უკანდახევისაკენ. რევოლუციის აღმავლობა შეიცვალა მისი თანდათანი შენელებით“[3].

ასე იყო საქართველოშიც. სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, მუშები და რევოლუციური გლეხები 1906—1907 წლებშიც განაგრძობდნენ ბრძოლას და უკან იხევდნენ ნელ-ნელა, ბრძოლებით.

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, ს. 116.

[2] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, გვ. 19.

[3] სკპ (ბ) ი ს ტ ო რ ი ა. მოკლე კურსი, გვ. 104.

1906 წლის 17 იანვარს თბილისში მუშა რკინიგზელმა არსენა ჯორჯიაშვილმა ყუმბარით მოკლა კავკასიის არმიის შტაბის უფროსი, კონტრრევოლუციის ერთ-ერთი მეთაური, დამსჯელი რაზმების ორგანიზატორი და უშუალო ხელმძღვანელი გენერალი გრიაზნოვი.

1906 წლის 9 მარტს ბათუმის მუშებმა აღნიშნეს 1902 წელს ბათუმში ჯარების მიერ მუშათა დემონსტრაციის დახვრეტის მე-4 წლისთავი.

მუშები ყველგან აღნიშნავდნენ საპირველმაისო პროლეტარულ დღესასწაულსაც. 1906 წელს საქართველოში გრძელდებოდა აგრეთვე საგაფიცვო ბრძოლა. მაისში თბილისში გაიფიცნენ საფაროვის, ენფიანჯიანცის და სხვ. თამბაქოს ფაბრიკების მუშები. ამავე დროს გაიფიცნენ სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეები და იარალოვის თუჯსასხმელი ქარხნის მუშები. აფხაზეთში გაფიცვა გამოაცხადეს მშენებელმა მუშებმა, სანაოსნო საზოგადოებათა მოსამსახურეებმა. ივნისში თბილისში გაიფიცნენ ტრამვაისა და პურის საცხობთა მუშები, საკონდიტროების ოსტატები და ნოქრები, გორში — სავაჭრო დაწესებულებათა მოსამსახურეები. ივნის-ივლისში შეუპოვარ საგაფიცვო ბრძოლას ეწოდნენ ჭიათურის მუშები და მათი წინააღმდეგობა მხოლოდ მაშინ დაძლიეს, როცა შავი ქვის მრეწველებმა მეფის მთავრობისაგან მიიღეს დახმარება სამხედრო ნაწილების სახით. ივლისში გაფიცვა გამოცხადებული ჰქონდათ თბილისისა და ქუთაისის სტამბის მუშებს.

1906 წელს საქართველოში მიმდინარეობს პროფესიული მოძრაობის შემდგომი განვითარება. ოქტომბერში მარტო თბილისში ირიცხებოდა 30-ზე მეტი პროფკავშირი, რომლებიც მეთაურობდნენ მუშათა საგაფიცვო მოძრაობას. ამ ხანებში დაისვა ერთიანი პროფკავშირული ცენტრის შექმნის საკითხი. ხელისუფალთა წინააღმდეგობის მიუხედავად, 1906 წლის 3 დეკემბერს კავშირების რწმუნებულთა კრებაზე შეიქმნა ქ. თბილისის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო. მისი ორგანო გახდა გაზეთი „ახალი დროება“, რომელიც გამოდიოდა ი. სტალინის, მ. ცხაკაიას და გ. დავითაშვილის ხელმძღვანელობით. ამ გაზეთის პირველ ნომერში ი. სტალინი წერდა:

„პროლეტართა პროფესიული ინტერესებისთვის პროფესიული კავშირები ეწყობა, რომლებიც იბრძვიან ხელფასის მომატებისთვის, სამუშაო დღის შემცირებისთვის და სხვ. მაგრამ, პროფესიულ ინტერესებს გარდა, მათ აქვთ კიდევ საერთო კლასობრივი

ინტერესები, რომლებიც სოციალისტურ რევოლუციაში და სოციალიზმის დამყარებაში გამოიხატება"[1].

ნელ-ნელა იხევდნენ უკან რეაქციის შემოტევის გამო გლეხთა რევოლუციური მასებიც. მართალია, შეიარაღებული ძალის მუქარის შედეგად გლეხები აღადგენდნენ გადამწვარი სასოფლო კანცელარიების შენობებს, ისტუმრებდნენ გადასახადებს, მაგრამ ისინი გადაჭრით უარს ამბობდნენ მოძრაობის ხელმძღვანელთა გაცემასა და იარაღის ჩაბარებაზე. გლეხთა პარტიზანული რაზმები სისტემატურად განაგრძობდნენ თავდასხმას დამსჯელ რაზმებზე. კვლავ იმართებოდა გლეხთა გამოსვლები ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ქუთაისის, შორაპნის, გორისა და სხვა მაზრებში.

თითქმის ყველგან გრძელდებოდა გლეხთა შეტაკებები მემამულეებსა და სოფლის ბურჟუაზიასთან სხვადასხვა ბეგარის შესრულებაზე უარის თქმისა და მიწაზე მაღალი საიჯარო ქირის დაწესების გამო. გლეხთა მოძრაობას ბრძოლის სხვა ფორმებიც ჰქონდა: მემამულეთა და ჯაშუშობაში ეჭვმიტანილთა მოკვლა, მემამულეთა მიწების თვითნებურად ხელში ჩაგდება და დახვნა, მათი კარმიდამოსათვის ცეცხლის წაკიდება და განადგურება და სხვ. იმართებოდა სასოფლო-სამეურნეო მუშების გამოსვლებიც.

გლეხთა გამოსვლებით დამფრთხალი ქართველი თავადაზნაურობა 1906—1907 წლებში მთელი ძალღონით ცდილობდა მოეხდინა თავისი მამულების ლიკვიდაცია — მიეყიდნა იგი 1906 წელს თბილისში გახსნილ საგლეხო ბანკისათვის „სამართლიანი შეფასების" საფუძველზე. აღნიშნული ორი წლის განმავლობაში გასაყიდად წარდგენილი იყო 469 მამული 479 ათასი ჰექტარი ფართობით.

1906 წელს გამოცემული ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული პროკლამაცია ასე ახასიათებს გლეხთა მასების განწყობილებას: „ხალხი გამსჭვალულია შურისძიების გრძნობით, იგი აღგზნებულია სურვილით გაანადგუროს რეაქციის ლაქიები, ხალხი მოუთმენლად მოელის მომენტს, როდესაც იგი, შეიძენს რა იარაღს საჭირო რაოდენობით, შეძლებს ეკვეთოს თვითმპყრობელობის ყაჩაღებს და შესძახოს მათ: „გვიფრთხილდით თავისუფლების ჯალათებო, — ახლა ჩვენი დღესასწაულია, ახლა რიგი ჩვენზეა"[2].

---

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 267.

[2] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქართველოს ფილიალი, ფ. 33, ს. 60.

გლეხთა ბრძოლას ცარიზმის, მემამულეებისა და სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმების დროიდან 45 წლის შესრულებასთან დაკავშირებით 1906 წ. თებერვალში რსდმპ თბილისის გაერთიანებულმა კომიტეტმა გამოუშვა პროკლამაცია: „არა შეფის რეფორმა, არამედ ხალხის რევოლუცია!“, რომელშიც მოუწოდებდა გლეხობას ეწარმოებინა პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მზადება ცარიზმის წინააღმდეგ ახალი ბრძოლისათვის.

„... წარსულისა და განსაკუთრებით 19 თებერვლის გამოცდილებამ ცხადად გვიჩვენა, — ნათქვამი იყო პროკლამაციაში, — რომ მეფის მთავრობის დარბაზებიდან მხოლოდ ბორკილები იგზავნება, რომ გლეხების განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ თვით გლეხებისვე საქმე და რომ, მაშასადამე, გლეხებზე იგივე შეიძლება ითქვას, რასაც პროლეტარიატზე ამბობენ ევროპის მუშები:

ვერავინ მოგვცემს ჩვენ გამარჯვებას,
ვერც მეფე, ღმერთი ძლიერი,—
დავიპყრობთ ჩვენ თავისუფლებას
ჩვენივე მკლავით ძლიერით.

დეე, ახსოვდეთ გლეხებს მუშების ეს ძვირფასი სიტყვები, და დეე, იცოდნენ მათ, რომ მხოლოდ ქალაქის მუშების ირგვლივ შეჭიდროდ დარაზმვით და ძველ წესწყობილებაზე იერიშის მიტანით მოიპოვებენ ისინი ნამდვილ თავისუფლებას“!...

გაზეთ „ელვაში“ მოთავსებულ მთელ რიგ სტატიებში ი. ბესოშვილის ხელმოწერით ი. სტალინი თანამიმდევრობით იცავდა მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაციის ლოზუნგს.

ამ პერიოდში ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ბოლშევიკები განაგრძობდნენ უდიდეს მუშაობას არმიაში. თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა დიდ ქალაქებში შეიქმნა გარნიზონის სამხედრო საბჭოები. პარტიის ცალკეული წევრები მიამაგრეს სამხედრო ნაწილებს რევოლუციური მუშაობისათვის. შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე თბილისის საიდუმლო პოლიციის მიერ გაგზავნილ მოხსენებით ბარათში შემდეგნაირად იყო დახასიათებული ბოლშევიკების მუშაობა ჯარის ნაწილებში:

„ადგილობრივმა რევოლუციურმა ორგანიზაციებმა ქალაქ თბილისში თავიანთი ძალღონე წარმართეს აგიტაციისა და პროპაგანდისაკენ თბილისის გარნიზონის ჯარებში დაახლოებით მიმდინარე წლის (1906 წ.) 1 თებერვლიდან.

აღნიშნული საქმიანობა გამოიხატა ჯარებისადმი მთელი რიგი დანაშაულებრივი მოწოდებების გამოშვებით (ჩამოთვლილია მთელი რიგი ბოლშევიკური პროკლამაციები. გ. ხ.). ქალაქ თბილისში აღნიშნული კავშირის ადგილობრივი საბჭოს (მხედველობაშია გარნიზონის სამხედრო საბჭო და ჯარისკაცთა კავშირი. გ. ხ.) ჩამოყალიბებაში როლი ითამაშეს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ძალებმა".

მოხსენებით ბარათებში შემდეგ მოყვანილია დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი ბოლშევიკი მუშაობდა მეფის ჯარში, სად იმართებოდა კრებები, როგორი იყო ჯარისკაცთა შორის წარმოებული პროპაგანდისა და აგიტაციის ხასიათი და აგრეთვე ცნობები მებრძოლი რაზმების შექმნისა და შეიარაღებული აჯანყების მზადების შესახებ[1].

1906 წელს თბილისსა და სხვა ადგილებში იმართებოდა ჯარისკაცთა მიტინგები, რომელთა გაფანტვისათვის საჭირო ხდებოდა შეიარაღებული ძალების გამოყენება. ჯარისკაცები განაგრძობდნენ პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნების წამოყენებას.

თებერვალში ერთმა არტილერისტმა მიიღო წერილი, რომ მისი ცოლი და მისი და კაზაკებმა გააუპატიურეს, მისი დედა კი ამ სისასიზღრის მოწმე გახადეს. ბედშავმა ჯარისკაცმა ტირილი დაიწყო, ოფიცერთან მივარდა, მოიგლიჯა პაგონები, სახეში მიაყარა მას და დაიწყო მეფის მთავრობის გინება. მას შეუერთდნენ სხვა ჯარისკაცები და თბილისში დაიწყო არტილერისტების ცნობილი „ამბოხება"[2].

21 თებერვალს დაიწყო მღელვარება „აღმოსავლეთ ციმბირის მე-17 სამთო ბატარიაში", რომელიც განლაგებული იყო სოფ. მუხრავანში. არტილერისტებმა წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნები; ისინი მოითხოვდნენ ბატარიიდან ზოგიერთი უმცროსი მეთაურის, მათ შორის ფელდფებელის, გაძევებას. სარდლობა იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებინა ამ მოთხოვნათა მეტი წილი. „ჯარისკაცთა კავშირმა", რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, ენერგიული მუშაობა გაიჩაღა, დიდი რაოდენობით გამოუშვა ფურცლები შემდეგი სახელწოდებით: „ახალი ამბების ფურცელი", „ამხანაგებო" და სხვ.

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, ს. 216, ფ. 96—98.

[2] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, ს. 138, ფ. 162.

თებერვალში დიდი მღელვარება მოხდა ბაშკადიკლარის ბატალიონში, რომელიც თელავში იყო დაბანაკებული. ჯარისკაცებმა წამოაყენეს პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათის 15 მოთხოვნა[1]. ივნისში მღელვარება მოხდა ბათუმის გარნიზონში, სადაც ყველაზე აქტიურ როლს თამაშობდა არდაგანის სათადარიგო ბატალიონი. „ჯარისკაცთა კავშირის“ პროკლამაციაში ბათუმის ამბების გამო ნათქვამი იყო:

„ბათუმის გარნიზონი, კაზაკებს გარდა, ხალხს მიემხრო... 12 ივნისს მთელი არტილერია და ქვეითი ჯარის ნაწილი გამოვიდა ყაზარმებიდან და შეუერთდა საერთო მიტინგს. ორატორები წარმოთქვამდნენ სიტყვებს... ქვეითი ჯარის ნაწილი უფროსების ბრძანებით გარს შემოერტყა მიტინგს და სურდა ჯარისკაცების დაპატიმრება, მაგრამ გამოვიდა ერთ-ერთი ამხანაგი და მხურვალე სიტყვა წარმოთქვა. მაშინ ქვეითი ჯარი, რომელიც გარს შემოერტყა მიტინგს, შეძახილებით „ურა!“, „გაუმარჯოს ხალხს!“ აჯანყებულ ამხანაგებს შეუერთდა“.

1906 წლის სექტემბერში არეულობა მოხდა თბილისის პოლკში.

ჯარისკაცთა გამოსვლებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1906 წლის მარტში მინგრელსკი პოლკში მომხდარ ამბავს.

21 მარტს „ჯარისკაცთა კავშირმა“ გამოუშვა პროკლამაცია „თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილს. ჩვენი, ჯარისკაცთა კრების შესახებ“.

პროკლამაციაში ლაპარაკი იყო ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ჯარისკაცის მძიმე ხვედრზე. იგი მოუწოდებდა ქ. თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებს ეწარმოებინათ მზადება საერთო კრებისათვის, რომელსაც უნდა განეხილა უფროსებისადმი წარსადგენი მოთხოვნები.

„როდემდე გვექნება დადებული კლიტე პირზე? ნუთუ ჩვენ მუდამ ასე უნდა ვიტანჯოთ და უკეთეს ცხოვრებას ვერ უნდა მოვესწროთ? მოდით, ძმებო, წელში გავიმართოთ და ხმამაღლა, უშიშრად ავმეტყველდეთ, და ისევე ვიმოქმედოთ, როგორც მოქმედებენ შავი ზღვის ფლოტი, კრონშტატის მეზღვაურები და სხვა ჩვენი ამხანაგები. ამისათვის ბევრი რამ არ არის საჭირო! ყველამ თავი მოვიყაროთ საერთო კრებაზე, განვიხილოთ ჩვენი საჭირო-

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, ს. 138, ფ. 162.

ებანი, წარუდგინოთ ჩვენი მოთხოვნები უფროსებს და მოვითხოვოთ მათი დაკმაყოფილება. ხოლო თუ არ მოისურვებენ პატივი დაგვდონ, მაშინ ხელში ავიღოთ ჩვენი შაშხანები და გავაძევოთ ჩვენი ტირანები — ოფიცრები... კრების ადგილისა და დღის შესახებ ყველა ჯარისკაცი გაიგებს თავისი შეგნებული ამხანაგებისაგან"[1].

ეს კრება არ შემდგარა, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაიგეს ამის შესახებ და წინასწარ გაგზავნეს თავმოყრის ადგილას საიმედო სამხედრო ნაწილები და პოლიცია. დაიკავეს რამდენიმე ჯარისკაცი და მათ ჩამოართვეს 24 პუნქტის შემცველი ხელნაწერი სახელწოდებით — „ჯარისკაცის მოთხოვნები". მათ შორის მოხსენებული იყო ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა კრებების თავისუფლება ჯარისკაცებისათვის, ყველა დაპატიმრებული ჯარისკაცის განთავისუფლება, ჯარისკაცებთან ოფიცრების ყოველგვარი „პატრიოტული" საუბრის შეწყვეტა, აღკვეთა ჯარისკაცების გაგზავნისა იმ მუშების დასამორჩილებლად, რომლებიც თავიანთი უფლებების მოსაპოვებლად იბრძვიან, სამხედრო მდგომარეობის მოხსნა, რადგან იგი მეტისმეტად მძიმეა ჯარისკაცებისათვის და დიდად საზიანოა ამჟამად სიმართლისათვის მებრძოლი მთელი რუსეთის ხალხისათვის, ჯარების გამოყვანა ოზურგეთის მაზრიდან და კავკასიის ყველა რაიონიდან და მათი თავიანთ ნაწილებში დაბრუნება, ე. ი. ეგზეკუციების გაუქმება და ა. შ.[2].

დაპატიმრებულთა შორის იყვნენ მოხალისე ჯარისკაცი ავრამენკო, მინგრელსკი პოლკის რიგითი ჯარისკაცები სალუქვაძე, იასენკო, ვასენკი, ბაჩულინი, ვორონოვი და სხვ. მათ დასაცავად გამოვიდა გრენადერთა მე-16 პოლკი. 26 მარტს ამ პოლკის ჯარისკაცები შეიკრიბნენ მიტინგზე, „საძულველ ოფიცერთა და ჯაშუშთა დაუსწრებლად, რათა დაუფარავად ეთქვათ მთელი სიმართლე, თუ რატომ არის, რომ ჩვენს დროში მდიდრები არსებობის საშუალებასაც კი არ აძლევენ უბრალო ადამიანს, რატომ არ აქვთ მიწა გლეხებს, კარგი სამუშაო — მუშებს, ხოლო ჩვენ, ჯარისკაცებს, კი - წართმეული გვაქვს თავისუფლება და გამწარებული გვაქვს სიცოცხლე"[3].

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფ. 1, ფ. 216.

[2] საქ. სსრ აცსი, ფ 22, ს. 189, ფ. 80.

[3] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, ს. 800, ფ. 138.

ჯარისკაცებმა თავი მოიყარეს დიდი რაოდენობით და მოითხოვეს უწინარეს ყოვლისა დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება, ამასთან ერთად მათ წამოაყენეს სხვა მოთხოვნებიც. სხვა ჯარისკაცებს შორის განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა მაჭავარიანი.

უფროსებმა კაზაკებისა და პოლიციის დახმარებით დაშალეს მიტინგი, დააპატიმრეს რა წინასწარ რამდენიმე ჯარისკაცი. პოლკის ჯარისკაცები შეიარაღდნენ საბრძოლო ვაზნებით გატენილი თოფებით და თავი მოიყარეს ყაზარმის ეზოში. მათი მოთხოვნით დაპატიმრებული ჯარისკაცები გაათავისუფლეს. მაგრამ ამ პოლკის მე-14 ასეულის ჯარისკაცები ყაზარმაში დარჩნენ და უფროსების ბრძანებით სროლა აუტეხეს ეზოში თავმოყრილ ჯარისკაცებს, რის შედეგადაც რამდენიმე მათგანი დაიჭრა და მოკვდა. 27 ჯარისკაცი სამხედრო სასამართლოს გადაეცა.

ჯარისკაცების გასამართლების გამო რსდმპ თბილისის კომიტეტმა გამოუშვა შემდეგი მოწოდება:

„ამხანაგებო, 27 ჩვენს ამხანაგს სიკვდილით დასჯას უპირებენ. რისთვის? რა დააშავეს მათ? იმისთვის, ამხანაგებო, რომ მათ მიტინგი მოაწყეს, სადაც თავიანთ ამხანაგებს განუმარტავდნენ, თუ ვინ არის ხალხის მტერი და მეგობარი. იმისთვის, ამხანაგებო, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფალთ — მოეხდინათ მათთან სამარცხვინო ჩხრეკა. და ბოლოს, იმისთვის, რომ მათ აშკარად და პირდაპირ დასდეს ბრალი ხალხის მტრებს იმაში, რომ ისინი ჯალათები ყრიან. ამრიგად, ამხანაგებო, ჯარისკაცები ჩვენი საერთო საქმისათვის იღუპებიან. ჩვენ ენერგიულად უნდა გამოვეჭომაგოთ ჩვენს ამხანაგ ჯარისკაცებს. ხელიდან უნდა გამოვგლიჯოთ ისინი. უნდა მოვაწყოთ მოქალაქეთა კრება და მიტინგი და მოვითხოვოთ 27 ჯარისკაცის დაუყოვნებლივ განთავისუფლება. ეს ჯარისკაცები კი არ არიან, ამხანაგებო, სიკვდილით დასჯის ღირსნი, არამედ ისინი, რომელნიც ყოველდღე სისხლს სწოვენ ხალხს, ასახლებენ და ჟლეტენ მოქალაქეებს, აწყობენ დარბევებს, თავისუფლებას მოწყურებულ მოქალაქეთა სისხლით რწყავენ მთელი რუსეთის ქუჩებს“[1]

მინგრელსკი პოლკის ჯარისკაცების სამართალში გადაცემის გამო პროკლამაცია გამოუშვა თბილისის გარნიზონის საბჭომაცეს პროკლამაცია მოუწოდებდა ყველა ჯარისკაცს მხარი დაეჭირათ

---

[1] საჭ. სსრ აცსი, ს. 1020, ფ. 11.

პასუხისგებაში მიცემული ჯარისკაცებისათვის, „რათა ისინი არ გაესახლებინათ თბილისიდან და იარაღით ხელში მოეთხოვათ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლება“.

ბოლშევიკური „ჯარისკაცთა საბჭო“ მოუწოდებდა გარნიზონის ჯარისკაცებს შეიარაღებული დემონსტრაცია მოეწყოთ გასამართლების დღეს. „თუ ჩვენი სიტყვები, ჩვენი მუქარა არ იმოქმედებს გამცემლებსა და მოსამართლეებზე, მაშინ ჩვენ ვაიძულებთ ამ ავაზაკებს იგრძნონ ჩვენი ძალა. ჩვენ, შეიარაღებულნი, უაზარმებიდან სასამართლოს შენობისაკენ გავეშურებით... გაუმარჯოს მთელი გარნიზონის შეიარაღებულ დემონსტრაციას“[1].

21 ივლისს გამოშვებულ იქნა რსდმპ თბილისის კომიტეტის პროკლამაცია თბილისის მუშებისა და მოქალაქეებისადმი, ეს პროკლამაცია მოუწოდებდა მათ მოეწყოთ ერთდღიური გაფიცვა 22 ივნისს, ჯარისკაცების გასამართლების დღეს.

ასეთივე მოწოდება გამოუშვა სახელმწიფო სათათბიროს ამრჩეველთა კრებამ. სამხედრო ნაწილებიდან დაპატიმრებული ჯარისკაცების დაცვის საქმეში ყველაზე მეტი აქტივობა გამოიჩინა კავკასიის რკინიგზის პირველმა ბატალიონმა, რომელიც განლაგებული იყო ნავთლუღში.

21 ივნისს, საღამოს, ამ ბატალიონის მიტინგზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არ გასულიყვნენ 22 ივნისს დავალების შესასრულებლად და არ შეეცვალათ გაფიცული მუშები. ამასთან გაეწიათ შეიარაღებული წინააღმდეგობა, თუ ეს საჭირო იქნებოდა. 22 ივნისს რკინიგზელთა ბატალიონი დამორჩილებულ იქნა კაზაკებისა და სხვა სამხედრო ნაწილების დახმარებით. დააპატიმრეს 45 ჯარისკაცი.

პასუხისგებაში მიცემული ჯარისკაცების გასამართლების დღეს 1906 წლის 22 ივნისს თბილისსა და საქართველოს სხვა ადგილებში გამოცხადებულ იქნა საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა. თბილისში გაიფიცნენ ყველა სამრეწველო საწარმოს, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, დეპოსა და ტრამვაის მუშები, დაწესებულებების, სავაჭრო და სახელოსნო საწარმოების მოსამსახურეები. შეწყდა მატარებლის მოძრაობა. ღამით ქალაქი სიბნელემ მოიცვა, ქუჩებში ფარნებიც კი ჩამქრალი იყო.

საყოველთაო გაფიცვისა და ჯარისკაცთა გამოსვლების ზეგავლენით სამხედრო სასამართლო იძულებული იყო გამოეტანა

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, ს. 304, ფ. 95.

მსუბუქი განაჩენი: 9 ჯარისკაცი გაამართლეს, 7 დისციპლინარულ ბატალიონში გაგზავნეს, 2—სამხედრო საპატიმროში, დანარჩენ 5 კაცს კი უმნიშვნელო დისციპლინარული სასჯელი მიუსაჯეს[1].

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკებს დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ რევოლუციური ბრძოლა, ისინი მთელი ძალღონით ცდილობდნენ ერთ მძლავრ ნაკადად შეერთებინათ მუშათა კლასის, რევოლუციური გლეხობისა და ჯარისკაცების ბრძოლა. ტამერფორსის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ბოლშევიკებმა გამოაცხადეს და განახორციელეს ბოიკოტი პირველი სახელმწიფო სათათბიროს მიმართ, რომელსაც ცარიზმი იწვევდა იმ მიზნით, რათა ხალხის მასები ჩამოეშორებინა რევოლუციური ბრძოლისაგან.

არჩევნების მთელი სისტემა ზღუდავდა მშრომელთა მასების—მუშებისა და გლეხების სათათბიროში მოხვედრას. მუშებისათვის დაწესებული იყო სამსაფეხურიანი, ხოლო გლეხებისათვის ოთხსაფეხურიანი არჩევნები. საარჩევნო ხმის უფლება მიიღეს მხოლოდ იმ საფაბრიკო-საქარხნო საწარმოების, რკინიგზის სახელოსნოებისა და მაღაროების მუშებმა, სადაც მუშათა რაოდენობა სულ მცირე 50 კაცს მაინც შეადგენდა. ერთი ამრჩეველი მოდიოდა 90.000 მუშაზე, 30.000 გლეხზე და 2.000 მემამულეზე.

„98 ამრჩეველში,— წერდა ი. სტალინი,— რომლებმაც სათათბიროს დეპუტატები უნდა აირჩიონ თბილისის გუბერნიიდან, მხოლოდ 2 კაცი შეიძლება იყოს მუშებიდან, დანარჩენი 96 ამრჩეველი სხვა კლასებს უნდა ეკუთვნოდნენ — ასე ამბობს მანიფესტი. 32 ამრჩეველში, რომლებმაც სათათბიროს დეპუტატები უნდა გაგზავნონ ბათუმისა და სოხუმის ოლქიდან, მხოლოდ ერთი კაცი შეიძლება იყოს მუშებიდან, დანარჩენი 31 ამრჩეველი სხვა კლასებიდან უნდა იყვნენ...“[2].

არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოკლებული იყვნენ 25 წელზე ნაკლები ხნის პირები, ქალები, მოსწავლეები, არმიისა და ფლოტის სამხედრო მოსამსახურენი, „მოხეტიალე ინოროდცები“, უცხო ქვეყნების ქვეშევრდომნი. საკანონმდებლო სათათბიროს უფლებები კიდევ უფრო შეზღუდულ იქნა, როდესაც 1906 წლის 20 თებერვალს გამოვიდა მანიფესტი, რომლითაც სახელმწიფო საბჭო მეორე „საკანონმდებლო პალატად“ გამოცხადდა.

---

[1] საქ. სსრ აცსი, ფ. 1, ს. 308, ფ. 17.

[2] ი. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 197.

როგორი იყო სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგები საქართველოში?

მენშევიკებმა აშკარა ბლოკი შეკრეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებთან და უმთავრესად ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის, ბურჟუაზიული ინტელიგენციისა და თავადაზნაურების ხმებით გაიყვანეს ოთხი მენშევიკი დეპუტატი (ნ. ჟორდანია, ი. რამიშვილი, ი. გომართელი და ს. ჯაფარიძე), ერთი დეპუტატი იყო სოციალ-ფედერალისტების პარტიიდან — თავადი ი. ბარათაშვილი და მეექვსე დეპუტატად საქართველოდან გავიდა ს. წერეთელი.

შუშებსა და მშრომელ გლეხებს არჩევნებში მონაწილეობა თითქმის არ მიუღიათ.

პირველ სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ხელმძღვანელ როლს ქართველი მენშევიკები თამაშობდნენ. ისინი სახელმწიფო სათათბიროს განიხილავდნენ როგორც „პოლიციური თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული საერთო-სახალხო მოძრაობის ცენტრს“, აშკარად გამოდიოდნენ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის წინააღმდეგ და სასტიკად გმობდნენ შეიარაღებული აჯანყების ბოლშევიკურ ტაქტიკას.

მაგალითად, მენშევიკმა ი. რამიშვილმა სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე განაცხადა: „სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა კადეტების სამინისტროს გარეკილ რევოლუციონერებაა... მოსკოვის ამბებმა დაგვიმტკიცეს, რომ პროლეტარიატისათვის საჭირო არ არის „პულემიოტების“ და ზარბაზნების წინააღმდეგ წასვლა, რომ მან არ უნდა აიღოს ხელში იარაღი. იგი თავის გულსა და თავში უნდა ატარებდეს რევოლუციასო“[1].

როგორც ცნობილია, 1906 წ. 8 ივლისს I სახელმწიფო სათათბირო გარეკილ იქნა, რადგან იგი საკმაო მორჩილებას არ იჩენდა ცარიზმის მიმართ. ამავე დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ა. სტოლიპინი, რომელიც ცნობილი იყო გლეხების მხეცური ტანჯვა-წამებით, შავრაზმული ბანდების ჩამოყალიბებითა და დარბევების მოწყობით. სტოლიპინი აღიარებულ იქნა ისეთ ადამიანად, რომელსაც შესწევდა უნარი გადამწყვეტი ბრძოლა გაეჩაღებინა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

მენშევიკებმა განაცხადეს, რომ საჭირო ახალი სათათბიროს მოწვევა, რადგან, მათი აზრით, მისი მოწვევა აუცილებლად დააყე-

---

[1] „ახალი ცხოვრება“, 1906, № 14.

ნებდა საკითხს დამფუძნებელი კრების შესახებ. მენშევიკებმა სათათბირო გამოაცხადეს „საერთო-სახალხო მოძრაობის ცენტრად“, რომელსაც შეეძლო შეეზღუდა მეფის მთავრობა. მენშევიკები, ღალატობდნენ რა მშრომელთა მასების ინტერესებს და საქმით გადაიქცნენ „ლიბერალთა დანამატად“[1], ახორციელებდნენ კადეტურ ბურჟუაზიასთან შეთანხმების ტაქტიკას, მიისწრაფოდნენ საკანონმდებლო მუშაობისაკენ და სრულიად უარყოფდნენ სათათბიროსგარეშე გამოსვლებს.

ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები, რომლებიც ლენინურ ტაქტიკას ახორციელებდნენ, ამხილებდნენ კადეტების კონტრრევოლუციურ, მონარქისტულ პოზიციას, რათა არ დაეშვათ გლეხობაზე მათი გავლენის ზრდა. მათ გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ „შრომის ჯგუფისათვის“, „მემარცხენე ბლოკის“ შექმნისათვის და ამავე დროს შეენარჩუნებინათ კანდიდატთა დამოუკიდებელი სია.

„პარტიის მოვალეობა იყო, — წერდა ი. სტალინი, — მხარი დაეჭირა „შრომის ჯგუფისათვის“ კადეტებთან ბრძოლაში, ბოლომდე განევითარებინა მისი რევოლუციური მიდრეკილება, დაეპირდაპირებინა მისი რევოლუციური ტაქტიკა კადეტების არარევოლუციური ტაქტიკისთვის და მით უფრო ნათლად გამოეაშკარავებინა კადეტების მოღალატური მიდრეკილება“[2].

რევოლუციის შენელებასა და კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით ბოლშევიკებმა გადაწყვიტეს მონაწილეობა მიეღოთ II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, სათათბიროს ტრიბუნის გამოსაყენებლად ცარიზმისა და ბურჟუაზიის მხილებისათვის და რევოლუციის ინტერესების სასარგებლოდ.

სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მეთაურობდნენ მემარცხენე პარტიებს, ცდილობდნენ სათათბიროში განეხორციელებინათ რევოლუციური პროპაგანდა, მაგრამ ეს ყოველთვის როდი ხერხდებოდა, რადგან სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის 65 წევრიდან ნახევარზე მეტი იყვნენ მენშევიკები. ვ. ლენინი ხელმძღვანელობდა სათათბიროს ბოლშევიკ-დეპუტატების მოღვაწეობას. მენშევიკები, მათ შორის ქართველი მენშევიკებიც, სათათბიროში ახორციელებდნენ კადეტებისათვის მხარდაჭერის გამცემლურ ტაქტიკას, ღალატობდნენ რა მშრომელთა ინტერესებს.

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 12, გვ. 184
[2] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 248—249.

I სახელმწიფო სათათბიროს გარეკის შემდეგ და II სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობის პერიოდში მუშათა მოძრაობა საქართველოში არ შემწყდარა, მაგრამ აშკარად ნელდებოდა. მუშები განაგრძობდნენ გაფიცვების მოწყობას, აყენებდნენ პოლიტიკურ და ეკონომიურ მოთხოვნებს. 1907 წელს მუშებმა აღნიშნეს პირველი მაისის დღე. მაგალითად, აგენტურული ცნობებით პირველი მაისის დღეს ბორჯომში შეწყდა მუშაობა ყველა საწარმოში და მუშებმა მოაწყეს მიტინგი[1]. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის ცნობებით 1 მაისს ქალაქში გავრცელდა პროკლამაციები; ქალაქის ბაღის გარშემო და მიხაილოვის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობის წინ გამოკიდებული იყო 6 წითელი დროშა წარწერებით: „გაუმარჯოს 8-საათიან სამუშაო დღეს“, „ძირს კაპიტალიზმი“, „გაუმარჯოს სოციალიზმს“. მუშები, ხელოსნები და ნოქრები არ გამოცხადდნენ სამუშაოზე. ისინი, სადღესასწაულოდ მორთულნი, ქალაქში დასეირნობდნენ. საშუალო და დაბალი სასწავლებლების მოსწავლეები თუმცა 1 მაისს სკოლებში გამოცხადდნენ, მაგრამ მეცადინეობას არ შესდგომიან და ისე წავიდნენ თავიანთ სახლებში[2].

არ შემწყდარა ბრძოლა არც სოფლად. გლეხთა რაზმები განაგრძობდნენ თავდასხმებს პოლიციის სამმართველოებზე, თავადაზნაურთა კარ-მიდამოებზე. 1907 წ. 16 მაისს, ღამით ქუთაისის გუბერნიის რედუტ-კალეს უბანში გავრცელდა პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „ახლანდელ სათათბიროს არ შეუძლია მოსპოს შიმშილი, შეასუსტოს უმუშევრობა, ალაგმოს რეაქცია, მისცეს გლეხებს თავისუფლება და მიწა... ყოველივე ზემოხსენებულის მიღწევა შეიძლება ბრძოლის გზით და გლეხები უნდა ემზადონ ამ ბრძოლისათვის მუშა-პროლეტარიატთან ერთად“[3].

ბოლშევიკური მებრძოლი რაზმების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი იყო კამო (ტერ-პეტროსიანი). პარტია მას ავალებდა არალეგალური სტამბების მოწყობას, იარაღისა და ლიტერატურის შემოზიდვას საზღვარგარეთიდან. ის მონაწილეობას იღებდა აგრეთვე თბილისის დეკემბრის აჯანყებაში. 1907 წ. 13 ივნისს თბილისში ბოლშევიკურმა მებრძოლმა ჯგუფმა კამოს ხელმძღვანელობით მოახდინა განსაკუთრებით გაბედული ექსპროპრიაცია — 250 ათასი მანეთის სახაზინო ფულის გატაცება, რაც შემდეგ გამოყე-

[1] საჯ. სსრ აცსი, ფ. 63, ს. № 4322, ფ. 82.

[2] იქვე, ფ. 74.

[3] საქ. სსრ. აცსი, ფ. 63, ს. 349

ნებულ იქნა საზღვარგარეთ იარაღის შესაძენად ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

1906—1907 წლებში კავკასიის მეფისნაცვალმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა გააძლიერა სისხლიანი რეპრესიები მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1906 წ. 16 აპრილს, ხანგრძლივი ძებნის შემდეგ შეძლეს აღმოეჩინათ და ხელთ ეგდოთ ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა. მთელ ამიერკავკასიაში გაძლიერდა პოლიციელთა და ჟანდარმთა თავდასხმა მუშათა ორგანიზაციებზე. სპობდნენ პროფკავშირებს, კრძალავდნენ მუშათა ჟურნალ-გაზეთებს.

ბურჟუაზიამ გამოიყენა შექმნილი სიტუაცია და ცარიზმის პირდაპირი მხარდაჭერით გაძლიერებით შეუტია პროლეტარიატს, ცდილობდა წაერთმია მისთვის რევოლუციის ყველა მონაპოვარი. სამუშაო დღე 10—12 საათამდე გააღიდეს. მუშათა მატერიალური მდგომარეობა ფასების ზრდისა და ხელფასის შემცირების გამო მძაფრად გაუარესდა.

სამრეწველო დეპრესიასთან დაკავშირებით (მაგ., 1903 წ. მოპოვებული იყო 23 მილიონი ფუთი მარგანეცი, ხოლო 1908 წელს სულ 7,1 მილიონი ფუთი) მასობრივად ითხოვდნენ მუშებს. „რკინიგზის სახელოსნოების და დეპოს მაგალითი ჩვენ თვალ-წინ არის, — ნათქვამი იყო ს. დ. ორგანიზაციის პროკლამაციაში, რომელიც გამოშვებულ იქნა 1906 წ. თებერვალში, — აგერ ორი თვე იქნება, რაც ასობით დათხოვნილი ამხანაგები შიმშილით გვეხოცებიან. ყოველ დღე, ყოველ წამს, მათ თავის თვალით უნდა უყურონ მშიერ ოჯახს, პურს დანატრებულ მტირალ ბავშვებს“[1].

მუშათა მოძრაობის საბოლოოდ ჩახშობის მიზნით ბურჟუაზია ერთიანდებოდა კავშირებად და ერთიანი ფრონტით გამოდიოდა მუშათა წინააღმდეგ. მუშათა გაფიცვების საპასუხოდ ბურჟუაზია ხურავდა საწარმოებს. მაგ., ბათუმში 1906 წ. დაიხურა ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიც იყო როტშილდისა და შანთაშვილის ქარხნები.

ცარიზმმა უარი თქვა განეხორციელებინა ის შეკვეცილი რეფორმებიც კი, რომლებიც ვორონცოვ-დაშკოვმა გლეხებს აღუთქვა 1905 წელს. ქართველ გლეხებზე არ გავრცელდა კანონი 1 იანვრი-

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტ-ის საქართველოს ფილიალი, ფ. 33, ს. 36.

დან გამოსასყიდ გადასახადთა დავალიანების გაუქმების შესახებ. კვლავ განაგრძობდა არსებობას დროებით-ვალდებულ გლეხთა და ხიზანთა ინსტიტუტი. საერობო რეფორმა ამიერკავკასიასა და საქართველოში კვლავ ჩაიშალა იმ საბაბით, რომ მას შეეძლო გაეძლიერებინა ცალკეულ ხალხთა შორის რუსეთისაგან ჩამოშორების მისწრაფება. სოფლად მთლიანად აღადგინეს რევოლუციამდელი წესები.

ყოველნაირად აფერხებდნენ რევოლუციის პერიოდში აღმოცენებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობას. საქართველოს მრავალ საშუალო სასწავლებელში დახურეს უფროსი კლასები და ამ კლასების მოსწავლეები დაითხოვეს, ამასთან მათ წაართვეს სხვა სკოლებში შესვლის უფლება.

განსაკუთრებული რეპრესიები თავს დაატეხეს ბოლშევიკური ორგანიზაციების წევრებს. 1906 წელს საქართველოდან ადმინისტრაციული წესით გაასახლეს 1525 კაცი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციურ მოძრაობაში. 1907 წელს ადმინისტრაციული წესით გადასახლებულთა რიცხვმა, არასრული ცნობებით, 3074 მიაღწია.

საპატიმროები გაჭედილი იყო. მაგალითად, სოხუმის საპატიმროში, რომელიც გათვალისწინებული იყო 30 პატიმრისათვის, 1907 წ. ივნისში 225 კაცი იჯდა. საპატიმროში ისეთი სივიწროვე იყო, რომ დაწოლას ახერხებდა მხოლოდ პატიმართა მესამედი, დანარჩენები კი იატაკზე ისხდნენ ან კედელს მიყრდნობილნი ფეხზე იდგნენ და ისე ეძინათ. საპატიმროში მძვინვარებდა ტიფი, საავადმყოფოში თითო საწოლზე ორ-ორი პატიმარი იწვა, ხოლო ნაწილი პირდაპირ იატაკზე ეგდო. პოლიტიკური პატიმრები საპყრობილეში მეტწილად ბორკილგაყრილი ჰყავდათ; მათ აწამებდნენ და მხეცურად სცემდნენ.

1907 წლის მარტში ტუბერკულოზით გარდაიცვალა 27 წლის ასაკში მყოფი გ. თელია, თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშა. ის გამოირჩეოდა მოწინავე მუშათა შორის, როგორც ერთ-ერთი ღირსეული წინამძღოლი. გ. თელია პარტიისათვის ძვირფასი და უმწიკვლო ადამიანი იყო. იგი მონაწილეობდა მუშათა გაფიცვებში, ასრულებდა საპასუხისმგებლო პარტიულ დავალებებს. როგორც მომზადებულმა მარქსისტმა, მან ბოლშევიკური პრესის ორგანოებში დაბეჭდა მთელი რიგი თეორიული და პოლიტიკური სტატიები. იგი ტამერფორსის ბოლშევიკური კონფერენციის დელეგატი იყო. გ. თელია დაასაფლავეს ქუთაისის მაზრის სო-

ფელ ჰაგანში. მისმა დაკრძალვამ, რასაც 2000-ზე მეტი კაცი დაესწრო, მკაფიო პოლიტიკური დემონსტრაციის ხასიათი მიიღო. სტატიაში „ამხ. გ. თელიას ხსოვნას“ ი. სტალინი წერდა: „მხოლოდ პროლეტარიატში მოიპოვება თელიასთანა პირები, მხოლოდ ის შობს თელიასთანა გმირებს, და პროლეტარიატი-ვე ეცდება სისხლი აიღოს იმ უკულმართი წესწყობილებისაგან, რომელმაც მსხვერპლად შეიწირა ჩვენი ამხანაგი — მუშა გ. თელია“[1].

1907 წლის 30 აგვისტოს დაქირავებული მკვლელების ხელით (როგორც ეს ამჟამად დადგენილია საარქივო საბუთებითა და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს 1941 წ. 25 დეკემბრიდან 1942 წლის 5 იანვრამდე მიმდინარე პროცესით) დაიღუპა ქართული ლიტერატურის კლასიკოსი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

1908 წ. მარტში ჟანდარმებმა დააპატიმრეს ი. სტალინი და ამავე წლის შემოდგომაზე გადაასახლეს სოლვიჩეგოდსკში.

II სახელმწიფო სათათბირო აღმოჩნდა ნაკლებ გამგონე, ვიდრე ცარიზმი ფიქრობდა. 1907 წ. 2 ივნისს, ღამით, დაპატიმრებულ იქნა სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, რომელსაც ბრალი დასდეს სახელმწიფო დანაშაულში.

1907 წ. 3 ივნისს გამოიცა ბრძანებულება სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შესახებ. ამავე დროს გამოიცა ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც საშინლად ჰკვეცავდა მუშათა და გლეხთა უფლებებს.

1907 წლის 3 ივნისი ითვლება რუსეთის პირველი რევოლუციის დამთავრების თარიღად. დაიწყო სტოლიპინის რეაქციის სუსხიანი ხანა.

რუსეთის პირველი რევოლუციის დროს პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური განწყობილების გამომხატველი იყო ქართველი მწერლებისა და პოეტების მთელი ჯგუფი.

დიდი ენთუზიაზმით შეხვდა 1905—1907 წლების რევოლუციას ძველი თაობის წარმომადგენელი, გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი, რომელმაც აშკარად დაუჭირა მხარი მუშათა კლასსა და რევოლუციურ გლეხობას.

1905 წ. ნოემბერში ა. წერეთელმა გამოაქვეყნა ლექსი „ხანჯალი“, რომელიც ეხმაურება ლერმონტოვის იმავე სახელწოდების ლექსს და რომელმაც ფართო პოპულარობა მოიპოვა მშრომელთა მასებში. ა. წერეთლის „ხანჯალი“ წარმოადგენს მამაცობისა და

[1] ი. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 32.

თავისუფლების განსახიერებას. მიმართავს რა ხანჯალს, ა. წერეთელი წერს:

შენი ჭირიმე, ხანჯალო,
რკინაო ხვარასნისაო,
შენ ერთად-ერთო იმედო
მტრისაგან გამოხსნისაო!
მიმოციქული მტრის გულთან,
მიუძღვენ ჩემი სალამი:
ის ვითომც საწერელია,
ჩაერჭვე, როგორც კალამი!

შეიარაღებული აჯანყების ზრდის პერიოდში, 1905 წლის 4 დეკემბერს დაწერილ ლექსში „ძირს“, აკაკი წერეთელი პირდაპირ მიმართავს ცარიზმს:

ძირს მთავრობავ უკუღმართო!
ვეღარ ვიტანთ გასაჭირსო,
ყოველი მხრივ გეძახიან:
„ძირს მთავრობავ! აწ კი ძირსო!“

აკაკი წერეთელმა შეასრულა პროლეტარული ჰიმნის — „ინტერნაციონალის“ თავისუფალი თარგმანი ქართულ ენაზე.

ლიტერატურაში რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო პოეტი ეროდიონ ევდოშვილი (1873—1916). ის დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფელ ბოდბისხევში, სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის გააძევეს იქიდან. ი. ევდოშვილი ერთ დროს მსახურობდა ბაქოში და კარგად გაეცნო ნავთობის მრეწველობის მუშათა ცხოვრების პირობებს. პირველი რევოლუციის წლებში ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლაში.

ი. ევდოშვილის ლიტერატურულ შემოქმედებაზე კეთილმყოფელი გავლენა იქონიეს ნეკრასოვმა, ბერანჟემ და განსაკუთრებით მაქსიმ გორკიმ. მის მოთხრობებში მკაფიოდ და სწორად ასახულია მუშებისა და გლეხების ცხოვრება, რომლებიც განიცდიდნენ ორმაგ ჩაგვრას: ეროვნულსა და სოციალურს.

ი. ევდოშვილმა გადათარგმნა მ. გორკის ცნობილი ლექსი— „მზე ამოდის და ჩადის“, მან შექმნა „მარსელიოზის“ ქართული ვარიანტი.

ი. ევდოშვილის ლექსები: „სიმღერა“, „მეგობრებს“, „გმირის საფლავზე“, „ძმებო გმირულად“, „მუშა და მუზა“ და სხვ., რომლებიც ბოლშევიკური პრესის ორგანოებში იბეჭდებოდა, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში; ამ ლექსებს მღეროდნენ ბარიკადებზე და მანიფესტაციებისა და მიტინგების დროს.

ქართული თეატრი, რომელიც ვითარდებოდა მოწინავე რუსული თეატრალური ხელოვნების ზეგავლენით, რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ხალხთან ერთად იყო. იდგმებოდა რევოლუციური პიესები.

ქუთაისის თეატრში ეწყობოდა მიტინგები, სცენაზე გამოდიოდნენ ორატორები, რომლებიც ხალხს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მაყურებლებთან ერთად არტისტები ქუჩაზე გამოდიოდნენ, პოლიტიკურ მიტინგებს მართავდნენ.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ მთლიანად დაადასტურა ბოლშევიკების სტრატეგიული და ტაქტიკური ხაზის სისწორე.

„...რევოლუციის დამარცხებამ გამოააშკარავა არა ამოცანების უსწორობა,—წერდა ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი,—არა უახლოესი ამოცანების „უტოპიურობა“, არა საშუალებათა და ხერხთა მცდარობა, არამედ ძალთა არასაკმაო მომზადება, რევოლუციური კრიზისის არასაკმაო სიღრმე და სიფართოე“[1].

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 15, გვ. 425.

დასკვნა

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ გლეხთა მოძრაობა ჩამორჩებოდა მუშათა მოძრაობას.

„სამწუხაროდ,—როგორც ვ. ლ ე ნ ი ნ ი მიუთითებს,—გლეხები მოქმედებდნენ შეტად დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, ვერ იჩენდნენ სათანადო შეტევის უნარს, და ეს არის რევოლუციის დამარცხების ერთი ძირითადი მიზეზთაგანი“[1].

არასაკმაოდ ერთსულოვნად და ორგანიზებულად მოქმედებდნენ მუშებიც. მუშათა კლასის უფრო ჩამორჩენილი ფენები რევოლუციურ ბრძოლაში მხოლოდ 1906 წ. ჩაებნენ. მუშების ერთიანი ფრონტით გამოსვლას ხელს უშლიდნენ მენშევიკებიც თავისი შემთანხმებლური ტაქტიკით. რევოლუციაში არასაკმაო აქტივობა გამოიჩინეს ჯარისკაცებმაც, რომელთა უმრავლესობა ეხმარებოდა ცარიზმს მუშათა და გლეხთა ბრძოლის ჩახშობაში.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებაში ცარიზმს დაეხმარნენ აგრეთვე დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები, ამასვე ხელი შეუწყო იაპონიასთან ზავის დადებამ 1905 წლის სექტემბერში. ასეთივე იყო რევოლუციის დამარცხების მიზეზები საქართველოშიც, თუმცა, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, აქ შეიარაღებული აჯანყება უკეთ იყო მომზადებული, პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი უფრო ნათლად და ძლიერად იყო გამოხატული და ამასთან გლეხთა მოძრაობაც უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ცენტრალური რუსეთის მრავალ რაიონში.

1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 327.

მიუხედავად მისი დამარცხებისა, მან მძლავრი დარტყმა აგემა თვითმპყრობელობას. ამ რევოლუციას საერთაშორისო მნიშვნელობასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე რუსეთის ყველა ხალხის ისტორიის შემდგომი განვითარებისათვის.

რუსეთის პირველმა რევოლუციამ უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების საქმეში.

„1905 წლის „გენერალური რეპეტიცია" რომ არა,—წერდა ვ. ლ ე ნ ი ნ ი,—1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა"[1].

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში წარმოებდა რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელთა შემდგომი დაახლოება და გაერთიანება დიდი რუსი ხალხის მეთაურობით საერთო მტრის—ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1905 წელს წარმოიშვა მუშათა და გლეხთა კავშირი. იგი ჯერ კიდევ არ იყო მტკიცე, მაგრამ, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა ი. ს ტ ა ლ ი ნ მ ა თავის შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", მუშათა კლასისა და გლეხობის შემდგომ გამტკიცებული კავშირი გადაიქცა იმ მძლავრ ძალად, რომელმაც ჩვენს დიდ ქვეყანაში სამუდამოდ დაამსხვრია სოციალური მონობისა და ეროვნული ჩაგვრის ხუნდები, ძირფესვიანად მოსპო ყოველგვარი ექსპლოატაცია, შექმნა მეურნეობის ახალი სოციალისტური ფორმები და „საბჭოთა ხალხი გამოიყვანა კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არნახული სოციალისტური გარდაქმნების ფართო გზაზე"[2].

მშრომელთა მასები რუსეთის პირველი რევოლუციის გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ, როგორც ი. ს ტ ა ლ ი ნ ი წერდა,—„მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებას შეუძლია ძირს დასცეს მეფის ბატონობა, მას შეუძლია დაამყაროს ხალხის ბატონობა, რა თქმა უნდა, თუ ეს აჯანყება გამარჯვებით გათავდება"[3].

რუსეთის პირველმა რევოლუციამ გვიჩვენა, რომ ბოლშევიკები წარმოადგენდნენ რევოლუციის ერთადერთ ხელმძღვანელ ძალას რუსეთში.

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 13.

[2] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი, ჟურნ. „მნათობი", 1953, № 7, გვ. 18.

[3] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 253.

მხოლოდ ბოლშევიკური პარტია იყო მტკიცედ დაკავშირებული მასებთან, აწარმოებდა თანმიმდევრულ და შეურიგებელ ბრძოლას ყოველგვარ ოპორტუნიზმსა და რევოლუციის მტრებთან. „ბოლშევიკებს აღებული ჰქონდათ კურსი რევოლუციის განვითარებისაკენ, შეიარაღებული აჯანყების გზით ცარიზმის დამხობისაკენ, მუშათა კლასის ჰეგემონიისაკენ. კადეტური ბურჟუაზიის იზოლაციისაკენ, გლეხობასთან კავშირისაკენ, მუშათა და გლეხთა წარმომადგენლებისაგან დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნისაკენ, გამარჯვებამდე რევოლუციის მიყვანისაკენ“[1].

რუსეთის პირველ რევოლუციას სათავეში ედგა რუსეთის პროლეტარიატი. იგი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რაზმავდა რუსეთის ყველა მშრომელს.

„ლენინის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარების პერიოდში გენიალურად დაასაბუთა პარტიის ბოლშევიკური ტაქტიკა, მუშათა კლასის ტაქტიკა, შეიმუშავა კომუნისტური პარტიის პოლიტიკური (ტაქტიკური) საფუძვლები. მან განავითარა იდეა პროლეტარიატის ჰეგემონიისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და ცხადყო, რომ იმ დროისათვის შექმნილ ისტორიულ ვითარებაში რევოლუციის გამარჯვების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნებით. ლენინმა რუს მარქსისტებს მისცა ნათელი პერსპექტივა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდისა სოციალისტურ-რევოლუციად“[2].

საქართველოს მუშებისა და გლეხების რევოლუციურ ბრძოლას თვალსაჩინო ადგილი ეკავა 1905—1907 წლების რევოლუციის საერთო მსვლელობაში. რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში საქართველოში მკაფიოდ გამომჟღავნდა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ექსპლოატატორული წყობილების, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოში აღმოცენებული გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, მუშათა დეპუტატების საბჭოებთან ერთად, რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენდნენ. 1905 წელს საქართველოში წარმოშობილი საგაფიცვო კომიტეტები გადაიქცნენ შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელ ორგანოებად.

---

[1] სკპ (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, გვ. 116.

[2] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი“, საენციკლოპედიო, 1953, გვ. 13.

მიიღეს რა საბრძოლო ნათლობა რუსეთის პირველ რევოლუციაში, საქართველოს მშრომელები მუშათა კლასის მეთაურობით, ისე როგორც მთელი რუსეთის მშრომელები, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ კომუნისტური პარტიის გარშემო და განაგრძობდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ სტოლიპინის რეაქციისა და ახალი აღმავლობის პერიოდში, პირველი მსოფლიო ომის წლებში და საქართველოში მენშევიკური ხელისუფლებისა და უცხოელთა ინტერვენციის პერიოდში.

დიდი რუსი ხალხის დახმარებით საქართველოს მშრომელებმა 1921 წლის თებერვალში დაამხეს მენშევიკური ხელისუფლება, გააძევეს თავიანთი ქვეყნიდან უცხოელი იმპერიალისტები, მოიპოვეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა და განთავისუფლდნენ მემამულურ-ბურჟუაზიული ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრისაგან.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში ქართველმა ხალხმა შექმნა ნამდვილად თავისუფალი, სუვერენული ეროვნული საბჭოთა სახელმწიფო და ამით დასაბამი მისცა თავისი ისტორიის ახალ, სახელოვან ეპოქას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა XX საუკუნის დასაწყისში 3
2. მუშათა მოძრაობა და ლენინურ-ისკრული მიმართულების სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმოშობა . 30
3. გლეხთა მოძრაობა 1905 წლის რევოლუციის წინახანებში 44
4. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის მოღვაწეობა 1905 წლის წინახანებში. 50
5. ძალათა კლასობრივი განლაგება 1905 წლის რევოლუციის წინახანაში. 64
6. რევოლუციის დასაწყისი, საქართველოს მუშებისა და გლეხების გამოსვლები. 73
7. რევოლუციური მოძრაობის განვითარება 1905 წ. გაზაფხულსა და ზაფხულზე 91
8. საერთო-სახალხო მოძრაობა 1905 წ. ოქტომბერში. 111
9. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება. 125
10. რევოლუციის უკან დახევა . 136
    დასკვნა 157

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. მახარაძე

ტექრედაქტორი ა. თოდუა
კორექტორები: დ. ბაქრაძე
ო. გიორგაძე
გამომშვები ნ. ავალიანი

გადაეცა წარმოებას 29.10.54. ხელმოწ. დასაბეჭდად 15.1.54. ქაღალდ.
ზომა 60×92 1/16. ქაღალდ. ფურც. 5,625. საბეჭდ. ფურც. 10,25+1 ფ
ჩართ. საავტორო 8,54. საღრ.-საგამომც. ფურც. 9,14.
შეკვ. 1706. უე 01513. ტირაჟი 4000.

ფასი 6მან. 75 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5.